სრულიად
საქართველოს
საპატრიარქო

# საღვთისმეტყველო კრებული

13

თბილისი
1983

სამსახურებრივი მოხმარებისათვის

სრულიად საქართველოს საპატრიარქო

# ს ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო

# კ რ ე ბ უ ლ ი

№ 13

იბეჭდება უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ი ლ ი ა II
ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით

ჩემ ძმასავით საყვარელ მიშას!
[illegible]

თ ბ ი ლ ი ს ი

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსებობს თუ არა ბედისწერა?

ბედისწერის იდეა, წინასწარ დაწერილი ბედის რწმენა, შორეულ წარსულში ჩაისახა და, როგორც ჩანს, იგი ერთგვარად პოლითეიზმის (მრავალღმერთიანობის) ნაყოფია. როდის და სად გაჩნდა პოლითეიზმი, ჩვენთვის უცნობია, თუმცა ის კი ვიცით, რომ მრავალღმერთიანობა ძველი აღმოსავლეთის ხალხებში უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე სხვაგან. ასე მაგალითად, შუმერებსა და ხეთებს უკვე ჰყავთ მრავალი ღმერთი და მათთან ერთად სწამთ ბედისწერაც, მისი გარდუვალობა და სიძლიერე, რომელიც ვრცელდება თვითონ ღმერთებზედაც კი. ამასთან ღმერთებს შეუძლიათ აირჩიონ ბედის გამგებელი, ბედის დამწერი, რომელიც, ცხადია, უკვე პირველ ადგილს იკავებს სხვა ღმერთებს შორის და განაგებს ყველაფერს. ასე მაგალითად, ენლილი მარდუქი (ბაბილონელთა მთავარი ღვთაება, რომელიც ადრე შუმერთა უმთავრესი ღმერთი იყო) ღმერთებისაგან იღებს ბედისწერის გამგებლობას, რის შემდეგაც იგი ჰკლავს ქალღმერთ თიამითს და მისი სხეულის ნაწილებისაგან ქმნის ცასა და მიწას. (იხ. გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდენ ლურსმული წარწერები, 1961, გვ. 60-61).

ადამიანისათვის ბედისწერის გარდაუვალობაა ასახული ცნობილ შუმერულ ეპოსში „გილგამეშში“. გილგამეში ძლიერი და დაუცხრომელი გმირია, რომელიც იბრძვის უკვდავების მოპოვებისათვის და რომელიც, მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, მართლაც ახერხებს „უკვდავების მიმნიჭებელი ბალახის“ ხელში ჩაგდებას. ამ ბალახს მას ძილში ჰპარავს გველი; გილგამეში მარცხდება, რადგან ასეთია საერთოდ ადამიანის ბედისწერა: იგი უნდა მოკვდეს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

განსხვავებით შუმერებისაგან, რომელთა რწმენაც საიქიო ცხოვრებაზე, როგორც ჩანს, საკმაოდ სუსტი და ბუნდოვანი იყო, ძველ ეგვიპტელებს მტკიცედ სწამდათ როგორც ადამიანის სიკვდილის შემდგომი (როგორც სულით, ისე ხორცით) არსებობა, ისე ადამიანის ამქვეყნიურ სიცოცხლეში ბედისწერის გარდაუვალი მნიშვნელობაც.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ბედისწერის ცნებას ძველ ბერძნებთან: ბერძნული მითოლოგია, რელიგია, ხელოვნება და ფილოსოფია საერთოდ წარმოუდგენელია ამ „უმაღლესი ძალის" გარეშე, რომელიც პერსონიფიცირებულია ქალღმერთების ანანკეს, ტიხეს, ატეს, ადრასტეას, ჰეიმარმენეს ან მოირების სახით. განსაკუთრებით „ცნობილი" სწორედ მოირები არიან: ჰესიოდეს მიხედვით ესენია ღამის ან ზევსისა და თემისის სამი ქალიშვილი. ამათგან კლოთო რთავს ადამიანის სიცოცხლის ძაფს, ლახესი ამ ძაფს ანაწილებს, ხოლო მესამე – ატროპოსი, მას წყვეტს. (ძაფის გაწყვეტა ნიშნავს სიკვდილს), საინტერესოა, რომ ბერძნების წარმოდგენითაც ბედისწერა ყველაზე ბატონობს – მას ემორჩილებიან თვითონ ოლიმპის ღმერთებიც კი.

ბერძნული მითოსიდან ბედისწერა იმდროინდელ ფილოსოფიაშიც გადადის და იქ სამყაროს წარმოშობისა და მისი კანონების ამხსნელად გვევლინება. ასე მაგალითად, უძველესი ბერძენი ფილოსოფოსები, თ ა ლ ე ს ი და ა ნ ა ქ ს ი მ ა ნ დ რ ე, იმ ძალას, რომელიც მოვლენათა უკან დგას და ღვთაებრივ საწყისს იძულებით მრავალფეროვანი განხორციელებისაკენ წარმართავს, ა ნ ა ნ კ ე ს უწოდებენ, რაც ბუნების ან სამყაროს აუცილებლობას აღნიშნავს. ჰ ე რ ა კ ლ ი ტ ე ანანკესა და ჰეიმარმენეს ერთნაირი აზრით იყენებს იმ განუსაზღვრელი ძალის აღსანიშნავად, რომლის მიხედვითაც სამყაროში მიმდინარე მოვლენები ხორციელდებიან. თავისი თავის გამაზრებელ აუცილებლობას

(ბედისწერას) ჰერაკლიტე უწოდებს ასევე ლოგოსს, რომელიც მისთვის არის ის უძველესი კანონი, „რომელიც არცერთ ღმერთსა და არცერთ ადამიანს არ შეუქმნია, რომელიც ყოველთვის იყო და არის და იქნება, მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც ზომის მიხედვით ენთება და ზომის მიხედვით ქრება". (ციტირებულია: დილსი, ფრაგმენტი 30). ეს ცეცხლი ან ლოგოსი და ბედისწერაა ის, რაც განსაზღვრავს ყოველგვარ მოვლენას და ეს წინასწარგანსაზღვრულობა შეუძლებელია დაირღვეს, რადგან მას იცავენ ქალღმერთი ერინიები: „მზეც კი ვერ გადალახავს მისთვის მიჩნეულ საზღვარსა და სამანს, ვინაიდან ერინიები დასჯიან მას".

პ ა რ მ ე ნ ი დ ე ბედისწერას – ანანკესა და ჰეიმარმენეს – აიგივებს ბედისწერის ქალღმერთთან, ხოლო ატომისტების ლ ე ვ კ ი პ ე ს ა და დ ე მ ო კ რ ი ტ ე ს ა თ ვ ი ს ბედისწერა (ანანკე) წარმოადგენს ბუნების იმ ძალას, რომელსაც მაიძულებელი აუცილებლობით მოძრაობაში მოჰყავს ატომები და მაშასადამე ყოველგვარი ქმნადობის მიზეზია; ანანკეს მოაზროვნე ნაწილია ჰეიმარმენე, რომელსაც ამიტომ ისინი უწოდებენ ასევე „ნუსს" (გონებას) და ლოგოსს. („ლოგოსი" ბერძნულში აღნიშნავდა სიტყვას, ლაპარაკს, ენას; მოგვიანებით მან მიიღო მნიშვნელობა: აზრი, ცნება, გონება, საზრისი, მსოფლიო კანონი. ჰერაკლიტესა და სტოიკებთან იგია მსოფლიო კანონი, რომელიც გაიგივებულია ყველაფერზე მაღლამდგომ ბედისწერასთან).

ამ ჩამოთვლილ მოაზროვნეთა საპირისპიროდ (მათ „წინასოკრატელებს" უწოდებენ), <u>პლატონი</u> ჰეიმარმენეს შემოსაზღვრავს მხოლოდ ადამიანურ-მიწიერი სფეროთი: სულები დაბადების წინ თვითონ ირჩევენ თავიანთ ბედს (ჰეიმარმენეს), რომელიც მათმა დაბადების შემდეგ აუცილებლად უნდა იცოცხლონ. ამით პლატონმა თავის მოძღვრებაში შეიტანა პითაგორელთა და ორფიკოსთა (მისტიკოსთა საზოგადოება) იდეები დაბადე-

გამდელი შეცოდების შესახებ და იგი ისე გაიგო, რომ სულის პასუხისმგებლობა და შეცოდება თვითონ მის გადაწყვეტილებაში იმყოფება. ამასთან, თუმცა ინდივიდის სიცოცხლე და მისი მიმდინარეობა, მისი ამქვეყნიური ყოფნა წინასწარაა განსაზღვრული იმ ბედით, რომელსაც ადამიანი როგორც თვითონ ირჩევს საკუთარ დაბადებამდე, მაგრამ ამ წინასწარგანსაზღვრულობიდან პლატონი მაინც ხედავს გამოსავალს: ნების თავისუფლებასა და სიქველეს ალამიანი შეუძლია ბედისწერით გარეგნულ განსაზღვრულობაზე აამაღლოს.

პლატონთანვე გვხვდება ბედის (ჰეიმარმენეს) სხვაგვარი გაგებაც: იგია მატერიის ბოროტი პრინციპი, რომელიც მოქმედებს სულისა – უფრო ზუსტად, გონის – და მისი წესრიგის საწინააღმდეგოდ (იხ. „სახელმწიფო", თ.X; „რესპუბლიკა", 618 გ.).

ბერძნული ფილოსოფიის მომდევნო პერიოდში განსაკუთრებული გავლენა მოახდინა, ბედისწერის ცნების უარყოფით, ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე მ (იხ. მისი „ნიკომახეს ეთიკა", III, 7), რომლის მიხედვითაც „კაცი ევეა თავის მოქმედებათა პრინციპი და გამომწვევი, როგორც საკუთარი შვილებისა". მოსაზრებას, რომ ადამიანს, თავისი ბუნებრივი აგებულების გამო, არ შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა, არისტოტელე ასე უარყოფს: ადამიანს შეუძლია საკუთარი თავისუფალი ნებისყოფა დაკარგოს საკუთარი, ზედიზედ ჩადენილი შეცდომების შედეგად: „ისევე, როგორც არავის ძალუძს იმ ქვის უკან მობრუნება, რომელიც მანვე გაისროლა", ასევე აღარ ემორჩილება მას ის ქვა, „და მაინც მის ძალაუფლებაში იყო, დაეჭირა იგი თუ გაესროლა"; ქვის გასროლა, მაშასადამე, მოხდა ნებისყოფის შედეგად, პირადი, მაგრამ მცდარი გადაწყვეტილებით, და ეს შეცდომაა ის, რაც შემდგომში ნების თავისუფლების შესაძლებლობას გამორიცხავს: ადამიანს აღარ ძალუძს თავის მიერ გასროლილი ქვის შეჩერება

თუ უკან დაბრუნება.

ბერძნული ფილოსოფიური აზრის განვითარების ელინისტურ პერიოდში ბედისწერის ორნაირი გაგება უპირისპირდება ერთმანეთს: სტოიკებს მტკიცედ სწამთ ბედისწერა (ჰეიმარმენე და ანანკე), ეპიკურელები, კინიკები და სკეპტიკოსები კი მას სავსებით უარყოფენ.

ე პ ი კ უ რ ე (342-271), არსებითად, დემოკრიტეანელია: უსასრულოა სამყაროთა რაოდენობა, რომლებიც თავის თავად ვითარდებიან და რომლებიც ატომთა შეჯახებისა და გაყოფის შედეგია. ატომთა გვერდით კი არაფერი არსებობს, გარდა ცარიელი სივრცისა. ამ სამყაროთა შორის მოთავსებულ სივრცეში ცხოვრობენ ბედნიერი და უკვდავი ღმერთები, რომლებიც არც სამყაროებზე ფიქრობენ და არც ადამიანებზე, მაშასადამე, არც რაიმე ბედს უწერენ მათ: „ღმერთები ცხოვრობენ ცათა და ქვეყანათა შუა სივრცეში, მაგრამ არ ერევიან ბუნების განვითარებასა და ადამიანთა საქმიანობაში"; „ღმერთები მართალია არსებობენ, მაგრამ ისინი ისეთნი არ არიან, როგორც ბრბოს წარმოუდგენია, რადგან ისეთი ღმერთები, როგორრიც ბრბოს წარმოუდგენია, არ შეიძლება არსებობდნენ.... უღმერთო ის კი არ არის, ვინც უარყოფს ბრბოს ღმერთებს, არამედ ის, ვინც ღმერთებზე ბრბოს წარმოდგენას იზიარებს"; „ცუდს, ბოროტსა და უსამართლოს ღმერთები არც წინად და არც ახლა არ უბოძებენ ადამიანებს. ადამიანები თვითონ აყენებენ თავის თავს ზიანს გონებრივი სიბეცისა და უგუნურების გამო".

ბედისწერის ცნებას ძველინდურ რელიგიასა და ფილოსოფიაში (რელიგია, ფილოსოფია და ხელოვნება კი ძველი ინდოელისათვის ერთიდა იგივეა) შეესატყვისება კ ა რ მ ა ს ცნება, რომელიც უპანიშადებში (იგი წარმოადგენს საიდუმლო მოძღვრებას იმაზე, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა ხსნას თვითგანსაზღვრის მეშვეობით) გაგებულია როგორც ისეთი რაღაც, რაც ადამიანის არსს განსაზღვრავს და ამავე დროს უკვდავია. ძირითადი აზრი კარმაზე მოძღვრებისა ისაა, რომ ადამიანი თვითონაა საკუთარი თავის ბედი; კეთილი და ბედნიერი საკუთარი კეთილი მოქმედებით შეიძლება გახდე, ხოლო ბოროტი და უბედური – უკეთური მოქმედებით. ეს კარმა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლეს მისი სიკვდილის შემდეგაც, უპანიშადებში წარმოადგენს ა ტ მ ა ნ ი ს, იგივე მსოფლიო სულის, გამოვლენას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლე, როგორც სააქაო, ისე საიქიო, მთლიანად და სამუდამოდაა დეტერმინირებული იმ ბედით, რომელიც თვითონ ადამიანია.

• •

რას ემყარება ბედისწერის რწმენა, ამ რწმენის ხანგრძლივი ისტორია და მისი გამძლეობა? ცხადია, უნდა იყოს რაღაც მიზეზი, რაც ყოველივე ამას განაპირობებს და რაც ადამიანს აიძულებს ეძებოს საკუთარი „უბედური თუ ბედნიერი“ ხვედრის გამართლება. რატომ ხდება ხოლმე, რომ ერთსა და იმავე განსაცდელში ჩახვედრილი ადამიანებიდან ზოგი იღუპება, ზოგი კი არა? ომში ყველა არ კვდება, თუმცა სიკვდილის შანსი, თითქოს,

ყველასათვის ერთნაირია; ეპიდემია, ვთქვათ შავი ჭირი, ყველას არ ემართება, ზოგს იგი საერთოდ აუვლის გვერდს, და ხშირად იმასაც ზოგავს, ვისაც შეეყრება. ანდა, ავიღოთ ყოველდღიური ხიფათი. ბავშვები მდინარეში ბანაობენ. მოულოდნელად ერთ-ერთ მათგანს თავში ხვდება წყალს ვამოყოლილი ჯირკი ან მორი და ბავშვი იღუპება. რადა „მაინცდამაინც ამას მოხვდა და არა სხვას“? ასევე: კაცი გამოვიდა სასეირნოდ ქუჩაში. უცბად დაქროლა ქარმა; სადღაც მეხუთე სართულის ბინაში ჩაიმსხვრა ფანჯრის მინა და შუშის ნამსხვრევი თავზე დაეცა სწორედ ამ კაცს. რადა მაინცდამაინც იმ დროს გამოვიდა ეს კაცი სასეირნოდ? რადა მაინცდამაინც მაშინ ამოვარდა ქარი, როცა იგი სწორედ იმ ადგილზე იმყოფებოდა, სადაც შუშა უნდა ჩამოვარდნილიყო? რატომ იყო ფანჯარა ღია? ასეთი კითხვები შეიძლება უსასრულოდ მრავალი იყოს. მათი მიზანი კი საბოლოოდ არის იმის ნათელყოფა, რამაც ადამიანის ასეთი თუ ისეთი ხვედრი განსაზღვრა. ეს განმსაზღვრელია, თითქოს, ბედისწერა: ადამიანს იმიტომ შეემთხვა ესა და ეს, რომ ასეთი იყო მისი ბედი; ადამიანის ცხოვრებას წინასწარ განსაზღვრავს ბედისწერა, რომელსაც ვერავინ გადაუვა: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“.

როგორც ვხედავთ, ადამიანის ბედისწერით წინასწარგანსაზღვრულობის იდეა სარბიელზე გამოდის ყოველთვის იქ, სადაც საქმე გვაქვს რაიმე შემთხვევით მოვლენასთან: მავანი და მავანი ისეთი ჯანმთელი იყო, რომ შეეძლო ასი წელი მაინც ეცოცხლა, უცებ კი რა მოხდა! ეს „უცებ“, ეს „მოულოდნელად“, იმდენად ხშირია ადამიანთა სიცოცხლის გზაზე, იმდენად არ ემორჩილება იგი ადამიანთა ნებასა და გონებას და მისი თავიდან აცილების ყოველგვარ ცდას, – ან კი როგორ შეიძლება ეცადო იმის თავიდან აცილება, რასაც არასოდეს ელოდები – რომ უნებლიედ ჩნდება რაღაც იდუმალი და გარდაუვალი „წერის“ იდეა, რომელიც თითქოს განაგებს თითოეული ადამიანის ყოფნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

• • •

ბედისწერის ცნების შინაარსისა და ისტორიის ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ა? ცნების ძირითადი მახასიათებლები: I. ბედისწერა არ არის პიროვნული ფენომენი; იგია ისეთი რამ, რასაც ემორჩილებიან თვითონ ღმერთებიც კი, ხვედრი, რომელიც ყველას მიეგება და რომელსაც ვერავინ აიცდენს. 2. ბედი წინასწარაა დაწერილი და ადამიანის ყოფნა ამ დაწერილის მიხედვით მიმდინარეობს. ამიტომ ადამიანის თავისუფლება მოჩვენებაა: ადამიანის თავისუფალი ნება სინამდვილეში არის ბედისწერის ნების განმახორციელებელი. 3. შემთხვევითობა, რომელიც განსხვავებულ, მიზეზობრივად განპირობებულ მოვლენათა რიგის ურთიერთ გადაკვეთის შედეგია, არ არსებობს; ყველაფერი, რაც ხდება, ბედისწერის აუცილებლობის ტყვეობაშია. არც ხსნაა ამ ტყვეობიდან და არც დამხსნელი.

გავარჩიოთ ყველა ეს მახასიათებელი. I. რახან ბედისწერა არ არის პიროვნული და შემოქმედი ღმერთი, ღმერთი რომელიც ადამიანს ქმნის და მას უწესებს მოვალეობასა და მიზანს, ამიტომ ადამიანი არაა პასუხისმგებელი არსება და მაშასადამე მისი ქცევა ვერც ეთიკურ-მორალური თუ სამართლებრივი მცნებებითა და ნორმებით შეფასდება: თუ ყველაფერი ბედის წერაა, მაშინ პასუხისმგებელიც არავინაა. 2. თუ ადამიანი აუცილებლობის - ბედისწერის - მონაა, იგი არაა თავისუფალი არსება და ვერც ვერასოდეს გახდება ასეთი. იგი პასიურად უნდა ელოდოს ბედის განაჩენს, მომავალზე ზრუნვისა და მომავლის ყოველგვარი დაგეგმვის გარეშე, რადგან მისი „მომავალი" წინასწარაა განსაზღვრული მის დაბადებამდე - წარსულში. 3. გამორიცხავს რა შემთხვევითობას, ბედისწერის იდეა ამით უარყოფს სამყაროში მიზეზობრიობის არსებობასაც: შე-

მთხვევა ხდება იქ, სადაც ერთმანეთს შეხვდება და გადაკვეთს მიზეზობრივად განპირობებულ მოვლენათა რიგი: ერთი მხრით, ადამიანს მოუნდა გასეირნება; გამოვიდა ქუჩაში; გადავიდა ქუჩის იმ მხარეს, სადაც ჩრდილი იყო; მეორე მხრით, სადღაც, განსაზღვრული პირობების გამო, წარმოიშვა ციკლონი, რომელიც, ისევე განსაზღვრულ მიზეზთა გამო, დაიძრა სწორედ ამ მიმართულებით. ამოვარდნილმა ქარმა გატეხა ფანჯარა, რომლის ნამტვრევიც დაეცა თავზე ქუჩაში მიმავალ ადამიანს. ესაა შემთხვევა, რომელიც ფიზიკურ, ბუნებრივ სამყაროში არსებული, მიზეზობრივად განპირობებული მოვლენათა რიგის ურთიერთგადაკვეთის შედეგია: ბუნება როგორც ფიზიკური სამყარო ხომ მიზეზობრიობის სამეფოა.

დგება კითხვა: წარმოადგენს თუ არა ადამიანი ამ სამეფოს სრულ ტყვეს? მივუბრუნდეთ ზემოგანხილულ მაგალითს: მავანმა გადაწყვიტა გასეირნოს; *გადაწყვეტა* კი ნიშნავს არჩევანს – კაცს შეეძლო აერჩია სახლში დარჩენა, ანდა ეზოში მუშაობა – და მაშასადამე *ნების თავისუფლებას*. მოახდინა რა არჩევანი საკუთარი ნებით, ადამიანმა ამის შემდეგ საფუძველი დაუდო სამყაროში მიზეზობრივად განპირობებულ მოვლენათა ახალ, სამყაროში მანამდე არარსებულ მწკრივს. ამ „თავისუფლებით დაფუძნებული“ (კანტი) მიზეზობრივი მწკრივისა და ბუნებრივი (ბუნებაში არსებული) მიზეზობრივი მწკრივის ურთიერთგადაკვეთა იყო სწორედ აღწერილი „უბედური“ შემთხვევის გამომწვევი. ამით, უეჭველია, რომ ადამიანმა როგორღაც თვითონვე დაგეგმა, თავისი პირადი გადაწყვეტილებით, ის, რაც მას მოუვიდა. სწორედ ამიტომ ამბობს ხალხი: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“; ადამიანს ემართება ის, რაც მას დამართა საკუთარმავე თავმა. ცხადია, ძნელია იმის აღიარება, როგორც სხვისი, ისე საკუთარი თავის წინაშე, რომ „ჩემი უბედურება მე ჩემივე თავითვე მჭირს“; გაცილებით იოლია, ფსიქოლოგიურად, ყოვე-

ლივე გადავაბრალოთ სხვა ვიღაცას ან რაღაცას. ამ მიზნით,კი ყველაზე მოსახერხებელია „ბედისწერა". ხალხურ სიბრძნეს, ცხადია, არც ეს ადამიანური სისუსტე დარჩენია შეუმჩნეველი: „საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსა".

მაინც, აქვე უნდა მიეთითოს ერთ უაღრესად საინტერესო ვითარებას: რა ძლიერადაც არ უნდა იყოს დარწმუნებული ადამიანი ბედისწერის ყოვლისშემძლეობაში, თვით უკიდურესი ფატალისტიც კი („ფატუმ" ლათინურად „ბედია"), არასოდეს არ ენდობა მთლიანად „თავის ბედს"; სადღაც, ქვეცნობიერად, მას ასევე ყოველთვის სჯერა, რომ მისი „ბედი" ბევრადაა დამოკიდებული თვითონ მის მოსაზრებულობაზე, გონივრულ არჩევანზე, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმაზე, თუ რას ირჩევს და რას მისდევს იგი – კეთილს თუ ბოროტს: არც ერთი ფატალისტი არ გადაეშვება აბობოქრებულ ოკეანეში მხოლოდ იმის იმედით, რომ თუ მას არ უწერია ოკეანეში დაღრჩობა, იგი არ დაიღრჩობა; და ადამიანთა უმეტესობას ასევე სჯერა, რომ ბოროტი ისჯება, კეთილს კი „რაღაცა ძალა იფარავს". რა უნდა იყოს ეს ძალა? ცხადია, არა ბრმა, უპიროვნო და ყველაფრისადმი გულგრილი ბედისწერა, არამედ პიროვნული არსი, რომელსაც შეუძლია განასხვაოს კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი და რომელიც ადამიანთა ქცევას აფასებს. შეფასება კი გულისხმობს საზომს, პრინციპებს, იმას, რისი მიხედვითაც ფასდება და იზომება ადამიანის მოქმედება. ამიტომ ის , ვინც ადამიანთა მოქმედებას აფასებს, ვინც ამართლებს ან სჯის, ამ პრინციპებსა და მასშტაბებს თავისთვის კი არ ინახავს, არამედ გადასცემს მათ ადამიანებს როგორც მცნებებს. ეს პიროვნული არსია ქრისტიანული ღმერთი, რომელიც არის სიტყვა, რომლისგანაც ყოველი შეიქმნა, რომელშიაც იყო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე იყო „ნათელ კაცთა" (იოანე, I, I-4).

ღმერთი-სიტყვა „ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის, და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდ-შობილისაი მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“. განხორციელებული სიტყვა არის ძე ღვთისა ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე; ამიტომ „მადლი და ჭეშმარიტებაი ი ე ს უ ი ს მიერ იქმნა“ (იოანე, I, 14,17); მანვე გამოთქვა ისინი მ ც ნ ე ბ ე ბ ი ს ს ა ხ ი თ. ამით, ქრისტე არის ის გზა, რომელსაც ადამიანი უნდა გაჰყვეს, რათა თავი დააღწიოს მატერიალური სინამდვილის მიზეზობრივად განპირობებულ ბრმა აუცილებლობასა და შემთხვევითობას, და მიაღწიოს ხ ს ნ ა ს. მაშასადამე, ღმერთი ადამიანს უწერს არა ბედს, არამედ მცნებებს, რომლებსაც ადამიანი უნდა გაჰყვეს. „უნდა გაჰყვეს“ კი ნიშნავს: მას შეუძლია გაჰყვეს, მაგრამ შეუძლია არ გაჰყვეს; ყველაფერი დამოკიდებულია მისსავე თავისუფალ ნებაზე; ღმერთი ხელმძღვანელობს ადამიანს, ზრუნავს მასზე ჯერ კიდევ მის გაჩენამდე, მაგრამ არ ზღუდავს მ ი ს თავისუფლებას. ასეთ ღვთიურ წინასწარხედვასა და წინასწარზრუნვას ეწოდება განგება (ლათ. პროვიდენცია). ესაა ცნება, რომელიც ქრისტიანობამ დაუპირისპირა „ბედისწერას“. განგების რწმენას შეესატყვისება ქრისტიანული კეთილმსახურება (ბერძნულად „ევსებეია“) იგივე ღვთისმოშიშება, რომლის ამოსავალია ყველაფრის საწყისისაგან ან საფუძვლისაგან, ე.ი. ღმერთისაგან, დამოკიდებულების გრძნობა, რასაც თანახლავს საკუთარი თავისუფლების შეგნება: ადამიანს აქვს როგორც ღმერთზე დამოკიდებულების, ისე საკუთარი თავისუფლების განცდა.

მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ უსწორებს ანგარიშს ქრისტიანული ღვთისმეტყველება ბედისწერის ცნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

• •

„ბედი", სიტყვის საკუთრივი აზრით, მხოლოდ ადამიანს გააჩნია. ადამიანზე ბიბლიური ძოძღვრების ძირითადი (ცხადია, არასრული) წერტილები კი შეიძლება ასე მოინიშნოს:

ა) ადამიანი არის უპირატესი არსებული ღვთის შენაქმნთა შორის; იგი შემქმნელის ხატი და მსგავსი და როგორც ასეთი, ყოველი შექმნილის მბრძანებელი. „რაჲ არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას? დააკლე იგი მცირედ რაჲმე ანგელოზთა, დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ იგი. და დაადგინე იგი ზედა ქმნულსა ხელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერხთა მისთა". (ფს. 8,5,6,7,).

ბ) ადამიანის ყოფიერება ორი ელემენტისაგან მიიღება: I. მატერიალური ან მიწიერი (მას ძველ აღთქმაში ასევე „ხორცი" ეწოდება) და 2. უშუალოდ ღმერთისაგან წარმომდგარი სიცოცხლის პრინციპი, იგივე სული და გონი; ამასთან, ადამიანს თავისი სული კი არ აქვს, არამედ ადამიანი არის სული: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმან ქუეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სრულად ცხოველად" (დაბადება, 2).

გ) სულისა და გონის ცნება ძველი აღთქმის ანთროპოლოგიაში გადადის გულის ცნებაში, რომელიც აქ უმეტესად აღნიშნავს ადამიანის საკუთრივ ცენტრს, მის „შუაგულს", და სიღრმეს, რომელიც არის როგორც ვნებათა და გრძნობათა, ისე გონითი შემეცნებისა და მისწრაფებების სამყოფელი; იგია რელიგიური და ეთიკური მოქმედების წარმმართველი (დაბადება 20,5; იოსია 22,5) და ამით ემთხვევა სინდისს (I სამოელი 7,27), როგორც ადამიანურ გადაწყვეტილებათა საფუძველს. შესაბა-

მისად, გულია, და არა სხეული, შეცოდებისა და ცოდვის სუბიექტი (დაბადება 6,5; 8,2I). აქედან, „გული“ აღნიშნავს იმასვე, რასაც „პიროვნება“, „პერსონა“ (ფს. 22 და 27).

დ) ადამიანი როგორც პიროვნება ერთჯერადი და განუმეორებადია; იგი გამოძახებულია ყოფიერებაში თავისი სახელით, განუმეორებელი ღვთიური სიტყვით (დაბადება 35,I0; ესაია 45,4), და ეს ღვთიური დაძახება სწორედ ადამიანური – (პიროვნული) ყოფნის წარმმართველი და განმსაზღვრელი: ადამიანმა პასუხი უნდა გასცეს, უნდა უპასუხოს მის შემქმნელ სიტყვას ისე, როგორც ეს მხოლოდ მას შეუძლია და მოეთხოვება (დაბადება 2,I6); ადამიანი, ამიტომ, არის პასუხის მიმგებელი და, მაშასადამე, პასუხისმგებელი არსება; იგი ყოველთვის ღმერთთანაა დიალოგში.

ე) პიროვნებამ იცის თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ღმერთისა და მისი ნების წინაშე; მაგრამ მას არ შეუძლია წინასწარ იცოდეს ღვთის თავისუფალი მოქმედების შესახებ. ამიტომ პიროვნება ყოველთვის ხელახლა ხედავს გადაწყვეტილების მიღების საჭიროებას. თითოეული ისმენს ღვთის ნებას, თავის სიტუაციაში, პასუხობს ღვთის მოწოდებას თავისებურად და თავისი შესაძლებლობებით, თავისივე გადაწყვეტილებით, რისკითა და მსხვერპლგაღებით – თავისუფლად (იოსია 6,6).

ვ) ცოდვის ანუ ღვთის ნებაზე უარის თქმით შეირყვნა ადამიანის ბუნება. ადამიანთა ცოდვის გამოსასყიდად უფალმა მოავლინა თავისი მხოლოდ შობილი ძე იესო ქრისტე „რაჲთა, რომელსა ჰრწმენეს იგი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოანე 3,I5). კაცობრიობა უნდა განახლდეს ქრისტეში, იგი „მეორედ უნდა იშვას“, რადგან „უკუეთუ ვინმე არა იშუას მეორედ, ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისაჲ (იოანე 3,3).

ზ) იესო ქრისტეში, „რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ“ (კოლასელთა მიმართ I,I5), განხორციელებულია ის სახელმძღვანელო პირველნიმუში, რომელიც ღმერთმა დაუსახა და განუსაზღვრა კაცობრიობას (2 კორინთელთა 3,I8; რომაელთა 8, 29; კოლასელთა 3,I0; ეფესელთა 4,20-24). ქრისტეა ადამიანის „მეორედ დაბადება“, მისი განახლება. ეს განახლება კი, მაინც, იმის ხვედრია, ვინც ირწმუნა ქრისტე, ვინც მიიღო იგი თავისუფლად. ესაა სწორედ ნათქვამი მოციქულთან: „და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებლისა მისისა“ (კოლასელთა 3,I0). ძე ღვთისა თავის თავს უწოდებდა ასევე ძე კაცისას; ამიტომ შეეძლო მას გამოესყიდა კაცობრიობის ცოდვა და გაენახლებია იგი: არაფერი ადამიანური არ იყო მისთვის უცხო იმიტომ რომ იგი თვითონაც ადამიანი იყო; მაგრამ როგორც ღმრთის ძეს, მას შეეძლო ადამიანის ცოდვის ჯვარზე გამოსყიდვა და ადამიანობის ნამდვილი განსახიერება; მან იცოდა რა არის ადამიანი და რა უნდა იყოს იგი. ამიტომ ითქვა მის შესახებ: აი კაცი - ecce homo! (იოანე I9,5); აი კაცი; ასეთი უნდა გახდე შენ რადგან შენ ასეთად ხარ შექმნილი.

ამგვარად: ადამიანს, შესაქმით, აქვს ერთადერთი წინასწარი განსაზღვრა - ადამიანად გახდომა. ეს ამოცანა მან თვითონვე უნდა გადაჭრას და განახორციელოს. ცხადია, ხორციელი ადამიანი ყოველთვის ცოდვილია; მან ყოველთვის ხელახლა უნდა სძლიოს თავის თავს და გამოისყიდოს თავისი ცოდვა, განახლდეს. ეს გზა უსასრულოა და სავსეა ნარეკლით, მაგრამ ეს ნარეკალი ბედისწერას კი არ აღმოუცენებია, არამედ ადამიანისავე შეცოდებას, ყოველგვარი ხიფათის, უბედური შემთხვევის, უდროო სიკვდილის, ტანჯვის საკუთრივ მიზეზსს. ადამიანი არ შეცდებოდა, იგი რომ თავისუფალი არ შეექმნა ღმერთს; მაგრამ ადამიანი ვერ

გახდება ადამიანი – ღვთის ხატი და მსგავსი, იგი რომ არ იყოს თავისუფალი. თავისუფლება კი ნიშნავს ადამიანის თვითგანსაზღვრას, ღვთის ნების ცნობა-არცნობის პიროვნულ გადაწყვეტილებას (გალატელთა 5,13; I პეტრე 2,16), ღმერთის სიყვარულის არჩევას, მოქმედებას არა თავისი მიწიერი ბუნების, არამედ „სიყვარულისა მისთვის" (გალატელთა 5,13) – იესო ქრისტესათვის. ქრისტეს სიყვარულის წინამძღვარია რწმენა, მიღება, სიტყვის მოსმენა, სინათლესა და სიბნელეს შუამყოფი ადამიანის გადაწყვეტილება – თავისუფალი პიროვნული აქტი (იოანე 5,24; გამოცხადება 1,1; 4,14).

რატომ შეუძლია ადამიანს ირწმუნოს? რწმენა არის ნიჭი, რომელსაც ადამიანს აძლევს ღმერთი (იოანე 37,39,40). რწმენა ღმერთისაგან ადამიანზე გადმოსული მადლია. ამიტომ „ვერვის ხელეწიფების მოსვლად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა"; „ყოველსა, რომელსა ესმას მამისა ჩემისაგან და ისწაოს, მოვიდეს ჩემდა" (იოანე 6,44,45).

გამორიცხავს თუ არა ეს გარემოება ადამიანის თავისუფლებას? თუ რწმენა ადამიანზე ღვთისაგან გადმოსული მადლია, ღვთის მიერი ნიჭია, მაშინ როგორია თვითონ ადამიანის პირადი გადაწყვეტილების მნიშვნელობა ამ მადლის მიღებაში და საერთოდ აქვს თუ არა მას რაიმე მნიშვნელობა? ესაა ღვთაებრივი მადლისა და ადამიანური თავისუფლების ურთიერთმიმართების ურთულესი პრობლემა, რომლის გარშემო კამათი თეოლოგიის ისტორიაში არასოდეს შეწყვეტილა. ცხადია, აქ შეუძლებელია ამ კამათის ისტორიის რამდენადმე ამომწურავი მიმოხილვა; ეს შეიძლება მომავალში მოხერხდეს. შევეცდებით მხოლოდ მივუთითოთ რამდენიმე ძირითად მომენტზე, რომლებიც, შესაძლოა, საკითხის გადაჭრის სწორ მიმართულებას ნათელყოფენ.

F8529



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც „ხატი და მსგავსი", ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფლებას მოკლებული არსება: ღვთაებრივი ნება თავისუფალია; თავისუფალია, მაშასადამე მის.. ხატისა და მსგავსის ნებაც. მაგრამ თვითონ ადამიანი არ არის მხოლოდ ღვთაებრივი სულისაგან შედგენილი არსება; მისი ბუნება მიწიერია და ეს მიწაა ღვთაებრივი სულით გაცოცხლებული: სული არის სიცოცხლის პრინციპი. ამით, ადამიანს, როგორც „ცოცხალ თიხას", ეძლევა ნიჭი დაემსგავსოს თავის შემქმნელს არა მხოლოდ თავისი სულით, არამედ მთლიანად, პიროვნულად; მან თვითონ უნდა გაასულიეროს თავისი პიროვნება, მისი „მიწიერი ნაწილის" ჩათვლით.. როგორ გამოიყენებს ადამიანი ამ ნიჭს? აქ ვლინდება სწორედ მისი ნება: მას შეუძლია აირჩიოს ის, რისთვისაც იყო მოწოდებული და განსაზღვრული ღმერთისაგან – ადამიანად გახდომა, კაცად გახდომა, იმ ნამდვილ კაცად, რომელიც პილატემ გოლგოთაზე მიმავალ ქრისტეში შეიცნო და რამაც მას ათქმევინა: „აი კაცი!" ამ შემთხვევაში ადამიანი თავისუფალია: იგი მიჰყვება ქრისტეს და იცის, რომ იქნება ის, ვინც უნდა იყოს შესაქმის თანახმად. ანდა, ადამიანი არ სცნობს ღვთის ნებას, არ გაიგონებს ღვთის მოწოდებას, გაჰყვება გულის თქმას, და გახდება იმ ვნებების მონა, რომლებიც მისი მიწიერი ბუნებიდან მომდინარეობენ. ამ შემთხვევაში კაცი აღარაა თავისუფალი. თავისუფალი იგი მაშინ იყო, როცა მისდევდა უფლის მცნებებს და ესწრაფოდა იმად გახდომას, რადაც იყო იგი გაჩენილი.

ასეთია, ზოგადად, ის წანამძღვრები, რომლებიც განსაზღვრავენ „ნების" უარყოფას ქრისტიანულ თეოლოგიაში. ქრისტეს მოციქულებს, დიდ ღვთისმეტყველებს, ამიერიდან მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ: მიიტანონ ადამიანებთან ღვთის სიტყვა და გააგებინონ ადამიანებს თავიანთი ადგილი და დანიშნულება ღვთის ქმნილებათა შორის.

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წმიდა მოციქული ი ა კ ო ბ ი, რომლის მიხედვითაც განსაცდელი ადამიანს მოევლინება არა ღმერთისგან მის გამოსაცდელად, არამედ განსაცდელი უნდა მიიღოს ადამიანმა, მოითმინოს იგი და სძლიოს მას: „ნეტარ არს კაცი, რომელმან დაუთმოს განსაცდელს, რამეთუ გამოცდილ იქმნეს და მიიღოს გვირგვინი ცხოვრებისი, რომელი აღუთქვა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა" (კათოლიკე-ეპისტოლე წმიდა მოციქული იაკობისი I,I2,I3,I4); ღმერთი კეთილია. ამიტომ „ნუ ვინ განცდილთაგანი იტყვის, ვითარმედ ღვთისა მიერ განვიცდები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი, არამედ კაცად-კაცადი განიცდების თვისისგან გულისთქმის მიიზიდვის და სცდების". არც სიკვდილია, იაკობის მიხედვით, ღვთისაგან დაწერილი; იგი თვითონ ადამიანის ცოდვათა სიმრავლის შედეგია, ცოდვებისა, რომლებსაც გულისთქმა შობს: „მერმე გულისთქმა იგი მიუდგის და შვის ცოდვაი და ცოდვა იგი სრულ იქმნის და შვის სიკვდილი". ვინაიდან ღმერთმა ბოროტი არ იცის, ამიტომ „ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდმო არს გარდამოსრულ მამისაგან ნათლისა, რომლისა თანა არა არს ცვალება, გინა თუ ქცევის აჩრდილ". ადამიანის გაჩენის მიზანიც მხოლოდ სიკეთეა, კეთილის ქმნაა, და თუ ამ მიზნისაგან ადამიანები ხშირად გადაუხვევენ, ეს ხდება არა ღვთის, არამედ ადამიანისავე საკუთარი ნებით: ღმერთს „უნდა და გვშვნა ჩვენ სიტყვითა ჭეშმარიტებისათა, რაითა ვიყვნეთ ჩუენ დასაბამ რაიმე მისთა დაბადებულთა".

ბედისწერის ცნების წინააღმდეგაა მიმართული ასევე მთელი ქრისტიანული ღმრთისმეტყველება. წმიდა მღვდელმთავარი და მწერალი ბასილი დიდი, თავის „ექუსთა დღეთაში", როცა იხილავს საკითხს, თუ საიდან აღმოცენდება ბოროტი ან საიდან შეემთხვევა ადამიანს ცუდი რამ, წერს:

„ნუცა ჰგონებ რომ პირველადვე არს ბუნება ბოროტისაი, არამედ თვითეული არს დასაბამი ბოროტისა თვისისა“, ხოლო თუ ადამიანს შეემთხვა რაიმე ცუდი მაშინ, როცა თვითონ იგი ბოროტების გარეშე იყვა (ე.ი. როცა ბოროტი მისგან არ აღმოცენებულა), იგი ან „რომელიმე ბუნებისაგან არს“, ვთქვათ, სიბერით ან უძლურებით, ანდა „რომელინე გარეშეთა მიზეზთაგან არს, შემაწუხებელნი, გინა განმახარებელნი, ვინაიცა ვინ პოვოს საფასე თხრასა ჯურღმულისასა; გინა თუ უკბინოს ძაღლმან ცოფმან განსვლისა გზისასა“.

თვით მაცხოვარი ბრძანებს: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“; „არა მოვედ დახსნად სჯულისა, არამედ აღსრულებად“. და რაც მთავარია: „იგი გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა“, „ივნო და დაეფლა და აღსდგა ჩვენთვის კაცთათვის“. საკითხავია: რად ეწამა მაცხოვარი კაცთათვის? მას, როგორც ყოვლის შემძლეს, ხომ შეეძლო ყველასათვის ერგუნებინა ბედად რწმენა, პატიოსნება, სიყვარული, ყოველგვარი სათნოება, შთაეგონებინა საუკეთესო იდეები, ეჩვენებინა იოლი გზები, რომლებსაც სასუფეველისაკენ მივყავართ? მაცხოვარმა „ცოდვანი ჩვენნი აღიხუნა თავის მხარზე“ და მიჰგვარა მამას; რატომ? განა არ შეეძლო მას ეს ცოდვათა მიზეზების მოსპობა? განა გაუძნელდებოდა იმ ძალას, რომელიც ქმნის და წარმართავს მთელ სამყაროს, ადამიანთა გულები სიკეთით აევსო და შეეძულებინა მათთვის ბოროტება? რათქმა უნდა, შეეძლო და შეუძლია. მაშინ რატომ არ გააკეთა ან რატომ არ აკეთებს ყოველივე ამას? საქმის კვანძი სწორედ იმაშია, რომ თვითონ შემოქმედის შემოქმედებიდან გამომდინარეობენ თავისუფლების კანონები, რომლებიც ვრცელდებიან როგორც ზეციურ სულებზე, ისე ადამიანებზეც. თავისუფალია თვითეული ადამიანის ნება, აზრი, გრძნობა და მოქმედება, და ეს ასეც უნდა იყოს, თუ მას არ შეზღუდავს რაიმე გარეშე,

არა ღვთიური მიზეზი (დრომოჭმული ჩვეულებები, ცხოვრებისეულ სალბე, „სოფლის მესვეურთა“ თვითნებობიდან გამომდინარე სამართლებრივი ნორმები, ბოროტ სულთა ხრიკები და სხვა).

უნდა გვახსოვდეს, რომ თავისუფლება ღვთაებრივი იდეალია, იგი წმიდა წყაროა უკვდავებისა, ზეცის უსაზღვრო სივრცეებიდან გადმოჩქეფარე. ამ ღვთით ნაბოძებ თავისუფლებაში წილი უძევს ყველა არსებას, ცხოველებისა და მცენარეების ჩათვლით.

ქრისტიანული თეოლოგიის შუქზე იხილავს ადამიანის ბედის წინასწარ განსაზღვრულობის საკითხს ჩვენი სულიერი კულტურის დიდი მოჭირნახულე, ბრწყინვალე ღვთისმეტყველი სულხან-საბა ორბელიანი თავის „კატეხიზმოში“, რომელიც კითხვა-პასუხის წესითაა დაწერილი.

კითხვა: „ვიდრე ცოცხალ არიან კაცნი, დღენი განწესებულ აქვთ ღვთისაგან, თუ არა?

პასუხი: „არავისნი დღენი არ არიან განწესებულნი“.

კითხვა: „ვიეთნიმე იტყვიან ყოველთა კაცთა დღენი აღწერილნი იყვნენ, რომელთამე გრძელი, რომელთამე მოკლე და ოდეს მიიწევინ აღსასრულად, მაშინღა მოკვდნენ და ვერ განერნენ“.

პასუხი: „მაგას უმეცარნი იტყვიან; უკეთუ ღმერთმა განაწესნა აღწერნა, მაშა ვისამე 100 წელიწადი აქვნდეს სიცოცხლე და სხვასა 60 და სხვასა 2 წელი და რომელნიმე მასვე დღესა მოკვდებიან, ვინ შემძლებელ არს ბრძანებისა ღვთისასა შეცვალებად? ვერცა თუ ვინ მოაკვდინა იგი მუნამდე, არცაღა თუ თვით მოკვდენ“.

ე.ი., თუ ღვთისაგან აქვს ადამიანს განსაზღვრული სიცოცხლის ხანგრძლივობა, მაშინ ამ განსაზღვრას ვერც ვერავინ დაარღვევს. მაშინ რაღ ეშინიათ, ამბობს საბა, ადამიანებს წყლის, რად ერიდებიან სიცივეს, ქარბუქსა და ყინვას, რატომ იცვამენ ომში ჯაჭვის პერანგს, რად აღმა-

რთავენ მტრის წინააღმდეგ ხმალს? თუ მათი სიცოცხლის წლები ჯერ არ ამოწურულა, თუ მათ გამარჯვება უწერიათ, მაშინ მათ ვერც ვერავინ და ვერავერი მოერევა: ვის შეუძლია შეცვალოს ბრძანებული ღვთისა?

მაგრამ მაინც რატომ ხდება, რომ „რომელნიმე სიბერითა ცაებენ და ჭაბუკნი ვერ განძლებიან ღღითა და სხვანი მცირენი მოკვდებიან და რომელნიმე მუცელსა შინა?“ სიკვდილი საყოველთაოა; „სიკვდილი ბრძანა უფალმა ცოდვათა ჩვენთათვის. ერთხელ უნდა მოვკვდეთ“. მაგრამ ღმერთს არ განუსაზღვრავს ვისიმე სიცოცხლის ხანგრძლიობა: „არამედ არა თუ აღწერნა დღენი, არცა განგვიწესა ჟამნი“ – არც ჩვენი ყოველდღიური ყოფნა აღუწერია, და არც მთელი ჩვენი სიცოცხლის განწესება შეუდგენია.

განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ საბა განასხვავებს „განგებით სიკვდილს“ „ბუნებრივი სიკვდილისაგან“. კითხვა: „მაშ ვისი საქმით არს ესევითარნი სიკვდილნი?“ პასუხი: „რომელნი სავსე სიბერით, ღმრთისა მიერ არსო, არიან ესევითარნი, რომელთაცა ჭაბუკთაცა ენებოს სიკვდილი განგებითა საღრმთოთაცა, რამეთუ მიუწდომელ არს“. ვის უწერია განგებით სიკვდილი? იგი იმ ადამიანებს შეემთხვევათ, რომლებიც სჭირდება თვითონ ღმერთს რაიმე დიდი საქმის, ღვთიური მისიის აღსასრულებლად. ასევე შეიძლება განგებით სიკვდილი სასჯელიც იყოს. ასეთი შემთხვევები იშვიათია, მაგრამ მაინც ხდებაო, ამბობს საბა.

ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ საბას ამ დებულების დამადასტურებელი მაგალითები (თვითონ საბას მაგალითები არ მოჰყავს). „სავსე სიბერით“ სიკვდილი ღვთიური განგებით ეწვია მართალ სვიმეონს, რომელსაც ღვთისაგან ჰქონდა ნაუწყები, რომ არ მოკვდებოდა მანამ, სანამ არ იხილავდა მაცხოვარს. ხოლო როცა სვიმეონმა იხილა ტაძარში 40 დღის ყრმა იესო, მან „მიიქუა იგი მკლავთა თვისთა ზედა“ და სთქვა: „აწ განუტევე მონაი შენი, უფალო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით,

რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვრებაჲ შენი". და აღესრულა. ასეთივე განგებით სიკვდილი ეწვია 84 წლის ანა წინასწარმეტყველს, რომელიც იმავე ტაძარში მიეგება მაცხოვარს. ასევე იოანე ღვთისმეტყველი, მრავალ ტანჯვათა მომთმენი, პყრობილი და ორჯერ გადასახლებული კუნძულ პატმოსსზე, მიუხედავად „სავსე სიბერისა", მანამ არ აღესრულა, სანამ არ იხილა გამოცხადება იესო ქრისტესი და არ აღწერა იგი.

ახალგაზრდის განგებით გამოწვეული სიკვდილის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მცხეთელი აბიათარის დის სიდონიას გარდაცვალება: ქალწულმა სიდონიამ, იხილა რა განგებით ღვთისა მაცხოვრის კვართი, გულში ჩაიკრა და იქვე გარდაიცვალა. მის გულზე დაიმარხა კვართი უფლისა ჩვენისა და ეს მოხდა იმიტომ რომ მომავალში მომხდარიყო სხვა სასწაულები, აღსრულებულნი და მომავალში აღსასრულებელნი (რადგან მხოლოდ ღვთიური განგებით მიემადლა კვართი იგი უკერველი ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს).

ბოლოს, ბოროტი ზრახვისა და შეცოდების გამო მოკვდნენ ანანია და მისი ცოლი, რადგან ანანია „ეცრუა ღმერთსა და პეტრე მოციქულს გაყიდული აგარაკის ფული დაუმალა".

დასასრულ,საბა ერთხელ კიდევ სვამს კითხვას: „იქმნების კაცის სიკვდილი უღმერთოდ?" პასუხი: „ჰე იქმნების, რამეთუ უბრალოდ მოჰკლავს კაცი, გინა ავაზაკნი მოგზაურთა, ვიეთა ძმა და მამა მოაკვდინეს". ასეთებს ღმერთი სჯით. „უკეთუ ღმრთის მიერ არის სიკუდილი მათი, რაღად წარწყმიდა ჯოჯოხეთად მომკვლელნი მათნი? ნუ იყოჲნ!"

ამგვარად, საბა გადაჭრით უარყოფს ბედისწერას როგორც ღმერთის მიერ ადამიანის სიცოცხლის მიმდინარეობის წინასწარ განსაზღვრას: რატომღა ისჯება კაცის მკვლელი, თუ მოკლულს წინასწარ ჰქონდა დაწერილი მოკვდინება?

საბას, ამასთან, ისიც აქვს შენიშნული, რომ „ბედისწერა“ გულისხმობს თვითონ „ბედს“, იმას, რაც „წერს“ და მისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობით ამბობს: „ნუ ვინ ჰგონებთ ბედისათვის, ვითარმედ არსებითი რამე იყოს, რომელსა უმეცარნი იტყვიან და მას მიაჩემებენ ნიჭსა ღმრთისასა“ (სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, „ბედი“). ნიჭი არის „საბოძვარი კეთილი“ (იქვე, „ნიჭი“) და იგი ებოძება – ენიჭება – ადამიანს ღმრთით და არა ბედით. „კვალად კაცი ვინმე ბოროტის ღირსი რა ღმერთმან შეიწყალოს და შეუცვალოს ბოროტი კეთილად, ესე ვითართა სახელად ბედი ეწოდების“ (იქვე, „ბედი“). „ბედი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს ღმრთის წყალობას, იმას, რასაც ღმერთი უწყალობებს ადამიანს თავისი თავისუფალი და მიუწვდომელი ნებით: ღმერთი ბოროტის ღირს ადამიანს იწყალებს, ვინაიდან „წყალობა არს მწუხარება სხვისა ბოროტსა ზედა“ (იქვე, „წყალობა“); უფალი წყალობას აძლევს, იწყალებს ცოდვილთ, ბოროტის ღირსთ, რადგან მას ტკივილს, მწუხარებას, აყენებს ცოდვილი: „წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი. რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“ (მათე 9,I3), ბრძანებს მაცხოვარი. ადამიანს რომ „წინასწარ ეწეროს“ შეცოდება (ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს „დაწერილი“ – ბედისა თუ ღმერთისაგან) მაშინ როგორღა უნდა მომხდარიყო და გამართლებულიყო მისი შეწყალება? ცოდვილი ხომ ისაა, ვინც შესცოდა თავისი ნებით, ვინც ბოროტად გამოიყენა მისთვის ბოძებული ნიჭი, თავისი თავისუფლება და დაკარგა უფლება ყოფილიყო თავისი ბედის უფალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჭი, როგორც „საბოძვარი კეთილი“, მომდინარეობს ღვთიური მადლისაგან და წარმოადგენს ქრისტეს მოცემულობასა და მოქმედებას ადამიანის სულში როგორც ადამიანისადმი ღმერთის სიყვარულის მოწმობას: „რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელ იგი მოცემულ არს ჩუენდა“ (რომაელთა 5,5). ამიტომ, ბრძანებს მოციქული, „განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს“. ე.ი., ნიჭთა სხვადასხვაობა მადლისაგანაა, მადლი კი იგივე (უცვლელი) სულია (კორინთელთა I2,4).

ნიჭი ენიჭება ცოცხალ არსებას. თვითონ მინიჭების საკითხი ძლიერ ღრმაა და მიუწვდომელი. შეუძლებელია განისაზღვროს როგორც დამოკიდებულება მიმნიჭებელსა და მინიჭებულთა შორის, ისე ის, თუ როგორ ხდება მინიჭება. ნათელია მხოლოდ ის, რომ არსების ესა თუ ის თვისება იმდენად გონივრულია, იმდენად სისხლხორცეულია ამ არსებისათვის და მაშასადამე მიზანშეწონილია, რომ მისი წყარო და დამგეგმავი შეიძლება იყოს მხოლოდ რაღაც უხილავი, ყოვლადძლიერი შემოქმედი ძალა.

მინიჭების ფენომენი მოიცავს და მსჭვალავს ყოველივეს, როგორც ცოცხალ, ისე არაცოცხალ ბუნებას. არსებობს ნიჭი, რომელიც შთამომავლობას გადაეცემა, და არსებობს ნიჭი, რომელიც მხოლოდ ინდივიდს ებოძება ამ ინდივიდის სხვებისაგან უკეთ გამოყოფისათვის. ხშირად მინიჭებით ეძლევათ ისეთი თვისებები, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვანაირად ვლინდება. მაგ., ქამელეონს ფერი ეცვლება იმ გარემოს მიხედვით, რომელთან შეხამებაცაა მისთვის საჭირო, რათა შეუმჩნეველი გახდეს; თრითინასაც, იმავე საჭიროებით, ფერი ეცვლება წელიწადის დროთა მიხედვით და ა.შ. საერთოდ კი მინიჭება მოიცავს არსების როგორც შინაგან, ისე გარეგან მხარეს. იგი ისეთი შინაგანი იმპულსია, თვისებაა,

რომელსაც ვერ აიცილებს ვერცერთი არსება, თუ მას თვითგანადგურება არ სურს. სწორედ მინიჭების (ისე როგორც ქმნადობის) ფაქტში ჩანს ყველაზე უკეთ როგორც შემოქმედი ღვთაების უსაზღვრო ძალა, ისე ადამიანის ადგილი და დანიშნულება ღვთის სხვა ქმნილებათა შორის: მინიჭება, რომელიც ყველაფერს მოიცავს იმორჩილებს, საოცრად არ ზღუდავს ადამიანის ნებისყოფას, მის თავისუფლებას: ნიჭი ადამიანს ებოძება არა როგორც გარდაუვალი ბედისწერა, არამედ როგორც თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა; ადამიანს შეუძლია მიიღოს საჩუქარი, შეინახოს, მოუაროს და განავითაროს იგი; და მას ასევე შეუძლია უარი თქვას ნიჭზე, ჩაკლას იგი თავის თავში და ამით დაკარგოს თავისი თავი, დაიღუპოს.

დაღუპვა, ცხადია, არ ნიშნავს აუცილებლად ფიზიკურ სიკვდილს. ადამიანი, რომელიც არ ისმენს ღვთის ხმას, რომელიც უარს ამბობს იმაზე, რაც მას მიენიჭა და მაშასადამე მისი ნიჭია, კლავს თავის თავში ღმერთის ხატსა და მსგავსს და აცოცხლებს იმ ბოროტს, რომელიც მისი არაღვთიური ბუნებიდან მომდინარეობს. ამით, იგი მოქმედებს მინიჭების საპირისპიროდ; ადამიანს ენიჭება არა ბოროტი, არამედ კეთილი. ეს კეთილი ნიჭი არ გულისხმობს აუცილებლად არსების ერთ რომელიმე თვისებას, თუმცა იგი უფრო ხშირად სწორედ ასეთია. მიუხედავად ამისა, ნიჭი და მინიჭებული მთელი არსების კუთვნილებაა, იგი მსჭვალავს მთელ არსებას და მთლიანად მის შინაარსში ექსოვება. ასევე ემართება იმას, ვინც უარს ამბობს კეთილ ნიჭზე და ირჩევს ბოროტს; ბოროტი თავის დაღს ასმევს ადამიანის მთელ არსებას, მას უსიამოვნო გამომეტყველებას აძლევს. ცოდვილი სული, ცოდვათა სიმრავლის კვალობაზე, თანდათან ბნელდება, მუწუკიანი ხდება; ხოლო კეთილი და მართალი სული, ის ვინც აუვარებს სიკეთესა და სიმართლეს, თანდათან სპეტაკდება,

ნათლება, შარავანდედით იმოსება. ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თითონ ადამიანს, პიროვნებას, და არა ბედისწერას ან ღმერთს: ბედისწერა ადამიანს ბრმა ძალების ბრმა იარაღად აქცევს; ღმერთი აძლევს ადამიანს ნიჭს, რომელიც მას მიემადლება და რომელზედაც მა უნდა უპასუხოს. ეს პასუხი კი ხდება რწმენაში. რწმენა და მადლი ერთად არიან, ისინი ურთმანეთოდ არ არსებობენ (რომაელთა 4,I6); ადამიანის ხსნა ხდება მადლით, რწმენის საფუძველზე: „რამეთუ მადლითა ხართ გამოხსნილ სარწმუნოებისა მიერ“ (ეფესელთა 2,8).

* * *

ამგვარად, ადამიანს ღვთისაგან მიმადლებული აქვს ყოველთვის საბოძვარი კეთილი, ნიჭი, რომელიც მან უნდა მიიღოს მადლობით და თავისუფლად – უნდა უპასუხოს ღვთის მოწოდებას. პასუხი კი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. აქ ვლინდება ადამიანის თავისუფლება: ღმერთს სურს, რომ ადამიანი თოკით სათრევი კი არ იყოს – ამ შემთხვევაში იგი არ იქნებოდა ხატი და მსგავსი – არამედ პირადი გადაწყვეტილებით მიდიოდეს თავისი თავისაკენ, ღმერთისაკენ.

შესანიშნავად ამბობს ამის შესახებ დანტე ალიგიერი:

„იქ ბინადარნი ყოველივეს მიაწერთ ცათა,
თითქოს ყველაფერს განაგებდეს ოქვენსა მიწაზე,
რაღაც კანონი გარდუვალი, წრეშეწერილი“.

(„ღვთაებრივი კომედია“. თარგმანი
კონსტანტინე გამსახურდიასი)

„წრეშეწერილ“, გარდაუვალ კანონში დანტე გულისხმობს ადამიანის

წინასწარგანსაზღვრულობას, მის „ცაში დაწერილ ბედს“, მაგრამო, ამბობს პოეტი, „ასე რომ იყვეს, ნებისყოფა აღგეკვეთოდათ,

არ იქნებოდა იენარული მართლმსაჯულება,
არცა განკითხვა კეთილისა და ბოროტისათვის“.

მართლაც, თუ იარსებებდა რაღაც გარდაუვალი „წერა“, მაშინ არ იქნებოდა კეთილისა და ბოროტის გარჩევა, ღვთაებრივი და ადამიანური სამართალი; ან კი რატომ უნდა დასჯილიყო ბოროტმოქმედი იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინა არა თვითონ, არამედ რაღაცის მიერ მისთვის დაწერილი და დადგენილი განრიგის მიხედვით? დავუშვათ ასეთი რამე ყოვლად კეთილი, უზენაესი არსების მიმართ, სრული უგუნურება იქნებოდა. პიროვნება უვალმა აღჭურვა ცოდვა-მადლის გარჩევის უნარით, რომელიც კაცთა ნათელია:

„ცა გაძლევთ ნათელს სიავკარგის გასარჩევლად,
და ნებისყოფას თავისუფალს და გამძლეობას,
ცასთან ჭიდილში უეჭველად იმარჯვებს კაცი,
თუ ამ ბრძოლაში მას კვებავდა განზრახვა ქველი“.

ცისგანვე (ე.ი. ღმერთისაგან) აქვს ადამიანს ჩანერგილი „გონება თქვენი, ზეცის მიმართ თავისუფალი“.

ადამიანის თავისუფალი ნებისყოფა, „ზეცის მიმართ თავისუფალი გონება“ და განზრახვის როგორობაა სწორედ იმის გამომწვევი, რაც ქვეყნად ხდება:

„და თუ ქვეყანა ახლანდელი წარხდენილია,—
ამის მიზეზი თქვენშივეა, იქვე ეძიეთ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედისწერის არსებობის რწმენას მრავალი მიზეზი უწყობს ხელს. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

1. ადამიანთა ცხოვრებაში ხდება ბევრი უცნაური და მოულოდნელი, თითქოსდა აუხსნელი რამ: უბედური შემთხვევა და სიკვდილი, გამდიდრება ან გაღატაკება, აღზევება ან დამდაბლება. ასეთი მოულოდნელი და „აუხსნელი“ მოვლენები ბევრს აიძულებს იფიქროს, რომ ყოველივე ეს მოხდა ბედით, იმიტომ რომ ეს ასე იყო ღვთისაგან განსაზღვრული. სინამდვილეში ასეთი „აუხსნელი“ მოვლენები იოლად აიხსნება ადამიანთა პირადი მოხერხებულობა-ეშმაკობით, შეცდომით, შემთხვევით, ავი სულების მეცადინეობით, ყოველივე იმით, რასაც არაფერი აქვს საერთო ღვთის ნებასთან და „წინასწარ დაწერასთან“. ძმის მკვლელ კაენს განა ღმერთმა დაუწერა წინასწარ ასეთი ცოდვა, რათა იგი შემდეგ დაესაჯა? დააბრალო ღმერთს ასეთი რამე, ეს ნიშნავს ბოროტად გამოიყენო ღვთისგანვე ნაბოძები ნიჭი – გონება და ცოდვა-მადლის გარჩევის უნარი.

2. სიზმრები, მათი ახდენა და მათი წარმოშობა-რაობის გაუგებრობა ადამიანს აიძულებს იფიქროს თავისი არსებობა-ყოფნის წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ. სინამდვილეში სიზმრის ახდენა ბედისწერის საწინააღმდეგოდ მეტყველებს და არა სასარგებლოდ. სიზმარი ხშირად წინასწარი გაფრთხილებაა (ვიღაცის მიერ) იმ მოსალოდნელი ხიფათის მიმართ, რომელიც მზადდება და რომელიც ჩასახულია სინამდვილეში. სიზმარში ეს სინამდვილეა ამოცნობილი თუ ნაგრძნობი, ვინაიდან ადამიანი სწორედ მისკენ მიყავს ცხოვრების დინებას, პირობებს. სიზმარში კეთილმა ძალებმა ჩვენ გაგვაფრთხილეს, რათა ვეცადოთ მოსალოდნელი უბედურების აცილებას. ეს შეგვიძლია გონივრული ქცევით (თუ შევძლებით ხიფათის მო-

მამზადებელი პირობების გამოცნობა), ანდა, განსაკუთრებით, ღმერთისადმი ლოცვა-ვედრებით უნდა მივენდოთ უფალს. მან ყოველი უწყის და იგი გვიხსნის. ჩვენ უნდა დავთრგუნოთ სიფიცხე, ამპარტავნება, რათა სულიწმიდის მადლმა აგვავსოს და აგვაცილოს ბოროტი „აუცილებლობა“.

3. ე.წ. წინაგრძნობა: ადამიანი წინასწარ გრძნობს მოსალოდნელ განსაცდელს. ეს წინაგრძნობა ხშირად მართლდება. აქედან გამოყავთ დასკვნა, რომ „ეს მას ასე ეწერა“. სინამდვილეში აქ საქმე ეხება არა „ბედისწერას“, არამედ ადამიანის საკუთარ გამოცდილებას, გონებას, მიხვედრას, იმ სიტუაციის სირთულის ცოდნას, რომელშიაც იგი აღმოჩნდება. გარდა ამისა, ისიც ცნობილია, რომ წინაგრძნობა ხშირად არ მართლდება. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ არც მისი „მოწმობაა“ გამოსადეგი ბედის არსებობა-არარსებობის დასამტკიცებლად.

4. რწმენა იმისა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, იგი განსაზღვრავს ყველას და ყოველს. ხშირად გაიგონებთ ხალხში „უღმერთოდ ერთი ჩალაც კი არ გაინძრევაო“. ეს გამოთქმა მართლაც სწორია: უღმერთოდ ჩალა მართლაც არ გაინძრევა, რადგან ღმერთია ყველაფრის პირველშემქმნელი. ისე კი, მოცემულ მომენტში, ჩალის შერხევა ყველას შეუძლია, როგორც ადამიანს, ისე ცხოველს თუ ქარს და აქ ღმერთის ჩარევა არაფერი საჭიროა.

საერთოდ კი საკმაოდ უცნაური მოვლენაა, როცა მორწმუნე ამტკიცებს ღმერთისაგან ადამიანის ცხოვრების, ბედის, წინასწარგანსაზღვრულობას და ამავე დროს გულმხურვალედ ევედრება იმავე ღმერთს, რომ მან იგი ბოროტისაგან, განსაცდელისაგან იხსნას. როგორ შეიძლება განსაცდელისაგან იხსნა იგი, ვისაც წინასწარ ჰქონდა დაწერილი განსაცდელი?

დროა ადამიანმა შეიგნოს, რომ მის ბედს არავინ წინასწარ არ გეგმავს. მან თვითონ უნდა იმოქმედოს და უფალს შემწედ მოუხმოს; მას

არაფერი არ აწერია შუბლის ძვალზე და არც შეიძლება ეწეროს. მორწმუნე ადამიანი ბედს კი არაა მინდობილი, პასიურად კი არ ელოდება და ამბობს – მოსახდენი დაე მოხდეს – არამედ იბრძვის და შრომობს ყოველგვარი მანკიერებისა და უსამართლობის წინააღმდეგ; მას სჯერა თავისი რწმენისა და არჩეული მიზნის, და მცნებებით შთაგონებული შემწედ მოუხმობს ყოველ წმიდა ძალას, სამყაროს შემოქმედს.

• • •

შევაჯამოთ: ბედისწერის ცნებას ქრისტიანობამ დაუპირისპირა ღვთაებრივი განგების– მადლისა და ნიჭის იდეა, რითაც პირველად გახდა შესაძლებელი ადამიანისათვის საკუთარი ადგილის გაცნობიერება ღვთის შენაქმნთა შორის: ადამიანობა ნიშნავს ღვთის ხატად და მსგავსად ყოფნას, რაც მიიღწევა არა თავისთავად, არამედ მცნებების საფუძველზე საკუთარი თავის შექმნით. ასეთი თვითშექმნა შეუძლია მხოლოდ თავისუფალ, თავის თავზე პასუხისმგებელ არსებას, რომელიც ამით ამტკიცებს, რომ მას გააჩნია არა მარტო არსებობა, არამედ ღირსებაც. ადამიანს, მაშასადამე, მინიჭებული აქვს ყველა უნარი, რომელთა გამოყენებითაც მას ადამიანად გახდომა შეუძლია, და ამავე დროს, როგორც ღვთიური სიკეთისა და მადლის უეჭველი საბუთი, მცნებები, რომლებიც მას საკუთარი სისუსტისა და ცოდვების დაძლევაში დაეხმარება და ღმერთისაკენ მიმავალ გზებს გაუნათებს.

მოვიგონოთ საუფლო ლოცვა:

„მეუფეო ზეცათაო ნუგეშინის მცემელო,
რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ
მადლითა შენითა,

საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო"....

სწორედ ცხოვრების (და რაც ცხოვრებისთვისაა საჭირო) მინიჭება ხდება სულისაგან ჭეშმარიტისა, ყველგან სწვდება მისი მადლი – „ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა" – და ამ მადლით ებოძება ყველაფერს ღვთიური ნიჭი. ქრისტემ თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და „საფლავებში შინათა" – ცხოვრება მიანიჭა საფლავებს შინა მყოფთ არა იმიტომ რომ „ბედი დაეწერა" ადამიანებისათვის და ისინი უნებისყოფო, უპასუხისმგებლო არსებებად ექცია, არამედ იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია".

ნუ გჯერავთ რომ თქვენი ყოველი ნაბიჯი წინასწარაა განსაზღვრული ზეცისაგან, ნუ გადააბრალებთ თქვენს ცოდვებსა და შეცდომებს ნურც ბედს, ნურც უფალს, არამედ ითხოვეთ, რომ უფალმა ოდესმე თავისი წყალობის ღირსი გაგხადოთ. ითხოვეთ ზომიერად; თქვენ მას მიიღებთ. „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ,ირეკდით და განგეღოთ".

კონსტანტინე, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი,

ურბნელი მიტროპოლიტი

## „საქართველოს სამოთხე“

100 წლის წინათ, პეტერბურგში, ქართულ ენაზე დაისტამბა მ.საბინინის მეტად საინტერესო და ორიგინალური წიგნი, – „სრული აღწერაი ღუაწლთა ვნებათა საქართველოს წმიდათა „საქართველოს სამოთხე“. მანამდე ასეთი შინაარსის „ვრცელი და შეკაზმული მშვენიერითა მხატვრობებითა“ წიგნი არ არსებობდა.

„რაც ამ წიგნსა შინა არს დაბეჭდილი – გვამცნობს ავტორი, – სხუა და სხუა ხელნაწერებსა შინა იპოებიან ცალკცალკედ, არამედ მე ქრონოლოგიურად შევკრიბე პეტერბურღის საიმპერატოროთა სამეცნიერო აკადემიის და საზოგადო საწიგნობელთა ხელნაწერთაგან, რომელსა შინა არიან შეკრებილნი მრავალნი მშუენიერნი და ფრიად ძვირფასნი შესანიშნავნი ხელნაწერნი წიგნნი, დარჩომილნი ბატონის შვილთაგან, – რომელნიმე მათგანი მერვე, მეცხრე, მეათე და ჩამომავალთა საუკუნეთა არიან, აგ ეთვე პარიჟის სამეფო საწიგნობლისაგან – მოსკოვის დავით ბატონის შვილის და რუმიანცევის საწიგნობელთა ხელნაწერთა წიგნთაგან, რომელთაგან აღმოვიღე და შეუცვლელად დავბეჭდე“. ამავე სიძველეთ საცავებში და საქართველოს ეკლესია მონასტრებში, სხვა ხელნაწერებთან ერთად, ფრიად განსწავლულმა ავტორმა მიაკვლია „კათალიკოზისა იყალთოელისა, კათალიკოზისა ვასილისა, ბესარიონისა, ანტონ პირველისა და სხუათა ხელნაწერებს“.

ვისაც წარმოდგენა აქვს, თუ რა სიძნელეებთან და შრომატევად საქმიანობასთანაა დაკავშირებული ხელნაწერთა წაკითხვა, ტექსტის დადგენა და მისი გამოსაცემად მომზადება, ან ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, მისთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გრანდიოზული მუშაობა გაუწევია ამ შესანიშნავ მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს. რამდენი

დრო, ენერგია (და სახსრებიც) დაუხარჯავს ამ კაპიტალური ნაშრომის შექმნისა და მისი დაბეჭდვისათვის (მარტო შვიდ წელზე მეტი დასჭირდა „ამ წიგნის შეკრებასა შინა".) რამდენი დაბრკოლება და სიძნელე გადალახა ამ სქელტანიანი (639 გვერდი) წიგნის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდვისათვის; რამდენი შრომა და ნერვიულობა – ილუსტრაციების მომზადებისათვის; რამდენი წინასწარგანზრახვითი ხელისშემშლელი და უსიამოვნო წუთები „სიტყვითა ძლიერითა და მოქმედებითა მცირეთა" ვაიპატრიოტებისაგან, რომლებმაც აუმხედრეს როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო მთავრობა. „დიდი ჭირი და იწროება ვნახე მე ამ წიგნის შედგენასა შინა და უმეტეს დაბეჭდვასა შინა, – შემოგვჩივის ეს შესანიშნავი რუსი ქართველოლოგი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ქართული კულტურის დაცვისა და მისი პროპაგანდის საქმეს.

მ.საბინინის წიგნით, რომელშიც დაიბეჭდა სხვადასხვა ადგილზე არსებული „მიწერ-მოწერილი" ხელნაწერები, იმდროინდელი მეცნიერული სამყაროსა და თვით ქართველი საზოგადოებრიობისათვის, კიდევ ერთხელ ნათელი გახდა საქართველოს დიდებული წარსულის შემოქმედთა „ცნებანი" და „საქმენი-საკვირველნი".

„ეს წიგნი იმ ხალხის სურათებს და აღწერას შეიცავს, რომელნიც თავიანთი სიტყვით ამხნევებენ საქართველოს, და მაგალითით – ერთ მუჭა ხალხს უძლეველად, შეუდრეკლად და დასავლეთის განათლების მოწინავე მებრძოლად და დამცველად ხდიდა", – აღნიშნავდა იმდროინდელი ქართული პრესა.

მ.საბინინის ნაშრომში დაბეჭდილია ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის 50 ძეგლი: მოთხრობანი გიორგი კაბადოკიელზე, წმინდა ნინოზე, რაჟდენისა და შუშანიკის მარტვილობანი; „ცხოვრებანი" იოანე ზედაზნელისა და იასე წილკნელისა; წამება მღვდელ-მოწამისა აბიბოს -

ნეკრესელისა; ცხოვრებანი იოსებ (აბბა) ალავერდელისა, შიო დიდისა და დავით გარეჯელისა; ხსენება მამათა დოდო და ლუკიანე გარეჯელთა; ცხოვრება და პარაკლისი ანტონ მარტყოფელისა; მოკლე მოთხრობანი მოწავეთა იოანე ზედაზნელისათა: სტეფანე ხირსელისა, ზენონ იყალთოელისა, თადეოს სტეფანწმინდელისა, ისიდორე სამთავნელისა, პიროს ბრეთელისა და მიხაელ ულუმბელისა; ცხოვრება და წამება (ცალ-ცალკე) ნეოფიტე ურბნელისა, ევსტათი მცხეთელისა, დავით და კონსტანტინე არგვეთის მთავართა, მეფისა არჩილისა, აბოსი, ისააკ და იოსებისა, კონსტანტინე მთავრისა, მამა ილარიონ ქართველისა, გობრონ მიხაილისა და მოყუასთა მისთა; ცხოვრება იოანესი, ექვთიმესი და სხვათა წმ. მამათა მთაწმიდელთა; პასუხისგება ექვთიმე მთაწმიდელისა; ცხოვრება და წამება გიორგი მთაწმიდელისა, წამებაი შალვა ახალციხელისა, ათთა ბევრთა (100.000) მოწამეთა ტფილისს შინა, მოწამეთა ქვაბთა ხევისასა, გარეჯელთა, ლუარსაბ მეფისა, ქეთევან დედოფლისა, ბიძინა, შალვა და ელიზბარისა, შიო ახლისა და ხუთთა მონაზონთა გარეჯელთა და სხვ.

დავით აღმაშენებლის შესახებ დაბეჭდილი სამი ძეგლი: ცხოვრება დიდებულისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, ანდერძი და გალობა სინანულისა და ძეგლის წერა კრებისა, რომელიც იქმნა ბრძანებითა დავით აღმაშენებლისათა.

როგორც ვხედავთ, წიგნში გადმოცემულია თავდადებულთა ისტორია საქართველოში. ამიტომ, მიხეილ საბინინი უნდა ჩაითვალოს წერილობით ძეგლებზე დამყარებული ქართული ეკლესიის ისტორიის პირველ შემდგენელ-ავტორად. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ მან იგივე ხელნაწერები მანამდე რუსულ ენაზე გამოსცა სამ ტომად, მაშინ გადაჭარბებულიც არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღევანდლამდე, – ამ წიგნის გამოცემიდან ერთი საუკუნის განმავლობაში – მიუხედავად მრავალთა ცდისა, ქართულ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენაზე მსგავსი რამ არ დაწერილა ასე ვრცლად, სრულფასოვნად და მხატვრულად.

საბინინი, როგორც თვითონ მიუთითებს, სხვა მიზანსაც ისახავდა, ამ ძეგლების დაბეჭდვით მოსალოდნელი დაღუპვისაგან გადარჩებოდა ხელნაწერები, – „თუ ვითარმედ იქნება წიგნსა ამას წინა შთაწერილნი, ამისთვის არღარა შესაძლებელ არს დაკარგულად მშვენიერითა და გონებას ზესთა აღუმყუანელთა მოთხრობათა“.

მ.საბინინს, რომელმაც ისე შეიყვარა საქართველო რომ თავს ქართველად სთვლიდა, სწამდა, რომ ამ წიგნით ქართველი ხალხისათვის, მისი ენისათვის დიდებულ საქმეს აკეთებდა, – „რათა არა წაირყუნას წმ. ენა ჩუენი... რათა არა დაგვკარგვოდა საქართველოთა წმიდათა ცხოვრება. მჭვრეტელი ვინაიდგან მრავალნი არიან ჩუენთაგანნი და უცხოთესლნი, რომელთა ჰნებავთ ჩუენის მშუენიერისა და ღუთივ საყუარელისა ენისა მოსპობა“.

მეცნიერთაგან ამ ნაშრომს პირველი გამოეხმაურა და მაღალი შეფასება მისცა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, აკადემიკოსმა დ.ჩუბინაშვილმა. (გაზ. „შრომა“, 1882 წ. №47).

– „სახალხო განძი“, „ჩვენი ლიტერატურის სიმდიდე“, „ძვირფასი საუნჯე ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში“; „მაჩვენებელი იმ ზნეობითი ძალისა, რომელიც შეადგენს თავკუთხედს ქართველთა მეფეთა, მეომართა და ერის ცხოვრებისა. ამ წიგნიდან შეიტყობა ის მიზეზი, რომელმაც დაიცვა საქართველო 15 საუკუნის განმავლობაში უძლიერესი აზიის მტერთაგან“; „ამგვარი წიგნი ისე საჭიროა ჩვენთვის... როგორც ექიმისათვის კარგი კარაბადინი“; „ეს წიგნი დიდი საგანძური შეიქმნება ჩვენი საერთო და სამოქალაქო ისტორიისათვის“; „ვისაც ეს წიგნი არა აქვს წაკითხული, ის ნუ იფიქრებს, რომ საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს ისტორია მაქვს შესწავლილიო", – ასეთი შეფასებები მიეცა საბინინის წიგნს იმდროინდელმა საზოგადოებრიობამ.

მ.საბინინის წიგნი წარმოადგენს უძვირფასეს ისტორიულ მატიანეს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის საქართველოს კულტურის ისტორიით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი. ამ ნაშრომის ღირსება, როგორც აღინიშნა, ისიცაა, რომ მასში დაბეჭდილი ხელნაწერები მოტანილია შეუცვლელად.

„ამოდენა წიგნის გამოცემაზე, – ვკითხულობთ 1882 წლის №246 „დროებაში", – მ.საბინინს ისრეთი ბეჯითი მეცადინეობა გაუწევია, რომ ის სრულიად უნაკლოდ არის დასტამბული. სხვა არა იყოს რა, მარტო მისი გარეგანი შეხედულების ხილვა მეტისმეტად სასიამოვნოა. ჭეშმარიტად, რომ ის დიდს ძვირფასს საუნჯეს შეადგენს ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში".

წიგნის ერთ-ერთი ღირსება, მიუხედავად ყველა ზემოთქმულისა, იმაშიცაა, რომ მასში შესულია ზოგიერთი ისეთი ისტორიული ცნობა, რომელიც არ გვხვდება თვით „ქართლის ცხოვრებაში" (წიგნების მთარგმნელებზე, ევსტატი ეპისკოპოსის მოსვლაზე ანტიოქიიდან საქართველოში წმ. ნინოს თხოვნით; ქიზიყის დედოფალ სუჯიზე, რომელიც წმ. ნინომ გამოგზავნა ქიზიყიდან მირიან მეფესთან მცხეთაში მისალოცად, კახეთი გაქრისტიანდაო; რუისის ეკლესიაზე, რომ აქაური ეპისკოპოზი და მთელი ეპარქია თამარის დედის ბურდუხანის მზრუნველობაში იყო; ათონის ქართველთა მონასტრის მშენებლობაზე და აქაური ბერების მეგობრულ კავშირზე რომის ბერებთან; გიორგი მთაწმინდელის საუბარზე ანტიოქიის პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით)..

როგორც წინა ვთქვით, მ.საბინინის უდიდეს ღვაწლად უნდა ჩაითვალოს, მის მიერ 1871–1873 წლებში პეტროგრადში სამ ენაზე გამოცემული

საქართველოს ეკლესიის წმინდანთა სრული აღწერილობაც – „პოლნოე ჟიზნეოპისანიე სვიატიხ გრუზინსკოი ცერკვი“. იგი დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დადგენილებით. რუსული თარგმანი ეკუთვნის მ.საბინინს. შემდგომში აღნიშნული კრებულიდან მასალები ითარგმნა გერმანულ, ლათინურ, ინგლისურ და სომხურ ენებზე.

ყურადღებას იმსახურებს სხვა ნაშრომიც. – „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნის ბოლომდე“ (ეს მისი საკანდიდატო დისერტაცია ). აღსანიშნავია აგრეთვე 1892 წელს ლაიფციგში გამოცემული მისი ქრომოლითოგრაფიული სურათები „საქართველოს ეკლესიის დიდება“, (მის მიერ დამზადებული სურათების კლიშეებზე დამატ., იხ. საქართველოს სსრ საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №481, აღწ. I, საქ. №600). მ.საბინინს გამოსაცემად მზად ჰქონია და ცენზორისაგან ნებადართული ყოფილა ანტონ კათალიკოსის „მზა მეტყველება“ ... მას კიდევ ბევრი რამ ჰქონია ჩანაფიქრი, მაგრამ განუხორციელებელი დარჩა. იგი მოულოდნელად, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 54 წლის ასაკში.

მიხეილ (ივერიელი გობრონ) პავლეს ძე საბინინი დაიბადა 1846 წელს. მამამისი იყო ტვერის ეპარქიის მღვდელი, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში (ცოლად შეირთო ქართველი ქალი) და აქვე დასახლდა.

მშობლებმა მიხეილი მიაბარეს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიისადმი. საქართველოში მოღვაწეობის მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად, აღსანიშნავია მისი დიდი წვლილი ბოდბეს წმ. ნინოს მონასტრის აღდგენის საქმეში (გაზ. „კვალი“, №20, გვ. 300) და სხვ.

ქართველების დიდი მეგობარი მ.საბინინი, როგორც გაზეთები გვაუწყებენ, გარდაიცვალა მოსკოვში 1900 წლის 10 მაისს. მისი უკანას-

კნელი სიტყვა ყოფილა „დამასაფლავეთ საქართველოშიო“, მაგრამ მემკვიდრეებმა ეს უკანასკნელი სურვილი ვერ შეუსრულეს. აი, რას წერს მისი საფლავის შესახებ ერთ-ერთი კორესპონდენტი 1904 წლის №245 „ივერიაში“: „საბინინის უპატრონოდ და ობლად დარჩენილი საფლავი ვნახე და ტირილი მომივიდა. ერთი უბრალო ხის ჯვარი ადგიაო..“

ვახტანგ გურგენიძე

# ე ვ ქ ა რ ი ს ტ ი ი ს   ს ა ი დ უ მ ლ ო*

## კრავი (ტარიგი)

„და ვიხილე, და აჰა კრავი იგი მდგომარე მთასა ზედა სიონსა"

(გამოცხ. I4,I)

ადამიანის ღმერთთან ურთიერთობას ორი გრძნობა უძევს საფუძვლად. პირველი დაუსაბამოსთან, ღვთაებასთან კავშირის, მასთან სიახლოვის, ნათესაურობის შინაგანი ერთობის გრძნობაა. მეორე პირველის საპირისპიროს წარმოადგენს. ეს არის ღმერთისგან უსასრულო სიშორის, ღმერთსა და ადამიანს შორის უსასრულო უფსკრულის არსებობის განცდა, გრძნობა ადამიანის სიმცირისა და ღმერთის მიმართ პასუხისმგებლობისა. ადამიანს მუდამ თან დასდევს ცოდვიანობისა და დანაშაულის განცდა. იგი თვალნათლივ ხედავს გადაულახავი ზღუდის არსებობას თვისსა და ღმერთს შორის. ამ ზღუდის გადალახვის სურვილმა შექმნა მრავალგვარი ლოცვა, მარხვა, მანვე წარმოშვა ასკეტური გმირობანი, მსხვერპლშეწირვის სურვილი, რაც ყოველგვარი ღვთისმსახურების ძირთაძირია. როდესაც ღამით ადამიანი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქერის, ამ ვარსკვლავების მიღმა გრძნობს მ ი ს არსებობას, ვინც უსაზღვროდ უხვი და, ამავ დროს, მრისხანე და შეუბრალებელია,* რომელიც ადამიანისაგან მოითხოვს რაღაც იმგვარსავე უდიადესს, როგორც თვით არის, ელის ისეთ ძღვენს,

---

* დაბეჭდილია: „ЖМП", 1972, №3, გვ. 64-73.

მეტის გაცემა რომ აღარ ხელგეწიფება, ძალზე ძვირფასს ადამისშვილთათვის. ამავე დროს ადამიანს უჩნდება სურვილი, რომ მიუძღვნას მ ა ს სწორედ ძალზე ძვირფასი რამ, უსაყვარლესი, სისხლხორცეულად ახლობელი. უზენაესისადმი სწორედ ამგვარი მიმართება ბადებს გამოსყიდვის, განწმენდისა და სამადლობელ მსხვერპლშეწირვებს.

მსხვერპლშეწირვა ყველა რელიგიაშია ცნობილი. სწირავენ ყველაზე უხეში და ყველაზე ნატიფი სჯულის აღმსარებელნი. იგი არსებობდა პირველყოფილ რელიგიებში - ველურთა კულტებში, მას მისდევდნენ მაღალგანვითარებული რომაელები და ბერძნები, იგი ცნობილია თვით ღვთივრჩეული ისრაელისა და ქრისტიანული სამყაროსთვისაც.

საღმრთო წერილი გვამცნობს, რომ მსხვერპლშეწირვა კაცობრიობის დასაბამშივე გაჩენილა. ძველი აღთქმის პირველივე გვერდები გვიამბობენ აბელის მსხვერპლის შესახებ. ნოემაც აუგო ღმერთს სამსხვერპლო და ამის შემდგომ მსხვერპლშეწირვა სანარადჟამოდ დაკანონდა, ცხოვრებისეულ წესად იქცა. მოსეს კანონები უკვე ზუსტად განაცალკევებენ მსხვერპლშეწირვის სახეებს: ყოვლადდასაწველს, ცოდვის აღსახოცს, მშვიდობისმყოფელს უსისხლოს.

ძველი აღთქმისეულ მსხვერპლშეწირვათა შორის განსაკუთრებული ადგილი საპასექო კრავს ეკუთვნის. იგი პასექის ღამეს დაკლეს იუდეველებმა ეგვიპტელთა მონობიდან თავის გამოხსნის ნიშნად და განსაკუთრებული წესების დაცვით შეჭამეს. ამავე დროს, ეს მსხვერპლი იყო ახალი აღთქმის-მომავალი დიდების მაცნე.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ აღასრულა საპასექო სერობა, მხოლოდ ერთხელ შეწირა მსხვერპლი. ჩვენ გვახსოვს ის მსხვერპლშეწირვა, რომელიც მარიამმა სჯულის კანონის თანახმად აღასრულა (ლკ.2.27), მაგრამ ეს მარიამისე-

უღი მსხვერპლი იყო. თუკი იესო ქრისტე თავის მოღვაწეობის დაწყებამდე პასექის ჟამს იერუსალიმში იმყოფებოდა, ვინმეს სუფრაზე იგი იქნებოდა როგორც სტუმარი და არა კრებულების თავი (კრებული არანაკლებ ათი კაცისაგან უნდა შედგარიყო). მაშასადამე, იგი იმხანად საპასექო კრავსაც ვერ შესწირავდა. მისი ამქვეყნიური მისიის დაწყების შემდგომი სამი პასექიდან პირველის დროს თორმეტი მოციქული ჯერაც არ იყო თავმოყრილი, ამიტომ მაცხოვარი კრებულის თავად ვერ ჩაითვლებოდა; მეორე პასექისას იგი იერუსალიმში არ იყო: გალილეის განაპირას, ტირისა და სიდონის საზღვარზე იმყოფებოდა, სადაც მსხვერპლის შეწირვა არ შეიძლება" (Е д е р ш е и м , Жизнь и время Иисуса Месии).

ამგვარად, მაცხოვარმა მხოლოდ საიდუმლო სერობისას შესწირა მსხვერპლი. ეს იყო მისი უკანასკნელი ამქვეყნიური პასექი, რომლის შესახებაც თავის მოწაფეებს უთხრა: „გულის-სიტყვით გული-მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა" (ლკ. 22,15). მან თვითონ აკურთხა საპასექო თასი ღვინისა და სამადლობელი წარმოთქვა, თვითონ დაანაწილა ხმიადი, რომელიც კრავის ხორცთან და მწარე ბალახეულთან ერთად მიაწოდა მოწაფეებს; თვითონ იმღერა II2-II7 ფსალმუნნი, წარმოთქვა ის სიტყვები, რომელთაც ჩვენ, ქრისტიანები, ყოველ დილით ვიმეორებთ: ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა. აუვარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი. ყოველი თესლები გარე-მომადგეს და მომიცვეს მე, და სახელითა უფლისაჲთა ვერეოდე მათ, არა მოვკუდე, არამედ ვცხონდე და განვსთქუნე მე საქმენი უფლისანი. ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე, და არს საკვირველ წინაშე თვალთა ჩვენთა.

თავად მაცხოვარი იყო ის ლოდი თავსაკიდური, რომელიც უარყვეს

მაშენებელთა.

ეს იყო მაცხოვრის მიერ აღსრულებული პირველი და უკანასკნელი მსხვერპლშეწირვა; ამასთანავე, უკანასკნელი არა მხოლოდ საკუთრივ მისთვის, არამედ მთელი „ახალი ისრაელისათვის". იმიერიდან ყოველწლიური საპასექო მსხვერპლის, კრავის ნაცვლად მსოფლიოს ისტორიაში ახალი მსხვერპლი, ზვარაკად ახალი კრავი უნდა შეწირულიყო. თვით მაცხოვარი იყო ეს კრავი. იმ ღამეს იგი მსხვერპლად ემზადებოდა. გარდასულ დღეთა სისხლიანი შესაწირავები ვერ ამოავსებდნენ უფსკრულს ღმერთსა და ადამიანს შორის, ვერ შეარიგებდნენ ადამიანს ღმერთთან. შემრიგებელ მსხვერპლად მხოლოდ ძე კაცისა და, ამასთანავე, ძე ღვთისას, მხოლოდშობილის, წმინდისა და უცოდველის ნებაყოფლობითი სიკვდილი გამოდგებოდა. იგი სამყაროს შექმნამდე იყო გამზადებული ამგვარ მსხვერპლად. სწორედ ამიტომ უწოდებს მას მოციქული სამყაროს დასაბამითგანვე დაკლულ კრავს (გამოცხ. I3.8). სწორედ იგი ეუბნება მამას თავის შესახებ მეფსალმუნის მიერ გადმოცემულ სიტყვებს: „შესაწირავი და მსხვერპლი არა გინდა, ხოლო ხორცნი დამამტკიცენ მე; საკუერთხები და ცოდვისათვის არა ითხოვე. მაშინ ვთქუ: ესერა მოვალ; თავსა წიგნთასა წერილ არს ჩემთვის. ყოფად ნებისა შენისა, ღმერთო ჩემო, ვინებე და შჯული შენი შუა მუცელსა ჩემსა" (ფს. 39, 7-9); სწორედ მის შესახებ ამბობს წინამორბედი: „აჰა, ქრისტე, ტარიგი იგი ღმრთისაჲ" (იოანე I,36).

მოციქული შესცქერის ჯვარცმულს და წარმოთქვამს სიტყვებს, რომლებიც ძველი აღთქმის კრავზე იყო ნათქვამი: „ძვალი მისი არა შეიმუსროს" (იოანე I9,36). იგივე წმინდა მოციქული თავის იდუმალ ხილვებში ტახტზე დაბრძანებულს ხედავდა მას, რომელსაც თაყვანს სცემდნენ რჩეულნი და ზეციური ძალნი, მღეროდნენ კრავის საგალობელს; მის დიდ და საოცარ საქმეებს განადიდებდნენ.

საპასექო მსხვერპლშეწირვა სამუდამოდ გაუქმდა ამ მარადიული, ღვთაებრივი კრავის ერთიანი შეწირვით. ეს გამომხსნელი მსხვერპლი ერთხელ იქნა გაღებული, მაგრამ იმ დღიდან იგი განუწყვეტლივ უნდა გამოიკვეთოს, კვლავ განმეორდეს თავისი ღვთაებრივი არსით: ახალმა ისრაელმა იგი ხელახლა უნდა განიცადოს, რადგან ახალი აღთქმა სწორედ მსხვერპლის სისხლშია განხატებული. თავისთავის მსხვერპლშეწირვით მაცხოვარმა გააუქმა ძველი აღთქმისეული მსხვერპლშეწირვა: ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ ღამეს მან ახალი აღთქმის პასექი, ახალი აღთქმის მსხვერპლი-ღვთაებრივი ევქარისტია დაარსა, თავის მოწაფეებს მიმადლა და ამცნო: „ამას ყოფდით მოსახსენებელად ჩემდა“ (ლკ.22, 19). წმინდა იოანე ოქროპირი წერს, რომ ჩვენ პასექს ვდღესასწაულობთ არა წელიწადში, ანდა კვირაში ერთხელ, არამედ მუდმივად, ყოველი შეკრებისას, ყოველი ლიტურგიისას.

ლიტურგია ახალი აღთქმის პასექია. ეს არის მარადი, ღვთაებრივი კრავის მსხვერპლშეწირვა. ამიტომაც გასაგებია, რომ ეს ღვთისმსახურება კრავის, როგორც მარადიული მსხვერპლის,* ცოცხალი ხატის შექმნით იწყება.

გასაგებია ისიც, თუ ღვთის ტაძარში შესული მღვდელი რაოდენი შინაგანი თრთოლვითა და განცდით ღვთისმოშიშებით აღვსილი უნდა იყრიდეს მუხლს გოლგოთის საიდუმლოს წინაშე – კაცობრიობის გამომხსნელი საიდუმლოს შესრულებისას და რაოდენ შინაგანი შიშით აღვსილი უნდა მიჰყვებოდნენ ამ მსახურებას მორწმუნენი.

ძველი ლიტურგიკული წიგნების თანახმად, საღმრთო ლიტურგიის შესასრულებლად სახლიდან გამოსულმა მღვდელმა საგანგებო ლოცვები უნდა

---

* ქართული ტრადიციით: ტარიგის (მთარგმ.)

წარმოთქვას. ამგვარი სამზადისის შემდეგ, რაც ე.წ.შემთხვევა (შემზადებელი) ლოცვების წარმოთქმით გამოიხატება, ღმერთშემოსილი მღვდელი ტაძარში შედის. ამ დროს იგი სასოებით წარმოთქვამს ლოცვებსა და ასამაღლებლებს. არაფერმა არ უნდა დაარღვიოს მისი სულის მყუდროება, არავითარმა მიწიერმა საზრუნავმა არ უნდა წარიტაცოს მისი გონება ამაღლებული ფიქრებისაგან, ყველაზე დიადს, შიშისმომგვრელს, გამოუთქმელს რომ განეკუთვნებიან. იგი ვერ ბედავს საკურთხეველში შესვლას, წმინდა ბჭეების წინაშე ჩერდება და ლოცულობს, ინანიებს ცოდვებს, გრძნობს თავის უძლურებას, შემწეობასა და მადლის მოფენას თხოულობს, ტაძარში მყოფთ კი მიტევებას და ღვთისმსახურებისას თანადგომას ევედრება.

საკურთხეველში იგი უნდა შეიმოსოს. სამოსელი კი ყოველგვარი მიწიერისაგან განდგომის, განახლების, განათლებისა და მადლიერების ნიშანია და ამიტომაა იგი აუცილებელი წმინდა სამსხვერპლოსა და საყდრის წინაშე წარდგენისას.

ამის შემდგომ, როგორც ძველი, ისე ახალი წესების თანახმად, მღვდელი წმ.სამსხვერპლოს მიეახლება და მოკლე ლოცვით გვამცნობს მომავალი საიდუმლო მსახურების არსს: „მომიყიდენ ჩვენ წყევისა მისგან სჯულისა პატიოსანითა სისხლითა შენითა, ჯვარსა ზედა რა დაემსჭვალე, და ლახვრითა განიგმირე, და უკვდავება აღმოუცენე კაცთა, მაცხოვარო ჩუენო დიდება შენდა“. შემდეგ იგი ღვთისმსახურების იმ ნაწილის შესრულებას იწყებს, რომელსაც კვეთას უწოდებენ. ძველად კვეთაზე მორწმუნეებს მიჰქონდათ ყველაფერი, რაც ღვთისმსახურებისათვის იყო საჭირო. ეს წესი ნაწილობრივ დღესაც არის შენარჩუნებული.

დღესდღეობით ღვთისმსახურება შემდეგი სიტყვების წარმოთქმით იწყება: „ლიდ არს უფალი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“. შემდეგ მღვდელი საგანგებოდ გამზადებულ სეფისკვერს იღებს. ეს სეფისკვე-

რი ღვთაებრივი კრავის სახეა. მღვდელი სამგზის პჟენს მას ნათელს ჯვ-რის გარდასახვით, თან შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: „მოსახსენებ-ლად უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესსა“. შემდეგ სეფისკვერიდან „ტარიგს“ ამოკვეთავს, წმინდა ფეშხუმზე ათავსებს და ძველი წინასწარმეტყველების სიტყვებს წარმოთქვამს: „ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა...“; „და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა...“ „სიმდაბლითა თჳისითა სასჯელი მისი მიელო“, „ხოლო ნესლტომი მისი ვინ-მე მიუთხრას“, „რამეთუ აღებულ არს ქვეყანით ცხოვრება მისი...“ (ესა-ია, 53, 7-8).* შემდგომ ამისა ეკლესიის მამათა ნაანდერძევ სიტყვებს ამბობს: „დაიკლვის ტარიგი ღვთისა აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა ცხო-ვრებისათვის სოფლისა და ცხოვრებად“,** რასაც წმინდა სახარების სიტ-ყვებს ამატებს: „ერთმან ერისაგანმან ლახვრითა უგუმირა გვერდსა მის. და მეყსეულად გარდამოხდა სისხლი და წყალი, და რომელმან იხილა, წამა და ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი“ (იოანე I9,34-35).

ამ სიტყვებით, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებს განეკუთვნებიან, საიდუმლო ნიშნებითა და წმიდა მოქმედებით მღვდელი საკუთარი თავის, ტაძრისა და ორთოლვით ქედმოხრილი უგვამო ძალების წინაშე კრავის აპო-კალიფსურ სურათს ხატავს, ჯერ კიდევ ქვეყნის შესაქმემდე რომ იყო მს-ხვერპლად შეწირული, ჯვარცმით ამაღლებული და ტახტზე დაბრძანებული. ამასთან ღვთაებრივი კრავი მარტო არ არის. იგი გარემოცულია რჩეულე-ბით, რომელნიც ყველგან თან ახლდნენ მას. მარტო არც ფეშხუმზე მოთავ-სებული ტარიგი რჩება. მღვდელი სხვა სეფისკვერებიდანაც იღებს ნაწი-ლებს და ფეშხუმზე, მის მახლობლად, ათავსებს იმათ აღსანიშნავად,

---

* თვითეულ კვეთაზე თითოჯერ წარმოთქვამს (მთარგმნ.)

** ამ დროს ჯვარედინად სერავს ტარიგს (მთარგმნ.)

ვისთვისაც დათხია სისხლი  მ ა ნ  და ვინც  ამ გზით გამოისყიდა. ნარჯვნივ ღვთისმშობელი იმყოფება, ჯვარცმულ კრავს რომ თანაუგრძნობს, მარცხნივ, ზუსტად ისე, როგორც ძველ ხატებზე, „დეისუსის“ (ლოცვის) სახელწოდებას რომ ატარებენ – წმინდა იოანე წინამორბედი, პირველმა რომ გვაუწყა: „აჰა, ქრისტე, ტარიგი იგი ღმრთისაჲ“. შემდეგ ის წინასწარმეტყველები არიან, რომელთაც წინასწარ განჭვრიტეს მისი მოვლინება და რწმენით ემსახურებოდნენ მას: მოსე, აჰრონი, ისაია – ძველი აღთქმის ევანგელისტი, სამსხვერპლოდ მიმავალ კრავზე რომ გველაპარაკება, დავითი, რომელმაც ფსალმუნებით უმღერა მას, იეზეკიელი, რომელმაც მისი აღდგომის შესახებ გვამცნო და ყველა სხვა წინასწარმეტყველი, რომელთაც კი რაიმე ჰქონდათ ნათქვამი ქრისტეს შესახებ, შემდეგ მოციქულებია, ყველაფერი რომ მიატოვეს და მოძღვარს გაჰყვნენ, მღვდელმთავრები, რომლებიც ჩვენს უწინ ასრულებდნენ მღვდელმსახურებას და კრავს აღიდებდნენ, მოწამენი: ღირსი მამანი და დედანი, ფვეცხლონი, ღვთისმშობლის მშობლები და ყოველნი წმინდანნი, შემდეგ ბასილი დიდი ან იოანე ოქროპირი, ვისი წირვაც სრულდება.

„ყოველნი წმინდანნი“ ანუ ისინი, რომელთა სახელიც ჩვენთვის ნაცნობია და რომელთაც საშველად ვიხმობთ ხოლმე, ნაწილს წარმოადგენენ მხოლოდ იმ უდიდესი და აღურიცხავი გუნდისა, გარს რომ გვერტყმიან და ღვთისმსახურებისას შუამდგომლობას გვიწევენ. მათ შემდგომ არიან ყველა მართალნი, ცოცხალნიცა და გარდაცვლილნიც, ისინიც, რომელთათვისაც მღვდელი იღებს ნაწილებს და მათივე საკუთარი სახელით იხსენიებს. [illegible] მზერა ამ დროს მხოლოდ ფეშხუმსა და მასზედ მოთავსებულ ნაწილებს ხედავს. სულიერ მხედველობას კი ამ დროს მთელი აპოკალიფსი წარმოუდგება, კრავი და მის მახლობლად მთელი ეკლესია, ყველა ის, ვის შესახებაც გვეუბნება ნათელმჭვრეტი: რომელნიც ყოველგან მიჰყვე-

ზოდნენ კრავს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მღვდელმოქმედებანი ბევრად გვაგონებენ აპოკალიფსის მიერ იდუმალად განჭვრეტილ მოვლენებს. სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ აპოკალიფსის რაციონალური „თარგმანების" ცდებს შორის იყო ისეთებიც, რომლებშიდაც აპოკალიფსი ლიტურგიის პოეტურ აღწერად მიიჩნეოდა).

სულ რამდენიმე წუთის წინ მღვდელი საკურთხევლის წინ უძლური, სუსტი, მთრთოლვარე და ეული იდგა. ახლა კი იგი მარტო აღარ არის. მის წინაშე არიან მაცხოვარი, ღვთისმშობელი, წმინდანთა გუნდი, ყველა მორწმუნე ცოცხალიცა და მკვდარიც. მის უკან ანგელოსთა ფრთები შრიალებს, იოანე მოციქულის მსგავსად, მის წინაშე ენით უთქმელი ხილვა გადაშლილა, თავისთავში ყველა დროსა და ხანას რომ მოიცავს, რომელიც თავისთავშივე აცნაურებს საიდუმლოს და სამყაროს არსებობის არსს იმახავს. მისთვის უკვე მიუწიწვებიათ ხელმწიფება, რომ მოციქულის მსგავსად წარმოთქვას: „მოსრულ ხართ თქუენ მთასა სიონს და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა, იერუსალემსა ზეცისასა და ბევრეულსა ანგელოსთა კრებულსა, და ეკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა, და ღმრთისა მსაჯულისა ყოველთაჲსა და სულებისა მართალთა მათ აღსრულებულთაჲსა, და სჯულისა მის ახლისა შუამდგომელისა იესოჲსა, და სისხლითა პკურებასა, უმჯობესსა თქუმულისა მის აბელის მიერ" (ებრ. I2. 22-24).

მიმადლებული გამოცხადებით აღტკინებული მღვდელი საკმეველს აკურთხებს, მასზე ვარსკვლავს შემოატარებს და ფეშხუმს დაადგამს; შემდეგ მცირე დაფარნებს საცეცხლურზე შემოატარებს და ბარძიმ-ფეშხუმს დააფარებს; ამის შემდგომ იგი ორივეს დიდ დაფარნას გადააფარებს. ამ დროს იგი სამჯერ წარმოთქვამს: „კურთხეულ ხარ ღმერთო ჩვენო, რომელმან ესრეთ სათნო იყავ, დიდება შენდა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე". ღვთისმსახურების ბოლოს მღვდელი მოკლე და ძა-

ლზედ ძველ ლოცვას იტყვის წინადაგებული ძღვენისათვის. ამ დროს იგი შემომწირველსაც იხსენიებს და მათაც, ვისთვისაც შემოუწირავთ. ბოლოს სრულდება მცირე ჩამოლოცვა. კვეთა იმ სახისა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა. იგი დაახლოებით X-XI საუკუნეებში ჩამოყალიბდა. გასაგებია, თუ როგორი საოცარი ღვთისმსახურებაა ეს. მისი შესრულებისას სრულიად დაუშვებელია გულგრილობა როგორც ერისკაცთა, ისე საეკლესიო პირთა მხრიდან. ამბობენ, რომ ერთი ღირსი მამა კვეთის შესრულების შემდეგ მღვდლებს შეკრებდა და აღტაცებით ეუბნებოდა: „გაიხსენეთ რომ ეს ქრისტეა, ღვთაებრივი კრავი, გაიხსენეთ, თუ როგორ ღვთისმსახურებას ვასრულებთ ახლა. მხოლოდ ჩვენ, მართლმადიდებლებმა შემოვინახეთ კვეთა, მხოლოდ ჩვენ გაგვაჩნია ეს საუნჯე“.

ამასთან ერისკაცებმაც მთელი სულითა და გულით უნდა მიიღონ კვეთის შესრულებაში მონაწილეობა. ეს შესაძლებელიც არის და აუცილებელიც.

შემთხვევითი არ არის, რომ კვეთის დროს მესამე და მეექვსე ჟამნს კითხულობენ. ჟამნი ხომ ლოცვათა უბრალო თანამიმდევრობას არ წარმოადგენს! მას განსაკუთრებული შინაარსი გააჩნია. იგი უშუალოდ უკავშირდება იმას, რაც კვეთისას სრულდება. ჟამნი აღსავსეა ხსოვნით მაცხოვრის ტანჯვათა შესახებ. მესამე ჟამნში ნახსენებია არა მხოლოდ სულიწმინდის გარდამოსვლის ამბავი, არამედ მაცხოვრის გასამართლებაც პილატე პონტიელის მიერ.

მეექვსე ჟამნის ლოცვა მაცხოვრის ჯვარცმას გვახსენებს. ამის შესახებ გვამცნობს ჟამნის ტროპარი, რომელიც მხოლოდ დიდმარხვისას იგალობება: „რომელმან მეექვსესა დღესა და ჟამსა ჯვარსა შეემსჭვალე, სამოთხეს შინა ქმნილი ადამის-მიერი ცთომაჲ, ჩემთაცა ცოდვათა ხელითწერილი განხეთქენ, ქრისტე ღმერთო, და გვაცხოვნენ ჩვენ“. ამასვე გვამცნობს ჟამნის ლოცვა, რომელიც თავისთავში ღვთისმსახურების

მთელს შინაარსს იკრებს: „რომელმან სიტკბოებითა მიუწთომელისა მოწყალებისა შენისათა მხოლოდშობილი ძე შენი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე გარდამოავლინე ცხოვრებისათვის ჩვენისა და პატიოსნითა ჯვარითა მისითა ხელითწერილი ცოდვათა ჩვენთა განხეთქე".

„ქამნისეული" ეს გულმხურვალე მოგონებანი მომავალი ლიტურგიისათვის გვამზადებენ: ჩვენს ფიქრებსა და გრძნობებს ღვთაებრივი მსხვერპლისაკენ მიმართავენ.

მთელი ეკლესია ერთად იყრის თავს: წინ კრავია, შემდეგ წმინდანთა გუნდი, ყველა მორწმუნე, ცოცხლებიცა და გარდაცვლილნიც, რომელთაც ღვთისმსახურების შესრულებისას იხსენიებენ, ბოლოს, ყველა ის, ვინც თავისი ფიქრებითა და სულის მხურვალე სწრაფვებით კრავს მიჰყვება.

უფალო, მოგვეც ძალა, რომ ღვთისმსახურების შესრულებისას შენს სიახლოვეს ვიყოთ, ღვთაებრივი კრავის სიახლოვეს, რათა მარადიულ ცხოვრებაშიც შენ გეახლოთ და დიდებას შეგასხამდეთ აწ და მარადის...

## მ ა რ თ ა ლ თ ა   შ ო რ ი ს

კიევის წმ. სოფიის ტაძარში, რომელიც უძველესია და უმშვენიერესი რუსულ ტაძრებს შორის, შემონახულია ერთი საოცარი ფრესკა - წმ.ზიარების საიდუმლო. იგი არაჩვეულებრივი შინაარსისაა: მასზე ევქარისტიის საიდუმლო გამოუსახავთ, თუმცა, ერთი შეხედვით, ვერ[illegible]ი ვამჩნევთ რაიმე ისეთს, საიდუმლო სერობას, რომ მოგვაგონებდეს: არც ოთახია, არც მაგიდა, რომელზედაც უნდა აღასრულონ სერობა, არც მეტრაპეზენი ჩანან. მოზაიკის ცენტრში ტალავერია, ტალავრის ქვეშ-საყდარი. ჩვენს წინაშე [illegible] ტაძარია, საკურთხეველია, თუმცა-ზუსტად ვერაფერს ვიტყვით.

ტალავერის ორივე მხარეს ანგელოზები დგანან, მაცხოვრის წინაშე ქედი რომ მოუხრიათ. მაცხოვარი ორჯერ არის გამოსახული: ერთგან მას სეფისკვერი უჭირავს, მეორეგან-ბარძიმი. ორივე მხრიდან მისკენ მოციქულები მიიჯვიან, რათა იგემონ ხორცი და სისხლი მისი.

ეს გამოსახულება სიმბოლურია. ჩვენს წინაშე არ არის ისტორიული მოვლენა, გარკვეულ დროსა და ალაგს რომ მოხდარა. ჩვენს წინაშე განხატებულა კაცობრიობის ხსნის საიდუმლოება-სასწაული, რომელიც მუდმივად მეორდება, ყოფიერების გულს წარმოადგენს და რომელიც დროით და სივრცით არ შემოისაზღვრება. მოციქულები მიწაზე როდი დგანან. მარადიულობის წინაშე ვიმყოფებით ჩვენც, რადგან ჩვენს წინაშეა ყოფიერების უწმინდესი და უდიდესი მოვლენის-ღვთაებრივი ევქარისტიის არსი, რისაც გვამცნობს მოზაიკის ქვეშ მოთავსებული ბერძნული წარწერა: „მიიღეთ, ჭამეთ..."

ზიარების საიდუმლოს ეს გამოსახულება გვახსენდება უნებურად, როგორც კი ვიწყებთ ფიქრს მორწმუნეთა ლიტურგიის შესახებ, ქრისტიანულ ღვთისმსახურებათა შორის უდიდესად რომ არის მიჩნეული. კათაკმეველთა ლიტურგია დამთავრდა: მათთვის განკუთვნილი ლოცვების მოსმენის შემდეგ ისინი ტაძრიდან გადიან. ძველად ამ დროს ტაძრიდან მომნანიებელნიც უნდა გასულიყვნენ, ანუ ადამიანები, რომლებმაც მთელი სიცხადით შეიგნეს თავიანთი ბიწიერი ბუნება, რომლებიც სინდისის ქენჯნამ შეიპყრო და რომლებიც განსაკრთომელ წუთს ტრაპეზთან მიახლოებას უშლიდნენ ხელს. დიაკვნები კი ამ დროს წარმოთქვამენ: „არავინ არავის წინააღმდეგ, არავინ ფარისეველი". ეს სიტყვები ტაძრის გარეთ, უკუნ სიბნელეში განდევნიან ყოველგვარ ნაშთს ცოდვისას: ამქვეყნიური ხმაურისა და ორომტრიალის ნამცეცი არ უნდა შეეხოს წმინდა ზღუდეს, მიწიერი ქაოსის არცერთი ნაწილაკი არ უნდა დარჩეს წმინდა კიდობანში. ძველად ტაძრიდან

ის მართალნიც გადიოდნენ, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ლიტურგიის დროს წმ. ზიარება ვერ მიიღეს. იმას, რაც შემდგომ უნდა აღესრულებინათ, არ შეიძლებოდა ეკლესიაში შემთხვევით შემოსული, ან თუნდაც პირჯვრის გადასაწერათ თუ კუთხეში თავისთვის მყოფი დასწრებოდა. იქ ახლა რწმენის ნადიმი უნდა შემდგარიყო და მას მხოლოდ ისინი უნდა დასწრებოდნენ, ვისაც სურდა და ვისაც ხელეწიფებოდა კიდეც ნადიმის დამსწრე, ზეციური მეუფის ერთ-ერთი თანამეინახე ყოფილიყო, ვისაც გაებედა უდიდესი და განსაკრთომელი ზღუდის გადალახვა, ზიარება მასთან, რაც ყოვიერების უმაღლეს მოვლენას წარმოადგენს. ძველად მღვდელმსახურნი პირველად სწორედ ამ დროს შედიოდნენ საკურთხეველში. მცირე შემოსვლა წინათ ეპისკოპოსის ტაძარში პირველ შესვლასთან იყო დაკავშირებული. ამ მომენტამდე მღვდელმსახურებას პრესვიტერები ეწეოდნენ, ყველა სხვა სამღვდელო პირი კი კათაკმეველთა ლიტურგიის დროს ტაძრის შუაში იდგა. საკურთხეველიც წმ. კრეტსაბმელით იყო დაფარული. მხოლოდ კათაკმეველთა და მომნანიებელთა წასვლის შემდეგ გამოაჩენდნენ საკურთხეველს-წმინდათაწმინდა ადგილს ტაძრისას და მღვდელმსახურნი წმინდა ტრაპეზს მიეახლებოდნენ. ჩვენს ლიტურგიაშიც შემორჩენილია ჩვეულება, რომლის თანახმად, სწორედ ამ დროს ვშლით წმ.ოდიკს. წმინდა ნაწილიანი ოდიკი კი თავად წარმოადგენს წმ.ტრაპეზს და შეესაბამება იმ საკრალურ ლუსკუმას, რომლებზედაც ძველად წმ.საიდუმლო სრულდებოდა. ოდიკის გაშლის შემდეგ მღვდელი საგალობელს აღავლენს იმის გამო, რომ იგი წმ.ტრაპეზთან მიახლების ღირსი გახდა.

იწყება მორწმუნეთა ლიტურგია. წინათ ამ დროს რამდენიმე წუთს ეკლესიაში სრული სიჩუმე სადგურდებოდა. აღესრულებოდა მორწმუნეთა „საიდუმლო ლოცვა“. იგი საზოგადო ლოცვისა და მსხვერპლშეწირვის დაწყებამდე უნდა წარმოეთქვათ. ყოველ მორწმუნეს საკუთარი, პირადი მსხვერ-

პლი უნდა გაეღო ღვთისადმი. იდუმლად და ნებით წარეთქვა ლოცვა: ყველაზე პირადულის, ყველაზე მახლობელის შესახებ მოეთხრო მისთვის. შემდგომ კი მთლიანად უნდა განდგომოდა თავის „მეს" და საზოგადო სავედრებელ-სამადლობელ გალობას შეერთებოდა.

საიდუმლო ლოცვის შემდგომ მღვდელმსახური წმინდა ტრაპეზთან მთელი ეკლესიის სახელით აღავლენს ლოცვას. მორწმუნეთა ლიტურგიის ამ ლოცვებში არა არის რა მიწიერი, დროით და სივრცით შემოსაზღვრული. ისინი მომავალი საოცრებისაკენ არიან მიმართულნი. სინანულით აღვსილი სული ყოველგვარი ბნელისა და უღირსისაგან გათავისუფლებას ლამობს, ესწრაფვის ჩამოიფერთხოს ყოველგვარი უძლურება, რათა, განახლებული და გარდაქმნილი, თამამად მიეახლოს წმინდა საიდუმლოს. საევქარისტიო კანონების შემდგომ ლოცვებში სინანულის ნასახიც აღარ არის: არის მხოლოდ დიდება და მადლიერება, ნათელფენილი საიდუმლო, მხურვალე სიტყვებით რომ გამოიხატება. მორწმუნეთა ლიტურგიის დაწყებითი ლოცვები სინანულის ბოლო ეტაპია: სრული განბანა და განსპეტაკება სამარადისო საყდრად აღმავალი სულისა.

შემდგომ მღვდელი სამადლობელს აღავლენს იმის გამო, რომ ერთხელ კიდევ ღირსიქმნა წმინდა ტრაპეზთან წარდგომისა და ლოცვას წარმოსთქვამს, რათა ღმერთმა თვის მსახურთ მიმადლოს ცხოველმყოფელი სული ლოცვა-ვედრებისა, მსხვერპლის შეწირვისა, გარდამოავლინოს მათზე სულიწმიდისმიერი ძალა დამშვიდებული სინდისით მსახურებისა. სხვა ლოცვაში იგი ღმერთს სულისა და სხეულის სრულ განწმენდას სთხოვს ყოველგვარი ბიწიერებისაგან, რათა მორწმუნენი, უცოდველნი და განუსჯელნი, მიეახლონ წმინდა საიდუმლოს (ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ძველად მორწმუნეთა ლიტურგიის ყველა მონაწილე ღებულობდა წ.ზიარებას). ყოველივე ამას კვლავ საიდუმლო ლოცვა მოსდევს. მას მღვდელი „ქერუბიმთა

გალობისას" წარმოსთქვამს. ეს ლოცვა შედარებით გვიანდელი წარმოშობი-
სა და ღრმად პირადული ხასიათისაა: „არა ვინ არს ღირს, თანაშეკრული
ხორციელთა გულისთქმათა და გემოთა, წარდგომად, ანუ მიახლებად, გინა
მსახურებად შენდა, მეუფეო დიდებისაო, რამეთუ მსახურება შენი დიდ
არს და საშინელ თვით მათ ზეცის ძალთადცა". როგორც მცხოვრის სამს-
ჯავროზე, ისე გადაიშლება მღვდლის წინაშე თავისი ცხოვრება: იგი, ბი-
წიერებისა და უძლურების გრძნობით აღსავსე, შემმუსვრელი ღვთაებრივი
ცეცხლის წინაშე არის წარმდგარი.

გაღვიძებული და განახლებული სინდისის ხმა ცხადლივ სდებს ბრალს
და ღაღადებს. „შენ უნდა წარდგე ტრაპეზის წინარე და შენის ხელით უნ-
და აღესრულოს ქვეყნის მაცხოვნებელი მსახურება?!" და სწორედ უძლურე-
ბისა და წყვდიადის ამ სიღრმიდან თვალი ერთადერთი წმინდისა და უცო-
დველის მიმართ ისწრაფვის: „არამედ რომელი გამოუთქმელისათვის და აუ-
რაცხელისა კაცთმოყვარებითა უქცეველად და უცვალებელად კაც იქმენ და
მღვდელმთავრად ჩვენდა გამოსჩნდი".

ამ სიტყვებმა უნდა განმსჭვალონ მღვდელისა და თითოეული მორწმუ-
ნის გული, მღვდელი ისეთივე სუსტი არსებაა, როგორც ყველა სხვა. იმ
წუთას კი იგი კაცობრიობის მხსნელ მსახურებას ასრულებს. მაგრამ იგი
თავად როდია საიდუმლოს ჭეშმარიტი აღმსრულებელი. ვ ი ღ ა ც ს ხ ვ ა,
უბიწოებითა და დიდებით შემოსილი, არის მარადიული, ღვთაებრივი მღვ-
დელმთავარი. ი გ ი თვით ასრულებს მღვდელმსახურებას ღვთაებრივი
ლიტურგიისა. როგორც სამღვდელმთავრო წირვისას სწირავს მხოლოდ მღვ-
დელმთავარი, პრესვიტერი კი თანამსახურია, ასევე, მღვდელი მხოლოდ
თანამსახურია იმ იდუმალი მღვდელმთავრისა, განუხრელად რომ აღასრუ-
ლებს მსხვერპლშეწირვას.

ანგელოზნი როდი ასრულებენ მღვდელმსახურებას, როგორც ამას მე-

დარად ფიქრობენ ზოგიერთები. ანგელოზთ არ გააჩნიათ ნება და ძალმოსილება საიდუმლოს აღსრულებისა. ისინი მხოლოდ ამ საიდუმლოში შეღწევას, მის განჭვრეტას ლამობენ. ისინიც მხოლოდ მერხენი და სამსახურნი არიან. საიდუმლოს ჭეშმარიტი აღმსრულებელი ქრისტეა, განმანათლებელი და მხსნელი კაცობრიობისა.

მართლმადიდებელ ტაძარში მხოლოდ ი გ ი ასრულებს ღვთისმსახურებას. იგი გვაზიარებს; სწორედ მის ხელთაგან გვეძლევა ცხოვრების პური. მის ნათელ სხივებში უნდა ჩაიკარგოს ნაცნობი სახე მიწიერი ღვთისმსახურისა-მღვდლისა.

ქერუბინთა ლოცვის წარმოთქმისას წმინდა საყდრის წინაშე ქედდადრეკილი მღვდელი, აღმსარებელი ქრისტე მაცხოვრის მარადიული მღვდელმთავრობისა, მოუხმობს მ ა ს, როგორც საიდუმლოების ჭეშმარიტ აღმსრულებელს: თითქოს თავის ადგილს მღვდლობისას უთმობს მას, ვისაც ღვთაებრივ ტრაპეზთან უნდა ამოუდგეს გვერდით. მ ა ს თ ა ნ ერთობა და მ ი ს ი თანადგომა მღვდელს უზარმაზარ პასუხისმგებლობას და, ამავე დროს, სითამამეს ანიჭებს: უღვივებს რწმენას, რომ ნისი ადამიანური ბუნების მანკიერებანი ვერ შეაჩერებენ მარადიულობის ცეცხლოვან ტალღებს. კაცობრიობის მაცხოვარი, ღვთაებრივი კრავი, თვით ასრულებს ღვთისმსახურებას, საკუთარ თავს კვლავაც თვითვე სდებს სამსხვერპლოზე.

„რამეთუ შენ ხარ შემწირველი და შეწირული და შემწყნარებელი და მიმცემელი, ქრისტე ღმერთო ჩვენო“, - ასე მიმართავს მღვდელი მას, ვის მოახლოებასაც გრძნობს მთელი სულითა და გულით. ამ დროს მორწმუნეები შემდეგ ლოცვას აღავლენენ: „რომელნი ქერუბინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით, და ცხოველს-მყოფლისა სამებისა, სამ წმინდა არსობისა გალობასა შევსწირავთ, ყოველივე ნსოფლიო დაუტევოთ ზრუნვაჲ“.

არის სიტყვები, რომელთა აზრს, შესაძლოა, გონების ბოლომდე ვერ

ჩავწვდეთ, მაგრამ საოცარი ძალით კი მოქმედებენ ჩვენს გრძნობებზე:

„რომელნი ქერუბინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით...“

ცხადია, ყველას არ ესმის ამ ლოცვის შინაარსი. ეს, მართლაც, ძნელად გასაგები ლოცვაა, მაგრამ ყოველთვის, როცა კი ვისმენთ მას, სასოება და თრთოლვა შეგვიპყრობს. სწორედ ამ ლოცვისათვის შექმნა ეკლესიამ განსაკუთრებით საზეიმო და ამაღელვებელი სტრიქონნი: „რომელნი ქერუბინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით...“

მაინც რა ვიცით ჩვენ ქერუბინთა შესახებ? ვიცით, რომ ისინი ანგელოსთა დასის-ზეციური მხედრობის წარმომადგენლები არიან. იქ, ზეციურ საუფლოში, თავისებური იერარქია, უმცროს-უფროსობა, აღმასვლა სუფევს: მთავრობანი, უფლებანი, ხელმწიფებანი, ძალნი, საყდარნი... ჩვენთვის გაუგებარია ეს სახელწოდებები და განსხვავებანი. არ არის გასაკვირი, რომ ჩვენ, ამქვეყნიური საზრუნავით დატყვევებულთ, ვერ განგვიჭვრეტავს ისინი. ვიცით, რომ ქერუბიმნი და სერაფიმნი ანგელოზთა დასის უმაღლესი წარმომადგენლები არიან-ყველაზე ახლოს იმყოფებიან ღმერთის დიდების ტაძართან.

წინასწარმეტყველი იეზიკელი თავისი წიგნის პირველ, ხოლო, შემდგომ, მეათე თავშიდაც მოგვითხრობს ქერუბინთა შესახებ. იგი საკუთარ ხილვას აგვიწერს. როგორც მოსემ აღმოდებულ ბუჩქში, ილიამ ქარის ნელ ქროლვაში, ისაიამ ტაძარში, სრულიად ასევე, ეზიკელმა მდინარე ქორივთან იხილა ღმერთი. ეს ხილვა სრულიად განსაკუთრებული და განუმეორებელი რამ იყო, არა ჰგავდა ღვთაებრივი დიდების სხვა გამოცხადებებს. სწორედ ამას გვიამბობს წინასწარმეტყველი ადამიანური ენით, მიწიერი სახეების, სიმბოლოებისა და მსგავსებების მოშველიებით: „და ვიხილე. და აჰა, სული აღმღებელი მოვიდოდა ჩრდილოთ, და ღრუბელი დიდი მას ზედა, და ნათელი გარემოს მისსა, და ცეცხლი ელვარე და საშუალ მისსა, ვითარ

ცა ხილვა ელექტროსა, საშუალო ცეცხლისა და ნათელი მის შორის და საშუალო ვითარცა მსგავსება ოთხთა ცხოველთა, და ესე ხილვა მათი მსგავსება კაცისა მათ ზედა და ოთხნი პირნი ერთსა და ოთხნი ფრთენი ერთსა და წვივნი მათნი მართლებ, და ფრთოვნებ ფერხნი მათნი, და ნაბერწკალი ვითარცა აელვებული რვალი, და სუბუქებ ფრთენი მათნი და ხელი კაცისა ქუეშე კერძო ფრთეთა მათთასა... და მსგავსება მათთა პირი კაცისა და პირი ლომისა მარჯუენით ოთხთასა და პირი ზვარაკისა მარცხენით ოთხთასა, და პირი არწივისა ოთხივე ესრეთ არს... და საშუალ ცხოველთასა ხილვა ვითარცა ნაკუერცხალთა ცეცხლისათა მგზნებარეთა ვითარცა შესახედავი ლამპართა მიმოსახეთ საშუალ ცხოველთასა და ნათელი ცეცხლისაგან გამოვიდოდა ელვა... და ვიხილე აჰა ურმის თუალი ერთი ქვეყანასა ზედა მახლობლად ცხოველთა ოთხთა.. და ზურგნი მათნი სავსე თვალებითა მრგვლივ ოთხთასავე... და სლვასა მათ ცხოველთასა ვიდოდეს ურმის თუალნიცა მახლობელნი მათნი და ამაღლებასა ცხოველთასა ქუეყანით ამაღლდებოდეს ურმის თუალნიცა, სადაცა იყვის ღრუბელი, მუნ მიმართის სულმან სლვად, და ვიდოდის ცხოველნი და ურმის თუალნიცა ამაღლდებოდეს მათ თანა, მით რამეთუ სული ცხოველობისა იყო ურმის თუალთა შორის და სლვასა მას ურმის თუალნიცა იგი ვლენან, და დადგომასა მას ცხოველთასა ურმის თუალნიცა დადგიან, და ქუეყანით ამაღლებასა მათსა მათთანავე ამაღლდიან, რამეთუ სული ცხოველი იყო ურმის თუალთანა და მსგავსება ზეშთა თავისა მათ ცხოველთასა ვითარცა სამყარო, ვითარცა ხილვა ბროლისა საშინელისა განმარტებულისა ზეშთა თავისა მათისა ზედა კერძო... და ზეშთა ზენა სამყაროსა ზეშთა თავისა მათისა, ვითარცა ხილვა ქვისა საპფირისანი, მსგავსება საყდრისა მის ზედა; და მსგავსებასა ზედა საყდარისა მსგავსება ვითარცა სახესა კაცისასა მის ზედა ზენა და ვიხილე, ვითარცა ხილვა ელექტროსა და ვითარცა ხილვა ცეცხლისა შინა-

გან მისსა მრგულივ, ხილვითგან წელთათ და ვიდრე ზემდე, და ხილვითგან წელთა და ვიდრე ქუემდე, ვიხილე ვითარცა ხილვა ცეცხლისა და ნათელი მრგულივ მისსა ვითარცა მშვილდისა, ოდეს იყოს ღრუბელსა შორის დღესა შინა წვიმისასა, ეგრეთ ხილვა ნათლისა მრგულივ" (ეზეკ. I და X თავები).

ეს იდუმალი არსებები, რომელთაც ცხოველების სახე ჰქონიათ და რომლებიც სასიცოცხლო ძალას განასხეულებდნენ, ქერუბინები და ძალნი იყვნენ. ხოლო ის, ვისი აღწერაც წინასწარმეტყველსაც არ ძალუძს და, ამ მიზნით, უამრავ შედარებებს იშველიებს, მეუფეა კაცთა, რომელიც ანგელოზთა მარადის ნათელში სუფევს ქერუბინთა ეტლზე. წმ. მაკარი დიდი თავის პირველ საუბარში გვამცნობს, რომ ეზეკიელის სიტყვებს, სხვათა შორის, განსაკუთრებული შინაარსიც გააჩნია: იგი უშუალოდ ჩვენს სულს ეხება...

საგალობელი: „რომელი ქერუბინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით ..." სწორედ ღმერთთან მიახლებას: ენითგამოუთქმელსა და უტკბეს საიდუმლოს გვამცნობს. ქერუბინთა გალობა იმას როდი ნიშნავს მხოლოდ, რომ ანგელოზთა ამ დასთან ერთად აღვავლენთ ქება-დიდებას ჩვენივე: ადამიანთა და ანგელოზთა მეუფის მიმართ, არამედ იმასაც, რომ მათ საიდუმლოს ჩვენს სულში ავსარკავთ, რადგანაც ჩვენი სული იმიერიდან ღვთაებრივი დიდებისა საჯდრად, მეუფის სასუფევლად გარდაიქმნება.

და, აი, მიემართება ისიც, ანგელოზებით გარემორტყმული, ზეციური, ღვთაებრივი მეუფე, თვალთათვის უხილავად, მაგრამ დიდებით მოგვეახლება იგი, როგორც ოდესღაც ტრიუმფატორი თავისი მხედრების ფარებითა და შუბებით შექმნილ ტახტრევანზე დაბრძანებული შედიოდა ქალაქში. ი ს ი ც, ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრგუნველი, ანგელოზთა ფარებსა და შუბებზე ზეაღმართული, ღვთაებრივ ნადიმზე მიემართება. სასოებით მოცული ჩვენი სული გალობითა და დიდებით ეგებება მას, მიიწევს მის-

კენ და ტოვებს მსოფლიო საზრუნავს, რათა ქერუბიმთა ამ მოზეიმე წყობას შეუერთდეს, საკუთარ გულში ბინა გაუჩინოს მ ა ს და მათთან ერთად ატაროს ი გ ი.

„რომელი ქერუბინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით...“

ჩვენ ცოდვილნი და ბილწით მოცულნი ვართ. წუთისოფლის ამაოებამ დაგვაბნია, გონება წაგვართვა, ჩვენი სანათურები ჩამქრალან, აღარ გაგვაჩნია არც ზეთი და არც საქორწინო ტანსაცმელი, მაგრამ ამქვეყნიური საზრუნავით წაბილწული ჩვენი სულები, ჩვენი გაღატაკებული გულები ღვთაებრივი განჩინებით არიან შექმნილი და თავის უღრმეს წიაღში მ ი ს ი ხატების მარადიულ ნათელს ატარებენ.

ჩვენი სული ქრისტიანია, მაგრამ ამით როდი ამოიწურება ყველაფერი. იგი, უპირველეს ყოვლისა, ღვთაებრივი წარმომავლობისაა: ღვთის მსგავსია და იმისათვის არის შექმნილი, რომ ცხოველი ღ მ ე რ თ ი ს ცხოველ საყდრად იქცეს, ზეციური სფეროების უდიდეს სიმაღლეებს ეზიაროს, ღვთაებრივი ყოფის უღრმეს საიდუმლოებებს ჩასწვდეს, მარადიული ნათლით აღავსოს, ღვთაებრივ ყოფას – ღვთაებრიობას მიაღწიოს.

„რომელნი ქერუბინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით...“ – იქნებ იმიტომ მოგვიცავს სასოება და თრთოლვა ამ სიტყვების გაგონებისას, რომ სწორედ მათი მეოხებით გვემცნობა ის, რის შესახებ გაფიქრებაც კი ვერ გაგვიბედავს: რისთვისაც ქმნილნი ვართ უზენაესის მიერ, რისთვისაც მოგვენიჭა სიცოცხლე, რისთვისაც გამოგვიყვანა შემოქმედმა სიტყვამ მდუმარებიდან და არ არსებობიდან; რათა ქერუბინთა დასში დავემკვიდროთ და ღმერთს ვეზიაროთ.

ქერუბინთა გალობისას, ისევე, როგორც სახარების წაკითხვის წინ, ტაძარი კვლავ ივსება საკმევლის კეთილსურნელებით. პირველად, სახარების წაკითხვამდე, საკმევლის კეთილსურნელება უფალთან შესახვედრად

გვამზადებდა და უფალიც თავისი წმინდა სიტყვით მოეხალა ჩვენს გულებს. კეთილსუნელება ახლაც კვლავ <u>მასთან</u> შესახვედრად გვამზადებს და, აჰა, იგიც მოემართება ჩვენსკენ, თავისი ღვთაებრივი სხეულით და გაუხრწნელი სისხლით მოემართება.

ამასვე გვაუწყებენ დიდი კმევის მღვდელმსახურებანი. დიდი კმევა იმ დროს გვაგონებს, როდესაც ტაძარი სხვაგვარად იყო მოწყობილი. ძველი აღთქმის წმინდათაწმინდა მხოლოდ ღვთაებრივი სიცარიელე იყო. უდიდეს სიწმინდეთა გარდა არაფერი ინახებოდა იქ. შიგ შესვლაც განსაკრთომელ მოვლენად ითვლებოდა. არ დაგვავიწყდეს, რომ ძველი აღთქმის წმინდათაწმინდას გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ქრისტიანულ საკურთხეველს გააჩნია.

ჩვენს დროში კი საკურთხეველში ხშირად უცხო საგნებიც გვხვდება. იქ ინახავენ წიგნებს, აწყობენ ხატებს, მღვდელმსახურთა ტანსაცმელს. ერისკაცებიც ხშირად შედიან იქ.

ძველად საკურთხეველი გამიჯნული იყო. მის ერთ მხარეს საგანგებო სათავსო მდებარეობდა. იგი იყო სამკვეთლო და ჭურჭლის შესანახი. ერისკაცებს სწორედ იქ მიჰქონდათ შესაწირავი. მეორე მხარეს სადიაკვნე მდებარეობდა. იქ შესამოსელი ინახებოდა. საკუთრივ საკურთხეველში კი მხოლოდ ტრაპეზი იყო. მღვდელმსახურნიც მხოლოდ საღმრთო მსახურებისათვის შედიოდნენ შიგ. სრული მდუმარება და ღმერთშემოსილი ნეტარება სუფევდა იქ.

დიდი კმევისას სამკვეთლოდან წმინდა საგნები და შესაწირავები მიჰქონდათ. მღვდელმსახურნი მათ ტრაპეზზე აწყობდნენ. სამღვდელმთავრო მსახურებაში დღემდე არის შენარჩუნებული ის წესი, რომლის თანახმადაც ეპისკოპოსი მღვდელმსახურთ ართმევს ბარძიმ-ფეშხუმს.

ამ დროს სრულდება კვეთა. ამ დროსვე ახსენებენ შემწირ-

ველთ და მართალთა მოხსენიებაც ამ დროს ხდებოდა. დღევანდელ წესი ძველი წესების ნაშთს წარმოადგენს.

მღვდელმსახურთა გარძიმ-ვეშხუმით სვლა იგივეს გვამცნობს, რასაც სათანადო ლოცვანი და გალობანი მსხვერპლად მიმავალი ქრისტეს შესახებ, რომელიც ანგელოზებით, მთავარანგელოზებით, ქერუბინებითა და სერაფინებით არის გარემოცული.

ჩვენ გვახსოვს, თავისი განკითხვის წინ როგორ შევიდა  ი გ ი იერუსალიმში, როგორი აღტაცებით შეხვდნენ მას და როგორ უგალობდნენ ბავშვები „ოსანნას“. იგი ახლაც იმისათვის მოემართება, რომ კიდევ ერთხელ ვიხილოთ მისმიერი გოლგოთა. ქედმოხრილნი ვედრებებით და სასოებით ველით სასწაულის დადგომის წამს.

მერე კი ვხედავთ, როგორ გვშორდება ღვთაებრივი დიდება, გვეკარგება, თვალს ეფარება... სული შიშით და ტკივილით გვევსება: ნუთუ წაგვერთმევა მადლი წმინდა ამაღლების ხილვისა და ღვთაებრივი ლიტურგიით ტკბობისა?

ეს აზრი ტკივილს გვგვრის და, ალბათ, არაფერია ქვეყნად ამაზე მტანჯველი და საშიში. მაგრამ თუკი ჩვენი გულის სიღრმეში ჩავიხედავთ, გავიხსენებთ ჩვენს მიერ ტაძარში გატარებულ წუთებს, ეს დანაკარგი ღვთაებრივი განჩინების წინააღმდეგ კი არ განგვაწყობს, მტანჯველ მოუსვენრობას კი არ მოგვგვრის, არამედ მთლიანად გვაგრძნობინებს ჩვენს ცოდვილ ბუნებას:

„მართალ ხარ შენ უფალო და სიმართლით არიან განკითხვანი შენნი!“

ასე ხდებოდა და ასე ხდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ  ი გ ი მკაცრი და დაუნდობელია - ნუ იყოფინ ესე - არამედ იმიტომ, რომ ღირსნი ვართ ამისა, ჩვენ თვითონ მოვინდომეთ ასე.

„რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოდ ვემსგავსენით...“ „ყოველივე

მსოფლიო დაუკავოთ ზრუნვას..."

თითოეული ჩვენგანი უნდა განმარტოვდეს საკუთარ სინდისთან, გაიხსენოს, რამდენჯერ მოუსმენია ეს სიტყვები და, მაინც, რამდენჯერ დარჩენილა „მსოფლიო ზრუნვათა ტყვეობაში", დამორჩილებია უძლურების ძალაუფლებას, იმ დიადი წამის შესახვედრად კი, წამისა, რომელიც ყველაზე დიადია და ყველაზე წმინდა, გულგრილობისა და გულქვაობის მეტი არაფერი განუმზადებია.

დაე, ყოველმა მსგავსი შეკითხვით მიმართოს საკუთარ სინდისს, განსაჯოს, თუ ღმერთსა და ადამიანს შორის ვინ არის დამნაშავე ჩვენს შემოუსაზღვრავ, უზომო მწუხარებაში.

## ცმადლობდეთ უფალს

დგება ხოლმე წამი, როდესაც ადამიანს მთელი განვლილი ცხოვრება წარმოუდგება თვალწინ. ცნობიერება რაღაც ერთ წამში მიმოიხილავს ყველაფერს, რაც თავს გარდახდომია: მწუხარებას, სიხარულს, ბრძოლას, აღმასვლასა და დაცემას, აღტაცებას და სასოწარკვეთას. ამ დროს სულის ულრმესი კუნჭულებიდან ამოტივტივდება ის, რაც ღრმად იყო დაფარული, რომლის არსებობის შესახებ ადამიანმა არც კი იცოდა. თითქოს მონავალსაც ჩამოშორდება ამ დროს რიდე და ჩვენს წინ მყოფადი გადაიშლება: დრო თითქოს ერთ წერტილში იყრის თავს.

ძნელია, სხვას გააგებინო ამგვარი წამის არსი. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, როგორი ძალაც არ უნდა დავახარჯოთ სურათის დახატვას, მთავარი მაინც განზე დაგვრჩება. სწორედ ამგვარი წამი დგება მაშინაც, როდესაც, საღმრთო საიდუმლოს აღსრულებისას, ტაძარში ექა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისტულ კანონს კითხულობენ და მღვდელი წმინდა ამაღლების ლოცვას წარ-
მოთქვამს.

ევქარისტიული კანონი კვერექს-ასამაღლებლებითა და საგალობლებით ერთ მთლიან ლოცვას წარმოადგენს. სწორედ ეს ლოცვაა ყველაზე დიადი, ყველაზე იდუმალი რამ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში-იგი გულთაგულია ქრისტიანული კანონისა.

ანაფორის ზეაღვლენისას მორწმუნეთა - ანგელოზთა იდუმალების განჭვრეტის მსურველთა - სასოებით აღსავსე მზერის წინარე მთელი სამყაროს, მთელი კოსმოსის ცხოვრება გაცხადდება დასაბამიდან, როდესაც გაისმა: „იყავნ" ბოლო, განსაკრთომელ დღემდე, როდესაც დრო განქრება და მარადისი სუფევა დაიმკვიდრებს. ყველაფერი: ნათელმფენი ანგელოზნი თუ თვით უმცირესი ატომი, მტვრის ნაწილაკიც კი, სამყაროს რომელიღაც მივიწყებულ წერტილში რომ მიკარგულა, აქ, ლოცვის ამ იდუმალ სიტყვებშია მოცემული.

საეკლესიო-საღვთისმსახურო ცხოვრების გარკვეულ მომენტში ეკლესია უვალს ცალკეული, მარტოდმთვენილი, თუმცა რწმენითაღვსილი სულის სახით მიმართავს. ამგვარ ლოცვებში ჩანერგილია ძირთაძირი ადამიანური ტკივილისა, ამასთანავე - ყველაზე გამოუთქმელი იმედი ჩვენი გულისა. ღვთაებრივი ლიტურგიისას კი, პირიქით: ეკლესია ერთობლივ, საზოგადო ლოცვას ყველას სახელით აღავლენს. ლიტურგია საზოგადო საქმეა. მის უმთავრეს ეტაპზე, საღმრთო საიდუმლოს აღსრულებისას, ადამიანის გული ვიწრო ზღუდეებს განაპობს და უსასრულო კოსმოსს ერწყმის-მასთან ერთად ვეთქავს.

როდესაც მღვდელი საღმრთო სიტყვას წარმოთქვამს, მის სუსტსა და უძლურ ღაღადისში ანგელოზთა უსასრულო წყების ხმა კრთის, ხმა განახლებული კალობრიობისა, ყოველივე იმისა, რაც წარსულ ათასწლეულებში დაი-

ძირა და რაც მომავალში უნდა გათვალსაჩინოვდეს.

მაინც რა არის უმთავრესი არსი იმ დიად წამთა, წმინდა ევქარისტიის კანონს რომ ასხივოსნებენ?

მადლიერება და ღვთისდიდება. აი, ცნებები, რომლებიც სრულად გამოხატავენ ანაფორის შინაარსს. მწუხარება, თხოვნა, ნაღველი, სინანული, – ყველაფერი, რაც ცოცხლობს ჩვენს სულში და საეკლესიო ლოცვებსა თუ საგალობლებშია ასახული, დუმდება და გვრჩება მხოლოდ აღტკინება, დიდება სამყაროთა შემოქმედისა, დაუნჯება სულისა, მარადისობის საუფლოში რომ შთანთქმულა უკვე.

ხშირად დაგვბადებია კითხვა: როგორი ხასიათისაა ქრისტიანობა? მწუხარეა იგი თუ არა; პესიმისტურია თუ ოპტიმისტური; განადიდებს ცხოვრებას თუ უარყოფს მას. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საკმარისია გავიხსენოთ ანაფორა–უდიდესი ლოცვა, ცენტრი ქრისტიანული რწმენისა. ჩვეულებრივი ლოცვა როდია იგი, არამედ ჰიმნი: ღვთისდიდება, ხოტბა, კურთხევა.

ჩვენამდე მოღწეულ სხვადასხვა ლიტურგიულ წესებში ანაფორები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან: ევქარისტიული კანონის ლოცვებიც განსხვავდებიან რამდენადმე, თუმცა ერთი რამ კი ნამდვილად საერთოა: მადლიერებითაა ლოცვათა ყოველი სიტყვა განმსჭვალული. თვით სიტყვა „ევქარისტიაც" ხომ მადლობის შეწირვას ნიშნავს?

ეკლესია მორწმუნეებს ლიტურგიის ყოველი მნიშვნელოვანი მომენტისათვის საგანგებოდ ამზადებს. ასე მაგალითად, „შესვლისას", სერობის – ამ უმნიშვნელოვანესი მღვდელმსახურების – წინ დიაკონი აცხადებს: „ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით; მიხედე წმინდასა ამას შესაწირავსა, მშვიდობით შეწირვადსა". სახარების კითხვას წინ „ალილუია" და განსაკუთრებული ლოცვა უძღვის. საევქარისტო კანონისათვის კი,

როგორც მღვდელმსახურების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტისათვის, ეკლესია მორწმუნეებს განსაკუთრებული კურთხევითა და მოწოდებებით ამზადებს. დიაკონი მლოცველთ მოუწოდებს: „ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით, მოხედე წმინდასა ამას შესაწირავსა, მშვიდობით შეწირვადსა". ანუ: უნდა ვდგეთ მტკიცედ, ვდგეთ შიშით და არა გაოგნებით, რამეთუ გაოგნებული სული დაუუმებულია. სწორედ შიში და სიფრთხილე გვმართებს, რაიმემ რომ არ შეგვიშალოს ხელი ღვთაებრივ საიდუმლოებაში ზიარებისათვის, რათა მშვიდობით შევწიროთ წმინდა შესაწირავი. მორწმუნენი დიაკონს პასუხობენ: „წყალობა, მშვიდობა, შესაწირავი ქებისა". უძველეს ლიტურგიულ წესებში, მაგალითად, იაკობ მოციქულის ლიტურგიაში სიტყვების: „წყალობა, მშვიდობა"-ს ნაცვლად წარმოთქვამდნენ: „ზეთი მშვიდობისა". ბერძნულად ორივე ეს სიტყვა ერთნაირად ჟღერს (ზეთი ბერძნულად-ელეო, მშვიდობა-ელეოს). „წყალობა, მშვიდობა" შემდგომში დაშვებული შეცდომის შედეგად მიღებული ფორმაა. თავდაპირველად კი იყო „ზეთი მშვიდობისა". ჩვენ ვიცით, რომ ზეთი (ელეოს) მშვიდობის სიმბოლო იყო და მორწმუნეებს იგი საკურთხეველზე ძღვნად მიჰქონდათ, მაშასადამე, ეს იყო მშვიდობის ძღვენი და „შესაწირავი ქებისა". თვით მოციქულიც ხომ იმას გვაუწყებს, რომ უფალს „შესაწირავსა ქებისას" უნდა ვწირავდეთ და მ ი ს სახელს განვადიდებდეთ (ებრ. I3,I5)

ამის შემდგომ მღვდელი მორწმუნეებს მოციქულის სიტყვებით მიმართავს: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმინდისა, იყავნ თქვენ ყოველთა თანა" და თავდახრილი ესმება მორწმუნეთა პასუხს: „და სულისაცა შენისა თანა". მღვდელი განაგრძობს: „ზე გვაქნდინ გულნი", ე.ი. უფლისაკენ აღვამაღლოთ გულები. მორწმუნენი კი პასუხობენ: „გვაქვს უფლისა მიმართ", ე.ი. მზად ვართ წმინდა საიდუმლოს შესასრულებლად. ეს უმნიშვნელოვანესი

აღთქმის დადებას ნიშნავს. იგი ყოველგვარი მიწიერისაგან ეახსნას და ამაღლებას გულისხმობს. ყოველ მხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ამ დროს უფლის მიმართ მართალნი ვიყოთ, რომ ხსენებული აღთქმა მხოლოდ ჩვენმა ბაგეებმა კი არ დადონ, არამედ სული მართლაც გათავისუფლდეს მსოფლიო საზრუნავისაგან და საცთურისაგან.

და, ბოლოს: მღვდელი მოგვიწოდებს: „ვმადლობდეთ უფალსა..."

მადლიერებამ უნდა მოიცვას ჩვენი გულები.

ჩვენი მსახურება ამჟერად ოდენ მადლიერებაა ღვთის მიმართ.

მადლიერება... დიდება... ხოტბა... სიხარული... აღტაცება, ეს გრძნობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

როდესაც ზაფხულის წყნარ, მზიან დილით ბაღში გავდივართ, ვგრძნობთ, ყოვლისმომცველ მდუმარებაში, ცვრით დაფარული ბალახის სიხასხასეში, იმ კეთილსურნელებაში, გარშემო რომ დატრიალებულა, მზის პირველ სხივთა ათინათში, თუ როგორ უკვალოდ ქრება ყოველგვარი დარდი და სევდა. სიავე გვავიწყდება, ბოროტება უძლურ, უსასო რამედ წარმოგვიდგება. ჩვენს სულს აღტაცება, სიხარული და ღვთის განდიდების გრძნობები ეუფლება. სწორედ ეს არის დიდება და მადლიერება. მაგრამ არსებობს სხვაგვარი დიდება და მადლიერებაც: საშინელ საპყრობილეში, სადაც აღწერიცხავია ადამიანის ტანჯვანი, ან, კიდევ, ბრძოლის ველზე, ან საავადმყოფოში, სასოწარკვეთისა და გმინვის გარემოცვაში შეუძლებელია მწუხარებისა და ბოროტების დავიწყება. ისინი ყოველ წამს გვახსენებენ თავს, ბნელი აჩრდილების სახით შემოგვერტყმიან გარშემო... მაგრამ თვით მწუხარების, საშინელებისა და გაბოროტების დროს ჩვენს სულს წყევისა და განკითხვის დამთრგუნველი გრძნობები მოევლინებიან.

ადამიანები ერთნაირად არ განიცდიან ღვთისდიდებისა და მადლიერების გრძნობებს. ყმაწვილკაცი, რომელსაც წუთისოფლის მთელი სიმძიმე

ჯერ არ უნახავს, განადიდებს და შეჰხარის ცხოვრებას. მის არსებაში მოჭარბებულია თავდაჯერება, მიამიტი რწმენა სიკეთისა და სილამაზის ძლევამოსილებისა. მას მტკიცედ სწამს, რომ ბედნიერება და კმაყოფა შეუვალია და ხელუხლები.

მაგრამ თუკი ქრისტიანი მას შემდეგ, რაც ადამიანის ტანჯვათა და დანაშაულებათა მთელს სამყაროს მიმოიხილავს, შეძლებს ღვთისა და სიცოცხლის განმადიდებელი გრძნობების შენარჩუნებას და „ოსანას" წარმოთქვამს, ამ „ოსანაში" უკვე ისმის არა მიამიტი თავდაჯერება, არამედ ბოროტების დამარცხებისა და გადალახვით გამოწვეული სიხარული.

დიადმა განმანათლებელმა იოანე ოქროპირმა, რომელმაც კაცობრიობასა და ეკლესიას ღვთისმოსაობის შეუდარებელი მაგალითი დაუტოვა, სიკვდილის წინ წარმოთქვა სიტყვები, რომელთ სადარი ძნელად მოიძებნება: „გმადლობთ, უფალო, ყველაფრისათვის". და ეს მას შემდეგ, რაც ყველა შესაძლო უბედურება გადაიტანა: სნეულებანი, მწუხარება, დევნა, მარტოობა, სიძულვილი, მეგობართა სულმოკლეობა და ღალატი, საყვარელი საქმის ნგრევა, წმინდა ალაგის წაბილწვა და იავარყოფა... სწორედ ასეთია ქრისტიანული ჰიმნი, სადიდებელი, ხოტბა.

ქრისტიანისათვის უცხოა მიამიტი თავდაჯერება, ბოროტისა და მისი ძალის უგნური შეუფასებლობა. ბევრი რელიგიური სისტემა ბოროტებას შემთხვევითად თვლის, ზედაპირულ მოვლენად, სიკეთის გარეგან, რაოდენობრივ ნაკლოვანებად. ქრისტიანობა კი ბოროტებაში რეალურ ძალას, საწამლავს ხედავს, ყოფიერების უღრმეს ფენებს რომ შხამავს და ძირშივე ახმობს ხეს ცხოვრებისა. ქრისტიანობა ცნობს ეშმაკისა და მისი ლეგიონების არსებობას, რომელთაც პირველყოფილი ცოდვის საიდუმლო ამოუკითხავთ. და, ამასთანავე, იგი ბოროტების გადალახვის გზასაც გვიჩვენებს. სიკვდილს სიკვდილი თრგუნავს და აღდგომის სხივებში გა-

მოკრთის სახე თავადისა, მხსნელისა, აღმდგენელისა, მკვდართაგან მიწ-ეელისა.

ევქარისტული კანონი (ანაფორა) – უდიდესი ქრისტიანული ლოცვა-იმ სასწაულის შესახებ გვამცნობს, რასაც ღვთაებრივი სიყვარული ჰქვია, რამეთუ გოლგოთის მისტერიაში წყვდიადი ნათლად იქცევა, მასში თვალსაჩინოვდება ჩვენი ხსნა.

ღვთის საყდრისაკენ ყოვლისდამფარველი „ოსანა" მიემართება.

„შენ გმადლობთ, შენ გაკურთხევთ, უფალო, და შეგვედრებით შენ, ღმერთო ჩვენო!"

ლიტურგიული კანონის წვდომა ჩვენი თავისთვის იმ გზის მონახვას ნიშნავს, რომელიც, გოლგოთისა და ჯვრის გავლით, გამარჯვებისაკენ, ადამიანისა თუ სხვა ქმნილებათა აღდგომისაკენ მიდის.

იოანე ღვთისმეტყველი გვიყვება მის მიერ ხილულ იმ საშინელებათა შესახებ, რომლებიც კაცობრიობას ელის. მან იხილა შვიდი ბეჭდის, შვიდი მილის, შვიდი ბარძიმის საიდუმლოებანი, რომელთაგან თითოეული იარათა და ტანჯვათა წყებას შეიცავს. მან იხილა უსასრულობიდან მომავალი ცხოველი და მისი ცრუმოციქული, იხილა დიდი ცთომილი-ქალაქი ბაბილონი, ყოველგვარი მიწიერი უმსგავსოების დედა, მაგრამ ყოველივე ამ მწუხარებისა და საშინელების მიღმა ხედავს მ ა ს ა ც, საყდარზე დაბრძანებულს, ხელში შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი რომ უპყრია. ი გ ი ოცდაოთხი მოხუცით და ოთხი საიდუმლო ცხოველით არის გარშემორტყმული. ამ ცხოველებს ლომის, მოზვრის, ადამიანისა და არწივის სახეები აქვთ. ისინი ჯერ კიდევ ეზეკიელმა იხილა.

„და ვიხილე შორის საყდრისა და ოთხთა მათ ცხოველთა და მღვდელთაჲსა კრავი მდგომარე, ვითარცა დაკლული... და მოვიდა და მიიღო წიგნი მარჯუენისაგან საყდართა ზედა მჯდომარისა. და რაჟამს მიიღო მან წიგნი იგი, ოთხნი მღვდელნი დაჰვარდეს წინაშე კრავისა მის. და აქუნ-

და თითოეულსა ათძალი და ლანკანნი ოქროჲსანი, სავსენი საკუმეველითა, რომელ არიან ლოცვანი წმიდათანი. და გალობდეს გალობასა ახალსა და იტყოდეს: ღირს ხარ შენ მიღებად წიგნისა მის და ახსნად ბეჭედთა მისთა, რამეთუ დაიკალ და გვიყიდენ ჩვენ, ღმრთისა სისხლითა შენითა ყოვლისაგანვე თესლისა და ენისა და ერთა და წარმართთა, და ყვენ ჩვენ, ღმრთმან ჩვენმან, მეფედ და მღვდლად და ვსუფევდ ქვეყანასა ზედა.

და ვიხილე და მესმა, ვითარცა ხმაჲ ანგელოსთა მრავალთაჲ გარეშე საყდრისა და ცხოველთა და მღვდელთაჲსა და იყო რიცხვი მათი ბევრი ბევრთანი და ათასნი ათასთანი, რომელნი იტყოდეს ხმითა დიდითა: ღირს არს კრავი დაკლული მიღებად ძალისა და სიმდიდრისა და სიბრძნისა და ძლიერებისა და პატივისა და დიდებისა და კურთხევისა.

და ყოველთავე დაბადებულთაჲ, რომელნი არიან ცასა შინა და ქვეყანასა ზედა, და ქვესკნელთა ქვეშე ქვეყანისათა და ზღვათა შინა, რომელ არს მათ ყოველთაგან, მესმა, რომელნი იტყოდეს: რომელი ზის საყდარსა ზედა, კრავისა კურთხევა და პატივი და დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე.

და ოთხთა მათ ცხოველთა თქვეს: ამინ. და მღვდელნი იგი დავარდეს და თაყვანი სცეს ცხოველსა მას საუკუნეთა საუკუნეთასა" (გამოცხ. 5,6-I4).

მკვლევარნი სამართლიანად შენიშნავენ ლიტურგიული სასწაულისა და აპოკალიფსური გამოცხადების თანხვედრას.

საყდარი... მასზედ დაბრძანებული, ვის მიმართაც აღავლენენ ლოცვებს... კრავი... საყდრის გარემომცველი მოხუცნი და ანგელოზთა გუნდები...

ჩვენს წინაშე თითქოს ზეციური ევქარისტია აღესრულება, თავის-

თავში კაცობრიობის ისტორიის იდუმალ აზრს რომ მოიცავს. ასეთია, როგორც ჩანს, მსოფლიო ქაოსზე ამაღლებული ამ ხილვის მნიშვნელობა, ასერიგად რომ აკრთობს ჩვენს გულებს. ყველა ამ განსაკრთომელის მიღმა, იქ, სადაც ლიტურგია სრულდება, ევქარისტული საიდუმლოს ჟამს, სხვა ხილვა ჩნდება: საყდარი... მასზედ მჯდომი ის ვისკენაც მიემართება კრავი, შეწირული... მოხუცები და საყდარს გარშემომრტყმელი ანგელოზთა გუნდები.

იქ მარადიული სიმართლის დღესასწაულია, იქ აუწერელი ნათლის ნაკადია, იქ ქებისა და დიდების სიტყვები გაისმის, გინებისა და წყევლის, კვნესისა და უკმაყოფილების ხმებს რომ ახშობს: „შენ გიგალობთ, შენ გაკურთხევთ, შენ გმადლობთ, უფალო".

მიწიერი ჰიმნი ზეციურს ერწყმის: მიწიერ „ამინს" ანგელოზთა ათასეულებისა და ყოველი ქმნილების ხმა უერთდება.

ა. ცოლგინი

თარგმნა ზ. ფირალიშვილმა.

# გერმანელი მისტიკოსები

## შერჩეული ტექსტები

### ტექსტები

დავით აუგსბურგელისა, დიონისე კარტოიზერისა, მაისტერ ეკჰარტისა, ელიზაბეთ შიონაუელისა, გერტრუდ დიდისა, გიზელჰერ ზლაუჰაიმელისა, ჰილდეგარდ ბინგენელისა, იორდან საქსონელისა, მეხტილდ ჰაკებორნელისა, მეხტილდ მაგდებურგელისა, თომა ქემპიელისა, ნიკოლოზ კუზანელისა, იოანე რუისბრუკისა, ჰაინრიხ სუზოსი, იოანე ფონ შტერნგასისა, იოანე ტაულერისა.

გამოცემა და შესავალი

გ უ ნ დ ო ლ ფ   გ ი ე რ ა თ ი ს ა

ციურიხი - კიოლნი, 1977

გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები
დაურთო ვ ი ქ ტ ო რ  რ ც ხ ი ლ ა ძ ე მ

# შ ი ნ ა ა რ ს ი

მთარგმნელისაგან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 76

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

შემდგენლის წინასიტყვაობა . . . . . . . . . . . . . . . . . 79

I. მისტიკა, როგორც ელემენტი ღვთისმოსაობისა . . . . . . . . 81
1. ჭეშმარიტი და ყალბი მისტიკა . . . . . . . . . . . . . . . 81
2. მიზანი და გზები მისტიკისა . . . . . . . . . . . . . . . . 87
3. მისტიური ფენომენები . . . . . . . . . . . . . . . . . . . 91
4. მისტიკისადმი მოწოდება . . . . . . . . . . . . . . . . . . 96

II. გერმანული მისტიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101
1. გერმანული მისტიკის აღმოცენება . . . . . . . . . . . . . 102
2. გერმანული მისტიკის ნიშან-თვისებანი . . . . . . . . . . . 107
ა. სქოლასტიკური დაფუძნება . . . . . . . . . . . . . . . . 107
ბ. ნეოპლატონიკური ელემენტი . . . . . . . . . . . . . . . 109
გ. გერმანული ენა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 111
დ. განმცდელი სული . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 115
3. გერმანული მისტიკის ისტორია . . . . . . . . . . . . . . . 118
ა. მიმოხილვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 118
ბ. ბიოგრაფიული ცნობები . . . . . . . . . . . . . . . . . 122
სიტყვათა განმარტებანი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 132

შ ე რ ჩ ე უ ლ ი  ტ ე ქ ს ტ ე ბ ი


I. ღმერთი ყველაფერი-ყოველივეში . . . . . . . . . . . . . . . . . I36

1. ღვთის გამოცხადება . . . . . . . . . . . . . . . . . . . I37

ღვთის ყველგან სუფევა . . . . . . . . . . . . . . . . . I37

ღვთის სიდიადე და შვენიერება . . . . . . . . . . . . . . I40

ღვთის სიყვარული . . . . . . . . . . . . . . . . . . . I43

ღვთის მოწოდება . . . . . . . . . . . . . . . . . . . I49

ღმერთი ჩვენში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . I5I

2. ადამიანის პასუხი . . . . . . . . . . . . . . . . . . I55

სიხარული ბუნების მიმართ . . . . . . . . . . . . . . . I55

მოთხოვნილება ღვთისა . . . . . . . . . . . . . . . . . I56

ღმერთზე მინდობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . I62

ღვთის ნების აღსრულება . . . . . . . . . . . . . . . . I64

მადლიერება და ქების შესხმა . . . . . . . . . . . . . . I69

3. მისტიკოსები თავიანთი თავის შესახებ . . . . . . . . . . . I75

ჰილდეგარდ ბინგენელი . . . . . . . . . . . . . . . . . I75

ელიზაბეთ შიონაუელი . . . . . . . . . . . . . . . . . I77

მეხტილდ მაგდებურგელი . . . . . . . . . . . . . . . . I8I

ჰაინრიხ სუზო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . I83

II. განწმენდილი ცხოვრება . . . . . . . . . . . . . . . . . I84

1. ადამიანი ღვთის ნების შესაბამისად . . . . . . . . . . . . I9[illegible]

ჭეშმარიტი ადამიანის შესახებ . . . . . . . . . . . . . . I8[illegible]

სიმშვიდე თვითუარყოფისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 190

შინაგანი მშვიდობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 194

ცხოვრების წესები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 199

2. კეთილისმყოფელობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 202

რწმენა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 202

სიყვარული . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 205

მორჩილება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 211

თავმდაბლობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 213

3. ღმერთი ყოველდღიურობაში . . . . . . . . . . . . . . . . 215

შრომა და პროფესია . . . . . . . . . . . . . . . . . . . 215

ავადმყოფობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 218

# მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ს ა გ ა ნ

ქართველი მკითხველის გარკვეული რაოდენობა დღეს გაუგებრად შეხვდება ამ წიგნს. ამ გაუგებრობის გამომწვევ მიზეზად არ ვგულისხმობთ იმას, რომ მოყვანილი ტექსტების ავტორები (მისტიკოსები) სხვა ერისა და ჩვენგან მოშორებული ეპოქის წარმომადგენლები არიან და მათი ლიტერატურული სტილი, ბუნებრივია, თავისი დროის ნიშანს ატარებს. არც იმას ვგულისხმობთ, რომ ჩვენს. მკითხველს შესაძლოა აკლდეს შესაბამისი ც ო დ ნ ა თვით რელიგიის, მის მოძღვრებათა და ისტორიის შესახებ. არა, ეს ცოდნა შესაძლოა მას კიდევაც ჰქონდეს და მაინც გაუგებრად შეხვდეს ამ წიგნს, რადგან ეს სხვა პრინციპული ხასიათის გაუგებრობაა. საქმე ისაა, რომ გაუგებრად ამ წიგნს შეხვდება ის მკითხველი, რომელიც თ ვ ი თ ა რ ა რ ი ს ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ რ ე ლ ი გ ი უ რ ი , ზიარებული ეგრეთწოდებულ რელიგიურ გამოცდილებას, რელიგიურ განცდას. ვისაც, სულ მცირე, ლოცვით მოპოვებული ნეტარება არ განუცდია, ის ვერ გაიგებს არა მარტო სპეციფიკურ მისტიურ გამოთქმებს, რომელთა ლექსიკონსაც საგანგებოდ ურთავს თავის „შესავალს" კრებულის შემდგენელი, არამედ ზოგად გამოთქმებსაც, რადგან მათაც გააჩნიათ გარკვეული დატვირთვა და მნიშვნელობა, რაც ირელიგიური მკითხველისათვის მიუწვდომელია. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება ერთი თვალსაჩინო ფილოსოფოსის გამონათქვამი: „ენა, რომელშიც გამოხატულებას პოულობს რელიგიური ურთიერთობა, ყოველთვის უნდა იყოს გრძნობად-სულიერი. ისეთი სიმბოლოები, როგორიცაა სინათლე, სიწმინდე, სიმაღლე – ღვთაებრივი არსების ღირებულებათა გამოხატულებად გვევლინებიან,

რომელთაც გრძნობა შეიმეცნებს ცდაში".[1] ამგვარად, ვისაც ასეთი გამოცდილება არა აქვს, ვიმეორებთ, იგი ჯეროვნად ვერ ჩასწვდება მისტიკოსთა გამონათქვამებს. ასეთი მკითხველი, მომიტევოს მკითხველმა ეს შედარება, დაემსგავსებოდა იმ კაცს, რომელიც მუსიკაზე დაწერილ წიგნს კითხულობს და თვით მუსიკის მიმართ მგრძნობელობა აქვს დაკარგული.

და, მიუხედავად ამისა, ეს წიგნი მაინც ფ ა რ თ ო მკითხველისადმი არის მიმართული. ამ ოთხიოდ წლის წინ (1977 წელს) დასავლეთში გამოცემული ეს წიგნი მოწოდებულია სულიერ ინდიფერენტიზმსა და დეკადანსში მყოფნი გამოაფხიზლოს და სულიერ საუნჯეთ აზიაროს. შემდგენელი თავის „შესავალში" სიტყვა-სიტყვით ამბობს შემდეგს: „ჩვენი კულტურის ახალი ორიენტირება, რომელზედაც ამდენს საუბრობენ, უნდა დაუკავშირდეს ჩვენი წარსულის კეთილ სიძველეს. იგი გვიჩვენებს, რომ რელიგია ადამიანებში ულრმესი და შინაგანად აუცილებელია და იგი უნდა წარმოადგენდეს მთელი ჩვენი სიცოცხლის საყრდენ საფუძველს". ძნელია არ დაეთანხმო ამ სიტყვებს. ყველა ის დაბრკოლება, რომელიც წინ უდგას ზემოთქმულის განხორციელებას და რომელსაც ჩამოთვლის ამ კრებულის შემდგენელი, ჩვენთვისაც არსებობს და ამას ემატება ჩვენი რეალობაც. ამიტომ ჩვენც უნდა დავუკავშირდეთ „ჩვენი წარსულის კეთილ სიძველეს", მითუმეტეს, რომ ამის მდიდარი ტრადიცია გაგვაჩნია: არსებობს ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში შექმნილი ქართული ორიგინალური ასკეტურ-მისტიკური ხასიათის თხზულება და განსაკუთრებით მდიდარი თარგმნილი ლიტერატურა ამავე ხასიათისა.[2] და ეს ყველაფერი შექმნილია ძირითადად მე-14

---

1. ვილჰელმ დილთაი (1833-1911), ფილოსოფიის არსი, იხ. წიგნში: Философия в систематическом изложении, СПБ, 1909г.

2. იხ. კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბ., 1960 წ. გვ. 544 და შემდეგ

საუკუნემდე, ე.ი. სწორედ იმ საუკუნემდე, როდესაც აღმოცენდა გერმანული მისტიკა. მართალია, და ამას შემდგენელიც ხაზს უსვამს - გერმანული მისტიკა ძალზე თავისთავადია. მაგრამ მას მაინც უფრო მეტი საერთო აქვს ზოგად მისტიურ ფენომენთან, რაც დადასტურებულია ფართო ლიტერატურაში. ამ წიგნის წაკითხვისას ჩვენი მკითხველი სხვა თვალით გადახედავს ჩვენს წინაპართა მიერ დაგროვილ სულიერ საუნჯეთ და, რაც მთავარია, იგი კეთილ ბიძგს მიიღებს რელიგიისა და კერძოდ, მისტიკის საკითხებში ჩასაღრმავებლად.

ე.რ.

---------------------------

# შემდგენელის წინასიტყვაობა

წინსვლითა და ამქვეყნიური კულტურით, რაციონალიზმითა და მატერიალიზმით ძალუმად შეპყრობილ ჩვენს დროში მისტიკაზე საუბარი პირველი შეხედვითა და ზედაპირული დაკვირვებით, მოსჩანს როგორც ცხოვრებისაგან განდგომა, არა თანადროულობა და არა აქტუალურობა. შესაძლოა გვისაყვედურონ, რომ ჩვენს ფხიზელ აწმყოში, რომელიც თითქმის მთლიანადაა დაკავებული საქმიანობით და არა არსებითით, რომელიც თავქუდმოგლეჯილი ილტვის სიახლეებისა და ძველის დამხობისაკენ და რომელიც შეპყრობილია ეგრეთწოდებული მენაჯერული ავადმყოფობით – თემა „მისტიკით" საუკუნეებით გარდასულ სამყაროს გავაღვიძებთ, რომელსაც დღეს აღარავითარი უფლება არა აქვს არსებობაზე. ხშირად მისტიკაზე გააჩნიათ ბუნდოვანი და ამით არასწორი წარმოდგენა და მას თვლიან ქვეყნიდან დაშორებად, ცხოვრებისადმი გამოუსადეგრობად და აგრეთვე რელიგიურ ფანტაზიორობად, რომელსაც თან დასდევს გარკვეული ელფერი რომანტიზმისა და რომელიც აგრეთვე ზოგჯერ დაკავშირებულია ოკულტურ ლტოლვებთან. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მას დღეს?! რაიმე ამდაგვარისათვის ჩვენ არ გაგვაჩნია არც დრო და არც ინტერესი. ჩვენ იძულებულნი ვართ დღეთა სიდუხჭირისა და ცხოვრების სიძნელის გამო აწმყო თავისი კონკრეტული პრობლემებით ისე მივიღოთ, როგორც იგი არის; ჩვენ დღევანდელი სიტუაცია უნდა მივიღოთ და დავძლიოთ, თუკი საერთოდ გვსურს დროულნი ვიყოთ და სხვებს არ ჩამოვრჩეთ.

მიუხედავად ამისა, შეიძლება სწორედ მისტიკოსებმა და განსაკუთრებით გერმანელმა მისტიკოსებმა, რაიმე გვაუწყონ. ამით არ მტკიცდება და არც მინიშნებულია, რომ ჩვენ ყველა მისტიკოსები უნდა ვიყოთ ან გავხდეთ. მაგრამ ჩვენი ცხოვრების წესისათვის და აწმყოს პრობლემებთან

ჩვენი მიმართებისათვის მაინც შეგვიძლია ზოგიერთი რამ მისტიკოსებისაგან, პირველ ყოვლისა ჩვენი გერმანელი მისტიკოსებისაგან, ვისწავლოთ. ჰარმონიული შინაგანი ცხოვრების იმ ეპოქას შეეძლო დიდად შეეწყო ხელი სულთა სიცხადისა, გამაგრებისა და მათი შერიგებისათვის. ჩვენი კულტურის ახალი ორიენტირება, რომელზედაც ამდენს საუბრობენ, უნდა დაუკავშირდეს ჩვენი წარსულის კეთილ სიძველეს. იგი გვიჩვენებს, რომ რელიგია ადამიანებში უღრმესი და შინაგანად აუცილებელია და იგი უნდა წარმოადგენდეს მთელი ჩვენი სიცოცხლის საყრდენ საფუძველს. ანდრე მარი ამპერმა, ერთ-ერთმა უდიდესმა ბუნების მკვლევარმა მე-19 საუკუნისა, ორმოცდასამი წლის ასაკში, სამი წლით ადრე თავისი ელექტროდინამიკური თეორიის გამოქვეყნებამდე, ასეთი რამ დაწერა: „შეისწავლე ამ სამყაროს საგნები, ეს შენი პროფესიის მოვალეობაა; მაგრამ მიაპყარ მათ მხოლოდ ცალი თვალი, ხოლო მეორე-მუდმივ გქონდეს მიმართული მარადიულ სინათლეზე! უსმინე სწავლულებს, მაგრამ მხოლოდ ცალი ყურით! წერე მხოლოდ ერთი ხელით, მეორე კი ჩასჭიდე ღვთის სამოსელს, ისევე, როგორც ბავშვი ებღაუჭება მამის ტანსაცმელს! ამ წინდახედულების გარეშე ნამდვილად კლდიდან გადაიჩეხები".[1] ღმერთთან დაკავშირებული სიცოცხლე, როგორც ეს განსაკუთრებული გამოხატულებით მისტიკოსებმა გვიჩვენეს, გვაძლევს ხსნის საშუალებას ჩვენი დროის უმთავრეს ვნებათაგან: მატერიალისტური აზროვნების მანერისა და უსაზღვრო მინდობისაგან გარე სამყაროზე. ისინი ამავე დროს გვეხმარებიან, რათა გულის სიღრმეში ადგილი დავუთმოთ ცოცხალი ღმერთის საუნჯეთ.

---

I. ციტირებულია: F. Büchner, Das Menschenbild der modernen Medizin, Freiburg/Brsg. 1948, S. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შესავალი

## I. მისტიკა, როგორც ელემენტი ღვთისმოსაობისა

„მისტიკა" („Mystik") მომდინარეობს ბერძნული ზმნიდან „მიეინ" („myein"). ეს ზმნა ნიშნავს „დახურვას", „თვალთა დახუჭვას", ზოგადად კი გრძნობათა დახშობას. სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით მისტიკოსში ესმით ადამიანი, რომელიც ყოველგვარ გარეგან შთაბეჭდილებათაგან თავისუფლდება, რომელიც გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ყველა ხიდს ამსხვრევს, რათა შინაგან კონცენტრაციას მიაღწიოს, მთლიანად უსასრულო ღმერთში ჩაიძიროს და მასთან ინტიმური ორთა-განმარტოებული დიალოგი აწარმოოს. აქ ჰპოვებს მაძიებელი გული სიმშვიდეს ღმერთზე დანდობით, რომელიც მათ, რომელთაც იგი უყვართ, ყოველივეს საკეთილოდ წარუმართავს (შდრ. რომ. 8.28).

რადგან ის ნეტარების მომნიჭებელი სიმშვიდე, რომელიც მომდინარეობს ღვთის კეთილმოსურნე განგების ნდობიდან, მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანულ მისტიკაში მოიპოვება და არა რომელიმე მისტიციზმში, პირველყოვლისა უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რა გვესმის ჭეშმარიტ მისტიკაში.

## I. ჭეშმარი ი და ყალბი მისტიკა

მისტიციზმი და მისტიკა იმაში თანხმდებიან, რომ ორივეს სურს ინტიმური ურთიერთობის დამყარება უსასრულოსთან. უსასრულოსთან – რადგან

არა ყოველთ, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე მისტიკური საკითხებით იყვნენ დაკავებულნი, სწამდათ უსასრულო ღვთისა, რომელმაც ყოველივე უწყის და ყოველივეს წარმართავს. და მაინც ილტვოდნენ ისინი ურთიერთობის დამყარებისაკენ რაღაცასთან, უსასრულოსთან, რომელიც ყოველივე სასრულს აღემატება. სხვაგვარად ფიქრობდნენ ამასთან დაკავშირებით შორეული აღმოსავლეთის ხალხები, სადაც ბუდა ნირვანაზე მეტყველებდა, რაც აქ, ევროპაში, დიდი ხნის განმავლობაში როგორც არარაობა ესმოდათ და რომელსაც ბუდისტებისათვის განუსაზღვრელი უსასრულოს მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს; სხვაგვარად ფიქრობდნენ წინააზიისა და ევროპის მკვიდრნი, რომელნიც მკვეთრად გამოკვეთილი ღვთაებრივი ფორმებისადმი - გაღმერთებული ადამიანებისადმი ალაპყრობდნენ თვალს. მათ სწამდათ, რომ მათი ღმერთები მათზე უსასრულოდ მაღლა იმყოფებოდნენ თავიანთი სიძლიერისა და ზემოქმედების უნარის წყალობით. ამიტომაც ისინი განსაცვიფრებლად ირჯებოდნენ, რათა მათი წყალობა მოეპოვებინათ. მათ სწამდათ, რომ ინტიმურ ურთიერთობას ისინი მისტერიებით, იდუმალი კულტის მეშვეობით მიაღწევდნენ. თუ რა ძალაუფლება გააჩნდა წინაქრისტიანულ კაცობრიობაზე კულტის წესების აღსრულებას, რომელიც გამოწვეული იყო მისტიური შეერთების სურვილით, ეს ყველაზე ნათლად ჩანს რჩეული ხალხის ისტორიიდან. მიუხედავად იაჰვეს დიდი საქმეებისა, მოსეს მოწოდებებისა, წინასწარმეტყველთა გაფრთხილებებისა, მას კვლავ და კვლავ წასძლევდა ცთუნება ამ წარმართულ კულტმსახურებაში მონაწილეობის ნისაღებად. მისტიურ-იდუმალებით-აღსავსე უზარმაზარ ზეგავლენას ახდენდა არა მხოლოდ უბრალო ხალხზე, არამედ აგრეთვე ქურუმთა კლასზე და მეფეებზე. მხოლოდ ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებული ებრაელები აზაღდნენ ამაზე.

ამის საპირისპიროდ ჭეშმარიტი მისტიკა ნიშნავს ადამიანის განსაკუთრებულ ურთიერთობას ჭეშმარიტ ღმერთთან, რომელიც მარ[illegible] უსასრულოა. ეს განსაკუთრებული ურთიერთობა მდგომარეობს იმაში, რომ სხვ

ზე მიჯაჭვული სული როგორღაც თავის ზღვრებზე ამაღლებულად და უსასრულო ღმერთთან შეერთებისაკენ წარტაცებულად გრძნობს თავს. შესაძლოა მისტიკის ამოსავალი წერტილი ყველგან ერთი და იგივეა, შესაძლოა თვით გზა მედიტაციებზე ანუ ჩაძირვებზე, ასკეტობაზე, მარტოობაზე და ამდაგვარებზე დიდ მანძილზე ერთი და იგივე იყოს, მიზანი კი ძალზე განსხვავებულია, იმისდა მიხედვით, თუ რა შეხედულებისაა მისტიკოსი სამყაროზე და სამყაროს მიზეზზე, ღმერთზე და ადამიანებზე. ტოტაპური, რამაკრიშნას გვიანდელი მასწავლებელი, დასცინოდა თავისი მოწაფის „გულუბრყვილო“ შეხედულებას და ფიქრობდა, რომ იგი კვლავ მოიქცეოდა პიროვნული ღმერთის ცრურწმენისაგან, რაც მოწაფემ მართლაც აღასრულა თავისი მასწავლებლის დაუნდობელი, ჩაგონებითი ზემოქმედების წყალობით, რასაც წინ უძღოდა მძიმე ბრძოლა საკუთარ სინდისთან. მაგრამ ქრისტიან მისტიკოსს მიზნად ესახება უშუალო კონტაქტი არა პანთეისტურად გააზრებულ ღმერთთან, არამედ გამოცხადების პიროვნული ღმერთის „შენთან“, რომელიც მისთვის მამა, ძმა და მეგობარია. ამაში ძევს ფუნდამენტალური სხვაობა ქრისტიანულ მისტიკასა და ყველა სხვა დანარჩენ არაქრისტიანულ მისტიკას შორის. რადგან ქრისტიანული მისტიკა არის „წვდომა ანუ განცდა წყალობით მონიჭებული შეერთებისა სულისა ღმერთთან, რომლის დროსაც სულის უნართა მეშვეობით, განსაკუთრებით გაგებისა და სიბრძნის უნართა მეშვეობით, ხდება გაღრმავება და განწმენდა ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა შემეცნებისა ჭეშმარიტების უბრალო აღქმად ან ჭვრეტად, სიყვარული ღვთისა და ადამიანებისა კი საოცრად მრავლდება და აღიგზნება, და ღვთით სიხარული ძლიერდება ზეციური ნეტარების ტკბობამდე“.[I]

---

I. E. Krebs, Grundfragen der kirchlichen Mystik, Freiburg/Brsg. 1921, S. 36.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ესაა უკვე ამქვეყნად მაქსიმალურად ამაღლებული იდუმალებით აღსავსე შეერთება ადამიანისა ღმერთთან ყოვიერებით, შემეცნებით, შეგრძნებით და ქმედობით, როგორც წინასაუფხური და წინასწარმემზადება მომავალ იმქვეყნიურ სრულყოფისა უსასრულო ღმერთთან ერთიანობაში. ყველა მისტიკოსისათვის საერთო არის ვნებით აღსავსე ძიება ღვთისა.

როცა უსასრულო ყალბადაა გაგებული, მაშინ საქმე გვაქვს არა ჭეშმარიტ მისტიკასთან, არამედ მის კარიკატურასთან, მისტიციზმთან. მაგრამ თუ უსასრულო სწორადაა აღქმული და თუ სწორი საშუალებები გამოიყენება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ჭეშმარიტ მისტიკაზე ვისაუბროთ. ეს შესაძლებელია აგრეთვე ბუნებრივ წყობაში. ღმერთს უდავოდ ძალუძს ისეთი ჩვენება მიანიჭოს ადამიანს ან იმდაგვარი ზემოქმედება მოახდინოს მასზე, რომელსაც იგი წმინდა ბუნებრივ ყოფაში ამყოფებდა, რომ იგი ნათელ, ცდისმიერ შემეცნებას მიაღწევდა იმისას, რომ ღმერთია ამის შემოქმედი, რომ, მაშასადამე, ღმერთი განსაკუთრებული გზით იმყოფება და მოქმედია მასში. მთელი ეს განცდა ბუნებრივი წყობის სფეროში იქნებოდა, რადგან ღმერთი, როგორც ბუნების შემოქმედი იქნებოდა მისი მომნიჭებელი, რადგან მიზანი ბუნებრივია და აგრეთვე მისი მიმღებიც განეკუთვნებოდა მხოლოდ ბუნებრივ წყობას.

აგრეთვე ახლანდელ წყობაში, სადაც ადამიანი ზებუნებრივისაკენაა მოწოდებული, ღმერთს ძალუძს ცოდვილს მიანიჭოს მისტიური განცდა. ეს მადლი მისი მიმღების მიერ ბუნებრივად უნდა ჩათვლილიყო, რადგანაც მას, თუმცა ზებუნებრივისაკენ მოწოდებულს, ნამდვილად აკლდა იგი. მაგრამ ეს მადლი მაინც ზებუნებრივი იქნებოდა, რადგან, როგორც შემოქმედი წყალობათა სისტემისა ღმერთი ანიჭებს მას ადამიანს, რათა ამ უკანასკნელმა ქრისტეს დამსახურებათა გამო მარადიულ ხსნას მიაღწიოს.

ღვთის სიახლოვის ასეთი გამოცდილება ისტორიულად დადასტურებულია. წმიდა ავგუსტინე, სანამ ქრისტიანი გახდებოდა, გატაცებული იყო ნეოპლატონიკოსთა მისტიური მოძღვრებით, მაგრამ როდესაც იგი საკუთარ თავში ჩაღრმავდა, მან მიიღო ჭეშმარიტი მისტიური განცდა. თავის აღსარებაში (I/7) იგი წერს: „მე ვუმზერდი ჩემი სულიერი თვალით, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ უსუსური იყო, ჩემი სულის მიღმა უცვლელ სინათლეს; იგი არ იყო ჩვეულებრივი, ყველა ძე ხორციელისათვის ხილული სინათლე და არც იმავე ბუნების, მხოლოდ უფრო მეტად და ნათლად გამობრწყინებული, რომელიც თავისი სიდიდით ყოველივეს აღავსებდა. ასეთი არ იყო იგი. იგი იყო უმაღლესი ბუნების, რადგან მან თვით მე შემქმნა და მე ვარ მდაბალი ბუნების, რადგან მე მისი შექმნილი ვარ: ვინც უწყის ჭეშმარიტება, მან იგი უწყის; და ვინც იგი უწყის, მან უწყის მარადისობა. სიყვარულმა უწყის იგი. ო, მარადიულო ჭეშმარიტებავ, ჭეშმარიტო სიყვარულო და საყვარელო მარადისობავ, შენა ხარ ღმერთი ჩემი. შენ მოგიხმობ დღისითა და ღამით. რაწამსაც შეგიმეცნე – შენ ამამაღლე, რათა მენახა, რომ არსებობს იგი ნამდვილად, რასაც მე ვუმზერ და მხოლოდ მე არ ძალმიძს ჯერ კიდევ მისი დანახვა“.

დაეუშვებთ რა მისტიური განცდის სინამდვილეს მოუნათლავებთან – და ეს ძალაშია მრავალი წარმართის, პირველ ყოვლისა, სამი კეთილშობილი ბერძენის: სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს მიმართ, რომელნიც მაღალ რელიგიურ შემეცნებამდე ამაღლდნენ, მაშინ, პირველ რიგში, იგი უნდა ვაღიაროთ ზოგად ქრისტიანულ სფეროში, იქნება ეს კათოლიკურ ეკლესიაში თუ სხვა ქრისტიანულ განშტოებასა და საზოგადოებაში, რადგან Catholica-ს წევრობის გარეშეც შესაძლებელია წყალობის შინაგანი განცდა. ჭეშმარიტი მისტიური განცდა ჰქონდა ნეტარ დომინიკელ მონაზონს ოსანნა კატაროელს იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ ორთოდოქსალური ქრისტიანი იყო. იგი იყო შვილი ღვთისმოსავ, მაგრამ სხიზმაში

მყოფ მშობლებისა. ოსანნა გაბედნიერდა ყრმა იესოს გამოცხადებით მანტენეგროს მთებში, როდესაც იქ მამამისის ცხვრებს მწყემსავდა. ამის მერე იგი შეიპყრო დაუოკებელმა წყურვილმა სოფლიდან ქალაქ კატაროში წასულიყო, რათა იქ საფუძვლიანად ზიარებოდა რწმენის ჭეშმარიტებებს. იგი მივიდა იქ, როგორც მოსამსახურე გოგონა და აღასრულა იქ თავისი დღენი, როგორც კათოლიკე განდეგილმა, განვლო რა გრძელი ცხოვრება აღსავსე მისტიურ წყალობათა და საქმეთაგან სინანულისა.[2] მისტიური განცდა ისევე ჭეშმარიტი დარჩებოდა, ოსანნა კატაროში რომც არ მისულიყო ან იქ კათოლიკური ეკლესიის წიაღში არ დამკვიდრებულიყო.

ვინ ისურვებდა სიცრუე ეწოდებინა კეთილშობილ, ღვთისმოსავ ორთოდოქსთა და პროტესტანტთა მონათხრობთათვის თავიანთ რელიგიურ აღტაცებაზე სულში ღვთის დამკვიდრების გამო? გრაფინია შტოლბერგ-შტოლბერგის წერილებიდან მისი შვილის ფრიდრიხ ლეოპოლდისადმი, შემდგომში დიდი კონვერტიტისა, ცნაურდება ისეთი ღრმა სიყვარული მაცხოვრისადმი, რომ ამ მანდილოსნის აღტაცებას წმინდა წერილის კითხვისას ნამდვილად შეიძლება ეწოდოს ღვთის მისტიური შემეცნება.[3] იგივე შეიძლება ითქვას ღვთისმოსავ კლოპშტოკზე, როდესაც იგი „მესიას“ წერდა და ნოვალისზე, როდესაც იგი თავის „თუ მხოლოდ ის მეყოლება“-ს მღეროდა.

---

2. Acta Apostolicae Sedis 20 (1928) 39-42.
3. J. Jansen, Friedrich Leopold Graf von Stolberg, 4. Aufl., Freiburg/Brsg. 1910, S.14.

## 2. მიზანი და გზები მისტიკისა

მისტიკის წინა პლანზე დგას მადლმოსილ სულში დამკვიდრებული ღმერთი. სრული შეერთება, რა თქმა უნდა, ხდება იმქვეყნად ღვთის ნეტარ ჭვრეტისას. მაგრამ უკვე აქ, დედამიწაზე, ადამიანი მოწოდებულია ღმერთთან უმაღლეს ხარისხში გაერთიანებისათვის შემეცნებასა და სიყვარულში: „და ესე არს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესო ქრისტე". (იოანე, I7,3). მისტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ ღმერთი სულის სიღრმეში შემოდის და იქ ქმედობს. ღვთის მოპოვებაა ის ნამდვილი ამოცანა, რომელსაც ისახავს მისტიკოსი. აქ შესაძლებელი იყო ორი გზა. ღმერთს შეეძლო სულთან უშუალოდ მისვლა, ან, სულს თავისით ძალუძდა მიღწევა ღვთისა.

პირველ შემთხვევაში ღმერთი თავის ყოფნას გამოაცხადებდა განსაკუთრებული წყალობით. ამის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ უფლის გამოსათხოვარ სიტყვებში: „რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი ... უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ... მას დღესა შინა სცნათ თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის" (იოანე I4,20 და შ.). პავლემ აუწყა რომაელთ: „იგივე სული ეწამების სულსა ამას ჩუენსა, რამეთუ ვართ შვილნი ღმრთისანი" (8,I6). და კორინთელთ მან მისწერა: „ხოლო რომელი შეეყოს უფალსა, ერთ სულ არს უფლისა თანა... არა უწყითა, რამეთუ ხორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან" (I კორ. 6,I7 და შ.)? ამ და მსგავსი სიტყვებით წმიდა წერილისა ჩვენი

კავშირი ღმერთთან, და კერძოდ, სამპიროვნულ ღმერთთან, რომელიც ასე-თად გამოეცხადა კაცობრიობას, სავსებით ნათლადაა გამოთქმული და წე-წერილში თითოეულისათვის პერსპექტივაა დასახული, რომ იგი ღვთის ამ სიახლოვეს შეიტყობს: „გამოუცხადო მას თავი ჩემი“. ეს უნდა იყოს რა-ღაც პიროვნული, რომელიც თავისი შინაარსით არ განსხვავდება იმ გამო-ცხადებისაგან, რომელიც ყველამ მიიღო, არამედ იგი განსხვავდება მის-გან შესაბამისად ახალი უწყებისა. ამას ადასტურებენ სიტყვები: „მას დღესა შინა სცნათ თქვენ, რამეთუ თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის“. მოწაფენი იმ დროს მასში იმყოფებოდნენ გამაწმინდანებელი წყალობის მე-შვეობით, მაგრამ მაშინ გამოცდილება აკლდათ მათ. სწორედ ეს დაუსახა მან მათ იმედად. ესაა მისტიური გამოცდილება. იგი გამოწვეული იყო და გამოწვეული იქნება სული წმიდას მეშვეობით, რომელიც მართლებშია დასა-დგურებული და რომელიც მათ ყოველივეს ახსენებს, რაც ქრისტემ თქვა, რომელიც მათ უდასტურებს, რომ ისინი ღვთის შვილნი არიან და ცის მემ-კვიდრენი. ყოველივე ზემოთქმული შეეხება არა მხოლოდ მოციქულებს. მას აქვს საყოველთაო მნიშვნელობა, როგორც ამას გამოცხადებაი იოანესი გვაუწყებს: „აჰა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვჰრეკ. უკუეთუ ვინ ისმი-ნოს ხმისა ჩემისაი და განაღოს კარი, და შევიდე მის თანა და ვჭამო მის თანა სერი“ (3,20).

მეორე გზა ითხოვს, რომ მიმადლებულმა თავის სულში ყოველი დაბრ-კოლება გადალახოს, რათა მასში დავანებული ღმერთი აღმოაჩინოს. ამო-სული იმ ფაქტიდან, რომ ჩვენი მიწიერი სიცოცხლე წარმოადგენს მგზავ-რობას, მოგზაურობას უცხოეთიდან სამშობლოსაკენ, მისტიური ცხოვრების პროგრამაში ხედავდნენ ყოველგვარ ამქვეყნიურიდან განდგომას (ლუკა I4,33), სრულ თვითუარყოფას, ჯვრის მოთმინებით ზიდვას და ქრისტეს მიმდევრობას (მათე I6,24), რათა საბოლოოდ იმ ადგილისათვის მიეღწიათ,

სადაც შესაძლებელი იქნებოდა ღვთის პირისპირ ხილვა, ისე როგორიც არის იგი (კორ. I3,I2; I იოანე 3,2). მრავალი საეკლესიო მამის მიხედვით ჭეშმარიტი სამშობლოსაკენ წარმართულ ამ გზას სამ სტადიათ ჰყოფენ. ესაა გზა განწმენდისა, ნათლის მოფენისა და შეერთებისა. განწმენდის გზაში ესმოდათ ჩამოშორება ყოველივე მიწიერისა, გზა ნათლის მოფენისა არის სიბრძნის წყალობით მონიჭებული კონტემპლაცია, და გზა შეერთებისა სხვა არა არის რა, თუ არა შემეცნებისმიერი და ნებისეული შეერთება ღმერთთან სულის სიღრმეში. მოკლე და პირდაპირ კლასიკურ ფორმულირებას აძლევს მისტიურ გზას ჰაინრიხ სუზო (სიცოცხლე, თავ.49-ე) ცნობილ გამონათქვამში: „მშვიდი ადამიანი უნდა ჩამოშორდეს (entbildet) ქმნილებისეულს (გზა განწმენდისა), წარმოიქმნას (gebildet) ქრისტესთან ერთად (გზა ნათლის მოფენისა) და გარდაიქმნას (überbildet) ღვთაებაში (გზა შეერთებისა)“. სხვა ადგილას (მე-3 ქადაგება) სუზო ამბობს: „სხვა არაფერი არ უნდა ისურვო, გარდა იმისა, რომ საყვარელმა ღმერთმა შენ ყოველი დაბრკოლება ჩამოგაცილოს და დაბრკოლების გარეშე მთლიანად თავის თავს შეგიერთოს“. აღსანიშნავია აგრეთვე, თუ მაისტერ ეკჰარტი (58-ე ქადაგება) მისტიური ცხოვრების გარჯასა და მიზანს როგორ განაზოგადებს: „თუ ღმერთი უნდა შემოვიდეს, ქმნილება უნდა გავიდეს“. უამრავ ასეთ გამოთქმათა მოყვანა შეიძლება. კვლავ და კვლავ აყენებენ მისტიკოსები ასეთ მოთხოვნას: გულიდან ამოგდება ყოველგვარი ქაოსური სიყვარულისა ამქვეყნიურისადმი, უარყოფა და აუშფოთველობა წინაშე ყოველივე მიწიერისა ისე, რომ სული თავისუფალი და ხსნილი იყოს ღვთისათვის.

ბრწყინვალე ფერებით აღწერენ მისტიკოსები ღვთაებრივი სიყვარულის ზემოქმედებას და სურათს სულის იმ იდუმალებით აღსავსე მდგომარეობისას, როდესაც ადამიანი ჩვეულებრივ მადლზე გაცილებით მაღლა ზებუნებრივი სიცოცხლით აღსავსეა, ღმერთს უშუალოდ თავის თავში განიცდის და მასთან იმდაგვარ გაერთიანებას აღწევს, რომ ღვთის მსგავსება სულ-

ში უმაღლეს სრულყოფილებას ღებულობს. ეს გაღმერთება იმდაგვარად უნდა გავიგოთ, რომ სული ქრისტეს მეშვეობით ეზიარება მადლის ზებუნებრივ სამეუფოს. ამის მერე იგი იძირება მარტოოდენ ღვთის ჭვრეტაში, აზროვნების გარეშე, შესაძლოა, თვით წარმოსახვითი სურათის გარეშე. მაგრამ ამ მდგომარეობაში სული იმყოფება არა პასიურად, არამედ ესაა წმინდა სულიერში აყვანილი ყურადღება, გულის უდიდესი დატვირთვა, ინტენსიურზე ინტენსიური სიცოცხლე. ნათელი შემეცნება და ზნეობრივი პასუხისმგებლობა დაცულია, მადლის ზემოქმედების ქვეშ სული ინარჩუნებს აქტივობას მაისტერ ეკჰარტის (58-ე ქადაგება) დევიზის მიხედვით: „შენი ნიღება შენი უმაღლესი მოღვაწეობაა". ან სხვა ადგილას (აფორიზმები, 33): „თუკი ადამიანი მჭვრეტელობაში იძირება, მაშინ მას მარტოოდენ სისავსისაგან აღარ ძალუძს, რომ არ გადმოსჩქეფდეს და იგი უნდა დაიღვაროს და უნდა დიდად ირჯებოდეს ქმედით ცხოვრებაში".

ჭეშმარიტი მისტიკა ყველა დროში არა მხოლოდ აუცილებელ სულის შინაგან ცხოვრებაზე იყო დამოკიდებული, არამედ იმავე დროს მან ცოცხალი ქმედითი ქრისტიანობა აღმოაცენა. ამის დასტურია ბევრი მისტიკოსი ქალი. თუმცა ეს მონაზვნები მთელი თავიანთი ვნებით ღვთისაკენ იყვნენ მიქცეულნი, მაგრამ ამის გამო მათი გულმოდგინება დროული ამოცანების მიმართ არ შენელებულა. ქრონიკები გვიჩვენებენ მოღვაწეობით აღსავსე ყოველდღიურობას, ისინი მოგვითხრობენ ზოგიერთ სამეურნეო წარმატებაზე, მათ ღრმა კავშირზე ქვეყნის ბედ-იღბალთან და ქრისტიანობასთან. წმიდა ჰილდეგარდ ბინგენელი მოგზაურობდა ქალაქად და სოფლად და იღვწოდა სამღვდელოების, ბერთა და ერის ზნეობათა რეფორმისათვის; ეპისკოპოსები, მონასტრის წინამძღვარნი, მეფენი და თავადნი მისგან ლამობდნენ რჩევა-დარიგების მიღებას და მიმოწერაში იმყოფებოდნენ მასთან. მარგარეტა ებნერის შესახებ ჩვენ ვიცით, რომ იგი სულიერად ძალზე იტანჯებოდა

იმპერატორსა და პაპს შორის ამტყდარი დავის გამო. მედინგენის მონასტერი დილინგენთან დიდი მადლიერებითა და ერთგულებით იყო აღსავსე ლუდვიგ ბავარიელის მიმართ, რადგან მან მრავალი წყალობა აღმოუჩინა მას. 1350 წელს კარლ IV დიდი ამალით გაემგზავრა ნიურნბერგიდან შორეულ ენგელტალის მონასტერში, რათა იქ ქრისტინა ებნერი მოენახულებინა და მისგან ლოცვა-კურთხევა გამოეთხოვა თავისა და სახელმწიფოს სასიკეთოდ.

## 3. მისტიური ფენომენები

გვიანდელ შუა საუკუნეებში მხურვალე მისტიკის განსაკუთრებულ ცენტრებად და თავშესაფრებად გვევლინებიან დომინიკანელ მონაზონთა გერმანული მონასტრები. საამისო მრავლისმეტყველი საბუთი გაგვაჩნია ცალკეულ გამოჩენილ, მისტიურად დაჯილდოებულ ქალთა ჩანაწერებში, როგორებიც იყვნენ მაგ. მარგარეტა ებნერი მედინგენში, ქრისტინა ებნერი და ადელაიდა ლანგმანი ენგელტალში. მარგარეტა ებნერმა ჩვენ დაგვიტოვა მისი „გამოცხადებანი". ქრისტინა ებნერმა, რომელიც იმავე გვარს ატარებს, მაგრამ მისი ნათესავი არ არის, თავისი მოძღვრის, დომინიკანელი კონრად ფიუსსენის მითითებით ჩაიწერა საკუთარი ხილვები; ამის მერე მან დაწერა პატარა წიგნი გარდაცვლილ მონაზვნების მისტიურ ცხოვრებაზე სათაურით – „წყალობათა სიმძიმის შესახებ". ამასთან ერთად ჩვენ გაგვაჩნია ქრონიკები სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის დომინიკანელ ქალთა მონასტრებიდან: მედინგენიდან – დილინგენთან, უნტერლინდიდან–კოლმართან (კათარინა გებვაილერი), ადელჰაუზენიდან–ფრაიბურგთან (ბრაისგაუ), კირხბერგიდან–ვიურტემბერგში, ტოსიდან–ვინტერტურთან (ელზბეტ შტაგე-

ლი), ოეტენბახიდან – ციურიხთან, კათარინენტალიდან–დიესჰოფენთან, ენგელტალიდან–ნიურნბერგთან, ვაილერიდან–ესლინგენთან. ამ ქრონიკებში თავმოყრილია ცალკეულ, გასსაკუთრებით სათნო და მისტიურ მონაზონთა ცხოვრებისეული სურათები. სხვა მონასტრებში მსგავსი ჩანაწერების არარსებობის გამო არ უნდა დავასკვნათ, რომ იქ მისტიური ცხოვრება ნაკლებად ცხოველი იყო. ზოგიერთი ძვირფასი ჩანაწერი შესაძლოა დაკარგული იყოს, როგორიცაა ალტენჰოჰენაუს მონასტრისა–როზენჰაიმთან.

ქრონიკების ავტორებია მონაზვნები, რომელთაგან ზოგიერთნი დიდად განათლებულნი, მჭერმეტყველნი და სულიერ ცხოვრებაში კარგად გათვითცნობიერებულნი არიან. იქ მოხსენიებულია უმშვენიერესი კეთილი საქმენი; მაგრამ იქვეა საუბარი ხილვებზე და აღფრთოვანებებზე, ექსტაზებზე და მოვლენებზე, გულის საიდუმლოებათა ჭვრეტაზე, წინასწარმეტყველებებზე, სასწაულებზე სხეულისა და სულის მიმართ. გმირულ მიღწევებზეა იქ საუბარი და მაინც ვერ იშორებ ზოგჯერ ფიქრს იმის შესახებ, რომ მათში სუფევს გარკვეული ავადმყოფური მიდრეკილება არაჩვეულებრივი საგნებისადმი, მოთხოვნილება განსაკუთრებულ ნუგეშისცემათათვის. ავტორები თითქოს ნადირობენ ღვთაებრივი მადლის ამ მოჩვენებით ნიშნებზე, დაეძებენ იმის დადასტურებას, რომ ყოვლადძლიერს მათი ცხოვრება, მათი ღვთისმოსაობა მოსწონს, რომ ისინი მას სწორი გზით თაყვანს სცემენ. ამით, რასაკვირველია, არაა ნათქვამი, რომ მისტიური ცხოვრების ფენომენები მე-14 საუკუნის ქალთა მონასტრებში მთლიანად ფანტაზიას ემყარებოდნენ. ზოგიერთ ცნობაში შეიძლება შეცდომა და გადამეტება გამოვყოთ. მაგრამ ასევე უნდა დავუშვათ, რომ ერთი ან სხვა შემთხვევის ასახსნელად დღეს ექიმისათვის უნდა მიგვემართა, რომ დღეს შეიძლება ამა თუ იმ შემთხვევისას ისტერიის დიაგნოზი დასმულიყო, თუნდაც ეს ცნობები ტრადიციული [illegible]ით თავიანთ მისტიურ და ისტორიულ ღირებულებას ინარჩუნებენ.

ისინი მხოლოდ დროის შესაფერისი გამოხატულებაა წრფელი ლტოლვისა სრულყოფილებისაკენ. მრავალი ეს ხილვა იმით უნდა აიხსნას, „რომ მისტიკოსი მთელი სულიერი ცხოვრების, განსაკუთრებით გულისა და ფანტაზიის მომცველ რელიგიურ შემეცნებებსა და განცდებს მის გარეთ უკეთებს პროეცირებას“.[4] რაც მისტიკოსმა „ჭვრეტისას მხურვალე აფექტებით გაიფიქრა, რაც მას მისმა ფანტაზიამ ნათელი საღებავებით დაუხატა, ადვილად იქცა ეს ღამის სიჩუმეში მისთვის სინამდვილედ. – უმრავლეს ხილვებს ადგილი აქვს დილაადრიან, დილის ლოცვის მერე – კლეროსთან ან თავის სამლოცველოში დაჩოქილი მისტიკოსისათვის, რომელიც მთლიანად ზებუნებრივის სფეროში ცხოვრობდა და არაჩვეულებრივ მოვლენებს ელოდებოდა. წმინდა შინაგანი პროცესი თითქოს დიალოგად განიყოფა და დრამატულად განწყობილ პოეტურ სულში აისახება როგორც გარეგანი შემთხვევა, როგორც საუბარი და ურთიერთობა ზეციერთან“.[5] მაგრამ წინასწარგანზრახულ ტყუილზე ან შეგნებულ გადაჭარბებაზე მონაზვნებთან არ შეიძლება ლაპარაკი. აქამდე არ დაეშვებოდნენ ელზბეტ შტაგელი, კატარინა გებვაილერი ან კრისტინა ებნერი. რომ ღმერთს ამდაგვარი ნუგეშისცემათა მინიჭება ძალუძს, რომ იგი მათ დროდადრო ანიჭებს კიდეც, ეს ყველა კათოლიკესათვის ეჭვგარეშეა. ნადირობას ამდაგვარ მოვლენებზე, გადაჭარბებას და მათ არასწორ შეფასებას დღეს ჩვენ უარვყოფთ. ჩვენ გავხდით უფრო ფხიზელნი, კრიტიკულნი და სკეპტიკურნი.

ექსტაზების გათვალისწინება შეიძლება არა როგორც წინაპირობისა,

---

4. M. Grabmann in: Mittelalterliches Geistesleben I, München 1926, S. 485.

5. K. Bihlmeyer, Heinrich Seuse, Stuttgart 1907, S. 84

არამედ როგორც გვერდით მოვლენებისა ან როგორც შედეგებისა, რადგან სული მისტიური მიმადლებისას იმდენად არის უმაღლესი ჭეშმარიტებით დაკავებული, რომ გრძნობანი წყვეტენ ყოველგვარ ქმედობას და ხშირად სხეული მიწაზე განრთხმულია, როგორც უსიცოცხლო; ასევე არ შეიძლება წინაპირობად მივიჩნიოთ ხილვა, რითაც ახალი ჭეშმარიტებანი უშუალოდ განსაკუთრებული შემეცნებისეული ხატების მეშვეობით მიენიჭებათ. ამისი მონათესავეა მომავლის ჭვრეტა, გულის საიდუმლოთა წვდომა, ჭეშმარიტ და ყალბ რელიქვიათა განსხვავების უნარი და ცოდნა გარდაცვლილთა ვითარების შესახებ. შესაძლოა აგრეთვე სასწაულებრივ ნიშნეთა დადგომა, როგორიცაა ჰაერში გაჩერება ანდა ბუნებრივად შეუძლებელ პოზაში გახევება. რადგან ამ მოვლენებს ადგილი აქვთ უმრავლეს მისტიკოსებთან, ისინი ჩვეულებრივ მისტიურად აღინიშნებიან. მაგრამ არც წინაპირობებში, არც ამ გვერდით მოვლენებში და არც შედეგებში არა ძევს არსი მისტიური გამოცდილებისა. ისინი უფრო ღვთისმოსაობის მოჩუქურთმებულ ორნამენტს განეკუთვნებიან.

მაშინ, როდესაც ექსტაზი ადამიანს თავის ბუნებრივ მდგომარეობას გამოსტაცებს და მას დროებით ნეტართა რიგში დააყენებს, მაშინ, როდესაც მჭვრეტელობა, გაგებული, როგორც სიმშვიდე-სულის მოღვაწეობა,[6] ნეტარების მინიჭება რომ შესძლოს, ითხოვს შემეცნების ძალის განსაკუთრებულ გამაგრებასა და ჩამოსხმულ შემეცნებისეულ სურათებს, მისტიური ჭვრეტისათვის, ეგრეთწოდებული cognitio affectiva ex. perementalis-თვის (ცდისეული, სიყვარულით აღსავსე შემეცნება ჩვენში მყოფი ღვთისა და მისი ქმედობისა ჩვენს სულში), არავითარი ხილვა არაა აუცილებელი, რომ ღმერთმა მიმადლებულს საამისოდ რომელი-ე მის-

---

6. A. Mager, Mystik als Lehre und Leben, Innsbru - Wien - München 1934, S. 70

თვის არა ჩვეული შემეცნებისეული ხატთაგანი მიანიჭოს. ამას ანავე უარყოფილია მიმადლებულისადმი გამოცხადება ახალი, მისთვის მანამდე უცნობი ჭეშმარიტებისა, რომელიც ქრისტეს მიერ სასიხარულო უწყების საგანძურის მიღმა იქნებოდა. საქმე ეხება მხოლოდ უფრო ღრმა წვდომას უკვე ცნობილ, შესაძლოა ათასჯერ სმენილ ჭეშმარიტებისას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა უდაბნოში განდეგილ მამა ანტონიუსთან: „უკუეთუ გნებავს, რაითა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე" (მთ. 19, 21). ამასთანავე ექსტაზი მოითხოვება არა სხეულებრივი უძლურების ან გრძნობათა ქმედობის შეზღუდვის გაგებით, არამედ ნელა წინმავალ შემეცნების ჩვეულებრივ ხერხზე ამაღლების გაგებით.

მასთან აგრეთვე არსებითად არაა დაკავშირებული არავითარი წინასწარმეტყველება, არავითარი შემეცნება გულის საიდუმლოთა, არავითარი გადაწყვეტილების მიღება რელიქვიათა თაობაზე, არავითარი გადაწყვეტილება გარდაცვლილთა მდგომარეობაზე, არავითარი ცნობა დაკარგულ საგნებზე ან დაკარგული ადამიანის ბედზე. აგრეთვე არ განეკუთვნება ამას, რომ მიმადლებული ჰაერში გაჩერდეს ან არაბუნებრივ პოზაში გახევდეს. ექსტაზის დროს შეიძლება ყველა ამ მოვლენამ თავი მოიყაროს და ბევრ დიდ მისტიკოსთან ამას ადგილი ჰქონდა კიდეც და ლოტასთან როდი დაგვირ[illegible]ვინდა იგი იმ ტანჯვაში მონაწილეობით, რომელიც ქრისტემ მიიღო კაცობრიობის გამოსახსნელად, მაგრამ არსებითად იგი არაა დაკავშირებული ჭეშმარიტ მისტიურ განცდასთან, აგრეთვე არც უმაღლეს, გამოკვეთილ მჭვრეტელობასთან. შესაძლებელია მკვეთრი განიჯვნაც კი საკუთრივ მისტიურ განცდასა და მის გვერდით მოვლენებს შორის. რადგან ეს დანიშნატები არიან „თავისუფლად ბოძებული წყალობანი" (gratiae gratis datae), პირველ რიგში სხვათა კეთილდღეობისათვის მინიჭებული.

მისტიური განცდა კი ემსახურება, როგორც „გამაწმინდანებელი წყალობა" (heiligmachende Gnade – gratia gratum faciens), თვით ამ განცდის მიმღებს მისი პიროვნული სრულყოფისათვის.

## 4. მისტიკისადმი მოწოდება

თუმცა ეს დანამატები მისტიკისათვის არაარსებითია, მათ მაინც გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა. განსხვავება gratia gratis data-სა და gratia gratum facien-ს შორის ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პირველი თითქოს მხოლოდ და მხოლოდ სხვათა კეთილდღეობისათვის, მეორე მხოლოდ მიმღების სრულყოფილებისათვისაა ბოძებული. განსხვავება მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ორივე, პირველ ყოვლისა, ამა თუ იმ მიზანს ემსახურება; ამასთან ერთად სხვისადმი ისინი თავიანთ მნიშვნელობას არ კარგავენ. რადგან მისტიური საიდუმლო იმართება სულის სიღრმეში ღმერთსა და კაცს შორის, იგი ჩვენთვის ცხადდება აგრეთვე ამ კუთხით, როგორც gratia gratum faciens. იგი ემსახურება მიმღების შეერთებას ღმერთთან, იგი ამრავლებს მასში გამაწმინდანებელ წყალობასა და სიყვარულს. რათა ეს მატება სხვებისათვისაც სარგებლობის მომტანი იყოს, სწორედ ამიტომაა საჭირო მისტიური სულიერი გმირულ საქმეთათვის; ამიტომაა ის თვალში საცემი გვერდითი მოვლენები, რომელნიც ადამიანთა ყურადღებას იპყრობენ, რომ აგრეთვე მათ, რომელნიც არ იმედოვნებენ მისტიური შეერთების მიღწევას, იმედი ჩაესახოთ, რომ ისინიც შესძლებენ მიმადლებულთა დახმარებით ღმერთთან უფრო ახლო კავშირის დამყარებას და მათი შუამდგომლობით მისგან რჩევისა და დახმარების მიღებას. სამწუხაროდ, თითქმის ყველა მათგანი მიჯაჭვულია

შემდეგ ამ გარეგან მოვლენებზე და ვინ აღარ მიიწევს უმთავრესისაკენ, იმისაკენ, რისთვისაც ეს გვერდითი მოვლენები პირველ რიგში არიან გამიზნულნი, ჭეშმარიტი მისტიური ცხოვრებისაკენ, ღმერთთან პიროვნულ ახლოკავშირისაკენ, სულში მისი სუფევისა და ქმედობის იდუმალებით აღსავსე გამოცდილებისაკენ, რომელიც შეჰხარის მისთვის ბოძებულ გამაწმინდანებელ წყალობას. ეს არსებითი-ფასეულია ყველასთვის. გვერდითი მოვლენები მხოლოდ მისკენ მიანიშნებენ. კორინთის უძველეს ეკლესიაში ამ ქარიზმატული საბოძვარის შესახებ ლაპარაკის შემდეგ წმიდა პავლე აგრძელებს: „მერმე აღმატებული გზაი გიჩუენო თქვენ“ და უმღერს ქებათა ქებას სიყვარულს (I კორ. 13), რომელიც მისტიურ განცდაში იფურჩქნება. სიყვარულის ერთი ქმედობა გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სასწაულებით აღსავსე არაჩვეულებრივი მოვლენები. ასე ამბობს წმიდა თომა აქვინელი (Summa theol. II-II 182, I 3): „დროდადრო, ზოგიერთი, ახლანდელი ცხოვრების აუცილებლობის გამო, მოხმობილია მჭვრეტელობიდან საქმიანი ცხოვრების შრომისადმი, მაგრამ არა ისე, რომ რომელიმე იძულებული ყოფილიყოს მჭვრეტელობისათვის თავი სრულიად გაენებებინა. თუკი ვინმე მჭვრეტელობით ცხოვრებიდან მოხმობილია ქმედითი ცხოვრებისაკენ, მაშინ ეს ხდება არა როგორც შემცირება, არამედ როგორც მატება“.

რადგან ყოველი ადამიანი მოწოდებულია ღვთის სიყვარულის გაღვივებისათვის, რადგან არავის ძალუძს თქვას, რომ მან მადლის უბრალო მდგომარეობით უკვე თავის მიზანს მიაღწია, რადგან ყოველივეს ვალია გაზარდოს სიყვარული და განავითაროს თვისი პიროვნული დამოკიდებულება ზეციურ მამასთან, ამისათვის ყველა მოწოდებულია მისტიური განცდისათვის: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე 5,48).

და მაინც რჩება მისტიური მადლი ფაქტიურად რაღაც არაჩვეულებრივი; მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იჩენს ხოლმე იგი თავს გასაოცრად. ეს იშვიათობა არაა დაფუძნებული ღვთის მოწოდების ნაკლებობაში, აგრეთვე არც მისი მზადყოფნის არარსობაში, რომ ადამიანები სრულყოფილებამდე აღამაღლოს. ღმერთი ანიჭებს ყველას, ვინც კეთილი ნებისაა, გამაწმინდანებელი წყალობითა და სიკეთით სულიწმიდას საბოძვართ, ამ განსაკუთრებულ სამკაულს, მისტიური განცდისათვის. ვისაც აღმურვილობა სურს, იგი იყენებს კიდეც მას და მიზნად ისახავს წარმატებას. ტერეზია, დიდი წმიდანი, გამუდმებით ილტვოდა თავისი ასულნი განესწავლა წადილითა და მისწრაფებით მისტიური ცხოვრების მწვერვალისადმი. მისი სიტყვები (Seelenburg III/I) მიმართულია ყველასადმი: „ძალზე ადვილად შეიძლება მოხდეს, როდესაც წარმოთქვამთ „მამაო ჩვენოს" ან სხვა ლოცვას, რომ უფალმა თქვენ აგამაღლოთ სრულყოფილ მჭვრეტელობამდე. მისტიური უნარის ფაქტიურად იშვიათი გამოჩენის მიზეზი ძევს მხოლოდ და მხოლოდ მრავალთა სიღატაკეში, მათ უგულისყურობასა და დაუდევრობაში, რომელნიც კმაყოფილნი არიან მარტოდენ ყველაზე უფრო აუცილებელით.

ჭეშმარიტ, ღვთის სრულყოფილ მისტიურ განცდისათვის მნიშვნელობა აქვს, როგორც წინაპირობას, გამაწმინდანებელი მადლის დონეს, შემდგომ, სიკეთისადმი სერიოზულ ლტოლვას, პირველ ყოვლისა, დაჟინებით მეცადინეობას თავმდაბლობაში და მზადყოფნას თავგანწირვისათვის, რათა შეასრულოთ ღვთის ყოველი ნება და სურვილი, ასევე მეცადინებას მჭვრეტელობით ლოცვაში და მარტოობისადმი სიყვარულს. ყველაზე უახლოეს და უმთავრეს წინაპირობად ითვლება სიკეთე, რომელიც გამაწმინდანებელ წყალობასთან ყველაზე უფრო ღრმადაა დაკავშირებული და რომელიც ყველა სხვა დანარჩენ სიკეთეთ თავის გავლენის სფეროში იზიდავს და მათ ახალ სახეს აძლევს. ეს სიკეთეა ღვთის სიყვარული. იგი მნიშვნელოვნად უნდა

განვითარდეს, რათა მან, როგორც ფუნდამენტმა, შესძლოს ემსახუროს სრულყოფილ მისტიურ განცდას.

შემდგომ მოთხოვნად მისტიური მადლისათვის ითვლება განჭვრეტილის შესატყვისობა ქრისტიანულ რწმენასა და ზნეობრივ მოძღვრებასთან. სწორედ ეკლესიის მოძღვრებაა „საცდელი ქვა" ჭეშმარიტი მისტიკისა. მასზე წაიბორძიკეს გერმანიაში ბეგარდებმა და ბეგინებმა.[X] ისინი ასწავლიდნენ, რომ ადამიანს ძალუძს ამაღლდეს ამგვარ მადლამდე, რომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ეკლესიის კანონებსა და მცნებებს. ეკლესიას უნდა უარეყო ეს შეცდომა, რადგან უფრო მაღალ მადლს უფრო ერთგული შესრულება უნდა გამოეწვია ყველა წესთა. მრავალ პეგარდთა ურჩობამ დაამტკიცა, რომ მათი მადლი ან არ იყო ჭეშმარიტი, ან, რომ მათ იგი დაკარგეს. ამ უკანასკნელს ადგილი ჰქონდა აფრიკის ეკლესიის დიდი მანათობელის, ტერტულიანის შემთხვევაში. ჭეშმარიტების მოწინავე მებრძოლიდან ყალბი მისტიკის ზეგავლენით იგი ერეტიკოსად იქცა.

აგრეთვე მართალ ადამიანს მისტიურ მოძღვრებათა გამო ძნელი გამოცდები უნდა გაევლოთ. მაისტერ ეკჰარტი, მე-I3-I4 საუკუნეების ერთ-ერთი საუკეთესო და დაუცხრომელი სულის მოქადაგე, თავის მისტიურ მოძღვრებაში სახიფათო ზღვრულ ფორმულირებებს შეეხო. როდესაც მას ამის გამო ბრალდება წაუყენეს, იგი შეეცადა თავის მართლებას. დომინიკანელთა ეკლესიაში კიოლნთან იგი საჯარო ახსნა-განმარტებით გამოვიდა,

---

X. ბეგარდები – ნახევრად მონასტრული (მამაკაცთა) გაერთიანების წევრები შუა საუკუნეების დას. ევროპაში. ბეგინები – ქალთა ასეთივე გაერთიანების წევრები. მთარგმნელის შენიშვნა

სადაც წინასწარვე ყველაფერი უარყო, რაც ეკლესიის მოძღვრებას ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად ამისა, მისი სიკვდილის შემდეგ, პაპმა იოანე XXII-მ საეჭვოდ ჩასთვალა მისი 28 თეზისი დაეგმო, ამათგან 17 როგორც ერეტიკული, 11 როგორც ერეტიკოსობაში ეჭვმიტანილი. ნეტარ ჰაინრიხ სუზოსათვის ეკჰარტი მაინც წმიდა მაისტერად დარჩა. დღეს ეკჰარტი რეაბილიტირებულია და დადგენილია, რომ მიუხედავად ზოგიერთი წინადადების სახიფათო ჟღერადობისა, მას ყოველთვის სურდა თავისი მოძღვრების დოგმასთან შეთანხმება.[7] მსგავსი ბედი ეწვია წმინდანთა სწორ ეპისკოპოს ფენელონს. მასთან ვხვდებით სიყვარულის სიწმინდის ერთგვარ უტრირებას, რომლის თავგანწირულობა თვითგანადგურებას უახლოვდება. აგრეთვე ამის წინააღმდეგ აღიმაღლა რომმა ხმა, და ფენელონმა, როგორც მაისტერ ეკჰარტმა, თავისი თავმდაბალი მორჩილებით თვისი ღვთისმოსაობის ჭეშმარიტება დაამტკიცა.

ჭეშმარიტი მისტიური განცდა ეკლესიაში არასოდეს არ ჩამქვდარა და ისტორიამ უწყის მისტიურ მაღლთა დღესასწაულნი. ამგვარი აყვავების პერიოდი მიღწეულ იქნა გვიანდელ შუა საუკუნეებში.

---

7. განსაკუთრებული დამსახურებანი მაისტერ ეკჰარტის ვამართლებაში გააჩნია ი.კოხს (J. Koch); შდრ. მისი „შესავალი“ საიუბილეო კრებულში: მაისტერ ეკჰარტ მქადაგებელი, Freiburg/Brsg.-Basel-Wien 1960, S. I-24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. გერმანული მისტიკა

ქრისტიანული მისტიკა თეორიასა და , ხოვრებაში ცდილობს იმის გამოკვლევას, თუ როგორ იშინაგნებს უშუალოდ ღმერთს მონათლული ადამიანი. ღვთის ამ შინაგანი გამოცდილების ისტორიაში ვლაპარაკობთ ჩვენ „გერმანული მისტიკის" შესახებ. მასში ჩვენ გვესმის მისტიური ცხოვრების მოვლენები და მისტიური სპეკულაციების აღწერილობანი, რიგორც ამას ადგილი ჰქონდა გერმანულ მიწაზე, განსაკუთრებით მათი აყვავების ჟამს მე-I4 საუკუნეში. გერმანული მისტიკა „არის ერთ-ერთი უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული კულტურული ქმნილება გერმანელი ხალხისა. იგი არის ლიტერატურული გამოხატულება სულიერი მიმდინარეობისა, ძირითადად ესაა ფილოსოფიურ-ასკეტურ-პოეტური ლიტერატურა გერმანულ ენაზე შექმნილი მონაზონთა და მათი დაახლოებული წრეების მიერ თავისთვის, დომინიკანელთა ხელმძღვანელობით".[8] ეს პირველ რიგში ეხება აყვავების პერიოდს. გერმანული მისტიკის ერთიან გამოვლინებას წამყვან დომინიკანელთა გვერდით აგრეთვე სხვა ორდენთა და თეთრი სამღვდელოების ბევრი წევრი განეკუთვნება, მაგ. ბენედიქტიანელი იოანე კასტლელი, ავგუსტინელთა მონასტრის კოლეგიის წევრი იოანე რუისბრუკი, მღვდელი ჰაინრიხ ნიორდლინგენელი. გამოთქმა „გერმანულ მისტიკას" არავითარ შემთხვევაში იმისი აღნიშვნა არა სურს, რომ აქ საქმე გვაქვს განსაკუთრებულად სრულიად დამოუკიდებელ, გერმანული სულის ერთადერთ ქმნილებასთან. ასევე ნაკლებად შეგვიძლია დავინახოთ მასში მხოლოდ ნაწილი შუა საუკუნეების საერთო

---

8. W. Oehl in: Wissenschaftliche Blätter der Germania, 2 (1925) 98.

ევროპული კათოლიკური მისტიკისა, ალბათ გერმანული მისტიკა, ისევე, როგორც ყოველი მისტიკა, ძველ ქრისტიანული მისტიკიდან გამოვიდა და მისი ზეგავლენა განიცადა. მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეების მისტიკა გერმანულ მიწაზე, განსაკუთრებით მის მთავარ ცენტრებში რაინზე (კიოლნი, სტრასბურგი, ბაზელი, კონსტანცა), გერმანული სულისა და გერმანული ენის ატმოსფეროში განვითარდა ერთადერთ განსაკუთრებულ კულტურულ მოვლენად, რომელსაც თავისებური ფორმითა და ნიუანსით დანარჩენ ევროპაში ბადალი არ ჰყავს.

## I. გერმანული მისტიკის აღმოცენება

დიდხანს სჯეროდათ, რომ მე-I4 საუკუნის მისტიური ცხოვრების აყვავების საფუძველი უნდა ეძიათ პირველ ყოვლისა ეპოქის თავისებურ სტრუქტურაში მისი მკვეთრი წინააღმდეგობებით, პოლიტიკური და სულიერი კრიზისებით, მიწიერი გაჭირვებებითა და დიდი შევიწროებებით. ამბობენ, რომ საბედისწერო დავამ პაპისა და იმპერატორის ხელისუფლებას შორის ლუდვიგ ბავარიელის (I3I4-47) დროს და სხვა პოლიტიკურმა არეულობებმა, ისევე როგორც შემაძრწუნებელმა სტიქიურმა მოვლენებმა (მიწისძვრები, წყალდიდობები, შიმშილი, შავი ჭირი) სერიოზული პიროვნებები საიმისოდ განაწყვეს, რომ მათ ზურგი აქციეს ყოველგვარ მიწიერს, თავიანთი სულის ულრმეს საგანძურში განმარტოვდნენ, რათა იქ დაენთოთ მისტიური მადლის ცხოვრების ცეცხლი და მით გამთბარიყვნენ. განსაკუთრებული მდგომარეობანი საერთოდ თუმცა კარგი მასაზრდოებელი ნიადაგია მისტიკისათვის, მაგრამ ეს ნაკლებად ეხება ჩვენთვის საინტერესო ეპოქას. პოლიტიკური არეულობანი და გაჭირვებები, რომელზედაც ყოველთვის მიუთით-

ბენ, ნაწილობრივ დაიწყო ამ მისტიური აყვავების პერიოდის ბ–ლოს. მე-13 და მე-14 საუკუნეები გერმანული ბურჟუაზიისათვის ბრწყინვალე ხანას წარმოადგენდა. აღნიშნული იყო, თუ როგორი დიდი აღმავლობის მომტანი გახდა მე-13 საუკუნე საკუთრივ რაინის მხარისათვის ტექნიკისა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, „რომელმაც 1300 წლის ბოლოს ადგილი დაუთმო მეშჩანური მყუდროების მატერიალისტური ცხოვრებით ტკბობას".[9]

წინაპირობად ბრწყინვალე მისტიური ცხოვრებისათვის ეწვგარეეა იყვნენ მრავალი და აყვავებული ქალთა მონასტრები. აქ იმყოფებოდა მისტიკის უმთავრესი ცენტრები. მაგრამ ქალთა ეს დიდი მოზღვავება მონასტრებში არ შეიძლება მხოლოდ იმით დასაბუთდეს, რომ დედაკაცი ეკონომიური სივიწროვისა თუ მძიმე დროების გამო იმჟამად უფრო ხშირად მიაშურებდა ხოლმე მონასტერს. ხალისით იხსენებენ ქალთა სიჭარბეს, რომელიც გამოიწვია ბევრმა ომებმა, შინაბრძოლებმა და პირველ რიგში ჯვაროსანთა ლაშქრობებმა. რასაკვირველია, ეკონომიურ სიდუხჭირეს ან სულიერ განმარტოებას შესაძლოა ზოგიერთი ქალი მონასტერში მიეყვანა; მაგრამ ისტორიული ჭეშმარიტების მიმართ შევცოდებდით, თუ მთავარ მიზეზს ან გადამწყვეტ მოტივს ქალთა მონასტრების აყვავებისას ზემოხსენებულში დავინახავდით. სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის დომინიკანელთა მონასტრების მონაზონთა უმრავლესობა აყვავებული ქალაქების მდიდარი და შეძლებული ოჯახებიდან იყო, და, მაშასადამე, ისინი ნამდვილად არ ყოფილან ეკონომიური გაჭირვების გამო მონასტერში მისულნი.

---

9. G. Schmoller, Straßburgs Blüte und die Volkswirtschaftliche Revolution im XIII. Jahrhundert, Straßburg, 1875, S. 17

მისტიურ ცხოვრებას მე-I4 საუკუნეში უფრო ღრმა საფუძველი გააჩნია. გერმანული მისტიკა რომ გავიგოთ, მე-I2 საუკუნის რელიგიური მიმდინარეობებიდან უნდა ამოვიდეთ.[10] იმ დროს ადგილი ჰქონდა მძლავრ რელიგიურ მოძრაობებს, რომელიც გახლდათ რეაქცია ეკლესიის ფეოდალური სისტემისა და სასულიერო წოდების ზნედაცემულობის წინააღმდეგ. ისინი მოუწოდებდნენ ახალი ქრისტიანული ცხოვრების ფორმის შექმნისაკენ ნებაყოფლობითი სიღარიბითა და უმანკოებით, მოციქულთადარი უბრალოებითა და სახარების უწყებით. ნაწილი ამ მოძრაობისა ოფიციალური ინსტანციებისადმი გვერდის ავლით, ან მათი უარყოფით, ან მანიქეველურ-დუალისტურ მოძღვრებათა მიმართ სიმპათიების გამო ეკლესიას დაუპირისპირდა; სხვებმა საქმე მიიყვანეს ახალი ორდენის დაარსებამდე და ამით იმდროინდელ რელიგიურ მოძრაობას ორგანიზატორული მხარდაჭერა აღმოუჩინეს. ამ ისტორიულ ფონზე უნდა აიხსნას ორდენთა დაარსებანი, როგორიცაა რობერტ არბრისსელისა, ნორბერტ ქსანტენისა და, პირველ ყოვლისა, ორივე წმიდანის - ფრანცისკისა და დომინიკესი. სწორედ ეს გლახაკთა ორდენები გავრცელდა გერმანიაში უკვე მე-I3 საუკუნის დასაწყისში.

ამისაგან დამოუკიდებლად, იმ დროს, როდესაც არ შეიძლება გლახაკთა ორდენთა მხრიდან ზეგავლენაზე ლაპარაკი, მე-I2 საუკუნის ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, პირველ რიგში ბრაბანტსა და ფლანდრიაში, თავი იჩინა მსგავსმა რელიგიურმა მისწრაფებებმა. მაგრამ თავისი არსითა და მიზანსწრაფვებით ეს მოძრაობანი ძალზე უახლოვდებოდნენ თანადროულ მის-

---

10. შდრ. H. Grundmann in: Deutsche Vierteljahrsschrift für Literatur- und Geistesgeschichte I2 (1934) 400ff; მისივე: Religiöse Bewegungen im Mittelalter, 2 Aufl., Darmstadt 1961.

დინარეობებს რომანულ ქვეყნებში: აქაც უარყოფა ამქვეყნიური პატივისა და სიმდიდრისა, უარყოფა საზოგადოებიდან თუ ოჯახიდან მონიჭებული სიხარულისა, ნებაყოფლობითი სიღარიბე და უბიწობა. მხოლოდ, ამ მოძრაობის დროს, გერმანიაში უპირატესად ქალები იყვნენ ახალი იდეების მატარებელნი და, პირველ ყოვლისა, ქალები არისტოკრატიული წრეებიდან, რაინდულ გვართაგან და ქალაქური პატრიციებიდან. შემდგომ, როდესაც ეს მოძრაობა იტალიიდან და სამხრეთ საფრანგეთიდან გავრცელებულ გლახაკთა ორდენებს შეხვდა, ნაწილი ქალებისა შეეცადა ამ ორდენებზე დაყრდნობას და იქ თავიანთი იდეალების განხორციელებას. მეორე ნაწილმა კი ამოირჩია ქალთა საზოგადოება ორდენთან კავშირის გარეშე: ბ ე გ ი ნ ე ბ ი.

ამგვარად, ქალთა რელიგიური მოძრაობა, ისევე, როგორც მე-12 საუკუნის რელიგიური მიმდინარეობანი, არ წარმოადგენს პროლეტარულ მოძრაობას, იგი არ არის მატერიალური გაჭირვებით გამოწვეული, არამედ აღმოცენდა რელიგიური მოტივებისაგან, ქრისტიანული თავგანწირვის ცხოვრებისა და რწმენისეული შეერთების მოთხოვნილებისაგან. რომ თანამედროვეებმა ქალთა სამყაროში ეს ცვლილება შენიშნეს, ამას ჩვენ ვხედავთ მაგ. 1257 წლით დათარიღებულ ულრიხ ფონ ლიხტენშტეინის „ქალთა წიგნიდან", სადაც ის ჩივის: „მაინც როგორ შევძლებთ ჩვენ რაინდობის ნამდვილი ცხოვრებისეული სტილის შენარჩუნებას, თუკი ქალები უეცრად მონაზვნებივით იქცნენ, რიდე მოსხმულნი და კრიალოსნით ხელში დღედაღამ ეკლესიაში დადიან და ჩვენ არავითარ მზერას, სიტყვას ან სიხარულს აღარ გვანიჭებენ".[11]

---

11. ციტირებულია: H. Grundmann in: Archiv für Kulturgeschichte. 26/I (1935) 159.

ხელმძღვანელობა ამ ქალებისა, რომელთა ნაწილი მონასტრებში, ნაწილი როგორც ბეგინები ცხოვრობდნენ, გლახაკთა ორდენთა მხრიდან თავდაპირველი წინააღმდეგობის შემდეგ, პირველ ყოვლისა, დომინიკანელებმა იკისრეს. რა თქმა უნდა, ორდენის ძმები აღარ საჭიროებდნენ ამ ქალებში მისტიური ლტოლვის გაღვიძებას – იგი მათ უკვე დახვდათ. მდიდარმა რელიგიურმა ცხოვრებამ ღვთის სიყვარულსა და ზეციურ სასძლოობაში მაშინ ათასობით ქალი მოიცვა და გამოიწვია ხილვები, ექსტაზები, სასწაულებრივი გამოცხადებანი. დომინიკანელებს უნდა გაეღრმავებინათ ეს მისტიური ცხოვრება და მათ წინაშე ამით ამოცანა დაისახა, რათა თანხმოვნებაში მოეყვანათ და შეერწყათ ქრისტიანული მისტიკის ტრადიციული სიკეთე ამ ახლად გაღვიძებული რელიგიური განცდის სურვილთან და განწყობასთან, რომელიც მათ ქალებში ჰპოვეს, და გადაეღოთ იგი ცოცხალ მშობლიურ ენაზე. ეს მდგომარეობა ორდენის ძმებს ხელსაყრელ შემთხვევას უქმნიდა, რათა თეოლოგიური სპეკულაცია ასკეტური ცხოვრებისათვის გამოსადეგად გაეხადათ, თეოლოგიაში მისტიური ელემენტებისათვის ყურადღება მიექციათ და ამგვარად ის, რაც მათთვის სწავლისა და დაკვირვების შედეგად სულიერ შენაძენად და ცხოვრების შინაგან სისავსედ იქცა, პირველ ყოვლისა, დებისათვის ეუწყებინათ, რომელნიც მათთან იმავე იდეალისა და იმავე წესთა მიმართ ვალდებულების მხრივ უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი. ამ მისტიურმა ღარიგებებმა ორდენის ქალებთან კარგი ნიადაგი ჰპოვეს. ამგვარად იქცნენ სწორედ დომინიკანელთა ქალთა მონასტრები ცენტრებად დიდი მისტიური ტალღისა.

## 2. გერმანული მისტიკის ნიშან-თვისებანი

გერმანული მისტიკა არსებითად იმით ხასიათდება, რომ მასში ოთხი ელემენტი განსაკუთრებული ჰარმონიით სუფევს: სქოლასტიკური დაფუძნება, ნეოპლატონიკური ელემენტი, გამოხატვა გერმანული ენით, განმცდელი სული ( Gemütsinnigkeit ).

### ა. სქოლასტიკური დაფუძნება

სქოლასტიკა და მისტიკა თავისთავად არ წარმოადგენენ კონსტრასტებს. დიდ სქოლასტიკოსებთან, როგორიცაა ალბერტი, თომა აქვინელი და ბონავენტურა, აშკარად ჩანს იდეალური სინთეზი ნათელ, ცნებისეულ აზროვნებასა და გულმხურვალე ღვთისმოსაობას შორის. ეს კავშირი სქოლასტიკასა და მისტიკას შორის ტიპიურია აგრეთვე გერმანული მისტიკისათვის; მისი გაგება შეუძლებელია სქოლასტიკის გარეშე. „ვისაც გერმანული მისტიკის გაგება სურს, იგი საფუძვლიანად უნდა იყოს გათვითცნობიერებული სქოლასტიკაში და განსაკუთრებით წმიდა თომას თხზულებებში, სხვაგვარად იგი იმ ისტორიულ ნიადაგს გამოაცლის გერმანულ მისტიკას, სადაც ამ უკანასკნელს ღრმადა აქვს ფესვები გამდგარი; იგი აუცილებლად მის ყოველგვარ განვითარებას უარყოფს, მაშინ როდესაც ამას ადგილი აქვს და არასოდეს თვით მისი ტერმინოლოგიას სწორ გაგებასაც ვერ მიაღწევს, რომ აღარაფერი ვთქვათ საკუთრივ მოძღვრებაზე." 12

---

12. H. Denifle in: Historisch-politische Blätter 75 (1875/I) 684.

როგორ მოხდა სქოლასტიკისა და მისტიკის ეს შეკავშირება გერმანულ მისტიკაში? – გერმანელ დომინიკანელებს განსაკუთრებული სახის ამოცანა დაუდგათ წინ. ორდენის მოვალეობაში შედიოდა მის მფარველობაში მყოფი ქალთა მონასტრების სულიერი მეურვეობა. თუმცა ამის გამო ორდენის საუკეთესო ძალები ხშირად მოსცდებოდნენ ხოლმე თავიანთ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ კვლევა-ძიებათ და ეს იყო მიზეზი, რომ ორდენი ერთხანს გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ზემოხსენებულის აღსრულებას. პაპებმა გრეგორ IX (1227-41) და ინოკენტ IV (1243-54) დომინიკანელები აგრეთვე ამ სულიერი მეურვეობის აღსრულებიდან გაათავისუფლეს. კლემენს IV (1265-68) მათ 1267 წელს დების სულიერი მეურვეობა კვლავ დააკისრა, ამჯერად საბოლოოდ. მას შემდეგ ორდენის ძმები მთელი გულმოდგინებით მოეკიდნენ ამ საქმეს. ჩვეულებრივ, ამ ამოცანას თეოლოგიის მაგისტრებსა და ლექტორებს ანდობდნენ ხოლმე.

გასაგებია, რომ ეს მთლიანად სქოლასტიკურად განათლებული თეოლოგები თავიანთ ქადაგებებსა და მოხსენებებში უპირველესად იმ მასალით სარგებლობდნენ, რომელიც მათ სკოლაში შეითვისეს და რომელსაც სკოლაში თვითვე ასწავლიდნენ. ამ გზით ისინი სქოლასტიკურ დოქტრინას უფრო ფართო წრეებისათვის ხელმისაწვდომად ხდიდნენ; რადგან ისინი მოძღვრებათ დ ე დ ა ენაზე გადმოსცემდნენ. ესაა მთავარი დამსახურება გერმანელ დომინიკანელ მისტიკოსთა. იყო რა სქოლასტიკური მოძღვრებანი აქამდე მეტად თუ ნაკლებად პრივილეგია გარკვეული კლასებისა, ეხლა სქოლასტიკა მიტანილ იქნა უფრო ფართო აუდიტორიამდე. ამით მათ წინ გადაიხსნა სრულიად ახალი სამყარო. მაღალი სულიერი დონე, რომელიც იმჟამად ბევრ ქალთა მონასტერში სუფევდა, გასაგებს ხდის, რომ მისტიური ქადაგება ზოგჯერ ძალზე დიდ ინტერესს იჩენდა სხვა ლაიკოსებში, ღვთაებრივ საიდუმლოებათა ცოდნისადმი. სქოლასტიკურ იდეათა სფეროს

ზოგიერთი მოძღვრება განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდა, ასე მაგალითად, მოძღვრებანი ღვთის არსის შესახებ, სამებაზე, ღვთაებრივ იდეებზე, ღვთაებრივ სიტყვაზე, ღმერთთან ქმნილებისა და კერძოდ ადამიანის დამოკიდებულებაზე, ადამიანურ შემეცნებაზე, მადლის ზეგავლენაზე. ამაზე აშენებდნენ შემდეგ ისინი მოძღვრებებს სულის საფუძველზე, ადამიანში ღვთის დაბადებაზე და ა.შ.

## ბ. ნ ე ო პ ლ ა ტ ო ნ ი კ უ რ ი   ე ლ ე მ ე ნ ტ ი

არაა გასაკვირი, რომ ამ დარიგებების დროს ძველი თეოლოგიის „მისტიური" ელემენტები, განსაკუთრებით ავგუსტინედან და ფსევდო-დიონისედან, უფრო და უფრო თვალში საცემი ხდებოდა. სწორედ ამით გაიკვალა გზა ნეოპლატონურ იდეათა განძამდე, როგორც ეს, პირველ ყოვლისა, ალბერტ დიდის, ულრიხ ენგებერტ სტრასბურგელისა და დიტრიხ ფრაიბურგელის მეშვეობით შესრულდა. მაგრამ, მოხდა ისე, რომ ნეოპლატონიზმი გადმოღებულ იქნა არა წმინდა ფორმით. ემანაციის იდეა ნეოპლატონური ყოვლად-ერთის-სპეკულაციისა უფრო ქრისტიანული მნიშვნელობით განიმარტა. სამყარო, ადამიანური სულის ჩათვლით, ყოვლადი - ერთიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ იგი მის მიერ შეიქმნება. მაგრამ ამ ყოვლად - ერთით არ შეიძლება ნაგულისხმევი იყოს „უ ს ა ს რ უ ლ ო ბ ა პანთეისტური სამყარო-სულის გაგებით", არამედ მხოლოდ „უ ს ა ს რ უ ლ ო ღვთის კათოლიკური ცნების გაგებით".[13] ადამიანი ჩართულია დინამიურად გაგებულ ღვთისა და სამყაროს პროცესში, დიახ, ყველაფერი მიმართულია

---

13. E. Krebs, a.a.O., გ.14

ადამიანური სამშვინველ-სულის გაღმერთებისაკენ იმ მიზნით, რომ ღმერთი დაიბადოს სულში, რათა სული იშვას ღმერთში. მისტიკოსებს საქმე აქვთ „არსებით" ღმერთთან, როგორც ისინი უწოდებენ ამას, ესე იგი ნამდვილ ღმერთთან, რომელიც არა მხოლოდ ობიექტურად მყოფია ქმნილებებში, ადამიანის აზროვნებისა და შემეცნებისაგან დამოუკიდებლად, არამედ იგი აგრეთვე სუბიექტურადაა მისტიკოსისათვის ნამდვილი იმით, რომ მისტიკოსი მის ყოფნას, მის არსებას და ქმედობას უშუალოდ თავის თავში და ყველა საგნებში გრძნობს.

მაგრამ თუკი მისტიკოსთა გამონათქვამებში ზოგჯერ ისე ჩანს, რომ თითქოს ზღვრები ღმერთსა და ქმნილებათა შორის წაშლილი იყოს, თუკი უფსკრული უსასრულო ღმერთსა და სასრულ ადამიანის სულს შორის ამოვსებულად გვეჩვენება, თუკი მისტიკოსის სული ღმერთში იძირება, ღმერთში განქარდება, თუ იგი პირდაპირ ლაპარაკობს „გაღმერთებაზე" და „გაღმერთებულ" ადამიანებზე, მიუხედავად ამისა, თვით მაშინაც კი, არ უნდა გავიგოთ იგი ყალბად, არ უნდა ავხსნათ ეს პანთეისტურად. ამ მდგომარეობაში სულს მართლაც ავიწყდება ხშირად შეგნება არსის განსხვავებულობისა ღმერთსა და თავად მას შორის, მაგრამ ამით ეს განსხვავება არ წყვეტს თავის არსებობას. აქცენტი აღარ კეთდება შემოქმედსა და ქმნილებას შორის დაპირისპირებულობაზე, ესაა გაერთიანება შემოქმედთან. „ამგვა წვა-დაგვით განწმენდილი, ფერცვლილი ადამიანის სული იძირება ღვთაებრივ წყვდიადში, მდუმარებაში და შეუცნობელ , ენით გამოუთქმელ ღმერთთან ერთიანობაში. ამ ჩაძირვაში იშლება ყოველი თანასწორობა და უთანასწორობა, ამ უფსკრულში ადამიანური სული კარგავს თავის თავს და არ უწყის რა არც ღვთისა და არც საკუთარი თავის, არც თანასწორობისა და უთანასწორობის, ან სხვა რაიმეს შესახებ; რადგან იგი ჩაძირულია ღმერთთან ერთიანობაში და მან გაგება დაკარგა ყოველგვარი განსხვავები-

სა".[14] მაგრამ ამ გაღმერთებას, ამ მონაწილეობას ღვთის შექმნელ სიცოცხლეში – იდეებში, რომელთაც საბედისწერო შეცდომების გამოწვევა ძალუძთ და გამოიწვიეს კიდეც, არაფერი საერთო არა აქვთ არსთა პანთეისტურ შერწყმასთან. „რადგან სულის გაქრობა, მისი გაუჩინარება სადა ღვთაებაში და მთელი ქეთილშობილება და ყოველი სრულყოფილება არ უნდა გავიგოთ" – წერს სუზო გარკვევით (სიცოცხლე, 48-ე ქადაგება) – „როგორც მის საკუთარ თვისებათა გარდაქმნა სწორედ მასში (ესე იგი სწორედ ამ ღვთაებაში), ისე, რომ ის, რაც თვითონ არის, თითქოს ღმერთი იყოს..." განცდა მადლის მიერ გამოწვეული ღმერთთან სულის გაერთიანებისა, არ წარმოადგენს ღმერთთან შერწყმას, არამედ, ესაა მასთან საქრისტიანო გაერთიანება სიყვარულსა და მადლში.

ყოველ შემთხვევაში, არ არის გასაკვირი, რომ სულის სიღრმე და ხალისიანი სიწრფელე გერმანელი ადამიანისა ამ სიცოცხლით აღსავსე აზრთა წყობისადმი განეწყო და მასში განსაკუთრებული სიამოვნება ჰპოვა.

## გ. გ ე რ მ ა ნ უ ლ ი  ე ნ ა

მთავარი გერმანულ მისტიკაში არის ის, რომ ეს მოძღვრებანი პირველად გადმოიცა დედა ენაზე; რადგან ამ გარემოებამ განაპირობა გამოხატვის სრულიად ახალი საშუალება. ეხლა მოცემული იყო ამოცანა, ძალზე მიმზიდველი ამოცანა, გამოეყოთ საგნები ადრინდელ უფრო უპიროვნო ფორმულირებათაგან და შეემოსათ ისინი მსმენელის მჭევრმეტყველობითი და გამო-

---

14. იოანე ტაულერი: 28-ე ქადაგება.

თქმითი საშუალებებით. ამგვარად იქნა ჩაყენებული დედა ენა ნამდვილი, ღრმა რელიგიური ცხოვრების სამსახურში.

მისტიკოსთა ლიტერატურა ეროვნულ ენაზე თუმცა მთელ ევროპაშიც იყო გავრცელებული. გავიხსენოთ თუნდაც თხზულებანი ფრანცისკო ასსიზელისა და ფრანცისკო ასსიზელზე, თხზულებანი ჯაკოპონე და ტოდისა, კატარინა სიენელისა, ბირგიტა შვედელისა, რიხარდ როლესი, იულიანა ნორვიხისა. მაგრამ იმჟამინდელ მისტიკოსთა გერმანულ ლიტერატურასა და არა გერმანულს შორის დიდი სხვაობა სუფევს. შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს აგრეთვე იტალიურ ენაზე შექმნილი მისტიური თხზულებანი, მაგრამ ეს ლიტერატურა უფრო ხალხისთვის იყო განსაზღვრული და – რამდენადაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალებია აქ ავტორები – მასში არ შეიძლება იმაზე მეტის დანახვა, ვიდრე არის ლიტერატურული გამოხატულება საკუთარი ღვთის მოშიში განცდისა; ეს ეხება, მაგალითად, წმიდა ბირგიტას დამრიგებლურ მოსაზრებებს.

ამის საპირისპიროდ, გერმანული მისტიკის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა პოპულარულ ლიტერატურასთან, ან, ზებუნებრივ შემეცნებათა და გამოცდილებათა უბრალო ჩანაწერებთან, არამედ, აქ საქმე გვაქვს სერიოზულ ცდასთან, რათა უმაღლესი და იდუმალებით აღსავსე რწმენის ჭეშმარიტებანი მოიცვან კონკრეტულ-გასაგები ფორმით, დედა ენით, და შემდგომ ამით შეიჭრან გერმანელი ადამიანის სულში. გამოხატვის მთელ საშუალებას ამ გზით შეეძლო და უნდა შესძლებოდა გაცილებით ცოცხალი და პიროვნული გამხდარიყო; იგი უფრო მეტის მაუწყებელი გახდა და ამგვარად მსმენელთა გულში უფრო დიდი გამოძახილი ჰპოვა. აქედან აიხსნება, რომ ეროვნულ ენაზე შექმნილმა მისტიურმა ლიტერატურამ გერმანულ მიწაზე ესოდენ უმაღლეს წერტილს მიაღწია. არცერთ სხვა ქვეყანაში ასე დიდი ადგილი არ უკავია მისტიკას, როგორც დროის დიდ მიმდინარეობას,

რომელმაც ფართო მასები მოიცვა, პირველ ყოვლისა მონასტრში, რომელმაც ლიტერატურის ისტორიის ეპოქას თავისი განსაკუთრებული ხასიათი მიანიჭა და მრავალგვარ ლიტერატურულ ფორმებში თავისი გამოხატულება ჰპოვა: ქადაგებებში, სასულიერო სხდომებსა და საუბრებში, სტატიებში, ბიოგრაფიებში, ლეგენდებში, სენტენციებში, ლოცვებსა და წერილებში.

სქოლასტიკურ მოძღვრებათა პირველი გადმოცემა გერმანულ ენაზე და ხანგრძლივი ძიება იმისი შესაბამისი გამოთქმისათვის, რომელიც უკვე თავისთავად გამოუთქმელია და რომლის განცდა ადამიანს ძალუძს მხოლოდ ღვთის წყალობით, ზრდიდა საიდუმლოს მიმზიდველობას, რომლითაც ყოველი მისტიკაა გარემოცული. ამგვარად, თუკი გერმანული ენა იდეურ-ზეგრძნობადი სამყაროსათვის შემზადდა და მეცნიერულ-ფილოსოფიური ტერმინოლოგიით გამდიდრდა, სხვა მხრივ, აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, თუ რა სიძნელეებთან იყო ეს დაკავშირებული. სკოლის სწავლულთა ენაზე – ლათინურზე, დიდი ხანია რაც დადგენილი იყო სპეციალური ტერმინები, გერმანულ ფილოსოფიაში კი, რომელიც ახლა სპეკულატიური მისტიკიდან აღმოცენდა, ისინი ჯერ კიდევ უნდა ჩამოეყალიბებინათ.

ადრინდელ გერმანელ მოქადაგეთ აქ არ შეეძლოთ რაიმე მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა, რადგან მათ არავითარი ფილოსოფიური თემა დამუშავებული არ ჰქონდათ. გზა არავის გაუკვალავს, ყველაფერი თავიდან იყო შესაქმნელი. არსებული ენობრივი საგანძური არ იყო საკმარისი, რათა ახალი და ღრმა აზრებისათვის შესაბამისი გამოხატულება მიენიჭებინათ. უკვე თავისთავად ამ გაბედულ სისტემათა-ნაგებობის აღმართვისას შეიძლებოდა საეჭვო დაახლოება პანთეისტურ ცთომილებებთან; ასევე არ მცირდებოდა საშიშროება შეცდომისა, თუ არ ხდებოდა სწორი და ფაქიზი დაზუსტება ახალი სიტყვების შექმნისას და ენობრივი გარდაქმნების დროს, ან, თუ ეს გამოთქმები, თუნდაც ისინი სწორი ყოფილიყვნენ, მსმე-

ნელთა მიერ არასწორად იქნებოდნენ გაგებულნი, ანდა თუკი მისტიური მო-
ქადაგენი თავიანთ აღვრთოვანებაში გამოთქმებს ძალზე გადააჭარბებდნენ,
რაც საბაბი იქნებოდა და იყო კიდეც გაუგებრობათათვის. ეკჰარტის ქა-
დაგებანი, მაგალითად, მონაზვნების მიერაა ჩაწერილი, რომელნიც ალ-
ბათ თვით ესწრებოდნენ ამ ქადაგებებს. მაგრამ ამ მონაზონთა განათლე-
ბის დიდ დონეს ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ ეს ჩანაწერები არა-
სრულყოფილი და ზოგჯერ აგრეთვე უზუსტო, აზრდამაბნეველიც ყოფილიყო.
ამასთანავე ქადაგებათა მასალა დამმუშავებელთა მხრიდან ხშირად გარ-
დაქმნილა.

ყველა ეს თვალსაზრისი გასათვალისწინებელია. ამგვარად, ადვილი
ასახსნელია, რომ მისტიური ლიტერატურა უცხოელ თეოლოგებთან მიჩნეული
იყო საეჭვო ხასიათის განსაკუთრებულ გამოვლინებად და ამიტომ მას ალ-
მაცერად უყურებდნენ, მიუხმედავად, რომ საზღვარგარეთ კურსირებდა არა
ორიგინალური ტექსტები, არამედ მათი გაუგებარი ლათინური თარგმანები.

მიუხედავად ამ სახიფათო მომენტებისა და მოძღვრებაში და ფორმუ-
ლირებებში აქა თუ იქ ფაქტიურად არსებული უზუსტობებისა, გერმანულმა
მისტიკამ დიდი როლი შეასრულა მათ გაღრმავებასა და გასულიერებაში
და იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას კათოლიკურ ღვთისმოსაო-
ბის ისტორიაში. აგრეთვე გერმანელ მისტიკოსთა დამსახურებას მიეწერე-
ბა ის ფაქტი, რომ მათ გერმანული ენის განვითარებას და განსაკუთრე-
ბით გერმანული პროზის გამდიდრებას დიდი ღვაწლი დასდეს.[15]

---

15. შდრ. M. Grabmann, Die Kulturwelte der deutschen Mystik des Mittelalters, Augsburg 1923.

## დ. განმცდელი სული ( Gemütsinnigkeit )

გერმანული მისტიკა აგრეთვე შინაარსობრივის მხრივ იჩენს განსაკუთრებულობას; მასში ცოცხლობს გერმანული სული. თეოლოგიური დემონსტრირების გვერდით გერმანული სული აღიარებას პოულობს თავისი ძლიერი ლტოლვით მჭვრეტელობისა და შინაგანი ცხოვრებისაკენ. მაშინ, როდესაც რომანულ აზრთა წყობისაგან განპირობებული მისტიკოსები თავიანთ ნაწერებში დიდაქტიკურ, დასისტემებულ თეოლოგებად დარჩნენ და ღვთაებრივს, რომლის მიღწევასაც ისინი ელტვოდნენ, უფრო აბსტრაქტულ სიმაღლეში სამყაროს მიღმა იაზრებდნენ, გერმანული მისტიკის სურვილია, დაახლოებით მე-I4 საუკუნის დასაწყისიდან, რომ უფრო მეტად ადამიანთა გულს მიმართოს, რომ სულში შეაღწიოს და ავგუსტინეს კვალდაკვალ ღვთაება, პირველ ყოვლისა, თვით სულში მოიძიოს, მის იდუმალ ნაწილში, სულის ფსკერზე: ღმერთი არ არის სადღაც ჩვენს გარეთ, არამედ იგი ჩვენშივე მოიპოვება, იქ, სადაც იგი ყველაზე უფრო ახლოსაა ჩვენთან, სამაგად ჭეშმარიტი, სულის უმაღლეს სფეროში, მიმადლებული სულის საძირკველში. სულის ამ საძირკველში, ამ „ნათელ წერტილში სულისა", სრულდება მისტიური შეერთება ადამიანისა ღმერთთან.

ამგვარად მიიღება სისტემა, რომელშიაც გერმანული და საყოველთაო მისტიკის ავლადიდება ერთმანეთს უკავშირდება და რომელიც შეიძლება დაახლოებით შემდეგი სიტყვებით აღინიშნოს:

ღმერთთან შეერთების უმაღლეს საფეხურს სული აღწევს მხოლოდ თავის თავში ჩაღრმავებით, ისევე, როგორც მისი ქვენა ნაწილისაგან ზურგშექცევით, რომელსაც იგი უნდა „გამოეყოს" („entwerden"), და ასევე - ქვეყანას. მაგრამ ეს მიიღწევა მხოლოდ ტანჯვით. „ქვეყნისადმი ზურგშექცევა, პირველი საფეხური ყოველი მისტიკისა, არის - ყოველ

შემთხვევაში მას ასეთი ზემოქმედება გააჩნია – ქვეყნისადმი მტრული დამოკიდებულება. წამყვანი შუასაუკუნეობრივი მისტიკა სხეული – სულის – საკითხს წყვეტს ძალზე მკაცრად. მკაცრია მისი შეხედულება ასკეტურ ცხოვრებაზე, მკაცრია სიყვარული ტანჯვისადმი".[16] ზემოთმოყვანილი მოსაზრებისათვის უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მისტიკოსები მხოლოდ იმ ადამიანებს მიმართავენ, რომელთაც სძაგთ შუა გზაზე გაჩერება და, მადლის შეწევნის პირობით, მაღალი იდეალიზმითა და სრული მზადყოფნით, მთელი სერიოზულობით ეკიდებიან სიტყვას: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს" (მათე 5,48). მისტიკოსები არ არიან პესიმისტები და ქვეყნის მოძულენი, მაგრამ მათ უწყიან, რომ პირველცოდვის გამო საფრთხე ღრმადაა ადამიანის გულში დამარხული: ასკეტური ცხოვრება და მასთან დაკავშირებული სულის ამღვრევა ცდილობს გამოსტაცოს ადამიანი ღმერთში არსებულ მის ადგილსამყოფელს. სულისადმი მათი მზრუნველობა ამიტომ ატარებს ძლიერ ასკეტურ ხასიათს.

სხვადასხვა ელემენტები მოქმედებდნენ ერთობლივად, რათა სწორედ იმ ეპოქის დომინიკანელ ქალებში ასე ღრმა მისტიური ცხოვრება გაფურჩქნილიყო. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ძლიერი მოზღვავება ქალთა მონასტრებში. მე-14 საუკუნის დასაწყისში ორდენის მარტო გერმანული პროვინციის ფარგლებში არსებობდა დაახლოებით სამოცდაათი დომინიკანელ ქალთა მონასტერი. ამის შემდეგ გასათვალისწინებელია განათლების ის დიდი დონე, რომელიც შუა საუკუნეების საზოგადოების ქალს თავისთავად უკვე ახასიათებდა. იმ დროის ქალებს უმეტესწილად წერა-კითხვისა გაე-

---

16. A. Auer in der Einleitung zur 9. Auflage von H. Denifle, Das geistliche Leben, Salzburg 1936, §.23.

გებოდათ ისევე კარგად, როგორც მამაკაცებს სასულიერო წრიდა̄, მაშინ, როდესაც ერისკაცებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეეძლოთ კითხვა. მაგრამ ქალები და მონაზვნები არ იყარგლებოდნენ, როგორც განათლებული მამაკაცები სასულიერო წრიდან, ლათინური და სასულიერო ლიტერატურის კითხვით. ისინი ითვისებდნენ ლიტერატურას მშობლიურ ენაზე და ფლობდნენ საერო პოეზიასაც. ამასთან კავშირში საინტერესო იქნებოდა იმისი აღნიშვნა, რომ იმდროის დომინიკანელ ქალთა მონასტრებმა უკვე ბევრი რამ გააკეთეს ბიბლიის გერმანულ ენაზე სათარგმნელად.[17] უმეტესწილად მონასტერში შესვლისათვის მოითხოვებოდა მაღალი განათლების დონე: „მისტიური ქადაგებანი ორდენის წევრებში გულისხმობდნენ ისეთი მაღალი განათლების დონეს, რომლის წარმოდგენაც ჩვენ მხოლოდ გაჭირვებით თუ შეგვიძლია. მონასტერში მისაღებად არ კმაროდა მარტოდენ ღვთისმოსაური მიდრეკილება და სიმარჯვე რომელიმე პრაქტიკულ საქმიანობაში; მისგან მოითხოვებოდა აგრეთვე გარკვეული და, როგორც ჩანს, არამცირედი ინტელექტი და განათლება".[18] არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე მონაზონთა მოთხოვნილება რელიგიური ჩაღრმავების ცხოვრებისადმი. ყოველივე ამას უნდა მივეყვანეთ რელიგიური ცხოვრების დიდ კულტურამდე, რითაც გერმანულმა მისტიკამ ღვთისმოსაობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა.

---

17. შდრ. F. Maurer, Studien zur mittelhochdeutschen Bibelübersetzung vor Luther, in: Germanische Bibliothek 26(1969) 68 ff.

18. F. Jostes, Meister Eckhart und seine Jünger. Ungedruckte Texte zur Geschichte der deutschen Mystik: Collectanea Friburgensia, Fasc. IV, 1895, §.XX. Freiburg/Schweiz

## 3. გერმანული მისტიკის ისტორია

გერმანული მისტიკის ისტორია ისე მრავალმხრივია და ისე ჩახლარ-თული, რომ აქ მხოლოდ ზოგად მიმოხილვასა და მთავარ წარმომადგენელთა დახასიათებაზე შეიძლება ლაპარაკი. გერმანულ მისტიკაში ძირითადად შეიძლება სამი ფაზა განვასხვავოთ, რომელთაც ჩვენ აღვნიშნავთ აღმავ-ლობად, აყვავების ხანად და დასასრულად.[19]

### ა. მიმოხილვა

პირველ პერიოდს განეკუთვნებიან (სხვებთან ერთად) ნათელმხილვე-ლი ქალები ჰილდეგარდ ბინგენელი, ელიზაბეთ შიონაუელი, ქრისტინა შტ-მელნელი, ასევე, სამი კეთილშობილი ქალის პიროვნება – მეხტილდ ჰაკე-ბორნელი, გერტრუდ დიდი და მეხტილდ მაგდებურგელი, სამივე – ცისტერ-ციენზინელთა[X] ქალთა მონასტრიდან (ჰელფტას მონასტრიდან – აისლებენ-თან), მე-I3 საუკუნის მეორე ნახევრის ქალთა ჭეშმარიტი განათლებისა და ამაღლებული მჭვრეტელობის სამყოფელიდან.

გერმანულმა მისტიკამ თავის აყვავების ხანას ახალი ორდენის მი ქალთა სულიერი ხელმძღვანელობის დროს მიაღწია. განსაკუთრებით გამოირ

---

I9. მოკლე შემაჯამებელ გადმოცემას იძლევა O. Karer in: Lexik für Theologie und Kirche III, 2. Aufl. Freiburg/Brsg. 1959, Sp. 267-269.

X. ცისტერციენზინელები – ბენედიქტინელთა რეფორმატორული ორდენის წევრები. დაარსდა I098 წელს. მთარგმ. შენიშვნა.

ჩევიან ფრანცისკანელი დავით აუგსბურგელი და ბერტჰოლდ რეგენსბურგელი, ასევე, კართოიზერი XX ლუდოლფ საქსონელი – მათ, სამთავემ, დიდი ზეგავლენა იქონიეს. მაგრამ წამყვანი როლი ეჭვგარეშეა, დომინიკანელთა ორდენს განეკუთვნებოდა. აქ მოსახსენიებელია იორდან საქსონელი, ულრიხ სტრასბურგელი, იოანე ფონ შტერნგასსე და სამთა თანავარსკვლავედი – მაისტერ ეკჰარტი, იოანე ტაულერი და ნეტარი ჰაინრიხ სეუზო (სუზო). მათი მონათესავეა ფლამანდიელი იოანე რუისბრუკი, რომლის ზეგავლენამ მოიცვა ნიდერლანდები. ამ წრეს განეკუთვნება აგრეთვე ერთი ფრანკფურტელი მღვდელი, რომელმაც თავის „გერმანულ თეოლოგიაში“ („Theologia Deutsch“) (დაახლოებით I400 წელი) გერმანული მისტიკის მთავარი მოტივები შეაჯამა.

მე-I4 საუკუნის გერმანელი მისტიკოსები და მისტიკოსი ქალები არ იდგნენ იზოლირებულად. ისინი ერთურთთან შეკავშირებულად გრძნობდნენ თავს საერთო ლტოლვით ღმერთთან შეერთებისაკენ და თავს უწოდებდნენ „ღვთის მეგობრებს“ სახარების მიხედვით – იოანე – I5,I4 („თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქუენ“). ღვთის ამ მეგობრებს, რომელნიც არა მხოლოდ მონასტრებში, არამედ ერისკაცებშიც ნახულობდნენ მიმდევრებს, არ სურდათ ფარული კავშირის დაარსება ეკლესიისაგან დამოუკიდებელი ტენდენციებით, არამედ სურდათ ყველა თანამზრახველთა გაერთიანება ურთიერთ დახმარებისა და დარიგებისათვის. მათი დამსახურებაა, რომ მისტიური იდეები და მისტიური ცხოვრება აგრეთვე სხვა ორდენებსა და საერო წრეებში იქნა გატანილი.

მისტიკოსთა ზეგავლენით, განსაკუთრებით დომინიკანელთა ორდენი-

---

XX. კართოიზერები – განდეგილთა კათოლიკური ორდენის წევრები.

მთარგმნ. შენიშვნა.

დან, გერმანული ქალთა დომინიკანული მონასტრები ქალთა ჭეშმარიტი მი-
სტიკის ცენტრებად იქცნენ. ამას ადასტურებენ ცალკეულ მისტიურად და-
ჯილდოებულ მონაზონთა ჩანაწერები. ამასთანავე, ჩვენ გაგვაჩნია ქრო-
ნიკებიც სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ქალთა დომინიკანელი
მონასტრებიდან: მედინგენიდან - დილინგენთან (მარგარეტა ებნერი),
უნტერლინდენიდან - კოლმართან, ადელჰაუზენიდან - ფრაიბურგთან, კირ-
ხბერგიდან - ვიურტემბერგში, ტიოსიდან - ვინტერტურთან (ელზბეთ შტა-
გელი), ოეტენბახიდან - ციურიხთან, კატარინენტალიდან - დიესენჰოფე-
ნთან, ენგელტალიდან - ნიურნბერგთან (ქრისტინა ებნერი), ვაილერიდან
- ესლინგენთან.

გერმანული მისტიკის ბოლო ფაზას თუკი „დასასრულს“ ვუწოდებთ,
ამით არაა ნათქვამი, რომ ამდროისათვის აღარ არსებობდნენ გამოჩენილი
მისტიკოსები; საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი დიონისე კარ-
ტოზელი. მაგრამ ძირითადად მისტიური ელემენტი უკან იხევს; რელიგიურ
ცხოვრებაში უფრო მეტად პრაქტიკულ თვალსაზრისს ენიჭება მნიშვნელობა,
განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაღწია მე-I5 საუკუნეში გერმანიაში
ნიდერლანდებიდან გამოჟონილმა ღვთისმოსაურმა მიმდინარეობამ „ზიარი
ცხოვრების ძმებისამ (ასევე ფრატერებს უწოდებდნენ მათ; დამაარსებე-
ლი: გერჰარდ გროოტე, რუისბრუკის მეგობარი), რომელიც „Devotio
moderna“-ს[x] სახელითაა ცნობილი. რომ ეს სახეობა მოსწონ-
დათ, ჩანს იქიდან, რომ იგი უკვე მაშინ, და არა გვიანდელ თაობათა-
გან, „ახლად“ იყო მიჩნეული. ამასთანავე, საქმე ეხება გამოყენებით
მისტიკას - მჭვრეტელობიდან ცხოვრებისაკენ. მას სურს, რომ რაც სამ-

---

x. Devotio moderna - ლათ. - ახალი (თანამედროვე) ღვთის-
მოსაობა - მთარგმნ. შენიშვნა.

ნასტრო ღვთისმოსაობის ბირთვს შეადგენს, აგრეთვე მონასტრის გარეთ განახორციელოს და ისწავლოს „ორდენის გარეშე ცხოვრება და ამავე დროს არჩებოდეს ორდენის წევრად". მაშასადამე, მონასტრულ სულს ქვეყანა უნდა გაესხივოსნებინა. მისი მიზანია ცხოვრების კურთხევა ქვეყნისაგან ზურგშექცევის გარეშე. ტიპიური ამ სახეობისათვის არის „ქრისტეს მიბაძვა". ღვთისმოსაობის ამ მიმდინარეობის წარმომადგენლად ითვლება აგრეთვე ფრანცისკანელი ჰაინრიხ ჰერპი. *Devotio moderna* -ს ენათესავება რიგი ჩრდილო გერმანული, ბავარიული და ავსტრიული ბენედიქტინელთა მონასტრებისა: ბურსფელდი, მელკი, კასტლი (იოანე კასტლელი), ტეგერნზეე.

მაშინ, როდესაც მისტიკა სამხრეთ გერმანიაში თანდათანობით მინელდა და „ღვთის მეგობრების" ღვთისმოსაობამ დროდადრო ლაიცისტური[XX] ტენდენციები მიიღო, კიდევ ერთხელ აღსდგა ნამდვილი მისტიკოსი წმიდა განდეგილ ნიკოლოზ ფლიუელის სახით. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ნიკოლოზ კუზანელი, „უნივერსალური გენიოსი ფილოსოფიური მისტიკის შერწყმით ეკლესიის პოლიტიკასთან, პიროვნულ შინაგან არსთან და სულიერი მამის თავგამოდებასთან".[20]

---

XX. ლაიციზმი - მიმართულება, რომელიც სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორებას მოითხოვს. მთარგმნ. შენიშვნა.

20. O. Karrer, a. a. O., Sp. 259.

## ბ. ბიოგრაფიული ცნობები

აქ დასახელებულია მხოლოდ ის მისტიკოსები, რომელთა ტექსტებიც ქვემოდაა მოყვანილი. მათი პოვნა რომ გაადვილდეს, სახელები დალაგებულია არა ქრონოლოგიური პრინციპის, არამედ ალფავიტის მიხედვით.[X]

### ქრისტინა შტომელნელი (1242–1312)

ბეგინი კიოლნში და შტომელნში-კიოლნთან. 1267 წლიდან იმყოფებოდა მისი მოძღვრის, დომინიკანელი პეტრე დაციელის მზრუნველობის ქვეშ, რომელმაც აღწერა აგრეთვე მისი ცხოვრება. ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა ხილვები, მისი სტიგმატიზაცია[XX] დადასტურებულია. პიუს X 1908 წელს აპრობირება მისცა მის კულტს.

### დავით აუგსბურგელი (დაახლ. 1200–1272)

პირველი გერმანულენოვანი მისტიკოსი და ერთ-ერთი პირველი გერმა-

---

X. იგულისხმება ლათინური ალფავიტი და ჩვენ ეს რიგი თარგმნისას არ დაგვირღვევია. მთარგმნ. შენიშვნა.

XX. სტიგმატიზაცია (ბერძნ. „სტიგმა" – ჩხვლეტა, დაღი) – უჩვეულო მოვლენა ადამიანის სხეულზე, როდესაც ჩნდება სისხლჩაქცევები ან სისხლის განონაჟონები იმ ადგილებზე, რითაც ქრისტე იყო მილურსმნული ჯვარზე და სადაც ედგა ეკლის გვირგვინი. მთარგმნ. შენიშვნა.

ნელი ფრანცისკანელი. მეგობარი და თანამგზავრი ბერტჰოლდ რეგენსბურგელისა; მოღვაწეობდა აგრეთვე როგორც ინკვიზიტორი. მისგან დარჩენილია ლათინური დარიგებები მორჩილთათვის, ასევე, ასკეტურ-მისტიური ტრაქტატები გერმანულ ენაზე (სათნოების შვიდი წინაგანაწესი, სარკე სათნოებისა), რომლებშიაც იგი აკავშირებს მაღალ იდეალიზმს პრაქტიკული ცხოვრების ფხიზელ გაგებასთან.

## დიონისე კარტუიზერი (I402/03-I47I)

თავისი პირველი განათლება მიიღო ფრატერებთან დევენტერში და იმყოფება რუისბრუკის აზროვნების ზეგავლენის ქვეშ. თვრამეტი წლისა გახდა კარტუიზერი; თეოლოგიის ყველა სფეროში შექმნილი აქვს ნაწარმოები. თავისი კონტემპლატიური აზროვნების უნარის, თავისი ხშირი ექსტაზური მდგომარეობების (მან, სხვათა შორის, კონსტანტინეპოლის დაცემა ვიზიონერულად განჭვრიტა) და თავისი მისტიური ნაწერების გამო მან მიიღო სახელწოდება „Doctor ecstaticus".

## ეკჰარტი, მაისტერი[X] (დაახლ. I260-I327)

განეკუთვნებოდა რაინდულ გვარს ჰოხემჰაიმში გოთასთან. I304 წელს იგი გახდა პირველი წინამძღვარი საქსონურ დომინიკანელთა ორდენისა. იგი გარდაიცვალა როგორც მასწავლებელი და მოქადაგე კიოლნში,

---

X. მაისტერი = ოსტატი, მასწავლებელი, დამრიგებელი, მეტრი.

მთარგმნ. შენიშვნა.

მას შემდეგ, რაც იმოღვაწა როგორც რეფორმატორმა ბოჰემიაში დომინიკანელთა მონასტერში, როგორც პროფესორმა პარიზში და როგორც მოქადაგემ სტრასბურგში. ეკჰარტმა დატოვა მდიდარი ლიტერატურა (Opus tripartium, Quaestiones ; გერმანული ქადაგებანი და ტრაქტატები). რადგანაც იგი თავის ქადაგებებსა და ლექციებში უფრო მეტად მისტიკოსი იყო, ვიდრე დოგმატიკოსი, ხოლო თავის მისტიკაში კი მაღალი თეოსოფიური და სპირიტუალისტური მჭვრეტელობისაკენ ისწრაფვოდა, ამასთანავე, მისი გამოთქმის მანერა (მის მიერ ნაწილობრივ პირველად წამოწყებული ფორმულირებები გერმანულ ენაზე), თეოლოგიურად ზოგჯერ არაზუსტი იყო, და იმავე დროს, უყვარდა რა სახიფათო ზღვრული ფორმულირებანი, აგრეთვე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მისი ქადაგებანი და ლექციები ყოველთვის როდი იყვნენ ზუსტად ჩაწერილნი, მაშინ გასაგები გახდება ის გარემოება, რომ მისი მოძღვრება მრავალგზის იქნა ეჭვმიტანილი და მკაცრად შემოწმებული. საბოლოოდ, კიოლნში, ინკვიზიტორებმა მის წინააღმდეგ პროცესი გამართეს. ეკჰარტმა არაერთხელ დაიცვა თავი, ხოლო 1327 წლის 13 თებერვალს უსიტყვოდ უარყო ყველა თეზისი, რომელთაც მიახლოებითაც კი საეჭვო შინაარსი გააჩნდათ, და დაემორჩილა უწმიდესი პაპის განაჩენს მას შემდეგ, რაც მან, წინდაწინ, პაპის კურიას ავინიონში თავდასაცავი წერილი გადასცა. იმავე წელსვე გარდაიცვალა იგი, სანამ ჯერ კიდევ რაიმე გადაწყვეტილება იქნებოდა გამოტანილი. დიდი გამოკვლევის შემდეგ, 1329 წელს, იოანე XXII-მ დაგმო მისი 28 თეზისი, ამათთაგან 17 როგორც ერეტიკული, 11 როგორც კადნიერებასა და ერეტიკოსობაში ეჭვმიტანილი. მხოლოდ მთლიანი კრიტიკული გამოცემა ეკჰარტის თხზულებებისა შეგვაცნობინებს ამ თეზისების ურთიერთკავშირსა და მათ ნამდვილ აზრს. ყოველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ეკჰარტს ყოველთვის სურდა თავისი მოძღვრების შეთანხმება დოგმასთან.

## ელიზაბეთ შიონაუელი (დაახ. 1129-1164)

ბენედიქტინელი შიონაუს მონასტერში (ჰესსენი). 1152 წლიდან მას ხშირად ჰქონდა ხილვები, რომელნიც „ხილვათა“ 3 წიგნში და წმ. ჰილდეგარდის *Scivias* მაგალითით შექმნილ *Liber viarum Dei* -შია (წიგნი ღვთის გზებისა) გადმოცემული (ორივე თხზულება მისი ძმის + აბატი ეკბერტის მიერაა რედაქტირებული). მისმა გამოცხადებებმა წმ. ურსულაზე გადამწყვეტი ზეგავლენა იქონიეს ლეგენდის ფორმირებაზე.

## გერტრუდ დიდი (1256-1302)

წმიდანი. მოწაფე მეხტილ ჰაკებორნელისა. ხუთი წლის ბავშვი იყო, როდესაც ჰელფტაში მივიდა; თავისუფალ ხელოვნებებში[X] და თეოლოგიაში კარგად განსწავლული. ოცდახუთი წლის ასაკში პირველი გამოცხადება ჰქონდა მაცხოვრისა, რომელიც მას თითქმის ყოველდღე სიკვდილამდე შინაგანი გასხივოსნებით სწყალობდა. მისი უდიდესი ბედნიერება გახლდათ იესოს ღვთაებრივი გულის სიყვარულში ჩაძირვა. მისი გამოცხადებანი, რომლებიც მან უფლის ბრძანებით ჩაიწერა, ატარებენ სათაურს - „დესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა“. - გარდა ამისა, არსებობს კრებული მისი

---

X. შუა საუკუნეებში თავისუფალ ხელოვნებებს უწოდებდნენ გრამატიკას, დიალექტიკას, რიტორიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, მუსიკას და ასტრონომიას. მთარგმნ. შენიშვნა.

ლოცვებისა და სულიერი ვარჯიშებისა (*Exercitia spiritualia*).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### გიზელჰერ ზლატჰაიმელი (მე-I4 საუკუნე)

დომინიკანელი. ზუსტი ცნობები მის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე არ გაგვაჩნია. იგი, საფიქრებელია, იყო მკითხველი კიოლნისა და ერფურტის მონასტრებში. გამორიცხული არ არის დროებითი სიახლოვე მაისტერ ეკჰარტთან. თავის ქადაგებებში დამოძღვრის სახით ამუშავებს თეოლოგიურ საკითხებს.

### ჰილდეგარდ ბინგენელი (I098-II79)

წმიდანი. წინამძღვარი ბენედიქტინელთა ქალთა მონასტრისა რუპერტის მთაზე ბინგენთან. უკვე მის თანამედროვეებზე ახდენდა იგი დიდ შთაბეჭდილებას თავისი ხილვებით, რომელნიც მან ჩაიწერა „*Liber Scivia*“-ში (=*scivias Domini*; შეიმეცნე გზანი ღვთისა); რა თქმა უნდა, სხვათა დახმარებით. ახლანდელ დროში კვლავ ყურადღება მიაქციეს მის მედიცინურ და საბუნებისმეტყველო თხზულებებს და მას მიიჩნევენ პირველ გერმანელ ბუნების მკვლევარად და ექიმად.

### იორდან საქსონელი (მე-I2 საუკუნის ბოლო-I237)

ნეტარი, დომინიკანელი. როგორც პირველმა მემკვიდრემ წმ.დომინიკესი გენერლის რანგში (I222 წლიდან), მან ჩამოაყალიბა ორდენის ორ-

განიზაცია. თავისი წარმტაცი ქადაგებებით მან ორდენს შესძინა ბევრი სპეციალისტი, განსაკუთრებით პროფესორთა და სტუდენტთა შორის პარიზში (აქ ალბერტ დიდი), ოქსფორდში, ბოლონიაში, ვერჩელლიში და მონპელიეში. მის ვრცელ კორრესპონდენციებს, განსაკუთრებით ნეტარი დიანა ანდალოელის მისამართით გაგზავნილთ ბოლონიაში, წმ.აგნესას მონასტერში, რომლითაც იგი წარმოგვიდგება როგორც სულიერი მოძღვარი, ღირებულება გააჩნიათ „როგორც უძველეს დომინიკანურ დოკუმენტს მისტიური ღვთისმოსაობისა" (ბ.ალტანერი).

## მონასტერთა ქრონიკები (მე-I4 საუკუნე)

სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის მრავალ დომინიკანურ ქალთა მონასტრებში, სულიერი და რელიგიური ამაღლებისაკენ მოსწრაფე მონაზვნებში, განსაკუთრებულად აყვავდა მისტიკა და აისახა იგი ლოცვის შინაგან ცხოვრებაში, ასევე, თვალშისაცემ ექსტატიურ მდგომარეობებსა, ხილვებსა და გამოცხადებებში. აქ გათვალისწინებული იქნება ამ ქრონიკებიდან მხოლოდ სამი (ციტატები აქ მოყვანილ გამოცემათა მიხედვით):

ტოოსი E. Stagel, Das Leben der Schwestern zu Töß, hrsg. von M. Weinhandl, München 1921

ენგელტალი Das Büchlein von der Gnaden Überlast von Christine Ebner, übertragen und eingeleitet von W. Oehl, Paderborn 1924

კატარინენტალი A. Birlinger, Die Nonnen von St. Katharinenthal bei Diessenhofen (Leben heiliger alemannischer Frauen im Mittelalter V), Bonn 1888, S. 150 ff

## მეხტილდ ჰაკებორნელი (I24I-I299)

წმიდანი. და გერტრუდ ჰაკებორნელისა, ჰელფტას აბატისასი, თავისი თავმდაბლობითა და ღვთისმოსაობით, თვისი თვითგვემითა და მრავალ ტანჯვათა დიდი მოთმინებით გადატანით, იგი ანცვიფრებდა ირგვლივ მყოფთ და დიდი თაყვანისცემა მოიპოვა. მისდამი განსაკუთრებულ წყალობათა ფაქტი მან გაუზიარა მონასტრის ორ დას, რომელთაც ეს ჩაიწერეს „განსაკუთრებულ წყალობის წიგნში“.

## მეხტილდ მაგდებურგელი (დაახლ. I2I0-I290)

მას შემდეგ, რაც მეხტილდმა რამდენიმე ათეული წელიწადი მაგდებურგის ბეგინთა ერთერთ სახლში სრულ სიჩუმესა და მკაცრ სინანულში გაატარა, იგი, უკვე ასაკოვანი, ცისტერციენზერინებთან მივიდა ჰელფტაში, სადაც მან თავისი ცხოვრების ბოლო თორმეტი წელი დაჰყო. ორმოც წელზე მეტ ხანს იმყოფებოდა იგი დომინიკანელთა ხელმძღვანელობის ქვეშ. მისი ხილვები ჩვენ შემოგვრჩა თხზულებაში „ნარნარი შუქი ღვთაებისა“, სადაც მას ღვთაების საიდუმლოებათა გამოცხადება სურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქრისტეს მიბაძვა

ეს მთლიანად *Devotio moderna*-ს სულით გამსჭვალული, წმ. წერილის შემდეგ ყველაზე ხშირად დაბეჭდილი და ნაკითხი, ყველა კულტურულ ენაზე თარგმნილი დამრიგებლური ხასიათის წიგნი მთელი ქრისტიანობისათვის საყვარელ წიგნად იქცა. მისი ავტორობის საკითხი დღევანდლამდე ჯერ კიდევ არაა გარკვეული. მნიშვნელოვანი მოსაზრებანი ლაპარაკობენ გერჰარდ გროოტის (გარდაიც. I384) ავტორობის სასარგებლოდ, რომელიც იყო მეგობარი რუისბრუკისა და დამაარსებელი ფრატერობისა. ერთსულოვნება სუფევს მხოლოდ იმ საკითხში, რომ ადრე ყველასაგან ავტორად მიჩნეულმა თომა კემპიელმა (გარდაიც. I47I) ეს ქმნილება დაასრულა.

## ნიკოლოზ კუზანელი (I40I-I464)

სწავლობდა ზიარი ცხოვრების ძმებთან. მონასტრის დეკანი კობლენცში, I448 წელს - კარდინალი, I450 წელს ბრიქსენის ეპისკოპოსი. თავგამოდებული მეარველი საეკლესიო რეფორმისა. იგი ფლობდა მთელ თეოლოგიურ და საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ ცოდნას მისი დროისას. ღმერთში სამყაროს წინააღმდეგობათა დამთხვევა და გაერთიანება მისთვის ამოსავალი წერტილი იყო მისტიური მწვერვალებისაკენ ასამაღლებლად, ამაღლებად ღვთის მჭვრეტელობისაკენ, სადაც შემეცნება სიყვარულია და სიყვარული შემეცნება.

## რუისბრუკი, იოანე (1293-1381)

უწარჩინებულესი ფლამანდიელი მეგობარი ღვთისა, „გასაოცრად“ წოდებული. ჯერ იყო მღვდელი, მოგვიანებით შეუერთდა მეგობრებს. ამ პატარა საზოგადოებამ მიიღო ავგუსტინელთა ორდენის წესები და დაარსა მონასტერი გროენენდაელი. თავის მისტიურ თხზულებებში – „სულიერი ქორწინების მორთულობა“, „სარკე მარადიული ბედნიერებისა“, „სიყვარულის შვიდი საფეხური“, „წიგნი თორმეტი ბეგინის შესახებ“ – რუისბრუკმა გვიჩვენა გზა ქმედითი ცხოვრებიდან ღვთის მჭვრეტელურ ცხოვრებამდე.

## სეუზო (სუზო), ჰაინრიხ (დაახლ. 1295-1366)

ნეტარი. უკვე ცამეტი წლისა აღიკვეცა თავისი მშობლიური ქალაქ კონსტანცის დომინიკანელთა მონასტერში. კიოლნში მიღებულ ფილოსოფიურ-თეოლოგიური განათლების შემდგომ იგი დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა როგორც მოძღვარი კონსტანცასა და მეზობლად მყოფ ქალთა მონასტრებში. 1349 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე იგი მოღვაწეობდა ულმში. სუზო იყო სპეკულატიური ნიჭით, პოეტური შეგრძნების უნარითა და გრძნობათა სიმდიდრით დაჯილდოებული ადამიანი, მისი „სიცოცხლე“, „წიგნი ჭეშმარიტებისა“ და „წიგნი მარადიული სიბრძნისა“, „Horologium sapientiae“ (წიგნი სიბრძნის საათისა) და მისი წერილები წარმოგვიდგენენ მას, როგორც ყველაზე უფრო გულისხმიერსა და თავაზიანს მისტიკოსთა შორის.

## შტერნგასსენი, იოანე ფონ (გარდაიც. I327 წლის შემდეგ)

დომინიკანელი; პროფესორი ორდენის უნივერსიტეტში სტრასბურგსა და კიოლნში. იგი ამუშავებს მისტიკის დიდ საკითხებს მთლიანად წმ. თომა აქვინელის სულისკვეთებით, რომლის სენტენციათა კომენტარში განვითარებული სპეკულაციები მას თავის გერმანულ ქადაგებებსა და გამოთქმებში ხალხამდე დაჰყავს.

## ტაულერი, იოანე (დაახლ. I300-I36I)

მასზე ყველაზე მეტად ეკჰარტმა მოახდინა ზეგავლენა. ამ დომინიკანელის მთავარ მისწრაფებას არ შეადგენს სპეკულაცია, არამედ მისტიური დოქტრინის გამოყენება ცხოვრებაში. იგი პირველ ყოვლისა ზრუნავს ზნეობათა გაუმჯობესებათათვის და ღვთის სიყვარულის ყოველდღიურობაში გამოვლინებისათვის. ამიტომაა იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი სულიერი მოძღვარი ცხოვრების პრაქტიკულად მოწყობისათვის ღმერთთან მისტიური შეერთების სულისკვეთებიდან გამომდინარე. ამის დამადასტურებელია მისი ქადაგებანი, რომლითაც იგი გამოდიოდა კიოლნში, ბაზელში და სტრასბურგში.

## გერმანული თეოლოგია [Theologia Deutsch]
## (მე-I4 საუკუნის დასასრული)

Devotio moderna -ს სფეროს განეკუთვნება ანონიმი

ავტორი, რომლის პიროვნება დღევანდლამდე არაა დადგენილი, მაგრამ რომელიც ნამდვილად მოღვაწეობდა ტევტონური ორდენის ეკლესიაში საქსენჰაუზენში – ფრანკფურტ/მაინთან. მე-I4 საუკუნის ბოლოს მან შექმნა „წიგნი სრულყოფილი ცხოვრების შესახებ", რომელიც ლუთერმა პირველად გამოსცა როგორც „გერმანული თეოლოგია": უბრალო საჭელმძღვანელო ღმერთთან შეკავშირების მიღწევისა და მისი ნამდვილი გაღრმავებისათვის განწმენდის, ნათლის მოფენისა და შეერთების გზით.

## სიტყვათა განმარტებანი

გერმანელ მისტიკოსთა მიერ ხშირად ხმარებული გამოთქმების მნიშვნელობა.

განმარტოება (*Abgeschiedenheit*): მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი ყოველგვარ ქმნილებასა და საკუთარ ნება-სურვილს ზურგს აქცევს და მთლიანად ღვთისკენაა მიმართული.

გამოსვლა (*Auskehr*): მიბრუნება გარე სამყაროსადმი, გარეშე საგნებით დაკავება.

გამოსახულება, სურათი (*Bild*): ხშირად გამოთქმისას „გამოსახულების გარეშე", ე.ი. გრძნობისმიერი დასურათხატების გარეშე, ფანტაზიის მონაწილეობის გარეშე, წმიდა სულიერი ჭვრეტა.

სიმარტივე, უბრალოება, უბრალო (*Einfältigkeit, Einfalt, einfältig*): საწინააღმდეგო სხვადასხვა-

გისა (*Mannigfaltigkeit*) განუსხვავებე-ლი (*ununterschieden*) (აგრეთვე ერთი), როდესაც შინაგანი და გარეშე მოღვაწეობანი ერთ სწორ აზრში არიან გაერთიანებულნი.

ჩაღრმავება (*Einkehr*): თავის თავში ჩაღრმავება, შინაგანი კონცენტრაცია.

სიმშვიდე (*Gelassenheit*): მისტიური სიქველე სრული თვითუარყოფისა, ღვთისადმი გმირული ერთგულებისა, რომელიც აქტივობას მაინც არ გამორიცხავს; მშვე-თვარე არის ის, ვინც მოუწესრიგებელ ტრფიალს აპარებს საკუთარი თავისა და ამქვეყნიურის მიმართ.

საფუძველი, საძირკველი, ფსკერი (*Grund*): სულის უშინაგანესი, სულის საძირკველი, სადაც ადამიანმა გაითავისუფლა თავი ყოველგვარი საკუთარი ნება-სურვილისაგან და ქმნილების ყოველნაირი ტრფიალი-საგან.

უსაფუძვლო, უსაძირკველო, უფსკერო (*grundlos*): საფუძვლის, საძირკვლის გარეშე – უძიროს, უღრმესის, უსაზომოს გაგებით.

დაბრკოლება (*Hindernis*): რაც გამთიშველად აღმართულა ღმერთსა და სულს შორის; დაბრკოლების გარეშე: უშუალოდ.

შინაგანი ცხოვრება, შინაგანობა, შიდა არსი (*Innerlichkeit, Inwendigkeit*): მდგომარეობა სულისა, როდესაც იგი სავსებით თავისუფალია წარმოდგენა-

თაგან, სურათთაგან, გონების ქმედობათაგან და მისწრაფებათაგან.

დატოვება, დათმობა (lassen, sich lassen): საკუთარ ნებაზე უარის თქმა, მინდობა.

სიწმინდე, გამჭვირვალობა (Lauterkeit, lauter): როგორც დღევანდელი გაგებით წმინდა, შეურეველი, აუმღვრეველი, ასევე, აგრეთვე შემდეგი მნიშვნელობით: საშუალების გარეშე, სურათის გარეშე (იხ. სურათი).

სხვადასხვაობა (Mannigfaltigkeit): საკუთრივ მრავალფეროვანი, მრავალფეროვნება; უმრავლეს შემთხვევაში აღმნიშვნელია მოუწესრიგებელი მდგომარეობისა, რომლის დროსაც შინაგანი ცხოვრება მთლიანად არაა ღვთისაკენ მიმართული; აქედან: გამრავალფეროვნება: შინაგანად მოუწესრიგებლად, დაბნეულად ყოფნა. სხვადასხვაობა უპირისპირდება სიმარტივეს (იხ. ზემოთ).

ფიქრი, (meinen): რაიმეს განზრახვა, რაიმესაკენ თავისი თავის ან განზრახვის მიმართვა.

საშუალება (Mittel): რაც გამთიშველად შუაში აღმართულა, განსაკუთრებით ღმერთსა და სულს შორის; უმეტეს შემთხვევაში: საშუალების გარეშე, უშუალო: დაბრკოლების გარეშე.

არმსგავსება, უთანასწორობა (Ungleichheit): ხშირად ღვთისაგან დაშორება, ღვთის სიშორე.

საშუალება-გზა (Weise): ღმერთთან მიმართებაში: გამოცხადების ფორმა; რაიმე, რაც არსს უახლოვდება, აქ-

დან უმეტეს შემთხვევაში:

უგზო ( weiselos ): გზის (საშუალების) გარეშე (უგზოობა), მოწყვეტა ყოველგვარი ცდისეულისაგან, მხოლოდ წმინდა არსის მიხედვით.

## შ ე რ ჩ ე უ ლ ი   ტ ე ქ ს ტ ე ბ ი

### I. ღმერთი ყველაფერი – ყოველივეში

ქრისტიანი ადამიანი, როგორც მან მისტიკოსში განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა, არ არის ყრუ ღვთის მოწოდების მიმართ ამქვეყნად. ღმერთში სწორედ თავის ადგილმდებარეობის მეშვეობით იგი აღწევს იმისი რეალობის დანახვასა და შეგრძნებას, რომელიც ყოველივეზე მაღლა დგას, რომლისგანაც ყველაფერი თავის საწყისს ღებულობს და რომლისკენაც ყოველივე უკანვე მიილტვის. იგი ბუნებაში ხედავს ღმერთს ისე, რომ არ ეცემა პანთეისტურ არსთა შერწყმამდე; ბუნება მისთვის არის სიმბოლო და ქმნილება შემოქმედის ძალისა, სიდიადე და მშვენიერება ღვთისა. იგი ხედავს ღმერთს ადამიანში; ადამიანი ხომ იმის მსგავსია, ვინც იგი შექმნა. იგი ღვთის სიყვარულს პირველ ყოვლისა ხედავს ქმნილებაში, რომელიც ზებუნებრივ წყობაში შედის და წყალობის უკვდავ ენერგიათაგან ფორმირდება და აღინთება; რადგან წმიდა თომა აქვინელის მიხედვით „ცალკეული ადამიანის მადლის ავლადიდება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მთელი სამყაროს ავლადიდება“ ( Summa theol. I-II 113,9 – 2). ამგვარად, მისტიკოსისათვის ყველაფერი შექმნილი გამოსხივებაა საწყისის წმიდა ღვთისა, ხატია უმაღლესისა, გამოხატულებაა მამის სიკეთისა, ძღვენია და საბოძვარი ზეციდან.

ეს ნათელხილვა, ეს ხედვა შემოქმედის მართვისა და სამყაროში დანაკოვარი მისი კვალისა მისტიკოსს აიძულებს განცვიფრებით აღსავსე თვალნი აღაპყროს ზევით და დაიჩოქოს წინაშე ღვთის დიდებულებისა და გააჩნდეს მხოლოდ ერთი სურვილი – მთლიანად არსებობდეს ამ ღმერთისათვის. იგი ღვთის დასტურით შემოდის ბუნებაში, შეპყრობილია შეგრძნობ-

ლი წყურვილით ღვთისადმი და სრული მინდობით თავს აბარებს ღვთის კალთას. მას გააჩნია მხოლოდ ერთი აუცილებელი საზრუნავი - ღვთის ნების აღსრულება და გადმოსჩქეფს მადლიერების აღსავსე ყველა იმ წყალობათა და საბოძვართა გამო, რითაც ჩვენ ღმერთი გამუდმებით გვასაჩუქრებს.

მისტიკოსები გვამცნობენ და ადასტურებენ მათთან ღვთის განსაკუთრებული სიახლოვის ნიშნებს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამ ნიშნებს ჩვენც რომ აუცილებლად დაველოდებოდით, ან, საერთოდ რომ მოგვეთხოვა ისინი. ღმერთი უგზავნის თავის განსაკუთრებულ წყალობას - როდესაც, როგორც და ვისაც მ ა ს სურს. ჩვენ კმაყოფილნი უნდა ვიყოთ იმით, რაც ჩვენთვისაა განსაზღვრული. არავის ერგება ძალზე მცირე. მისტიკოსთა ჩანაწერები შესაძლებლობას გვაძლევენ ვიხილოთ ღვთის სიმდიდრე, რომლის გასაცემად, თუკი მას სურს, იგი მზადაა მათთვის, რომელნიც მას ეძიებენ და გულის სიღრმიდან აღავლენენ მისდამი სიყვარულს.

## I. ღვთის გამოცხადება

## ღ ვ თ ი ს ყ ვ ე ლ გ ა ნ ს უ ფ ე ვ ა

შენა ხარ ყოველ საგანზე, ყოველ მხარეს, ყველა დროში... შენ იმყოფები ყველა საგნებზე მაღლა მეფური ძალმოსილებით და შენი ბუნებრივი ღირსებით. შენა ხარ ყველა საგანთა შორის, ყოველი საგანი შენზეა დაფუძნებული... შენ იმყოფები უშინაგანეს ყოველ საგანთა, რადგან შენა ხარ ყოველი საგნის უშინაგანესი გული და ფარული ძალა და შენ ანიჭებ მათ მათსავე არსს. შენ იმყოფები საგანთა მიღმა, რადგან არცერთ საგანს არ ძალუძს აღქმა შენი და არცერთი ქმნილება არ შეგიცავს შენ; შენ შეიცავ ყოველ საგანს; რადგან შენა ხარ ყველა საგანთა პირველსა-

ხე და ცოცხალი მოქანდაკე, რომელშიაც ყოველივე ცხოვრობდა, რაც არის, რაც იყო, ან იქნება... შენა ხარ მათი უფალი, შენა ხარ მათი მსახური, ხარ მათი მამა, ხარ მათი დედა, შენა ხარ ბავშვი მათი, მათი ძმა ხარ შენ, შენა ხარ უმანკოესი და უტკბილესი მოსიყვარულე ქმარი მათი.

დავით აუგსბურგელი: ჭეშმარიტების შემეცნების შესახებ. ღვთის ჭვრეტის შესახებ.

მაისტერ ეკჰარტი ამბობს, რომ ღმერთი არამარტო მამაა ყველა კეთილ საგანთა; იგი აგრეთვე დედაა მათი. მამა იმიტომაა იგი, რადგან მიზეზია ის ყველა საგნისა და შემოქმედი. და აგრეთვე დედაა იგი ყველა საგანთა: რადგან თუკი ქმნილება მისგან ღებულობს თავის არსს, მაშინ იგი რჩება ქმნილებასთან და ანარჩუნებს მას შესაბამისად მისი არსისა. დიახ, ღმერთი თუ არ დარჩა ქმნილებასთან და ქმნილებაში, მაშინ მისგან მიღებული არსი მას, გაჭირვების წინაშე, მალევე უნდა დაეკარგა. რადგან რაც ღვთისაგან ამოვარდება, იგი ამოვარდება საკუთარი არსიდანაც არარაობაში. აგრერიგად არაა საქმე სხვა ნივთებთან, რომლებიც, აღწევენ რა თავის არსს, მაინც მხოლოდ სხვა რაიმესაგან გამოდიან, რომელიც თავად სხვისაგან გამოწვეული საგანია. როდესაც სახლი საცსებით აღწევს თავის არსს, მაშინ ხურო მას ტოვებს. და ეს იმიტომაა ასე, რადგან ხურო ნაწილობრივი მიზეზია მისი შექმნისა: იგი მასალას ბუნებისაგან ღებულობს. ასე არაა ღმერთთან: იგი ქმნილებას ანიჭებს ყოველივეს, რასაც წარმოადგენს: ფორმას და მატერიას. ამიტომაც უნდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარჩეს იგი მასთან, ან არადა ქმნილება მყის ჩამოსცილდება თავის არსს.

მაისტერ ეკჰარტი: აფორიზმები 41

მონასტერ ტიოსში მყოფი ნეტარი დის იუცი შულტჰაზინის შესახებ მოგვითხრობენ: მან შეიმეცნა განსაკუთრებული გზით, თუ როგორ იმყოფება ღმერთი ყველა საგანში და ყოველ ქმნილებაში, და რომ არ შეიძლება გასრულდეს საგანი, თუ სახეზე არაა ღმერთი თავისი ძალით, აგრეთვე ცოცხალ (leiblichen) საგნებში. მან შეიმეცნა ასევე, თუ როგორაა ღმერთი ყოველ ბალახში და ყოველ ყვავილში და ფოთოლში და როგორაა იგი ყოველგან ჩვენს ირგვლივ და ჩვენში... შემდგომ მან შეიმეცნა, რომ ღმერთს არაფერი არ დაემალება, და რომ უპატარავეს კოღოსაც არ ძალუძს თავისი პატარა ფეხის გადადგმა ისე, რომ ღმერთმა ეს ნათლად არ დაინახოს. და როგორც ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ ერთმა ადამიანმა მეორეს თვალში უჩხვლიტოს და იგი ამოუღოს და მეორემ ამის შესახებ არაფერი იცოდეს, ასევე, ათასჯერ უფრო შეუძლებელი იქნებოდა, რომ ღმერთს არ სცოდნოდა ყველა საგანი... იგი ღმერთში ხედავდა ყველა საგანს. იგი ჭვრეტდა და ხედავდა აგრეთვე იმას, რომ ღმერთში ახალი სასწაულები განუწყვეტლივ მოსჩანან და რომ სასწაულნი მუდმივნი და მარადიულნი არიან.

ტიოსის ქრონიკა

## ღ ვ თ ი ს  ს ი ღ ი ა დ ე  დ ა
## მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა

შენა ხარ უფსკრული შეუქმნელი სიბრძნისა, შენა ხარ ნავსაყუდელი განუზომელი ძალისა, შენ განძი ხარ უმდიდრესი, რომელსაც ვერავინ აღნუსხავს სრულად, შენა ხარ უმაღლესი და უსრულყოფილესი საუნჯე, რომელსაც ვერავინ ისურვებს; რადგან რასაც კარგად ყოფნა ძალუძს და უმეთესად და საუკეთესოდ, ესა ხარ შენ უკეთესზე საუკეთესო გზით.

დავით აუგსბურგელი: ღვთის ჭვრეტის შესახებ.

სიღრმე ღმერთში: ისეთი უფსკრულია, რომ ყოველივე შექმნილ შემეცნების ძალას მისი არც მიღწევა და მასში არც შეღწევა ძალუძს – ეს სიღრმე მიიღწევა ან მისი წვდომა შესაძლებელია მარტოოდენ ღვთისაგან. ეს სიღრმე ადამიანებმა იმ გზით უნდა იძიონ, რომ მას ისინი საკუთარი სიღრმით შეეგებონ, ესე იგი უძირო სიღრმით მიუწვდომელ თვითგანადგურებისა. მათ რომ შესძლებოდათ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, წმინდა არარაობად გახდომა, ისინი ამას სამართლიანად ჩასთვლიდნენ. ეს მომდინარეობს მათი სიღრმისა და მათი საკუთარი არარაობის შემეცნებიდან. ისინი მიემართებიან დაბრმავებულ, გახრწნილ ცოდვილთა შორის, განიცდიან მწარე ტკივილს, ტანჯვა-წამებას, და სიბრალულით აღსავსენი არიან მათი სიბრმავისადმი. იმდენად მიუწვდომელია მათი სიღრმე, რომ მათ ჩაიძრევდნენ ჯოჯოხეთის ფსკერზე – ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო და ღმერთს რომ ასე განესაზღვრა, მაგრამ რაც მან არ გააკეთა – და ყველას, ვინც ჯოჯოხეთში იმყოფება, მისი დატოვება შეეძლებოდა, ხოლო

ისინი კი მათ ადგილს დაიკავებდნენ: ისინი ამას ხალისით იქმოდნენ
სიყვარულის გამო. მაგრამ არავის არ აქვს უფლება ამის გაკეთებისა
ან საერთოდ ამაზე ფიქრისა, რადგან მაშინ ეს იქნებოდა ღვთაებრივი
წესრიგის საპირისპირო. მაგრამ სიყვარულისა და თავმდაბლობის გამო
ისინი ისე მოიქცეოდნენ, როგორც სიყვარულით აღსავსე პავლე, როდესაც
მან ეს სურვილი გამოთქვა: უფალო, აღმხოცე მე ცოცხალთა წიგნიდან,
რათა ხსნილ იყვნენ ისინი (შდრ. რომ.9,3). ეს სიღრმე ჩვენში იშვება
ღვთის მიუწვდომელი სიღრმის უსკრულიდან, რომლის მიღწევა და ჩაწვდო-
მა არავითარ გონებას ადამიანისას ან ანგელოსისას არ ძალუძს. როგორ
შეიძლებოდა მასზე რაიმეს თქმა, თუ რას წარმოადგენს ის? ეს ჩვენთვის
უცნობია; ამაში არაფერია გასაკვირი.

ამის შემდეგ ვისაუბროთ ღვთის სიმაღლის შესახებ. მსგავსი ამისა
არ არსებობს. იგი იმდაგვარია, რომ ღმერთი, რომელსაც ყოველივე ძალუ-
ძს, ვერ შეძლებდა ისეთი კეთილშობილი, ამაღლებული ქერუბიმებსა და
სერაფიმებზე მაღლა მდგომი არსების შექმნას, რომელსაც საკუთარი არსი-
დან გამომდინარეს შეეძლებოდა ღვთის სიმაღლის მიღწევა ან შემეცნება.
მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიც კი ასეთი სიმაღლე იქნებოდა არარაობა
წინაშე ღვთის სიმაღლისა, რადგან იგი შექმნილი იქნებოდა. ეს ადამია-
ნები იმდაგვარად ისწრაფვიან ღვთის სიმაღლისაკენ, რომ მათი სულის სა-
ძირკველი ყველაფერზე მაღლდება და გაღმოსჩქეფს ისეთი დიდი მადლიერე-
ბითა და აზრთა ისეთი ზეაღმაფრენით, რომ მსგავსი არ არსებობს. ასეთ
ადამიანებს ისე დიდი ეჩვენებათ შემდეგ ღმერთი, რომ ყველაფერი, რაც
ღმერთი არაა, მათთვის მცირეა და უმნიშვნელო. რადგან ღმერთი არასოდეს
მაღალი და დიდი არაა ადამიანისათვის, რომელიც ღმერთთან შედარებით
რაიმე მცირეს მაღლად და დიდად მიიჩნევს.

მაგრამ ვინაც იგემა ღვთის სიმაღლე, მისი სულის საძირკველი ისე

მაღლდება სიყვარულსა, მადლიერებასა და ღვთის მაღალი ღირსების გრძნობაში, რომ მას აღარაფერი მოსწონს, რაც ღვთის ქვეშე იმყოფება. რამეთუ მისგან ყოველი ქმნილი ისე წარმოუდგენლად დაბლა დგას ღმერთთან შედარებით, როგორც წმინდა არარაობა სრულყოფილი არსებობის წინაშე. ეს სიმაღლე ყველა არსზე მაღლა მდგომი ყოფიერებისა ადამიანის სულის საძირკველს ზე აღიტაცებს სიყვარულსა, მადლიერებასა და აღფრთოვანებაში.

ამ აღმაფრენისას ისე შორს მაღლდებიან ისინი თავის თავზე, რომ ყოველი მათი ქება, აგრეთვე ქმნილებათა, ანგელოსთა და წმინდანთა მათ უკან რჩება. შეეყრებიან რა ერთმანეთს სიყვარულით აღსავსე ნდომით, მაშინ მიისწრაფვის მათი დიდება ყოველივე ამის ზევით – ღვთისაკენ.

ი ო ა ნ ე ტ ა უ ლ ე რ ი: 63-ე ქადაგება.

დ ი ე მ უ ტ ე ბ ნ ე რ ი ს ნ ი უ რ ნ ბ ე რ გ ი დ ა ნ ე ს მ ა ს ა უ ბ ა რ ი გ ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ ი დ ი ს ა: ჩვენი უფალის მშვენიერების შესახებ კი მსურს შედარება მოგიყვანო – რასაკვირველია, იგი ისეთსავე მიმართებაშია სინამდვილესთან, როგორც თეთრი შავთან – : რომ ყოფილიყო ეკლესია წმიდა ოქროს ბრიალა ზოდებით ნაგები და მასზე ამოსულიყო ასი მზე, ხოლო თითოეული შვიდჯერ უფრო მშვენიერი და კაშკაშა, ვიდრე ის, რომელიც ეხლა ცაშია, ეს იქნებოდა დიდებული ბრწყინვალება, მაგრამ ეს არ იქნებოდა უმცირესი მშვენიერების მსგავსიც კი, რაც ღმერთს გააჩნია.

ე ნ გ ე ლ ტ ა ლ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

## ღ ვ თ ი ს   ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ერთხელ, დაკვირვებისას, განსაკუთრებით ნათლად შევიმეცნე ჩემი შინაგანი სიმახინჯე და აღმეძრა იმდაგვარი ზიზღი საკუთარი თავისადმი, რომ შეშინებულმა ჩემ თავსვე ვკითხე, მოვეწონებოდი თუ არა ოდესმე ღმერთს, რომელიც ამდენ ლაქებს ხედავს ჩემზე; რადგან, სადაც მე მხოლოდ ერთადერთი აღმოვაჩინე, იქ ღვთის ყოვლის გამსჭვალავი თვალი უამრავს შეამჩნევდა. მაშინ მომესმა სანუგეშო პასუხი: სიყვარული იწვევს სიმპათიას. და აქედან დავასკვენი: თუკი ნიჭიერ ადამიანებში სიყვარულს იმდენი ძალუძს, რომ მიუხედავად სხეულებრივი სიმახინჯისა მათ სიყვარულის უნარი გააჩნიათ, მაშინ როგორ არ უნდა ვენდოთ ღმერთს, რომელიც მთლიანად სიყვარულია, რომ მას არ შესწევდეს საკუთარი სიყვარულის ძალით სიმპათიურნი გახადოს სულნი თავისთვის, რომელთა სიყვარულსაც იგი მოისურვებს.

გერტრუდ დიდი: დესპანი ღვთაებრივი
სიყვარულისა III/28

მ ს ა ხ უ რ ი: უფალო, დიდხანს ვიფიქრე სიყვარულის მიმზიდველობაზე, რადგან სიბრძნის წიგნში (24, 24-27; 40,20) თავად შენ თავზე სთქვი: „მოვედით ჩემდა, რომელთა გსურისთ ჩემდა, და ნაყოფთაგან ჩემთა განძღეთ. მე დედა ვარ მშვენიერი სიყვარულისა, სული ჩემი უტკბილესი უფროს თაფლისა, და სამკვიდრებელი ჩემი უფროს გოლეული თაფლისა. ღვინო და ჰანგი ახარებს გულსა, მაგრამ უფროს ორთავე სიყვარული სიბრძნისა“.

ნაზო ქალო, შენ ძალგიძს შემოთავაზება თავისა შენისა ისე სათუთად და სიყვარულით, რომ ყველას გული შენკენ სწრაფვას ლამობს და არ ერიდება დიდ გასაჭირს შენი სიყვარულისათვის. ნაშ, მარქვი ჩემო ერთადერთო, ნუგეშო გამორჩეულო, აუწყე ჩემს სულს რაიმე, შენს საწყალ ნასახურს! რაკი შენს ჩრდილქვეშ ტკბილად ჩავთვლიმე, მაგრამ გული ჩემი ფხიზლობს.

მარადიული სიბრძნის პასუხი: ისმინე, ასულო, და იხილე, და მოყავ ყური შენი (ფსლ. 44,II), მძლავრად ჩაღრმავდი და დაივიწყე თავი შენი და ყოველი საგანი. მე თავად ჩემშივე ვარ მიუწვდომელი ავლადიდება, რომელიც მუდამ იყო და არის, რომელიც არასოდეს გამოთქმულა და არასოდეს გამოითქმება. მე კარგად ძალმიძს გულთა სიღრმეს თავი ვაგრძნობინო, მაგრამ არარა ენას არ ძალუძს მე საკუთრივ სიტყვაში მომაქციოს ანდა გამომთქვას. მაგრამ თუკი მე, ზებუნებრივი, უცვლელი ავლადიდება, ყოველ ქმნილებას შესაბამისად მისი შეძლებისა და ათვისების უნარისა ვეძლევი, მაშინ ვფარავ საბურველით მზის ბრწყინვალებას და გაუწყებ შენ სულიერ აზრს ხორცშესხმული სიტყვებით ჩემსა და ჩემი ტკბილი სიყვარულის შესახებ ამდაგვარად:

მე ნაზად წარვსდგები წინაშე შენი გულთახედვისა და შენ მომრთე და შემამკე სულიერი გაგებით და მომანიჭე ყოველივე, რასაც ძალუძს შენი გულის შეძვრა განსაკუთრებული სიყვარულით, ტრფიალითა და აღტაცებით: ეს და ყოველივე, რაც შენ და ყველას ძალგიძთ გაიაზროთ ფორმის, მორთულობისა და წყალობის მხრივ, ჩემში სუფევს კიდევ უფრო უნეტარესად, ვიდრე ამის გამოთქმა ვინმეს შეუძლია.... მე ვარ მაღალი წარმოშობის, კეთილშობილი მოდგმის; მე ვარ უსაყვარლესი სიტყვა მამობრივი გულისა, რომელზედაც თვალნი მისნი სიამეს ჰპოვებენ ტკბილ, ანთებულ სიყვარულში წმინდა სულისა. მე ისე გულმხურვალედ სატრფიალო ვარ, ისე

სასიყვარულოდ შემოსახვევი და ისე სათუთი საკოცნელი წმინდა მოტრფიალე სულისა, რომ ყოველი გული ჩემკენ უნდა ილტვოდეს. მე ისე მცირე ვარ და ერთგული და განწმენდილი სულისთვის ყველა დროს მყოფი. მე ვესწრები მას ნაგიდასთან და სასთუმალზე, ყველგან და ყოველთვის. მე მივიქცევი, მე მოვიქცევი. ჩემში არაფერია არმოსაწონი; ჩემშია ყოველივე ის, რაც ნეტარებას აღძრავს გულის წადილისამებრ, სულის ნდომის შესაბამისად. ისინი, რომელთაც უყვართ, გარემოიცვებიან ჩემი ტკბილი ტრფიალისაგან და ჩაიძირებიან ერთში (ღმერთი), სატრფიალო გამოსახულებათა და წარმოთქმულ სიტყვათა გარეშე, და თავისუფლდებიან და მიიყვანებიან იმ სამკვიდრებელში, საიდანაც ისინი წარმოსდინდნენ.

მ ს ა ხ უ რ ი: სასწაულო, ო სასწაულო, სად მიმიყვანეს მე? რანაირად ავირიე, როგორ სულ დადნა სული ჩემი საყვარლის ტკბილი სიტყვებით! ამარიდე შენი ნათელი თვალნი, რადგან მათ სავსებით გამაქრეს. ვაი მას, სასწაულთა სასწაულო, რომლის გული მთლიანად არ დნება სიყვარულისგან, ვინაც შენ გიჭვრეტს თვის გულის მზერით. თქვენ, მეგობარნო ღვთისა ყოველნო და ზეციურო მხედრობავ სრულო, დამეხმარეთ, რათა შევსთხოვო მას! რადგან არასდროს მე ნამდვილად არა ვუწყოდი, თუ რა იყო სიყვარული მისი. ნაზო, მშვენიერო, სიბრძნევ რჩეულო, ვითარ ძალგიძს შენ ესოდენ საუკეთესო სამიჯნურო ტრფიალი იყო უმეტეს ყველა ტრფიალისა ამა ქვეყნისა! რა უთანასწოროა შენი და ქმნილებათა სიყვარული! რა ცრუა ყველა სურათი – რაც ამქვეყნად სამიჯნუროდ მოსჩანს და თავი რასაც მოაქვს – როდესაც სიახლოვედან მის ნამდვილ შემეცნებას იწყებენ! შენ, მშვენიერებავ მიუწვდომელო ნეტარებისა, წყალობავ კეთილსახოვანო, სიტყვავ აღსავსე მელოდიით, კეთილშობილო სავსე სათნოებით, ავლადიდებავ აღსავსე ძლევამოსილებით, საგანო, რომელიც ვერასოდეს ვერ ვპოვე

დროში: დანაყრებაც შესაბამისად სრული კმაყოფილებისა, შესაბამისად შეძლებისა და უნარისა და უშინაგანეს ნდომისა ნამდვილად მომიჯნურე გულისათვის! რაც უფრო კარგად შეგიმეცნებენ, მით უკეთესად მოგიპოვებენ. რაც უფრო მოგეწყობიან, მით უფრო გპოვებენ სასიყვარულოდ. სასწაულო, ო სასწაულო, ვითა ხარ ესოდენ მიუწვდომელი, მთლიანი, წმინდა სამკვიდრებელი!

მარადიული სიბრძნის პასუხი: მე მათკენ ვილტვი, ვინც მეძიებს, და ვლებულობ მათ სიყვარულით აღსავსე სიხარულში, რომელთაც აქვთ მოთხოვნილება ჩემი. ყოველივე, რისი შეგრძნებაც ძალგიძს ჩემი ტკბილი სიყვარულიდან დროში, არის ვითარცა წვეთი წინაშე ზღვისა მარადიულ სიყვარულთან შედარებით.

ჰაინრიხ სუზო: წიგნი მარადიული სიბრძნისა,
თავი მე-7.

უფალო, ამ ხატში („ყოვლის მხედველისა") მე ვხედავ შენს განგებას, ასე ვთქვათ, ხელშესახებად. შენ იმყოფები ყველასა და ყოველში, შენ ყველასა და ყოველისთვის ის ყოფიერება ხარ, ურომლისოდაც არაფერს არ შეეძლო ყოფნა. შენ იმდაგვარად ხარ ყოველივეში, თითქოს სხვათა მზრუნველობა შენ არ გეხებოდეს.

შენი ხედვა სიყვარულია. და როგორც შენი მზერა, მზრუნველობით აღსავსე, ჩემკენაა მიპყრობილი და არასოდეს არ მომცილდება, ასევე - შენი სიყვარულიც. და რადგან შენი სიყვარული ყოველთვის ჩემთანაა და შენი სიყვარული კი, უფალო, სხვა არაფერი და არავინაა, თუ არა ისევ თა-

ვად შენ, მოსიყვარულე, მაშინ შენ ყოველთვის ჩემთან ხარ და არასოდეს არ მტოვებ და მიეარავ მე გამუდმებით. შენ უდიდეს მზრუნველობას იჩენ ჩემდამი.

შენი ყოფიერება, უფალო, არასოდეს არ ტოვებს ჩემსას. მე იმდენად გამაჩნია ყოფიერება, რამდენადაც შენა ხარ ჩემთან. და რადგან შენი ხედვა იგივე შენი ყოფიერებაა, ამიტომ მეც იმდენად ვარსებობ, რამდენადაც შენ მიმზერ. და თუ მონაცილებდი შენს მზერას, მაშინ აღარ ვიარსებებდი. მაგრამ მე ვიცი, რომ შენი მზერა სხვა არა არის რა, თუ არა ის დიდი სიკეთე, რომელიც ყველას ეუწყება, ვისაც შესწევს უნარი მის მისაღებად. მაშასადამე, ეს უკვე ჩემი საქმეა, რომ ყოველთვის შემწევდეს უნარი შენს მისაღებად. მე რომ გხედავ უფალო, სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ შენ თავად უმზერ მხედველს.

ეს ხატი მიჩვენებს აგრეთვე, თუ რა ხალისით უჩვენებ შენს სახეს ყველას, ვინაც შენ გეძიებს, უფალო. რადგან არასოდეს შენ თვალთ არ ხუჭავ და არასოდეს არ მიიქცევი პირით სხვა მხარეს. მე თუნდაც შენგან მოვტრიალდე და სხვისკენ მივიქცე, შენ არასოდეს არ ამაღებ შენს თვალთა და მზერას. შენი გულმოწყალება თან დამყვება იმის მოლოდინში, დავბრუნდები თუ არა კვლავ ოდესმე შენთან და ვიქნები თუ არა მზად მადლის მისაღებად. და თუკი ცოდვილი დაგიბრუნდება, შენ დაუყონებლივ შეეგებები მას და სანამ ის შემოგხედავს, შენ უკვე მიაპყრობ მას მოწყალებით აღსავსე შენს თვალებს. შენი გულმოწყალება, უფალო, თან დაყვება ადამიანს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, მის ყოველ ნაბიჯზე, ისევე, როგორც შენი მზერა არავის არ შორდება. სანამ იგი ამ ცხოვრებაშია, შენ აგულიანებ მას ტკბილი, შინაგანი მოწოდებით, რომ მან თავისი ცთომილება დაუტევოს და შენ შემოგიდგეს, რათა იყოს ბედნიერი.

უფალო, შენა ხარ ჩემი თანამგზავრი ჩემს მგზავრობაში. შენ არ

დამტოვებ აგრეთვე ჩემი მწუხარების ჟამს. რა წამსაც არ უნდა გიხმო, შენ ჩემს გვერდით ხარ. რადგან შენი ხმობა ნიშნავს შენდამი მომართვას, და ვინც შენ მოგმართავს, მისი დატოვება შენ აღარ ძალგიძს, და არავის ძალუძს შენდამი მომართვა, თუ შენ წინდაწინ უკვე მასთან არ იმყოფები.

როგორც ეს ხატი, რომელიც თვალს გადევნებს ყველგან, საითაც არ უნდა მივბრუნდე, ასევე შენი სახეა, ყველა იმათკენ მიმართული, ვინც კი თავისი სახე შენკენ მოაქცია. ვინც მოსიყვარულე სახით შემოგხედავს, შენს სახეს ჰპოვებს აგრეთვე სიყვარულით აღსავსეს და რაც უფრო დიდია სიყვარული, რომლითაც ის შენ შემოგყურებს, მით უფრო მოსიყვარულეს ჰპოვებს იგი მას. თუ გულისწყრომით გიმზერს ვინმე, ასეთად ჰპოვებს იგი აგრეთვე შენს სახეს. ვინც სიხარულით შემოგცქერის შენ, მას შენი მზერა ასევე სიხარულით შეეგებება. ო, სახევ ზემშვენიერო, რომლის სრული მშვენიერებით აღფრთოვანება არავის ძალუძს, თვით იმათაც კი, რომელთაც გააჩნიათ ბედნიერება მისი ჭვრეტისა. ყოველ სახეში მოსჩანს ის, ამოუცნობი და საიდუმლოებით აღსავსე – საბურველს იცილებს მხოლოდ მაშინ, თუკი ჩვენ ავმაღლდებით ყოველ ხედვაზე და შევალთ იდუმალ-ფარულ სიჩუმეში, სადაც აღარავერი მოიპოვება სახის ცნებისა და ცოდნის შესახებ. რადგან ჩვენ მხოლოდ ამდაგვარი წყვდიადი და უცოდინარობა გვიმჟღავნებს სახეს ყოველ საბურველთ მიღმა.

უფალო, შენ დაბლა ეშვები ჩვენთან, რომ ნება დაგვრთო შენი წვდომისა, და მაინც რჩები შენ მიუწვდომელი, უსასრულო. და რომ არ რჩებოდე უსასრულოდ, მაშინ არც მიზანი იქნებოდი ჩვენი ნატვრისა. უფალო, შენ თავად უსასრულობა ხარ, საწადელი ყველა ჩემ გულისთქმათა.

ნიკოლოზ კუზანელი: ღვთის ხედვა, თავი 4,5., 16.

# ღ ვ თ ი ს   მ ო წ ო დ ე ბ ა

იმ სიტყვაში, რომლითაც წმიდა პავლე გვთხოვს, რომ ღირსეულად ვიქცეოდეთ, შესაბამისად იმ მოწოდებისა და გამოჩინებისა, რომელიც წილად გვერგო (შდრ. ეფეს. 4,I-4), ოთხი რამაა ყურადსაღები. პირველ ყოვლისა: ვინ არის იგი, რომელიც ჩვენ აქ გვიხმობს და მოგვიწოდებს; შემდეგ: რისკენ მოგვიწოდებს იგი, რისთვის ვუნდივართ მას ჩვენ; საბოლოოდ: როგორ და რა გზით უნდა ავყვეთ ამ მოწოდებას ღირსეულად.

პირველს რაც შეეხება: ვინც ჩვენ გვიხმობს – ზეციური მამაა. იგი ჩვენ გვიხმობს ყოველივეთი – რასაც იგი წარმოადგენს, რაც მას გააჩნია და ძალუძს. ჩვენ გვიხმობს და გვიზიდავს მისი სიკეთე, მისი სიყვარული, მისი კეთილშობილი არსება; ეს ყველაფერი გვიწვევს ჩვენ მისკენ და მასში ჭეშმარიტად: ისე ძლიერ ვჭირდებით ჩვენ ღმერთს, თითქოს მთელი მისი ნეტარება ჩვენზე იყოს დამოკიდებული. და მისი არსი, ყველაფერი, რაც მამა ღმერთმა გააკეთა და შექმნა ცაში და დედამიწაზე მთელი მისი სიბრძნითა და სიკეთით, მან ეს ქმნა, რათა ამით ჩვენ კვლავ ვეხმეთ და მივეწვიეთ, რომ ჩვენ ისევ ჩვენს საწყისს დავბრუნებოდით და რომ მას ჩვენი თავი კვლავ თავის თავში დაეგულებინა.

ეხლა მეორე: რისკენ გვიხმობს ღმერთი. მისი საყვარელი ძისკენ გვიხმობს იგი, რომ ჩვენ მისი ძმანი და თანამემკვიდრენი გავხდეთ. იგი არის პირველი და უმაღლესი ძმათა შორის და გააჩნია თანდაყოლილი მემკვიდრეობა ბუნებიდან, ჩვენ კი უნდა ვიყოთ თანამემკვიდრენი წყალობის მეშვეობით. და ამისათვის გვიხმობს იგი ჩვენ, რომ მის მაგალითს მივყვეთ. რადგან იგია გზა, რომელიც ჩვენ უნდა გავიაროთ; იგია ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ ამ გზაზე მიმართულებას გვაძლევს, იგია სიცოცხლე, რომელიც ჩვენი მიზანი უნდა იყოს და რომელსაც ჩვენ არა მხოლოდ

აზროვნებითა და მადლიერებით უნდა მივბაძოთ, არამედ, რაც უფრო მეტად ეს ძალგვიძს, სათნო ცხოვრებითა და ტანჯვათა მოთმინებით.

მ ე ს ა მ ე : რა მოწოდებაა ეს და რა დროს გვიხმობს იგი. ღვთის მოწოდება ადამიანისადმი სხვადასხვაგვარი სახისაა: სულის უღრმეს საფუძველში უხმობს ღმერთი ადამიანს შეუწყვეტლივ სხვადასხვაგვარი მოწოდებებითა და გაფრთხილებებით დღისითა და ღამით – და აგრეთვე გარედან: მკაცრი სასჯელებით, ყველა იმ საბედისწერო დარტყმებით, რომელიც მან განგების ძალით ჩვენ თავს მოაწია და რომელნიც სხვადასხვაგვარი გზით მოდიან – ახლა სიხარული, შემდეგ ტანჯვა: ყველა ესენი წარმოადგენენ მკაფიო ხმებს, რომლებითაც ღმერთი ადამიანს მოუხმობს. ადამიანი რომ მიჰყოლოდა ამ სიყვარულით აღსავსე ნაზ მოწოდებათ, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა მკაცრი ხმები, სხვადასხვა ტანჯვა და ბედის დარტყმები.

მ ე ო თ ხ ე : თუ როგორ უნდა ვიდოდეთ ახლა ღირსეულად მოთმინებით, თავმდაბლობითა და მშვიდობით აღჭურვილნი.

ამჟამად გვსურს იმაზე ვიფიქროთ, თუ ვის უხმობს ღმერთი. ეს სამგვარი ადამიანებია. პირველ ყოვლისა, დაწყებითნი: ისინი მოიხმობიან უმდაბლეს საფეხურზე. შემდეგ სრულყოფილებაში წინ წასულნი: ისინი მოხმობიან მეორე საფეხურზე. მესამენი, სრულყოფილი ადამიანები სრულყოფილების უმაღლეს საფეხურზე მოიხმობიან. ამის გამო ღმერთს არავინ არ უნდა გაუნაწყენდეს, რადგან იგია უფალი და ძალუძს გააკეთოს, რაც მას სურს: რათა ამით ჩვენ მისი მხოლოდ შობილი, ბუნებით მისი თანასწორი ძის მსგავსნი და სავსებით მისი საყვარელი შვილები გავხდეთ.

ი ო ა ნ ე ტ ა უ ლ ე რ ი : 65-ე ქადაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღ მ ე რ თ ი  ჩ ვ ე ნ შ ი

ერთ დღეს, ეს იყო დრო აღდგომასა და ამაღლებას შორის, დილის ლოცვის წინ გავედი ეზოში, დავჯექი თევზებისათვის შეტბორებულ ნაკადულთან და ვათვალიერებდი ამ ადგილის სილამაზეს. გამჭვირვალება გვერდით ჩამავალი წყლისა, სიმწვანე ირგვლივ მდგარი ხეებისა, თავისუფალი ფრენა ფრინველთა და განსაკუთრებით მტრედებისა, პირველ ყოვლისა კი ზეციური სიმშვიდე კმაყოფილებით აღმავსებდა. მე დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ ასეთ ყოფას კიდევ რა უნდა დამატებოდა, რომ აღნიშნული კმაყოფილება კიდევ უფრო სრულყოფილი გამხდარიყო. მე გავიფიქრე, რომ ამისათვის უნდა მყოლოდა მეგობარი, რომელიც იქნებოდა ჩემი ახლობელი, ერთგული და რომელიც ჩემს სიმარტოვეს დაატკბობდა. და ეს იყავ შენ, ღმერთო, ჩემო, მიზეზო უსაზომო ნეტარებისავ, რომელმაც აზრნი ჩემნი შენსკენ წარმიმართე და უეჭველია ეს ისევე შენ იყავი, ვინც ეს აზრნი ჩამინერგა. შენ მაჩვენე, თუ როგორ შეეძლო ჩემს გულს შენთვის სასიამოვნო განსასვენებელი გამხდარიყო. ამისათვის, როგორც ამას ეს წყალი მიკარნახებს, ღირსეული, დაუშრეტელი მადლიერებით წყალობათა ნაკადი უკანვე შენსკენ უნდა მოვმართო; ასევე, ამ ხეების მსგავსად, კეთილ საქმეთა სიმწვანით უნდა შევიმოსო, ძალა შევიმატო და კეთილ საქმეებში გავიფურჩქნო; მსგავსად მტრედებისა მიწიერს სიმაღლიდან უნდა გადმოვხედო და თავისუფალ ფრენაში ზეციურს მივაღწიო, სადაც ჩემი სული ამქვეყნიურ მისწრაფებათაგან თავისუფალი მთლიანად მხოლოდ შენით იქნება დაკავებული. ამგვარად, ჩემი გული მოგიჩენს შენ ადგილსამყოფელს, რომელიც უფრო ძვირფასია, ვიდრე ყველანაირი სილამაზე.

მთელი დღე ჩემი გონება ამ ფიქრებით იყო დაკავებული, საღამოს

ძილად მისვლის წინ, როდესაც სალოცავად დავიჩოქე, უეცრად გამიელვა თავში სახარების სიტყვებმა: „უკუეთუ ვინმე უყუარდეს მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მისთანა დავადგრეთ" (იოანე I4,23). აქ იგრძნო ჩემმა მდაბალმა გულმა, რომ შენ ამჟამად მოსული იყავი...

ეს მოხდა ცხრა წლის წინ, და მას შემდეგ, რამდენჯერაც ჩემს სიღრმეში ჩავძირულვარ, ყოველთვის აღმომიჩენიხარ იქ.

გერტრუდ დიდი: დესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა
III/3

პირველი (ჩა)ღრმავება [(Ein)Kehr] მდგომარეობს ღვთის უფორმო და ყოველგვარი ცდისეულისგან მოწყვეტილი თანდასწრების შინაგან განცდაში, შექმნილი სულის დანერგვაში ყველა ყოფიერების მიღმა ღვთის შეუქმნელ სულში. ადამიანს რომ შესძლებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასეთი ჩაღრმავება განეცადა, იგი ბედნიერი იქნებოდა. ადამიანს, რომელიც ღვთის ასეთი მორჩილია და ამ გასაჭირში მისი ერთგული დარჩა, ღმერთი იმით გადაუხდის, რომ იგი მას თვით თავის თავს მიუძღვნის და მას ასე მიუწვდომლად თავის თავში და საკუთარ ნეტარებაში შეიყვანს. მასში ადამიანური სული ისე მშვენივრად მიიზიდება, ღვთაებისაგან და ღვთაებაში ისე სავსებით განიმსჭვალება, შთაინთქმება და ჩაიძირება, რომ იგი ღვთაებრივ ერთიანობაში ყოველ ადამიანურ მრავალგვარობას კარგავს. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ღმერთი უკვე ამ საწუთროში მთელი მათი გაჭირვებისათვის ასაჩუქრებს, და მათ გააჩნიათ უკვე შემდეგი ჭაშნიკი იმისა, რითაც ისინი საუკუნოდ დასტკბებიან. მათ ემყა[illegible]ბა [illegible]ღდა ეკლესია, და რომ არ ყოფილიყვნენ ისინი კურთხეულ ქრისტიანი

ბაში, მაშინ ესეც ვერ იარსებებდა ვერც ერთ წამს. რადგან მხოლოდ მათი არსებობა, მარტოოდენი ფაქტი, რომ ისინი არიან, არის რაღაც უფრო მეტად ძვირფასი და სასარგებლო, ვიდრე სამყაროს მთელი ქმედობა.

იოანე ტაულერი: 43-ე ქადაგება.

არაკერია ისე სამართლიანი და ისე საყოველთაო, ისე ახლოს ჩვენს უშინაგანეს საფუძველთან, როგორც ღმერთი. ვისაც ამ საფუძველში მისი ძებნა სურს, ჰპოვებს კიდევაც მას იქ, ასევე ვპოვებთ მას ჩვენ ყოველდღე წმიდა ზიარებაში, ღვთის ყველა მეგობარში და ყოველ ქმნილებაში. ამ საყოველთაობას უნდა მივყვეთ თავგამოდებული შინაგანი და თავისუფალი გულით, დაუბრკოლებლივ ყველა სხვათაგან, და სახეზე მყოფ ღმერთს მთლიანად უნდა მივეცეთ: მაშინ მიიღებს ადამიანი სულის თავისუფლებას და ყოველ ყოფიერებაზე აღმატებულ წყალობას. და სული მაღლდება ყველა გამოსახულებაზე და ფორმაზე და ზე აღმოჩნდება ყველა შექმნილ საგანზე.

იოანე ტაულერი: 57-ე ქადაგება.

შინაგანმა ხმამ აუწყა და ელზბეტ კათარინენტალელს: ღმერთი არის საწყისი ყველა სიკეთისა და უსაზომო შეწყალება და უსასრულო სიკეთე და გააჩნია სამართალი თავის თავად, რომ მას არ შეუძლია და არც სურს თავის წყალობაზე ვინმეს უარი უთხრას, ვინც ამას მთელი გულით ისურვებს.

კათარინენტალის ქრონიკა.

და მეხუთედ ტიოსელმა გულის სიღრმიდან წარმოსთქვა: ო უფალო, ღმერთო ჩემო, აწ შენი სიყვარულის გამო მე დავთმე მთელი ეს ქვეყანა და ყველაფერი, რასაც ჩემთვის სასიყვარულოდ და სანუგეშოდ გახდომა შეეძლებოდა, ეხლა შეგთხოვ, რომ შენი ღვთაებრივი შეწყალებითა და გამოუთქმელი სიკეთით ინებო და გახდე ჩემი ნუგეში, რადგან შენ კარგად უწყი, რომ სხვა სასოება ამქვეყნად მე არ გამაჩნია, და უფალმა ჩვენმა რქუა მას: არავითარი ნუგეში არ გსურს შენ გარდა ჩემისა? მან უპასუხა: შემიწყალე, უფალო, არა! მაშინ უფალმა რქუა ძალზე მეგობრულად: რადგან შენ არავითარი ნუგეში არა გსურს, გარდა ჩემისა და ყველა სხვა დანარჩენ ნუგეშს თმობ, მაშინ მე თვით განუგეშებ შენ ჩემი წმიდა სხეულით და ჩემი წმიდა სისხლით და ჩემი წმიდა სულით და ჩემი წმიდა ღვთაებრიობით... და უნდა უწყოდე, რომ ჩემი ნუგეში შენ არასოდეს მოგაკლდება; რადგან რა უკუღმართობაც არ უნდა შეგემთხვეს, ჩაღრმავდი მხოლოდ შენს გულში, იქ მპოვებ მე ყოველნაირი ნუგეშითა და ყოველნაირი სიხარულით.

ტიოსის ქრონიკა.

## 2. ადამიანის პასუხი

## სიხარული ბუნების მიმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნილებანი არიან ვითარცა სარკე, რომელშიაც ღმერთი ირეკლება, ამბობს წმ.პავლე (შდრ. რომ. I,20). და ამ შემეცნებას ჰქვია სპეკულირება.[I]

ეხლა დავჰყოთ აქ რამოდენიმე ხანი და მაღალი, ღირსეული ოსტატი დაე სპეკულირებდეს თავის ქმნილებაში. მიმოიხედე შენს ზევით და ქვეყნის ოთხივე მხარეს, რა შორი, რა მაღალია ცა თავისი სწრაფი სრბოლით და რა დიდებულად შეამკო იგი მისმა ოსტატმა პლანეტებით, რომელთაგან ყოველი, მარტოოდენ მთვარის გამოკლებით, უფრო დიდია, ვიდრე მთელი დედამიწა, და როგორ მორთო იგი უთვალავი ოდენობის მანათობელი ვარსკვლავებით. ო, ზაფხულის დროს უღრუბლო ცაში როდესაც მშვენიერი მზე მხიარულად გამოანათებს, ასევე ანიჭებს ხოლმე იგი დედამიწას ნაყოფსა და სიკეთეს! როგორ აღმოცენდებიან ხოლმე ფოთლები და ბალახები და როგორ იცინიან ლამაზი ყვავილები! ტყეში, მინდორსა და მდელოში ტკბილად გაისმის ბულბულისა და პატარა ჩიტების გალობა. პატარა ცხოველები, მკაცრი ზამთრისაგან თავშესაფარში შეყუჟულნი, ზევით ამოდიან და ხარობენ და .ერთად ჯგუფდებიან; ადამიანები, ახალგაზრდები და ხანში შესულნი, მხიარულად ანცობენ ნეტარ გაღნარში სიხარულისა! ო, ნაზო ღმერთო,

---

I. შდრ. თომა აქვინელი: *Summa theol.* II-II 180,3: „სპეკულაცია გამომდინარეობს *speculum*-დან (ე.ი. სარკე). რაიმეს დანახვა სარკეში ნიშნავს მიზეზის დანახვას შედეგის მეშვეობით, რომელშიაც მისი მსგავსება გაბრწყინდება". გუნდოლფ გ ი ე რ ა თ ი ს შენიშვნა.

თუკი შენ შენს ქმნილებაში აგრერიგად სასიყვარულო ხარ, რამდენად უნდა იყო მაშინ თვით თავად შენში სავსებით მშვენიერი და მომხიბვლელი!

და შემდეგ, გთხოვ, დააცქერდე ოთხ ელემენტს – მიწას, წყალს, ჰაერსა და ცეცხლს, და ყველა სასწაულს, რომელნიც მათშია სხვადასხვაგვარ კაცთაგან, ცხოველთა და ფრინველთაგან, თევზთა და ზღვის საკვირველებათაგან. ეს ყოველივე გაიძახის და ღაღადებს: პატივი და დიდება მიუწვდომელ, გასაოცარ უსაზომობას, რომელიც შენშია! უფალო, ვინ ინახავს ყველაფერ ამას, ვინ ასაზრდოებს ყოველივეს? შენა ხარ ეს, რომელიც ყოველივესთვის წინდაწინ ზრუნავ, თითოეულისათვის მის შესაბამისად, დიდისა და მცირესთვის, მდიდარისა და ღარიბისთვის. შენ, ღმერთო, შენა ხარ ამის ჩამდენი! შენ, ღმერთო, ჭეშმარიტად ღმერთი ხარ შენ!

მაშ კარგი, შენ ჰპოვე ღმერთი შენი, რომელსაც გული შენი დიდხანს ეძიებდა. ასე, რომ ზე აიხედე გასხივოსნებული თვალებით, მომღიმარი პირისახით და მოზეიმე გულით. შეხედე მას და მოეხვიე შენი სულისა და გულის ფართოდ გაშლილი მკლავებით და მიუძღვენი მას მადლობა და დიდება, ყველა ქმნილებათა კეთილშობილ თავადს! იხილე, ამ სპეკულირებისაგან ამთვისებელ ადამიანში მალე თავს იჩენს გულითადი ზეიმი. რადგან ზეიმი არის სასიხარულო, რომლის გამოთქმა ენას არ ძალუძს და რომელიც მაინც სულსა და გულს მთლიანად გამსჭვალავს!

ჰაინრიხ სუზო: სიცოცხლე, თავი 50-ე.

## მოთხოვნილება ღვთისა

უფალო იესო ქრისტე, ცოცხალი ღმერთის ძეო, მომეც ძალი იმისა,

რათა შენთვის ვვიხრავდე სრულყოფილი მოთხოვნილებით და მწყურვალე სულით, შენსკენ, უტკბილესისა და უსაყვარლესისაკენ, სევდამოსილი ვისწრაფვოდე, შენდამი, ჭეშმარიტი ბედნიერებისადმი, ნდომით განვიმსჭვალო მთელი ჩემი შინაგანი არსით. შენი ძვირფასი სისხლით, გულმოწყალე უფალო, გულზე დამაწერე შენი იარები, რათა მათში ამოვიკითხო შენი ტკივილი და შენი სიყვარული. დაე, მუდამ ცოცხლობდეს ჩემს გულში მოგონება შენი ჭრილობებისა და თანაგრძნობა შენი ტანჯვისადმი და მუდამ ენთოს ჩემში შენი სიყვარულის ცეცხლი! და ყოველივე შექმნილი მე არარაობად წარმომიდგინე, რათა მარტოოდენ შენ იყო უტკბილესი სიყვარული ჩემს გულში!

## გერტრუდ დიდი: დესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა II/4

უფალო, გიყვარდე ძლიერ და გიყვარდე ხშირად და დიდხანს; რაც უფრო ხშირად გეყვარები, მით უფრო განვიწმინდები; რაც უფრო მძაფრად გეყვარები, მით უფრო მშვენიერი გავხდები; რაც უფრო დიდხანს გეყვარები, მით უფრო წმიდა ვიქნები აქ, ამქვეყნად... ო, რომ შემძლებოდა შენი მოხიბვლა და მოპოვება ისე, რომ უჩემოდ მოსვენება დაგეკარგა! დიახ, დაიწყებოდა რა სიყვარული, მაშინ უნდა გეთხოვა ჩემთვის, რომ ჩემი გრძნობებით ავნთებულიყავ. უფალო, ნეტავ ეს იმ დროს შემმთხვეოდა, როდესაც შენს ხილვას ვისურვებდი ჩემი გულის წადილისამებრ და შენს შემოხვევას ჩემი მკლავებით – შენი ღვთაებრივი სიყვარულის სიამოვნებას ჩემი სული უნდა განემსჭვალა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია ადამიანისათვის აქ, ამქვეყნად.... იესო, დიდად მოყვარულო მეგობარო, დამრთე ნება ჭეშმარიტ სიმშვიდეში და გულითად სიყვარულში შენსკენ ვისწრაფვოდე და არასოდეს

გავცივდე შენდა მომართ. თუკი შენს სიყვარულს ჩემს გულში და ჩემს სულში და ჩემს ხუთ გრძნობაში და ჩემი სხეულის ყოველ ნაწილში განუწყვეტლივ შევიგრძნობ, მაშინ აღარ ძალმიძს მე გაცივება. შენ კარგად უწყი, თუ როგორ უნდა აღძრა სიმები ჩემს სულში. ჰქმენ ეს ახლავე, რათა შენ მარად ნეტარი იყო. მე ვარ უღირსი სასძლო, შენ კი ხარ ჩემი კეთილშობილი მეუღლე, რის გამოც ყოველთვის მსურს რომ გავიხარო. გაიხსენე, თუ წმიდა სულის როგორი ალერსი ძალგიძს შენს კალთაში, უფალო, აღასრულე ეს ჩემზედაც. აღმიყვანე შენთან, უფალო, რათა გავხდე მე ნათელი და წმიდა. თუკი დამტოვებდი მე ჩემს თავშივე, დავრჩებოდი მე სიდუხჭირესა და წყვდიადში.

მეხტილდ მაგდებურგელი: ნარნარი შუქი ღვთაებისა
I/23, III/23, V/I7, VII/38

ჩაიძირე ჩემში და გარდამქმნე შენში, რადგან არ ძალმიძს და არც მსურს სხვაგვარად გულდამშვიდება აღარასოდეს.

დავით აუგსბურგელი:
ღვთის მიუწვდომელ სისავსის შესახებ.

მიშველე, რათა მოვიდე შენთან, სადაც მიმიღებ სიყვარულით და მარადიულ სიხარულში მამყოფებ და სადაც მაზიარებ ულრმეს საიდუმლოს, რომელიც გაგაჩნია მარადიულ მამასთან ერთად მარადიულ სულში, რომლითაც ცოცხლობ და რითაც განაგებ ყველა შენს რჩეულს დიდებისათვის და სასი-

ხარულოდ დაუსრულებლივ.

## დავით აუგსბურგელი: მოსაზრებანი და ლოცვანი 9

უცვალო და მეუფეო სამყაროისავ! იხილე, ჩვენს გონიერ სულს, ჩაძირულს ამქვეყნიურ არარაობაში და ლანდებით გარშემორტყმულს, შუქის დანახვა არ ძალუძს და მის საკუთარ წარმოშობაზე არა უწყის რა. შენ მხოლოდ იმისი უნარი მიანიჭე მას, რომ მან, განცვიფრებულმა იმის გამო, რასაც იგი ხედავს, შეიძლოს თვისი სულის შენსკენ ამაღლება, სამყაროს შემოქმედისაკენ, რათა გაერთიანდეს შენთან უმაღლეს სიყვარულში. შენ უწყი, რომ ადამიანთა დიდზე დიდ რაოდენობას მხოლოდ სხვადასხვაგვარად ყოფნა ძალუძს და თითქმის ყველამ ჯაფით, სიმწარით და ტანჯვით აღსავსე ცხოვრება უნდა განვლოს. მრავალ ამქვეყნიურ ზრუნვითა და გარჯით დაკავებულთ, მათ არ ძალუძთ შენი, ფარული ღმერთის, ძიება. ამიტომაც მიეც შენ შენს ერს მეფენი და წინასწარმეტყველნი, რომელთაგან უმრავლესმა შენი დავალებით ღვთის მსახურება და კანონნი დააწესა და უმეცარი ხალხი დამოძღვრა. თითქოს პირისპირ თვით შენ გეუწყოს მათთვის, ისე მიიღო ხალხმა შენი კანონნი და შენს მსახურთა ხმაში შენი ხმა ესმა. მაგრამ არსებობენ სხვადასხვაგვარი ერნი, და შენ სხვადასხვაგვართ, სხვადასხვაგვარნი წინასწარმეტყველნი და მოძღვარნი სხვადასხვა დროს მოუვლინე. ადამიანის არსში ძევს ის, რომ მის მეორე ბუნებად გამხდარ ჩვევას იგი საბოლოოდ ჭეშმარიტებად მიიჩნევს. აქედან აღმოცენდება დიდი სხვადასხვაობა და ყოველი რელიგიური საზოგადოება თავის რწმენას უპირატესობას ანიჭებს სხვასთან შედარებით. და მაინც, თითოეული თავის სწრაფვაში იმისკენ, რაც მას თავისი ძიების მიზნად მიაჩნია, ისწრაფვის მხოლოდ ერთადერთი ავლადიდებისაკენ, რომელიც ხარ შენ.

რა სურს ცოცხალს, თუ არ სიცოცხლე? რა სურს არსებულს, თუ არ არსებობა? მაშასადამე, შენ, მომნიჭებელო არსებობისა და სიცოცხლისა, შენ გეძიებენ რელიგიის სხვადასხვაგვარ ფორმებში სხვადასხვაგვარი გზით და იწოდები სხვადასხვა სახელით. რადგან საკუთრივ შენს ყოფიერებაში ყველასათვის შეუცნობელი ხარ შენ და გამოუთქმელი. ნეტავ შეეძლოს ყველას იმის შეცნობა, რომ რელიგიის მრავალგვარ ფორმებში მხოლოდ ერთი რელიგია ცხადდება. არასოდეს არ ძალუძთ ქმნილებათ უსასრულო არსების შესახებ ცნება ჩამოაყალიბონ, რადგან არავითარი თანაფარდობა არ არსებობს სასრულსა და უსასრულოს შორის, მაგრამ შენ, ყოვლისშემძლე ღმერთო, ძალგიძს ყოველ სულს ნათლად გამოეცხადო... ღმერთო, რომელიც ყველა ცნებას აღემატები, შენ აღგვითქვი შენი გამაბედნიერებელი ჭვრეტა რწმენაში თვით ჭეშმარიტების, შენი ძის მეშვეობით, თუკი არ გადავშორდებით გზას, რომელიც მან სიტყვითა და საქმით დაგვისახა.

ნიკოლოზ კუზანელი:

მშვიდობა რელიგიისა I, ღვთის ხედვა (დაბოლოება)

რაც არ უნდა ვისურვო ან რისი მოფიქრებაც არ უნდა შემეძლოს ჭეშმარიტ, სრულყოფილ ნუგეშისცემისთვის, მას არ ველოდები მე აქ, ამ ცხოვრებაში, არამედ – მომავლისაში. თუნდაც განაჩნდეს მთელი სიამენი ამ ქვეყნისა, ამ ცხოვრების ყველა სიხარულითაც რომ ვტკბებოდე, მაინც მეცოდინებოდა მე დანამდვილებით, რომ ეს ტკბობა დროებითია და იგი ვერ შესძლებდა მწყურვალე სულის დაცხრომას. ამიტომ, სულო ჩემო, შენ არ ძალგიძს ჰპოვო სრულყოფილი ნუგეშისცემა, არც სრულყოფილი ლხენა, თუ არ მარტოოდენ ღმერთში, რომელიც საწყალთ ანუგეშებს და მორჩილთ აღხენ

ცოტაც მოიცადე, სულო ჩემო, სულ მცირე ხანი დაელოდე ღვთაებრივ აღთქმათა შესრულებას და ჭეშმარიტ საუნჯეთა მთელი სისავსე შენი იქნება ზეცაში. მაგრამ თუკი შენ აწმყოს საუნჯეთ გზნებით აღსავსე და მოუწესრიგებელი სიყვარულით დაეძებნები, ამქვეყნიურ, წარმავალ ავლადიდებაზე ნადირობისას შენ დაკარგავ ზეციურს, მარადიულს. რაც დროს ექვემდებარება, ის გამოიყენე; რაც მარადიულია, მისკენ ილტვოდე. შენი დანაყრება არ ძალუძს არავითარ დროებით სარჩოს, რადგან შენ ხარ შექმნილი, რომ დასტკბე დროებითით.

და თუნდაც გაგაჩნდეს მთელი შექმნილი ავლადიდება, მასში მაინც ვერ ჰპოვებდი სრულ სიმშვიდესა და ვერავითარ ნეტარებას. რადგან ღმერთი, რომელმაც ყველა საგანი შექმნა, უკეთესია, ვიდრე ყოველი მისი ქმნილება. მხოლოდ ღმერთში მოიპოვება სრული სიმშვიდე და მთელი ნეტარება. ეს ნეტარება სულ სხვაგვარია, ვიდრე ის, რომელსაც სცნობენ და ქებას ასხამენ უგუნურნი მეგობარნი ამა ქვეყნისა. ეს ნეტარება არის სწორედ ის, რომელსაც ელიან ქრისტეს კეთილშობილი მეგობრები და რომლისგანაც ღებულობენ ჭაშნიკს დროდადრო მხოლოდ განწმენდილნი გულით, სულის მიხედვით მცხოვრებნი, რადგან მათ თავიანთი სამკვიდრებელი და მთელი იმედი ზეცაში გააჩნიათ (შდრ. ფილიპ. 3,20). ყოველივე, რაც ადამიანურ ნუგეშისცემად იწოდება, დიდხანს არ გრძელდება და საფუძველშივე ამაოა: ამაოა, რადგან კვლავ ქრება იგი, როგორც ის ადამიანები, რომელნიც მას იძლევიან; ამაოა, რადგან იგი ნუგეშის მაძიებელ გულის საჭიროებას ვერასდროს ვერ დააკმაყოფილებდა, თუნდაც რომ დარჩენილიყო მასთან. ჭეშმარიტი და ნეტარია მხოლოდ ის ნუგეშისცემა, რომელსაც ვღებულობთ ჩვენს სულის სიღრმეში თვით ჭეშმარიტებისაგან. ვისაც ნამდვილი მოწიწება გააჩნია, იგი ყოველთვის და ყველგან თან ატარებს მის მანუგეშებელ იესოს და მიმართავს მას: შემეწიე, უფალო იესო, ყველა დროს

და ყოველ მხარეს! დაე, ეს იყოს ჩემი ნუგეში, რომ არ ვისურვო სხვა-თარი ნუგეში, რასაც ადამიანური ნუგეშისცემა ჰქვია. და თუ აგრეთვე ღვთაებრივი ნუგეშისცემა ჩამომცილდება, იყოს უმაღლესი ნუგეში ჩემი ნება შენი და შენი ნებიდან გამომდინარე სამართლიანი განცდა! რადგან შენ „არა სრულიად განრისხნე და არცა უკუნისამდე ძვირი იხსენო!" (ფსალმ. I02,9).

## ქ რ ი ს ტ ე ს მ ი ბ ა ძ ვ ა III/I6

## ღ მ ე რ თ ზ ე მ ი ნ დ ო ბ ა

შენმა გამჭრიახობამ საკმაოდ უწყის, რომ სანამ ჩვენ ამქვეყნად გამოძევებულნი ვართ, ყველანი ძალზე ვიტანჯებით ნაკლთაგან და ჯერ კიდევ არ ძალგვიძს იმ სიმტკიცეს მივაღწიოთ, რომელიც მომავალში მოგ-ვენიჭება. და ესაა მიზეზი, თუ რატომ არა ვართ ჩვენ აუშფოთველნი ყო-ველივე იმის მიმართ, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, არამედ დროდადრო უბე-დური შემთხვევების გამო ძალზე ვითრგუნებით. ვისაც გვსურს მომავალი უკვდავების მიღწევა, უნდა ვეცადოთ, რომ ამ მონავალ ცხოვრებას ცოტა-თი მივესადაგოთ უკვე აწმყოში. ამისათვის, რამდენადაც შეგვიძლია, იქით უნდა ვილტვოდეთ, რომ მთელი ჩვენი იმედი, ნდობა და ძალა ღმერთს დავაფუძნოთ. ღმერთი კი თავისთავში მარად უცვლელია და მშვიდი და ჩვე-ნც, რამდენადაც ძალგვიძს, მას ამაში უნდა მივბაძოთ. იგია საიმედო თავშესაფარი, რომელიც მარად იქნება, და სადაც მას უფრო დანამდვილე-ბით შეუძლია დარჩენა, ვინც უფრო მეტს ეძიებს ამ თავშესაფარს. ამი-

ტომაც ძალუძდათ წმინდანებს, რომელნიც ასე დიდ იმედებს ამყარებდნენ უფალზე, ყველა იმ უკუღმართობის ასე ადვილად არარად ჩაგდება, რაც კი მათ ამ ცხოვრებაში შეხვედრიათ.

იორდან საქსონელი: წერილები, 9.

ჭეშმარიტი და სრულყოფილი სიყვარული იმით შეიცნობა: რომ უდიდესი იმედი და რწმენა გააჩნიათ ღვთისა. სხვა უკეთესი არა არის რა, გარდა ნდობისა, რაზედაც შეიძლება შემოწმდეს, გააჩნიათ თუ არა სრული სიყვარული. რადგან ერთს თუ მეორე მთელი გულით უყვარს, მაშინ მას ნდობაც თან ახლავს. რასაც მოელიან ღვთისგან, მასში ნამდვილად ჰპოვებენ კიდეც მას და ათასჯერ უფრო მეტს. და როგორც ადამიანისათვის არასოდეს ზედმეტი არ იქნება, რაც უფრო მეტად შეიყვარებს მას ღმერთი, ასევე არც ის იქნება მისთვის ზედმეტი, რაც უფრო მეტად დაენდობა იგი ღმერთს. არაფერი არაა ისეთი ღირსებით აღსავსე, რისი გაკეთებაც კი საერთოდ შესაძლებელია, როგორც ღვთის დიდი ნდობა. ვინც კი მიაღწია მასთან დიდი რწმენით, მას იგი უპასუხოდ არასდროს დაუტოვებია და მასში დიდნი საქმენი აღუსრულებია. რადგან ყოველი მათგანის შესახებ მან კარგად უწყოდა, რომ მათი ნდობა სიყვარულიდან მომდინარეობდა. მაგრამ სიყვარულს არამარტო ნდობა გააჩნია, მას აქვს აგრეთვე ნათელი ცოდნა და ყოველგვარ ეჭვს მოცილებული დარწმუნებულობა.

ორგვარი ცოდნა არსებობს ამ ცხოვრებაში მარადიული სიცოცხლის შესახებ. პირველი მომდინარეობს იქიდან, რომ ღმერთი ადამიანს ამას თვით აუწყებს ან ანგელოზს უგზავნის ან განსაკუთრებული ნათლისფენით შთააგონებს მას. მაგრამ ეს ხდება იშვიათად და მხოლოდ მცირეოდ ადამიანე-

ბთან. მეორე ცოდნა შეუდარებლად უკეთესია და სასარგებლო და კურთხეულ-ბაა წიადაგ სრულყოფილად მოყვარული ადამიანებისა. ეს ეყრდნობა იმას, რომ ადამიანი სიყვარულისა და ურთიერთობის ძალით, რომელიც მას თავის ღმერთთან გააჩნია, მის იმდენად ენდობა და მასში ისეა დარწმუნებული, რომ ადამიანს იგი თანაბრად უყვარს ყველა ქმნილებაში. და თუნდაც უარ-ეყო იგი ყველა ქმნილებას და თვით ღმერთსაც უარი რომ ეთქვა მასზე: იგი ამით არ დაიბნეოდა და არ შეცდებოდა. რადგან სიყვარულს არ ძალუ-ძს რომ შეცდეს, მას სწამს მხოლოდ სიკეთე და არაა აუცილებელი, რომ მოყვარულთ და შეყვარებულთ რჩევას აძლევენ, რადგან იმის შეგრძნებით, რომ იგი ღვთის მეგობარია, მან იმავე დროს ყველაფერი ის კარგად იცის, თუ მისთვის რა არის კარგი და რა განეკუთვნება მის ბედნიერ ყოფნას. და როგორადაც არ უნდა გიზიდავდეს იგი: იმაში უეჭველია იყო დარწმუნებული, რომ მას უსაზომოდ უფრო მეტად იზიდავს შენკენ და რომ მას შეუდარებლად უფრო დიდი რწმენა გააჩნია შენდამი – რადგან იგი თავად ერთგულებაა; და ამ მხრივ მასში შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული და აგრეთვე ყველანიც არიან დარწმუნებულნი, რომელთაც იგი უყვართ.

მაისტერ ეკჰარტი: სიტყვანი დარიგებისა
I4/I5

## ღ ვ თ ი ს   ნ ე ბ ი ს   ა ღ ს რ უ ლ ე ბ ა

იმაზე საუკეთესო არაფერი არ არსებობს, როდესაც ადამიანები მთ-ლიანად ღმერთს მიანდობენ თავს და რაც არ უნდა გამოუცხადოს მათ ღმე-რთმა, მხოლოდ მისი ნების განხორციელებას ეძიებენ მთელი გულმოდგი-

ნებით; იყავი ამაში ისე დარწმუნებული, როგორც მასში, რომ ღმერთი არსებობს, რომ უცილობლად ესაა საუკეთესო და არ შეიძლება სხვა გზამ იარსებოს, რომელიც უკეთესი იქნებოდა. და თუ რაიმე სხვა მაინც უკეთესად გამოჩნდებოდა, იგი მაინც არ იქნებოდა შენთვის ასე კარგი; რადგან ღმერთს სურს სწორედ ეს გზა და არა სხვა, და ეს გზა შენთვის აუცილებლად საუკეთესო უნდა იყოს. არის ეს ავადმყოფობა თუ სიღარიბე, შიმშილი თუ წყურვილი ანუ სხვა რაიმე, რასაც შენ ღმერთი გიგზავნის ან არ გიგზავნის, ან რასაც შენ ღმერთი გაძლევს ან არ გაძლევს, ყველაფერი ეს შენთვის საუკეთესოა. გაგაჩნია შენ მოწიწება ან გულითადობა, თუ არცერთი არ გაგაჩნია, საერთოდ გაქვს რაიმე, თუ არა გაქვს: განეწყვე მხოლოდ იქითკენ, რომ ღვთის დიდება და პატივი ყველა საგანში შენიშნო, და რაც არ უნდა დაგიწესოს მან, იცოდე, ეს საუკეთესოა.

შენ შეიძლება ახლა სთქვა: როგორ უნდა გავიგო მე, ღვთის ნებაა ეს თუ არა? უწყოდეთ: რომ არ ყოფილიყო ამაზე ნება ღვთისა, იგი არც იქნებოდა. შენ არ დაგემართება არც ავადმყოფობა და არც სხვა რამ, თუ ამაზე არ იქნება ღვთის ნება-სურვილი. და რადგან შენ გეცოდინება, რომ ასეთია ღვთის ნება, მაშინ მასში უნდა ჰპოვო ისეთი კმაყოფილება და სიამე, რომ შენ არავითარი ტკივილი ტკივილად არ უნდა მიიჩნიო; თვით უკიდურესობამდისაც რომ მიაღწიოს ტკივილმა და შენ ამისგან რაიმე ტკივილსა და ტანჯვას გრძნობდე, თვით მაშინაც კი იქნება ეს სავსებით არასწორი; რადგან შენ იგი უნდა მიიღო ღვთისაგან როგორც ყოვლად საუკეთესო, რადგან იგი აუცილებლად უნდა გახდეს შენთვის საუკეთესო, რადგან ღვთის ყოფიერება იმაზეა დამოკიდებული, რომ მას საუკეთესო სურს. ამიტომაც, ეს, მეც უნდა ვისურვო და არაფერი არ უნდა მომეწონოს ამაზე მეტად. მთელი გულით რომ მსურდეს ერთ ადამიანს მოვეწონო და დაამშვილებით ვიცოდე, რომ ამ ადამიანს ნაცრისფერ ტანსაცმელში უფრო მეტად მოვეწონვარ, ვიდრე სხვაში, თუნდაც უკეთესში, ეჭვგარეშეა, რომ ეს ნაც-

რისფერი ტანისამოსი ჩემთვის უფრო სასიამოვნო და მისაზიდი გახდებოდა, ვიდრე სხვა დანარჩენი, თუნდაც უფრო კარგი. თუ მსურს მოვწონდე ყველას და ვიცოდე რა სურთ მათ, სიტყვითა და საქმით, სწორედ მას ვიქმოდი და არა სხვა რამეს. კეთილი, ახლა შეამოწმეთ თვით თქვენი თავი, თუ როგორი არის თქვენი სიყვარული! თუ თქვენ ღმერთი გიყვართ, მაშინ თქვენთვის იმაზე მეტი არაფერი არ უნდა იყოს სასიხარულო, რაც მას ყველაზე მეტად მოსწონს და რომ მისი ნება ყველა ჩვენთაგანის უმეტესობაზე აღსრულდეს. როგორ საშინლადაც არ უნდა მოსჩანდეს ტკივილი ან უბედურება, თუ მას შენთვის შესაბამისი კმაყოფილებაც თან არ ახლავს, იცოდე, რომ მაშინ აქ ჭეშმარიტებას შორდები.

მე ჩვეულებადა მაქვს ხშირად ერთი სიტყვის თქმა, რომელიც აგრეთვე ჭეშმარიტიცაა: ჩვენ ვლოცულობთ ყოველდღე და ხმამაღლა შევძახებთ „მამაო ჩვენოში“: „უფალო, იყავე ნებაი შენი!“ (მათე 6,10). და როდესაც მისი ნება აღსრულდება, მაშინ ჩვენ ვჯავრობთ ხოლმე და მისი ნება უკმაყოფილოს გვხდის. სინამდვილეში, რაც მან არ უნდა ჰქმნას, ჩვენთვის ყველაფერზე მეტად უნდა იყოს ხელსაყრელი. ვინც მას ყველაფერზე საუკეთესოდ მიიჩნევს, ისინი ყოველ საგანთან და მოვლენასთან სრულ სიმშვიდეს ჰპოვებენ. ზოგჯერ – თქვენ გეჩვენებათ და გაიძახით: ეს, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ უკეთესი იქნებოდა, ან: ეს რომ ასე წარმართულიყო, მაშინ შესაძლოა იგი უკეთესად წარიმართებოდა. სანამ შენ ასე გეჩვენება, ვერასდროს ვერ ჰპოვებ სიმშვიდეს. შენ უნდა მიიღო იგი, როგორც ყოველივეზე საუკეთესო.

მაისტერ ეკჰარტი: მე-4 ქადაგება.

თუკი ადამიანი წყალობის მეშვეობით თავის თავისუფალ ნებას დაემორჩილებს და მას სავსებით ღვთის ნებას შეურწყავს, ისე, რომ ეს ორი ნება ერთ ნებად წარმოგვიდგება, მაშინ სხვა აღარაფერია აუცილებელი, გარდა იმისა, რომ მან ამ ქალივით წართქვას: უფალო, მასწავლე, სად უნდა ვილოცო და რა უნდა ვქმნა, რომ შენს წინაშე ეს ჭეშმარიტად საუკეთესო იყოს? (შდრ. იოანე 4,20) – და იესო პასუხობს, ესე იგი, თავისთავს უცხადებს მას ჭეშმარიტად და სავსებით ისე, როგორიც იგი არის, და ამდიდრებს ადამიანს ისეთი სიუხვით, რომ იგი გადმოდის და გადმოსჩქეფს ღვთის ზესრული სისავსიდან, როგორც ეს იმ ქალმა ჰქმნა მოკლე დროში, რომელიც უწინ სრულიად გამოუსადეგარი იყო საამისოდ. და ამიტომ ვამბობ განმეორებით, როგორც უკვე ვთქვი: არცერთი ადამიანი არ არის აქ (ეკლესიაში) ისე ტლანქი, გაუგებარი და უუნარო, რომ ღვთის წყალობის მეშვეობით ვერ შესძლოს თავისი ნების სრულიად და სავსებით ღვთის ნებასთან გაერთიანება. ამისათვის მას, თავისი სურვილის შესაგამისად, სჭირდება მხოლოდ თქმა: უფალო, დამანახვე შენი უძვირფასესი ნება და გამამაგრე, რათა აღვასრულო იგი! და ღმერთი იქმს ამას ისევე დანამდვილებით, რამდენადაც თვით არსებობს ნამდვილად, და ღმერთი მიანიჭებს მას იმდაგვარი სიუხვითა და ყოველმხრივი სისავსით, როგორც მან ეს ამ ქალს მიანიჭა. უწყოდეთ, ეს შეუძლია ღვთისაგან მიიღოს თქვენ შორის ყველაზე ტლანქმა და უმცირესმაც მანამ, სანამ დღეს ჯერ კიდევ ამ ეკლესიას დატოვებდეს. სანამ დღეს ჯერ კიდევ ჩემი ქადაგება არ დამისრულებია, და ამას მიიღებს იგი ისეთ სრულ ჭეშმარიტებაში და ისე დანამდვილებით, როგორც ღმერთი ცოცხლობს და მე ვარ ადამიანი! და ამიტომ გეტყვით თქვენ: ნუ გეშინით! ეს სიხარული თქვენგან შორს არაა, თუკი მის ძიებას გონიერად მოისურვებთ.

მაისტერ ეკჰარტი: 27-ე ქადაგება.

წინდახედულება გამოიჩინეთ და აღიქვით ღმერთი და მისი ძვირფასი ნება და მოწოდება, რითაც ღმერთი თქვენ მოგიწოდებთ, რათა მას გაჰყვეთ. და თუ თქვენ არ უწყით, თუ რა არის ნება ღვთისა, მაშინ მიჰყევით მათ, რომელნიც სული წმიდასაგან უფრო მეტად არიან ნათლითმოსილნი, და თუ არა გყავთ თქვენ ამდაგვარი ადამიანები, მაშინ ღმერთს მიმართეთ. ეჭვგარეშეა, რომ იგი თქვენ მოგანიჭებთ ამ შემეცნებას, თუკი თქვენ უდრეკნი იქნებით. ამანაც თუ არ დაგაკმაყოფილა, მაშინ საეჭვო შემთხვევებში დააკვირდი იმას, თუ ყველაზე ნაკლებად რა სურს შენს ბუნებას და სწორედ ისა ჰქმენ; რადგან ბუნების ყოველ კვდომაში ღმერთი [სულის] სიღრმეში უჭეშმარიტესად ცოცხალი და ნამდვილი ხდება.

### იოანე ტაულერი: მე-I6 ქადაგება.

როდესაც ლაპარაკობენ და აგრეთვე თვით ქრისტეც ამბობს, რომ ყველა საგანი უნდა დავთმოთ და დავუტევოთ (შდრ. მათე I9,2I), ეს იმდაგვარად არ უნდა გავიგოთ, რომ ადამიანს არაფერი არ აქვს საქმნელი ან გასაკეთებელი. რადგან ადამიანმა, სანამ იგი ცოცხალია, რაღაც უნდა გააკეთოს და რაიმეს მოუაროს. ამრიგად, ზემოთქმული შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: მთელი შესაძლებლობა, მოქმედება, შემეცნება და ცოდნა ადამიანისა და ყოველი ქმნილებისა ის არაა, რაზედაც შეერთება ძევს. მაშ რა არის შეერთება? სხვა არაფერი, თუ არა ის, რომ მთლიანად და სავსებით ჭეშმარიტებაში არიან უბრალოდ ღვთის უბრალო, მარადიულ ნებასთან ერთად, ანდა ის, რომ თავისი ნებისგარეშე არიან და შექმნილი ნება გარდასდინდა და აითქვიფა და გაქრა მარადიულ ნებაში იმდაგვარად, რომ მარტოოდენ მარადიულ ნებას სურს მოქმედება. ახლა იმას წიაქციე ყურადღება,

თუ რას შეუძლია მოემსახუროს და დაეხმაროს ადამიანს საამისოდ. უწყოდე, ეს არ შეუძლია არც საშუალებას, არც სიტყვასა და საქმეს ცალკეული ქმნილებისას და არც ყველა ქმნილების საერთო საქმეს, ცოდნას, შესაძლებლობასა და მოქმედებას. ამგვარად, ყველა საგანი უნდა დავცარგოთ და შევწიროთ. ეს ნიშნავს, რომ მცდარად არ ვიფიქროთ და არ წარმოვიდგინოთ, რომ რომელიღაც საქმეთ, სიტყვათ და საშუალებათ, ხელოვნებასა და ოსტატობას, მოკლედ, ყველაფერს, რაც შექმნილია, საამისოდ მომსახურება და დახმარება შეეძლებოდა. არამედ ყველაფერი ეს უნდა დავტოვოთ, რაც არის, და გარდავიდეთ შეერთებაში. მაგრამ, ამავე დროს, საგნები უნდა იყვნენ და უნდა ვმოქმედებდეთ. კერძოდ: ადამიანმა უნდა იძინოს და იფხიზლოს, იაროს და იდგეს, ილაპარაკოს და დუმდეს და კვლავ მრავალი რამ უნდა იყოს, სანამ ცოცხლობს ადამიანი.

გერმანული თეოლოგია, თავი 25-ე.

## მადლიერება და ქების შესხმა

შენდამი მადლობა რომ აღვავლინო, ჩავიძირები შენი თავმდაბლობის ულრმეს უფსკრულში და გადიდებ და ვლოცულობ შენზე შენი უზარმაზარი სათნოებისა და შენი გულითადი სიკეთისათვის; მამაო სათნოებისავ, ჩემთვის, რომელიც ასე უკუღმართად ვცხოვრობდი, შენ მშვიდობის მოსავლენად ფიქრობდი და არა ტანჯვის. შენ ისე ძალზე ამამაღლე შენი კეთილისყოფათა სიუხვით და სიდიდით, თითქოს მე უკეთესი ვყოფილიყავი ყველა დანარჩენ მოკვდავზე და ამქვეყნად ანგელოზის მსგავსი ცხოვრებით მეცხოვროს.

შენ ეს დაიწყე მაშინ, ადვენტის[X] დროს, სანამ მე.... ჩემს ოცდახუთ წლისთავს შევასრულებდი. შენ გრიგალი გამოაგზავნე, რომლისგანაც გული ჩემი ისე აფორიაქდა, რომ ყოველგვარი ახალგაზრდული სიხარული ჩემთვის შესაზიზღი გახდა. ასე შეამზადე შენ შენთვის ცოტათი ჩემი გული. შემდგომ, როდესაც ოცდამეექვსე წელში გადავაბიჯე, – ეს იყო ორშაბათს, განწმენდის დღესასწაულის წინ იმ დღის დაისში, საღამოს ლოცვის შემდეგ –, შენ, ჩემი დაბნეულობის ღამის შემდეგ, როგორც წყვდიადის გამნათებელმა ჭეშმარიტმა ნათელმა აგრეთვე დღე ჩემი ახალგაზრდულ უგუნურებისა აღკვეთე და სულიერი უმეცრების წყვდიადს დასასრული მიუჩინე... შენ შენთან შემაკავშირე შენი შერიგებით, რათა შევიძლო შენი შეცნობა და სიყვარული და მაზიარე ჩემს უშინაგანეს სიღრმეს, რომელიც აქამდის ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. იმავე დროს, იმ ჟამიდან მოყოლებული, სასწაულებრივი და იდუმალებით აღსავსე გზით შენ დაიწყე ჩემზე ზემოქმედება; როგორც საკუთარ სახლში მეგობარს მეგობართან, უფრო მეტიც, როგორც საქმროს თავის საცოლესთან, ასე გსურდა შენ ჩემს გულში დავანება და მუდმივი სიხარულის ქონა ჩემს სულთან.

გერტრუდ დიდი: დესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა
II/23

ღმერთო, ღმერთო ჩემო, რადგან შენა ხარ ჩემი, არაფერი მაკლია მე. და რადგან მე ვარ შენი, მსურს ჩემს ღმერთსა და მაცხოვარში თავი ჩემი მარადის ვიქო. მთელ ჩემს მწუხარებაში შენა ხარ, რომელიც შენში

---

X. ადვენტი [adventus – ლათ. „მოსვლა“ (ქრისტესი)] – შობის წინა ოთხი კვირის მოწვევლი დრო. მთარგმნ. შენიშვნა.

მიმზადებ ნადიმს სადღესასწაულოს. სად იქნებოდა კარგად სული ჩემი თუ არ შენში, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო? და თუ უკვე ამქვეყნიურ სიდატაკეში ფიქრი შენს ქებაზე ასე ტკბილია, როგორი იქნებოდა იგი, ღმერთო ჩემო, როდესაც შენს ღვთაებრივ ბრწყინვალებაში დიდებულება შენი გამოჩნდებოდა! თუკი შენი ნეტარების წინასწარ ნაგემი წვეთები ასეთი სიამის მომგვრელნია, როგორი იქნება ის მაშინ, ო წმინდაო ნეტარებავ, როდესაც მთელ მათ სისავსეს მომაწვდი! თუ შენი ნუგეში კეთილ საბოქვართა უკვე აქ მოთხოვნილებას ჩემსას ასუჩებს, როგორი იქნება ის მაშინ, ო ღმერთო სიკეთისა ჩემისაო, როდესაც შენ ჩემს სულს მთლიანად შენში ჩაძირავ....ღმერთო, ღმერთო ჩემო, თუ ჩემს სულს შენსკენ მიმართავ, მაშინ არაფერს არ მაფიქრებინებ და არ მაგრძნობინებ მარტოოდენ შენისა, მაშინ წარიღებ ჩემ თავს ჩემგან და შენ თავს მისცემ მას, რომ არ ძალმიძდეს ფიქრი ჩემ თავზე, რადგან წარიღე შენთვის თავი ჩემი, რათა დამფარო შენში.... შენში, სიცოცხლეზე მძლავრო სიყვარულო, ჩემი სული კვლავ ჰპოვებს თავის სიყრმეს და განახლებული, შენი უმშვენიერესი პირისახის ხილვისას არწივის მსგავსად შეჰყივლებს და შეხარის მას; რადგან ახლა ჰპოვა და უკვე ხელთა აქვს მას უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა, რათა შენში ჰფლობდეს იგი მას სამარადისოდ, ო ღმერთო სიყვარულისაო. ამინ.

გერტრუდ დიდი: სულიერი ვარჯიშები 6.

ერთხელ ასე მეტყოდა ოსტატი ჩემი, მოძღვართა შორის უმაღლესი: მსურს სამი რამ გასწავლო, რასაც ყოველდღიურად გულში უნდა ჩაუკვირდე და ბევრი სარგებელი გექნება მისგან. პირველი: მადლიერებით დაუკვირდი, თუ რა დიდი საუნჯე მოგანიჭე შექმნითა და ხსნით, რომ შენ, როგორც

ადამიანი შევქმენ ჩემი ხატისა და მსგავსების მიხედვით და შენს გამო უმწარესი სიკვდილი დავითმინე. შემდეგ: დაუკვირდი მადლიერებით, თუ რამდენი სიკეთე მოგანიჭე პირადად შენ დაბადებიდან დღევანდლამდე, რომ შენ განსაკუთრებული ამორჩევით გიხმე სამყაროდან, შენს სულზე ხშირად დახრილი აღვავსებდი და აღვაფრთოვანებდი მას ჩემი ღვთაებრივი მადლის სიტკბოთი, შემეცნებით ნათელი მოვფინე და სიყვარულით აღვანთე იგი, რომ წირვა-ლოცვის დროს ყოველდღიურად შენთან მოვდივარ და მზად ვარ ყველა სურვილი და მოთხოვნილება შეგისრულო. მესამე: დაუკვირდი ქების შესხმითა და მადლიერებით, თუ ზეცაში რაოდენ ამაღლებულ ნივთთა მონიჭება მსურს შენთვის სამარადისოდ, სიუხვე ყველა საუნჯეთა. და გაცილებით მეტი სიკეთით აღგავსებ შენ, ვიდრე ამის დაჯერება ან წარმოდგენა შეგიძლია. მე გეტყვი შენ: ეს ძალზე მომწონს, როდესაც ადამიანები, გულდამშვიდებულნი, დიდ საჩუქარს მოელიან ჩემგან. ადამიანს, რომელსაც სწამს, რომ მე მას ამ ცხოვრების მერე მისი დამსახურებისამებრ დავასაჩუქრებ და ამის გამო მაქებს და ამ ცხოვრებაში ჩემდამი მადლობას აღავლენს, ამით ჩემდამი ისეთ მადლიერებას ამჟღავნებს, რომ მას მსურს მივუზღო მის რწმენა-იმედზე და დამსახურებაზე გაცილებით მეტი. ადთმიანს არ ძალუძს იმის გაგება, თუ რა სწამს და რისი იმედი აქვს მას, მაგრამ ეს მისთვის სასარგებლოა, რომ სრულიად უდიდესი სწამდეს და მოელოდეს მას ჩემგან.

აქ სულმა წარსთქვა: ყოველივეზე უსაყვარლესო, ამრიგად, თუ შენთვის სასიამოვნოა, რომ ადამიანები ასე ღრმად გენდობიან, მაშინ მარქვი, თუ როგორ უნდა ვენდო შენს უსასრულო სიკეთეს.

და თქვა მან: ჭეშმარიტი იმედით უნდა მომენდო, რომ შენი სიკვდილის შემდეგ მსურს აგიყვანო როგორც მამამ თავისი საყვარელი შვილი და გაგინაწილო ყოველი ჩემი საუნჯე და მსურს მოგცე თვით თავი ჩემი,

როგორც მამა თავის ერთადერთ შვილს ერთგულად აძლევს მემკვიდრეობას, მსურს მიგილო ისე, როგორც მეგობარი თავის უსაყვარლეს მეგობარს ღ[illegible]ლობს და აღმოგიჩინო ისეთი დიდი მეგობრობა, როგორიც არავის არასდროს თავისი მეგობრიდან არ ღირსებია; რადგან ჯერ არ ყოფილა ისეთი ერთგული მეგობარი, რომელსაც ზოგჯერ გული არ გაუტეხია ანდა თავისი მეგობრის მოტყუება არ სურვებია. მხოლოდ მე ვარ უკიდურესად ერთგული და ვარ თავად ერთგულება და არასოდეს არ ძალმიძს ვიცრუო წინაშე მეგობართა ჩემთა. დაბოლოს, მსურს შენი აყვანა, როგორც საქმროს თვისი ერთადერთი საყვარელი საცოლის, სიხარულის ისეთი სიუხვითა და ნეტარების ისეთი სისავსით, როგორც აროდეს არცერთ საქმროს თვისი საცოლე ასე ძლიერ არ მიუზიდავს. მსურს ნეტარებით შენი დატკბობა და ჩემი ღვთაებრივი სიხარულის ნაკადით შენი ალტაცება. აქ წარმოსთქვა სულმა: რას მიანიჭებ შენ მათ, ვისაც სწამთ შენი? და მან უპასუხა: მადლიერი გულის მინიჭება მსურს მათთვის, რომ ყველა ჩემი საბოძვარი მათ მადლიერებით აღიღონ. მოსიყვარულე გულის მინიჭება მსურს მათთვის, რათა ერთგულებით ვეყვარდე მე მათ; ქების შემსხმელი გულის მინიჭება მსურს მათთვის, რათა ნიადაგ სიყვარულში მადიდებდნენ, როგორც ზეციურნი, რომელნიც მარად სიყვარულში მაქებენ და მადიდებენ მე!

მეხტილდ ჰაკებორნელი: წიგნი განსაკუთრებული წყალობისა III/5

პირველ ყოვლისა, საჭიროა ქმედით სიყვარულში გაწაფვა. ესაა ზედმიწევნით სასარგებლო და კურთხეული რამ. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი მადლიერია ყოველი სიკეთისა, რომელიც ღმერთმა მას, ყველა ადამიანსა

და ანგელოზს აღმოუჩინა; რომ იგი მთელი ძალებით იძირება სიყვარულის დიად საქმეებში, რომელიც ღმერთმა სხვადასხვა გზით მიანიჭა მას, და ყოველ მის ქმნილებას საყოველთაოდ და მას – განსაკუთრებით, და ეს მიანიჭა სახელდობრ თვით თავისი თავით – მთელი თავისი ცხოვრებითა და ტანჯვით. ამას შეუდაროს ადამიანმა თავისი სიპატარავე, უღირსობა და თავისი არარაობა; ზეცას, დედამიწას და ყველა ქმნილებათ უხმობს იგი, რათა დაეხმარონ მას ღვთისადმი მადლობის აღვლენაში, რადგან მას მარტოს არ ძალუძს ეს.

ამ სამადლობელში წმიდა მზერით ჩართოს მან მთელი ქრისტიანობა, ცოცხალნი და გარდაცვლილნი და განსაკუთრებით ისინი, ვისთვისაც სურს მას ლოცვა. და ყველა ამათი სახელით, მათი მომცველი წმიდა მზერითა და სიყვარულით აღსავსე შინაგანი მოთხოვნილებით მიმართოს მან ღმერთს და მიიტანოს მასთან თავისი განსაკუთრებული სიყვარული ჩვენი უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებისა და ტანჯვისადმი. ეს ყველაფერი მოხდეს ერთადერთი მზერით, როგორც ათას კაცს გადახედავენ ხოლმე თვალის ერთი გადავლებით. და ღვთისაკენ სულის ეს ამაღლება რაც შეიძლება ხშირად უნდა განმეორდეს, სულ რამდენიმე წამის განმავლობაში, კვლავ და კვლავ, და ყოველივე ამით ღვთისაკენ უკანვე უნდა მივიქცეთ, მთელი ძალით, გონებითა და ქმედითი სიყვარულით.

მაგრამ რაც კი ოდესმე ღვთისაგან მიგიღიათ, იგი თქვენსავე თავს არ უნდა მიაწეროთ, როგორც თქვენი საკუთრება; ღვთისაგან ბოძებული ისევ და ისევ უნდა გასცეთ და არაფერი დაიტოვოთ, ნიადაგ გახსოვდეთ თქვენი სრული არარაობა და სიღარიბე. და მეტი აღარ უნდა იკითხოთ და იკამათოთ იმაზე, რომ ღმერთია ეს თუ არა, რომელიც თქვენ შინაგანად გეჩვენებათ და გიძლევათ. იფიქრეთ მხოლოდ თქვენს სიპატარავეზე, სიღარიბეზე, არარაობაზე, რაც ჭეშმარიტად ასეა. მიეცით ღმერთს, რაც ღვთი-

საა; ილტვოდეთ თქვენს საწყისში დასაბრუნებლად, როგორადაც ეს ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ ჰქმნა, რომელიც მთელი თავისი ძალებით, ნაღვლი და მდაბალით, ყველა დროს სიმაღლისაკენ ისწრაფვოდა. ვინც მას უზუსტესად მიჰყვება, იგია საუკეთესო.

იოანე ტაულერი: 48-ე ქადაგება.

### 3. მისტიკოსები თავიანთი თავის შესახებ

#### ჰილდეგარდ ბინგენელი

ერთგულო მსახურო, მე, ღატაკი ქალი, ჭეშმარიტ ხილვაში გეუბნები ამ სიტყვებს. თუკი ღმერთს მოსწონს, რომ ამ ხედვაში ჩემი სხეული და სული აღამაღლოს, ამისდა მიუხედავად, შიში მაინც არ დაუტევებს ჩემს აზრსა და გულს; რადგან ვიცი, რომ მე მხოლოდ ადამიანი ვარ. უკვე მრავალი ბრძენი დაიბნა სასწაულებრივ საბოძვართა მიღებით. ისინი ავლენდნენ ზოგ საიდუმლოებას, მაგრამ ქედმაღლური განდიდების ჟინით შეპყრობილნი ამას საკუთარ თავს მიაწერდნენ და ამრიგად განიცადეს დაცემა. მაგრამ რომელნიც თავიანთი სულის აღმავლობისას სიბრძნეს ღვთისაგან იღებდნენ და საკუთარ თავს არარად მიიჩნევდნენ – ასეთნი ცის ბურჯებად გახდნენ დედამიწაზე.

რა იქნებოდა, თუ მე ღატაკი საკუთარ თავს ვერ შევიცნობდი? ღმერთი იქ მოქმედებს, სადაც მას სურს, თავისი სახელის დიდებისათვის და

არა მიწიერი ადამიანის განდიდებისთვის. მუდამ შიშის ძრწოლა ამიტანს ხოლმე, რადგან არ ვუწყი ჩემში არავითარი შესაძლებლობა რაიმესადმი. ღვთისაკენ ვიწვდი ხელთ, რათა ჩამჭიდოს და გამამაგროს, რადგან ვითარცა ბუმბული, თავისუფალი ყოველგვარ სიმძიმისაგან, ქარის სათამაშოდ ვარ მე განზადარი. რასაც კი ვჭვრეტ, მისი სრულყოფილი შემეცნება არ ძალმიძს, სანამ სხეულში ვცხოვრობ და ჩემი სული უხილავია. რადგან ორთავე ამ საგანშია ადამიანის არასრულყოფილება დაფუძნებული.

ბავშვობიდანვე, როდესაც ჩემი ძვლები, ნერვები და ძარღვები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამაგრებულნი, გამუდმებით ვჭვრეტ ამ ხილვას ჩემს სულში დღევანდელ დღემდის, როდესაც უკვე სამოცდაათზე მეტი წლისა ვარ, ამ ხილვაში სული ჩემი, როგორც ეს ღმერთს სურს, მაღლდება ცის კამარაში და ჰაერის სხვადასხვა ფენებში და ვრცელდება სხვადასხვაგვარ ხალხებს შორის, რომელნიც ჩემგან დაშორებულ მხარესა და ადგილებში არიან. და რადგან ამას ამდაგვარი გზით ჩემს სულში ვჭვრეტ, ამგვარადვე აღვიქვამ მე მას ღრუბელთა და სხვა ქმნილებათა ცვალებადობის მიხედვით. მაგრამ ეს არ მესმის მე ჩემი გარეგანი ყურებით და არც შევიმეცნებ მას ჩემს გულთა ზრახვებში ანდა ჩემი ხუთი გრძნობის მონაწილეობით, არამედ მე მას ვჭვრეტ მხოლოდ ჩემს სულში, ღია თვალებით, ფხიზლად დღისითა და ღამით. და არასოდეს არ განმიცდია ამ დროს ექსტაზი. ჩემს სნეულებათაგან მუდმივ ვარ შევიწროებული და ხშირად ისეთ ტკივილებს განვიცდი, რომ სიკვდილი ძალზე მიახლოვდება. მაგრამ ღმერთმა შემინახა ამ ჟამამდე...

ამ სინათლის ფორმის შემეცნება არანაირი საშუალებით არ ძალმიძს, როგორც არ ძალმიძს სრულყოფილად დავინახო მზის დისკო. ამ სინათლეში დროდადრო, არა ხშირად, მე ვხედავ კიდევ სხვა სინათლეს, რომელიც ჩემთვის როგორც „ცოცხალი სინათლე" აღინიშნება. თუ როდის და რა გზით

ვხედავ ამას, ამის შესახებ არაფერი ვიცი. მაგრამ სანამ მას ვხედავ, მთელი ჩემი მწუხარება და შიში მშორდება ისე, რომ მოხუცი ქალის ნაცვლად თითქოს ვიქცევი პატარა, უზრუნველ გოგონად. მუდმივი ავადმყოფობის გამო, რითაც ვიტანჯები, უსიამოვნო ხდება ჩემთვის იმ სიტყვათა და სახეთა გამოთქმა, რომელნიც მაშინ მევლინებიან, მაგრამ როდესაც სული ჩემი იმ სინათლეს შეჰყურებს და მისით ტკბება, მაშინ, როგორც ვთქვი, იმდაგვარი განწყობილება მეუფლება, რომ ყოველ ნაღველსა და ტანჯვას ვივიწყებ. და რასაც შემდეგ ამ ხილვაში ვჭვრეტ და ვისმენ, ჩემს სულს იგი ამოაქვს თითქოს წყაროს სათავედან, რომელიც თავად სავსე და ამოუწურავი რჩება. იმ სინათლეს კი, რომელიც „ცოცხალი სინათლის ჩრდილად“ აღინიშნება, სული ჩემი ფლობს ყოველ საათს. მე ვხედავ მას, თითქოს ვჭვრეტდე კრიალა ღრუბელში ცის კამარას უვარსკვლავებოდ. იქ ვხედავ მე მას, რასაც ჩვეულებრივ ვამბობ ხოლმე და რასაც ვპასუხობ, როდესაც მეკითხებიან იმ „ცოცხალი სინათლის“ ბრწყინვალების შესახებ.

წერილი ქილბერტ გემბლუელისადმი

## ელიზაბეთ შიონაუელი

შენ ითხოვ ჩემგან, ძმაო, და კიდევაც მიაღწიე ამას, რათა მოგითხრო ღვთის სათნოების შესახებ, როდესაც მან, თავისი მადლის ნებით, ჩემში ინება ქმედობა. მე გადაწყვეტილი მაქვს, რომ შენს სიყვარულს საკადრისი მივუზღო; რადგან უკვე დიდი ხანია, რაც ჩემს სულს სურს, რომ მე შემთხვევა მომეცეს შენ გესაუბრო ყველა ამ საგანზე და შენი აზრი მოვისმინო. მაგრამ, გევედრები, ცოტათი შეყოვნდი და გაიზიარე

შეშფოთებანი ჩემი გულისა, რომელნიც იმაზე მეტად მავიწროებენ, ვიდრე ამის დაჯერება შეიძლება. თუკი ის ცნობა, რომელიც გსმენია, საჯაროდ განქვეყნდება – როგორც ეს უკვე გარკვეულად წინდაუხედავ ძმათა მეშვეობით მოხდა, მაგრამ ღმერთმა უწყის: ჩემი ნების საწინააღმდეგოდ! –, რას იტყვიან ამის მერე ხალხში ჩემზე? ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ მე გამაჩნია რაიმე სიწმინდე და ღვთის მადლი ჩემს დამსახურებას მიაწეროს, ყალბად ეგონოს რა, რომ თითქოს მე რაიმეს წარმოვადგენდე, მაშინ, როდესაც არარაობა ვარ. მაგრამ სხვანი თავისთვის გაიფიქრებენ და იტყვიან: იგი ღვთის მსახური რომ ყოფილიყო, ყველა შემთხვევაში ამაზე ხმას არ ამოიღებდა და თავის სახელს ამქვეყნად არ განადიდებდა. მაგრამ მათ არ უწყიან, ყოველთვის თუ როგორ იძულებულს მხდიან სალაპარაკოდ. აგრეთვე, ისეთნიც მოიპოვებიან, რომელნიც ყოველივეს, რასაც ჩემს შესახებ ისმენენ, დედაკაცის გამონაგონად ჩასთვლიან, ან, შესაძლოა, ეშმაკისაგან მოტყუებულად გამოაცხადონ. ამას, და ვინ იცის კიდევ რას იტყვიან ჩემზე, უძვირფასესო. მაგრამ რამდენად შემეფერება ეს, რომ რომელიმე ადამიანისათვის ცნობილი გავხდე, მე, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრების გატარება განდეგილობაში ვარჩიე და თავს უღირსად ვთვლი საიმისოდ, რომ ვინმემ თვალნი აღაპყროს და შემომხედოს? აგრეთვე ისიც მიმატებს შეშფოთებას, რომ უფალმა აბაკუმა გადაწყვიტა ჩემი სიტყვები ჩაწერილ იქნან. განა რა ვარ მე ისეთი, რომ რაც ჩემს თავს ხდება შთამომავალთა მეხსიერებას შევუნარჩუნოთ? განა არ შეიძლება, რომ ეს აღიარებულ იქნას როგორც კადნიერება?

მაგრამ, რამდენიმე ბრძენმა კაცმა მითხრა, რომ ღმერთმა ეს საგნები არა მხოლოდ საჩემოდ მომივლინა, არამედ მან ამით წინასწარ იზრუნა აგრეთვე სხვათა დამოძღვრისათვის, რამდენადაც ეს შეეხება რწმენის გაძლიერებას და აგრეთვე იმათ სანუგეშებლად, რომელნიც უფლისათვის მღვ-

ვარენი არიან გულით. აქედან გამოსულთ მათ სწამთ, რომ ღვთის ქმედოგანი განქვეყნებული უნდა გახდნენ. რომ ეს ნამდვილად ასეა, როგორც ისინი ამბობენ, ნაწილობრივ მწამს მე ეს; ეხლა კი მინდა აგრეთვე მთავარი არგუმენტი მოგიყვანო საამისოდ. უკვე მრავალჯერ, როდესაც ჩემს გულში გადავწყვეტდი გავჩუმებულიყავი იმაზე, რასაც უფალი მიჩვენებდა, ისეთი ტკივილი ანიტყდებოდა შიგნეულობაში, რომ თავს სიკვდილის პირას ვთვლიდი. მაგრამ როგორც კი ჩემს ირგვლივ მყოფთ გავუმჟღავნებდი იმას, რაც მე ვიხილე, იმწამსვე ტკივილთა გაყუჩებას ვიგრძნობდი. მართალი რომ ვაღიარო, ერთხელაც ვერ მოვიპოვე ამის გამო სრული დარწმუნებულობა საიმისოდ, თუ რა უნდა ვქმნა მე. რადგან ერთი მხრივ მე კარგად მესმის, თუ რა სახიფათოა ჩემთვის ღვთის დიდებული საქმეების დამალვა, მაგრამ მეორე მხრივ ასევე შიში მიტანს, რომ უფრო სახიფათო გახდება ჩემთვის ამ თემაზე საუბარი. მე ვგრძნობ არასრულყოფილებას ჩემი განსხვავების უნარისას, რათა შევძლო იმის განსხვავება, თუ რა უნდა განქვეყნდეს, და რა არა იმათთაგან, რაც მე გამომეცხადა. იხილე, ყველა შემთხვევაში ხიფათი არ მცილდება, რომ ან ასე, ან ისე შევცდე. ამიტომ, საყვარელო ძმაო, ცრემლნი არა შორდებიან ჩემ თვალთ და სული ჩემი გამუდმებით შფოთავს ჩემში.

შენი ჩამოსვლის შემდეგ ნუგეში ჰპოვა სულმა ჩემმა და დიდი სიმშვიდე დამეუფლა. კურთხეულ არს უფალი, რომელმაც შეიწყნარა და შეისმინა ლოცვა მისი მსახურისა, რითაც მას მრავალი დღის განმავლობაში ვევედრებოდი შენი სტუმრობისათვის. და ახლა, როდესაც ღვთის ნებამ ასე შორიდან შენ ჩემთან ჩამოგიყვანა, ნსურს გადაგიხსნა ვული ჩემი და გაუწყო კეთილი და ბოროტი ჩემს შესახებ. გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგ უნდა იქნას გამოტანილი, შენსა და უფალი აბატის ხელთაა. მადლობას ვატყვი უფალს, როგორც უმცირესი უბადრუკთა შორის, რომ იმ დღიდან მო-

ყოლებული დღევანდლამდე, რა დროსაც მე ორიგენის კანონთა მიხედვით ვიწყე ცხოვრება, უფლის ხელი ისე საგრძნობი გახდა ჩემთვის, რომ ერთ წამიც არ ყოფილა ისეთი, რომ ჩემს სხეულს მისი ისრები არ ეტარებინოს. სხვადასხვაგვარმა, გამუდმებითმა ავადმყოფობებმა არა მხოლოდ მე დამტანჯეს, არამედ აგრეთვე ყველა დებიც ჩემს გარშემო. დაე, უფალმა მათ თავისი სიკეთე არ მოაკლოს, რადგან მათ მთელი სიმძიმე ჩემი უბედურებისა დედობრივი სიყვარულით ზიდეს. ისინი დროდადრო გამაჯანსაღებელ საშუალებათაც მაძლევდნენ, მაგრამ ეს საშუალებანი კიდევ უფრო აღრმავებდნენ ჩემს ავადმყოფობას და ღამეულ ხილვაში მესმოდა ხმა ჩემდამი მომართული: „ხოლო ღმერთმან ჩუენმან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა ყოველივე, რაიცა უნდა, ქმნა". (ფს. 113,3). აქედან მივიღე მე გაფრთხილება, რომ ჩემი სხეული არა ადამიანთა გამაჯანსაღებელი საშუალებებისათვის დამეთმო, არამედ – შემოქმედის ნებისათვის; და სწორედ ასე მოვიქეცი. ხშირად დამეუფლებოდა ისეთი დიდი სისუსტე, რომ გარდა ენისა სხეულის ვერც ერთ ნაწილს ვერა ვძრავდი; მაგრამ მიუხედავად ამისა – დაე, ეს ითქვას ყოველგვარი მედიდურების გარეშე! – ფსალმუნთა წარმოთქმაში არანაკლებ თავგამოდებული დავრჩი. მაგრამ როდესაც დამბლამ ენაც გამიქვავა, მისი სამსახური სულმა გამიწია. რა აუცილებელიც მაკლდა ჩემი ავადობებისა, მათი ჩამოთვლა დიდხანს გასტანდა. შენ თავად უწყი, რომ ჩვენი ოჯახის ქონება მცირეა და ისინი შორს არიან ჩემგან, ვისაც უნდა შევბრალებოდი. მაგრამ უფალი– მამა ობოლთა, ზრუნავს ჩემთვის, და მისი წყალობით მთელი ჩემი უბედურება ჩემს გულში იქცა დიდ სიხარულად. კურთხეულ იყოს ღმერთი, მორჩილთა მანუგეშებელი!

წერილი თავისი ძმის ეკბერტისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ე ხ ტ ი ლ დ   მ ა გ დ ე ბ უ რ გ ე ლ ი

სანამ ამ წიგნის წერას შევუდგებოდი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, მე ვიყავი გულუბრყვილოზე გულუბრყვილო ადამიანი, რომელიც კი ყოფილა ოდესმე სულიერ ცხოვრებაში, თუმცა ღმერთი ზოგ თავის სიტყვას ჩემს სულში გამოსთქვამდა. ეშმაკის ბოროტების შესახებ არაფერი ვუწყოდი, ამქვეყნის სენი ჩემთვის უცნობი იყო, ყალბი სასულიერო პირნი ჯერ გაცნობილი არა მყავდნენ.

ჩემს მეთორმეტე წელში, როდესაც მარტო ვიყავი, სული წმინდას გრიგალმა გადამიარა და ისე მძაფრად მომესალმა, რომ იმ დღიდან მოყოლებული არცერთ მომაკვდინებელ ცოდვას არ მსურს რომ დავნებდე. უსაყვარლესი მოსალმება ყოველდღე აღწევდა ჩემთან და უტკბილეს სევდას მგვრიდა სიყვარულისას. და მაინც იზრდება და გიზგიზებს ყოველდღე სიტკბოება და მშვენიერება მთელი სამყაროსი. ეს შემემთხვა მე, სანამ ოცდათერთმეტი წლის შევსრულდებოდი.

ღვთაების შესახებ, გარდა ჩვენი ქრისტიანული რწმენისა, არაფერი არ ვუწყოდი; მე ვცდილობდი ჩემი გულის განწმენდას. ღმერთი თავად დამოწმებს, რომ ჩემი სურვილი და ნება არასოდეს იმ საგნებისაკენ არ ისწრაფვოდა, რომელთა შესახებაც ამ წიგნში დავწერე, და რომ მისთვის არასოდეს მითხოვია მათი ჩემთვის მოცემა. მე აგრეთვე არა მჯეროდა, რომ რომ ადამიანებს შეექლოთ ამღაგვარი რამის განცდა და იგი არც განმიცდია მანამ, სანამ მე ჩემს ნათესავებთან და მეგობრებთან ვიმყოფებოდი, რომელთაც ძალზე ვუყვარდი. მაგრამ უკვე დიდი ხანი იყო, რაც მე ვნატრობდი, რომ უდანაშაულოდ დამცირებულ ვყოფილიყავი...

როდესაც მე ჩემს სულიერ ცხოვრებას ვეზიარე და ამ ქვეყანას დავემშვიდობე, დავაკვირდი ჩემს სხეულს და ვპოვე იგი დიდ ბრძოლაში ჩემი

საწყალი სულის წინააღმდეგ; და იყო ჩემი სხეული დიდი სისავსის, მაგარი აგებულებისა და ალსავსე ბუნების ძალით. და მე შევიმეცნე, რომ იგი მტერი იყო ჩემი და ვხედავდი: თუ მსურდა მარადიულ სიკვდილს ავრიდებოდი, მაშინ საქმე ბრძოლამდე უნდა მიმეყვანა და თვით თავი ჩემი დამეთრგუნა. და მე ვხედავდი ჩემი სულის იარაღს: ჩვენი უფალი იესო ქრისტეს წმინდა ტანჯვას და მე აღვიჭურვე მით. ამიერიდან მე გამუდმებით შიშსა და ძრწოლაში უნდა მეცხოვრა. ჩემი მტრები ბოროტად მოიწევდნენ ჩემსკენ დარტყმებით. და იყო ოხვრა, ტირილი, მარხულობა, სიფხიზლე, სააღსარებოდ მისვლა, ჩემი გულის გამოაშკარავება, მსხვერპლშეწირვა და ხილვა ღვთაებრივი სახისა. ესენი იყვნენ ჩემი სულის იარაღები, რითაც მე ჩემს სხეულს ვძლევდი... ზოგიერთი დღე ჩემი ამქვეყნიური ცხოვრებისა მძიმე ავადმყოფობაში გავატარე. და დამეუფლა მძლავრი სიყვარული და ისე აღმაფრთოვანა თავისი სასწაულებით, რომ მე აღარ შემეძლო დადუმება. მაგრამ შიშმა შემიპყრო, როდესაც გავიხსენე ჩემი გულუბრყვილობა და ვთქვი: ღმობიერო უფალო, რისი მოვლინება გსურს სწორედ ჩემდამი? შენ ხომ უწყი, რომ მე უგუნური და უბადრუკთა შორის უბადრუკი ვარ სხეულითა და სულით. ეს საგნები შენ ბრძენ კაცთ უნდა მისცე, რის გამოც შენ შემდეგ განგადიდებენ. და რქუა ჩვენმა უფალმა: შენ ჩემი გამგონი უნდა იყო და უნდა შემომიდგე მე. შენ დიდხანს უნდა იგვემო, მაგრამ მე მსურს შენი მოცლა და მსურს მოგცე ის, რაც გჭირდება სხეულისა და სულისათვის! და მივედი მე უბადრუკი მორჩილად და შერცხვენილი ჩემს მოძღვართან სააღსარებოდ და გაუწყე მას ამ სიტყვების შესახებ და ვთხოვე ჩემი დამოძღვრა. მან სთქვა, რომ მე მხიარული გულით უნდა აღვასრულო ეს, რომ ღმერთმა ასე მომთხოვა მე და იგი მე დამიცავს. და მან მე მიბრძანა – მე მრცხვენია ამის და ვტირივარ ამის გამო –, მე, ულირს დედაკაცს მიბრძანა მან – გულმა ჩემმა უწყის, თუ რა უბადრუკი ვარ მე –

ღვთის გულიდან და ბაგეთაგან ეს წიგნი რომ დამეწერა. მაშასადამე, სიყვარულის ეს წიგნი ღვთისაგანაა მოსული და იგი არ წარმოადგენს ადამიანური გულის ზმანებას.

ნარნარი შუქი ღვთაებისა IV 2

## ჰაინრიხ სუზო

დასაწყისში მოხდა ისე, რომ წმიდა აგნესას დღეს შევედი ქორროში,[X] სწორედ მაშინ, როდესაც კონვენტმა[XX] სადილი დაასრულა. იქ მე ვიყავი მარტოდმარტო და ვიდექი მარჯვენა ქორროს სკამთა ქვემო რიგში. ამ დროს განსაკუთრებული გაჭირვება მადგა დიდი ტანჯვისა. და როდესაც ამგვარად უნუგეშოდ ვიდექი მე იქ და არავინ არ იყო ჩემთან და ჩემს გარშემო, აღფრთოვანდა სული ჩემი, სხეულში ან სხეულის მიღმა (შდრ. 2, კორ. I2,2). აქ ვიხილე და მესმა მე ისეთი რამ, რაც ყოველი ენისათვის გამოუთქმელია. იგი იყო უფორმო და მოწყვეტილი ყოველგვარი ცვისეულისაგან

---

X. ქორრო (Chor) – ბერძნ., – დას.სამონასტრო ეკლესიის ის მხარე, სადაც განლაგებულია საკურთხეველი („ზემო ქორრო“) და ორი–სამი საფეხურით მის დაბლა მდებარე ძირითადად სასულიერო პირთათვის განკუთვნილი ადგილი („ქვემო ქორრო“), სადაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრივ სკამების რიგია ჩამწკრივებული. მთარგმნ. შენიშვნა.

XX. კონვენტი ( Konvent ) – ლათ., – მონასტრის წევრთა (ბერთა) შეკრებულობა. მთარგმნ. შენიშვნა.

და მაინც გააჩნდა თავის თავში ყველა ფორმათა და ცდისეულ საშუალებათა სიხარულით აღსავსე ხალისი. გული იყო გაუმაძღარი და მაინც დანაყრებული, სული მხიარული და კარგად განწყობილი, ნდომა ჩემი დამცხრალი და სურვილი გამქრალი. მე სხვა აღარაფერს ვაქცევდი, გარდა იმისა, რომ გახევებული ჩავცქეროდი ბრწყინვალებით აღსავსე ანარეკლს, რომელშიაც მოვიპოვე საკუთარი თავისა და ყველა საგანთა დავიწყება. დღე იყო თუ ღამე, აღარ ვუწყოდი მე ეს. ეს იყო მარადიული სიცოცხლის ამოხეთქილი სიტკბოება, აწმყო, გაჩერებულ, წყნარ შეგრძნებაში. და აქ ვთქვი მე: თუ ეს არ არის სასუფეველი ცისა, მაშინ აღარ ვუწყი, თუ რა არის იგი; რადგან მთელ ამ ტანჯვას, რომლის გამოთქმაც კი სიტყვებით შეიძლება, სამართლიანობის მიხედვით არ შეუძლია, რომ სიხარული მოუპოვოს მას ახლა, რომელსაც იგი სამარადისოდ უნდა ფლობდეს. ამ ჟამში აღმაფრენამ გასტანა საათი ან ნახევარი. და როდესაც მე ჩემს თავს კვლავ დავუბრუნდი, მე ყოველი მხრივ ვგავდი იმ ადამიანს, რომელიც სხვა სამყაროდან იყო მოსული. ზეციურის გემო დიდხანს დამრჩა ამის შემდეგ და დამიტოვა ზეციური მონატრების სევდა ღვთისადმი.

სიცოცხლე, თავი მე-2.

## II. განწმენდილი ცხოვრება

მრავალი ადამიანის წარმოდგენაში მისტიკოსი არსებობს როგორც ცალმხრივად ღვთისაკენ მიმართული ადამიანი, რომელსაც, ღვთისაკენ ამ მიმართებაში, ყურადღების გარეშე რჩება სამყარო და ამ სამყაროს საგნები. ვის უნდა გაუკვირდეს ეს, თუკი ღმერთი ერთხელ უკვე აღიარეს,

თუკი ღმერთი უსასრულოა მშვენიერებასა და სიმდიდრეში, რომ ადამიანშა, რომელმაც ოდესმე გახედა ამ უსასრულო ღმერთს, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წუთიც კი განიცადა მისი სიუხვე – რომ ეს ადამიანი მთელი თავისი ძალებით ღვთისაკენ წარიმართოს, სულის ამ უსასრულო სამყაროსაკენ, სამყაროთა ამ ოკეანისკენ, ამ ჰარმონიისა და სინამდვილეთა ამ განუმეორებელი სიმფონიისაკენ. მაგრამ არავითარი საშიშროება არ არსებობს იმისა, რომ იგი ამის გამო ამ ქვეყანას უყურადღებოდ დატოვებს. ისევე ნაკლებად, როგორც ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, სამყაროს მოძულე შეიძლება იყოს, ასევე არ შეიძლება, რომ მისტიკოსი იყოს მისი მოძულე, არამედ იგი, სწორედ როგორც ღვთისაკენ მიმართული ადამიანი, მოიპოვებს ღვთიური შეფასებისა და ღირებულების განმსაზღვრელ უნარს. და იგი უახლოვდება მოწონებით, როგორც თავისი ღმერთი, ყველა სინამდვილესა და მშვენიერებას, რომელიც კი ღმერთმა სამყაროში დააარსა. არც ერთს არ გააჩნია ისე დიდი სიხარული სამყაროსადმი, როგორც სწორედ ღვთისაგან მოსულ, ღვთის მზერას ზიარებულ ადამიანს.

მაგრამ ასევე ცხადია, რომ მისტიკოსი ამ ქვეყანაში შედის სკეპსისით აღსავსე. რადგან პირველცოდვის მერე ცდუნებისადმი მიდრეკილება ღრმადა ძევს ამქვეყნიურ საგნებში და სამწუხაროდ, მისი საშიშროება აგრეთვე ღრმადაა დამარხული ადამიანის გულში. ამიტომ გონიერებაა ადამიანის მხრივ, თუ იგი სიფრთხილით შედის ამ ქვეყანაში და, თუ იგი იქ უნდა გაჩერდეს, პირველივე შემთხვევაში კვლავ თავის ღმერთს მიმართავს, რადგან ღვთის დაკარგვა აღმნიშვნელია ადამიანის ულრმესი არსის დაკარგვისა.

ეს ნამდვილად ქრისტიანული, დამშვიდებით ვთქვათ, ეს წმინდა ადამიანი, დასადგურებულია არა მხოლოდ წმინდა სფეროში, არამედ აგრეთვე მის გარეთ, სადაც ამქვეყნიური ცხოვრება თავისი გზით მიდის. ჭეშმარი-

ტი წმინდანი მონაწილეა ყოველდღიურობისა და არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას სადღესასწაულო და კვირა დღისა. წმინდანი ყოველდღიურ ცხოვრებაში დგას, მან უნდა გაამართლოს თავისი მოწოდება. იგი ისევე ბუნებრივად ატარებს მუშის ტანსაცმელსა და ჯარისკაცის ფორმას, როგორც ბერი – თავის ანაფორას. წმიდანი ისევე მოწოდებულია ფაბრიკის ვეებერთელა ცეხებში სამუშაოდ, როგორც სწავლულის განმარტოებულ კაბინეტში, სადაც ყოველი ხატი ღვთის შესახებ მეტყველებს.

ეს იდეალი წმინდანისა დიდი სურვილი იყო მისტიკოსთა. ისინი იყვნენ არა მხოლოდ „კითხვის ოსტატნი", არამედ, პირველ ყოვლისა, აგრეთვე „ცხოვრების ოსტატნი". ამიტომ შეუძლიათ მათ აგრეთვე ჩვენთვისაც წარმოადგენდნენ ნიმუშსა და გახდნენ ჩვენთვის წინამძღოლნი.

## I. ადამიანი ღვთის ნების შესაბამისად

### ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

სული წმიდა თავის მადლს სთავაზობს ადამიანის გულს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს სურს მისი მიღება, იგი უხსნის ღმერთს თავის გულსა და თავის ნებას და ღებულობს ღვთის წყალობასა და ქმედობას მხიარული გუნებაგანწყობით. მაგრამ მაშინ მყის გადალახავს ღვთის სიყვარული მასში მოუწესრიგებელ სიყვარულს ყველა ქმნილებათადმი, ოღონდ ასევე უცებ ვერ გადალახავს იგი ყველა მოუწესრიგებელ მიდრეკილებებს და ბუნებრივ ნდომათ. რადგან წმინდა ცხოვრება რაინდული სამსახურია, რომელსაც ბრძოლით უნდა ვაღწევდეთ. თუ ჩვენ, მაშასადამე, კეთილი ცხოვრე-

ბის არა მხოლოდ დაწყება, არამედ მისი განგრძობა გსურთ, მაშინ თქვენ ყოველგვარი მოჩვენებითობის გარეშე ღმერთს უნდა აღიარებდეთ ყველაზე ძალლა და ყველაზე უფრო იგი უნდა გიყვარდეთ. თქვენი მიდრეკილება ყოველთვის მასთან მიგიყვანთ, რაც თქვენ გიყვართ; სიყვარულში თქვენ გაკეთდებით, თავს მოიცავთ და იქონიებთ იმას, რაც თქვენ გიყვართ, მასზე ააგებთ თქვენ მთელ თქვენს ცხოვრებას; თქვენს სიყვარულზე მუდამ ხალისით იზრუნებთ. ამნაირად, ყოველი ჩაღრმავებისას, თქვენ იგრძნობთ ღვთის სიკეთესა და ჭაშნიკს აუღებთ მას. ამიტომ, თქვენ უფალი ღმერთი სიწმინდეში გეყვარებათ მისი მარადიული დიდებისათვის, რათა შესძლოთ მისი სიყვარული სამარადჟამოდ.

ესაა ფესვები წმიდა სიცოცხლისა და ჭეშმარიტი, არასოდეს წარმავალი სიყვარულისა, რომელშიაც თქვენ გამუდმებით, თქვენი თავგანწირვითა და თვითუარყოფით, უნდა იწაფებოდეთ... თქვენ უნდა გაიაზროთ: ყველაფერს, რისი ნატვრაც შეგიძლიათ და იმაზე გაცილებით მეტს, თქვენ მოგცემთ სიყვარული თქვენი დახმარების გარეშე. რადგან, თუკი თქვენ ჭეშმარიტი ღვთაებრივი სიყვარული გაგაჩნიათ, მაშინ თქვენ გაგაჩნიათ ის, რისი ნატვრაც შეგიძლიათ. ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ გამუდმებითა და განუწყვეტლივ ღმერთი გიყვარდეთ. ამგვარად, თქვენ ყოველგვარ ეგოიზმს ჩამოიცილებთ და სიყვარული გახდება თქვენი ცხოვრება. სიყვარული, რომელიც თქვენს ცნებას აღემატება, არის სული ჩვენი უფლისა. ამ სიყვარულისაკენ ამაღლდებით თქვენ, მასში განისვენებთ და იცხოვრებთ თქვენი გონებრივი მიხვედრილობის მიღმა ღმერთთან ერთიანობაში. სიყვარული, რომელიც თქვენში სუფევს, ღვთის მადლია და თქვენი კეთილი ნება. მასში გაქვთ თქვენ მთელი თქვენი სიქველეთა სიმდიდრე და სისავსე; მასში ცოცხლობს და ცხოვრობს ღმერთი თქვენს სიღრმეში თავისი მადლითა და საბოძვრებით, და მათ ზრდა და ნატება თქვენ

შეგიძლიათ მის კმაყოფილებასთან ერთად.

იოანე რუისბრუკი: სარკე მარადიული ბედნიერებისა I/2

მ ს ა ხ უ რ ი : უფალო, მრავალი ჩვევა არსებობს, სხვადასხვა ცხოვრების წესი, ერთი ასეთი, სხვანი ისეთნი; ბრძენნი მრავალნი არიან და სხვადასხვაგვარნი. უფალო, თხზულებანი უსასრულოა, მოძღვრებანი დაუთვლელი. მარადიულო სიბრძნევ, დამმოძღვრე მცირეოდენი სიტყვებით, თუ ყველა ამ საგანთა უფსკრულიდან რას უნდა მოვეჭიდო ყველაზე მეტად ჭეშმარიტი ცხოვრების გზაზე.

მ ა რ ა დ ი უ ლ ი ს ი ბ რ ძ ნ ი ს პ ა ს უ ხ ი: უჭეშმარიტესი, სასარგებლო და მარჯვე მოძღვრება, რომელიც კი შეიძლება ყველა თხზულებიდან გერგოს წილად, რომლითაც შენ მცირეოდენი სიტყვებით მთელ ჭეშმარიტებაში უხვად განისწავლები უმაღლეს სრულყოფილებამდე განწმენდილი ცხოვრებისა, არის შ ე მ დ ე გ ი : I. განმარტოებით იყავი ყველა ადამიანისაგან; 2. თავისუფალი იყავი ყველა შემოსული სურათიდან[I]; 3. განთავისუფლდი ყველაფრისაგან, რაც კი ზედმეტი ტვირთია, რაც გეკვრის და რასაც მწუხარების მოტანა შეუძლია; 4. და ყოველთვის აღამაღლე სული შენი ფარულ ღვთაებრივ ჭვრეტაში, რომელშიაც მე შენი თვალთახედვა მარად მატარებს და ჩემგან არასოდეს არ მიიქცევა.

---

I. ე.ი. ყველა სურათიდან, რომელნიც გარედან გრძნობათა აღქმის შედეგად „შემოსულნი" არიან. გუნდოლფ გიერათის შენიშვნა.

და ყველა სხვა დანარჩენი ჩვევანი, იქნება ეს სიღატაკე, მარხვა, სიფხიზლე და სხვა დანარჩენი თვითგვემანი, მონართე აქეთკენ, როგორც მათი მიზნისაკენ და იმდენად განამრავლე ისინი, რამდენადაც საამისოდ მათ შენთვის ხელის შეწყობა შეუძლიათ. უწყოდე, ამგვარად მოიპოვებ შენ უმაღლეს საბოლოო მიზანს სრულყოფილებისას, რომელსაც ათას კაცში ერთიც ვერ წვდება, რადგან ისინი თავიანთ საბოლოო მიზნით მხოლოდ სხვა ჩვევებს იცავენ და ამიტომ მრავალი წლის განმავლობაში მცდარად დადიან.

მ ს ა ხ უ რ ი : უფალო, ვის ძალუძს ყოველთვის შენი ღვთაებრივი ობიექტის მზერა განუწყვეტლივ?

მ ა რ ა დ ი უ ლ ი  ს ი ბ რ ძ ნ ი ს  პ ა ს უ ხ ი : არავის, ვინც კი დღეს ცხოვრობს ამ დროში. ეს მხოლოდ იმიტომ ითქვა შენდამი, რათა შენ უწყოდე, თუ სად უნდა მიაღწიო და რისადმი უნდა ისწრაფოდე და საით უნდა წარმართო შენი გული და სული. და თუ ჩამოგშორდება ამ მზერის უნარი, შენთვის ეს ისევე უნდა იყოს, თითქოს ჩამოგშორდა მარადიული ნეტარება და შენ უსწრაფესად კვლავ უნდა დაუბრუნდე მას, რათა კვლავ გახდეს იგი შენი საკუთრება და ამიერიდან შენი თავის მიმართ სიფხიზლე გმართებს. რადგან თუ მას დაკარგავ შენ, მაშინ შენ იქნები იმ მეზღვაურივით, რომელმაც დიდ ღელვაში საჭეს უშვა ხელი და აღარ უწყის, თუ საით მიაქანებს ხომალდი მას. მაგრამ თუ შენი მზერის მონაპოვარზე ჯერ არ ძალგიძს რომ გაჩერდე, მაშინ შენმა გამუდმებითმა საკუთარ თავში ჩაღრმავებებმა და გულმოდგინე ცდებმა საამისოდ მდგრადობას უნდა მიგაღწევინონ, რამდენადაც კი ეს შეიძლება. ისმინე, ისმინე, შვილო ჩემო, სანდო მოძღვრება შენი ერთგული მამის, ზუსტად აღიქვი და დაიმარხე იგი შენი გულის უსკერზე! გაიხსენე, თუ ვინ არის იგი, ვინც შენ ამას გასწავლის და რარიგ მთელი გულით მოგმართავს შენ, თუ მეტი აღარ გსურს ბედკრულად გახდომა, მაშინ ყოველთვის ივაღწინ ბედვას ეს

მოძღვრება. და სადაც არ უნდა იჯდე, იდგე თუ მიდიოდე, შენთვის უნდა იყოს ისე, რომ თითქოს ამჟამად გაურიხილებდე და ნოგმართავდე: შვილო ჩემო, იყავი შენს სულში ჩაღრმავებული, განწმენდილი, თავისუფალი და ამაღლებული! უწყოდე, მალე გაიგებ შენ ჩემს სიტყვებს, აგრეთვე ცნობილი გახდება შენთვის საუნჯე, რომელიც დაფარულია ჯერ კიდევ შენთვის,

მ ს ა ხ უ რ ი ს ო, მარადიულო სიბრძნევ, სამარადისოდ იდიდე შენ! ჩემო უფალო და ჩემო უერთგულესო მეგობარო, უამისოდ ამის გაკეთება რომც არა მსურდეს, შენ მაიძულებ, რომ ეს გავაკეთო შენი ტკბილი სიტყვებითა და შენი ნაზი სამიჯნურო სიყვარულით. უფალო, მე მსურს და უნდა მოვახმარო ამას მთელი ჩემი გულმოდგინება.

ჰაინრიხ სუზო

წიგნი მარადიული სიბრძნისა, თავი 22.

## ს ი მ შ ვ ი დ ე   თ ვ ი თ უ ა რ ყ ო ფ ი ს ა .

კარგად დაიმახსოვრე: ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ადამიანს ამ ცხოვრებაში საკუთარ თავზე უარი ეთქვას იმდენად, რომ მას რაიმე დასათმობი ჯერ კიდევ არ დარჩენოდეს. მცირენი არიან ადამიანები, რომელნიც ამას მართლა ყურადღებას აქცევენ და მასში ურყეობას იჩენენ. ესაა სამართლიანი გაცვლა-გამოცვლა და ვაჭრობა: რა შორსაც შენ გამოდიხარ საგნებიდან ყოველივე შენით, ასევე შორს, არც მეტი და არც ნაკლები, ღმერთი შემოდის შენში ყოველივე თავისით. ამით დაიწყე და იგემე ყოველივე ის, რის ნიღწევასაც კი შესძლებ. ამგვარად ჰპოვებ

შენ ჭეშმარიტ მშვიდობას და არა სხვარიგად.

ადამიანები ასე ბევრს არ უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, არამედ მათ უნდა გაიაზრონ ის, თუ თავად რას წარმოადგენენ. თავად ისინი თავიანთი გზებით კეთილნი რომ ყოფილიყვნენ, მათი საქმენიც დიდებულად გაბრწყინდებოდა. არ იფიქრო, რომ სიწმინდის დაფუძნება რაიმეს კეთებაზე შეიძლებოდეს; პირიქით, სიწმინდე უნდა დაეფუძნოს ყოფიერებას. რადგან არა საქმენი განგვაწმინდანებენ ჩვენ, არამედ ჩვენ უნდა განვაწმინდანოთ საქმენი. როგორი წმინდაც არ უნდა იყვნენ საქმენი, ისინი სრულიად არ განგვაწმინდანებენ ჩვენ, რადგან ისინი არიან რაღაც ჩვენს მიერ ჩადენილნი; პირიქით, რამდენადაც ჩვენ მართალი ყოფიერება და არსი გაგვაჩნია, იმდენად განვაწმინდანებთ აგრეთვე ყველა ჩვენს მოქმედებას, იქნება ეს სადილობა, ძილი, სიფხიზლე თუ სხვა დანარჩენი. რომელთაც არ გააჩნიათ ამდაგვარი არსი, მათ რაც არ უნდა ქმნან, არაფერი არ გამოუვათ.

აქედან შეიმეცნე, რომ მთელი გულმოდგინება იმას უნდა მოახმარო, რათა კეთილი იყო, და არა იმას, თუ რას აკეთებ ან რა სახის არიან საქმენი, მაშასადამე, მთავარი საქმენი კი არაა, არამედ თუ როგორი საფუძველი გააჩნიათ ამ საქმეთ.

მაისტერ ეკჰარტი: სიტყვანი დარიგებისა, 4.

ღმერთი რომ ქმედობდეს ადამიანის ნება-სურვილში ისე, რომ ადამიანმა მთელი თავისი ნაკლი ჩამოიცილოს და უმაღლეს სათნოებასა და სრულყოფილებას მიაღწიოს – ამის არ სურვება და არ მიღება უგნურება იქნებოდა. მაგრამ მე უკეთესი რამ მოვიფიქრე. მე რომ შემძლებოდა ღმერთთან

ჩემი ნდომისა და სურვილის თანხმოვნებაში მოყვანა, ასე ვიტყოდი: არა, უფალო, არა ჩემი წყალობანი ან მადლი ან ნება ჩემი, არამედ ვითარცა შენ გსურს, უფალო, ასე მსურს მეც აღება ან ასე მნებავს მე ეს. მაგრამ თუ შენ ეს არ გსურს, მეც უარს ვიტყვი მასზე და გავიწირავებ შენი ნების შესაბამისად. – როდესაც ასე ვიქცევით და სწორ სიმშვიდეში იკლებენ რასმეს, მაშინ გააჩნიათ და ღებულობენ იმაზე მეტს, ვიდრე საკუთარი ნებით ახერხებენ ამას. ადამიანისათვის წარმოუდგენლად უფრო სასარგებლოა, რომ ნამდვილ სიმშვიდეში თავის ნების უარყოფასთან ერთად მან დათმოს ამავე სიმშვიდით, ხალისითა და თავმდაბლობით ყველაფერი ის, რაც კი მას საკუთარი სურვილის მიხედვით უნდა რომ ჰქონდეს, იქნება ეს ღმერთი თუ ქმნილება. და ამიტომაც ვაფასებ მე ნართალ, მშვიდ ადამიანს მცირე საქმენით და ნაკლები წარმოსადეგობით უფრო მეტად, ვიდრე იმ ადამიანს, რომელიც საქმით, გარეგნობითა და სულაც ამაღლებული იდეებით დიდი იქნებოდა, მაგრამ ნაკლებად მშვიდი.

იოანე ტაულერი: მე-19 ქადაგება

ღვთის გულისათვის საკუთარ თავზე უარის თქმა ნიშნავს: ყველაფერი ღმერთს მივანდოთ. მრავალი ადამიანი მართლაც ღმერთს მიენდობა, მაგრამ მათ არა სურთ, რომ ადამიანებს მიენდონ. ღმერთმა უნდა შეავიწროვოს ისინი და არა ადამიანებმა: ასეთია მათი სურვილი. არა, საკუთარ ნებაზე უარი უნდა ვთქვათ, როგორც ეს ღმერთს სურს. და ვისაც სურს შენი არარაობის ჩვენება შენთვის, იგი მიიღე დიდი მადლიერებითა და დიდი სიყვარულით. რადგან სინამდვილეში მაშინ გეგახსენებენ შენ იმას, რაც შენა ხარ: არარაობა!

იოანე ტაულერი: 77-ე ქადაგება

ესაა უმაღლესი განსწავლა და მისი ხელოვნება: მთლიანი, სრული უარყოფა თავისი თავისა, რომ ადამიანი სრულ განდგომილებაში იდგეს, როგორადაც ღმერთი ეჩვენება მას, განდგომილი საკუთარ თავში ან თავის ქმნილებებში, სიყვარულსა ან მწუხარებაში, რამდენადაც ძალუძს ამის მიღწევა ადამიანურ სისუსტეს, რათა მარტოოდენ ღვთის დიდებასა და პატივს უმზიროს.

ჰაინრიხ სუზო: სიცოცხლე, თავი მე-19

გიხაროდეთ, უნდა უხაროდეს ყველა ტანჯულსა და მშვიდ ადამიანს; რადგან მათი მოთმინება დიდებულად უნდა დასაჩუქრდეს. ისინი ჩემთან ერთად გარდაიცვალნენ და ამიტომ ჩემთან ერთადვე უნდა აღსდგნენ მხიარულებით. სამი განსაკუთრებული საბოძვარი მსურს მივცე მათ, რომელნიც ისეთი ღირსებისანი არიან, რომ მათი შეფასება არავის ძალუძს. პირველ ყოვლისა ნატვრათა შესრულების ძალა მსურს მივანიჭო მათ, როგორც ზეცაში, ისე ამქვეყნად, რომ რასაც კი ოდესმე ისურვებენ ისინი – ყველაფერი ახდეს. მეორე საბოძვარი იქნება ის, რომ მსურს მივანიჭო მათ ჩემი ღვთაებრივი მშვიდობა, რომლის წართმევასაც მათგან ვერ შეიძლებს ვერც ანგელოზი, ვერც ეშმაკი, ვერც ადამიანი და ვერც სხვა რამ ქმნილება. მესამე ის იქნება, რომ მათ ისეთნაირად მივეალერსები გულით და ისე მოვეხვევი ტრფიალებით, რომ მე მათ, ისინი მე და ჩვენ ორთავე ერთიან ერთად სამუდამოდ და სამარადისოდ უნდა დავრჩეთ.

ჰაინრიხ სუზო: სიცოცხლე, თავი 32.

## შინაგანი მშვიდობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი ადამიანი ხალისით იქნებოდა მშვიდობაში ღვთის მოწმე (შდრ. საქმე წმ. მოც. I,8), რომ ყველაფერი მათი სურვილისამებრ მიმდინარეობდეს და ხალისით გახდებოდა წმინდანი, რომ არ ეძნელებოდეს გარჯა და მუშაობა. ხალისით შეიგრძნობდნენ, იწამებდნენ და აღიარებდნენ ისინი, ოღონდ სიმწარის, გაჭირვებისა და დაძაბულების გარეშე. მაგრამ თუკი მათ ეწვევათ მკაცრი განცდანი და წყვდიადი დაეუფლება, თუკი ისინი ღმერთს ვერ იგრძნობენ და ვერც შეიგრძნობენ და როგორც შიგნიდან, ასევე გარედან მიტოვებულნი აღმოჩნდებიან, მაშინ დაიხევენ ისინი კვლავ უკან და თავს გაამჟღავნებენ ღვთის არა ჭეშმარიტ მოწმეებად. ყოველი ადამიანი ეძიებს მშვიდობას, ეძიებს ყველგან საქმესა და საშუალებაში. ეჰ, რომ შეგვეძლოს მათ მოვწყდეთ და მშვიდობა განხეთქილებაში ვეძიოთ – მხოლოდ მაშინ იშვება ჭეშმარიტი, წარუვალი და ხანგრძლივი მშვიდობა; თუ სხვა რაიმეს ეძიებ შენ, შეცდომას უშვებ, თუნდაც იგი მშვიდობად გეჩვენებოდეს. სიხარულის ძიება მწუხარებაში, სიმშვიდისა – ცვალებადობაში და ნუგეშისა-სიმწარეში, აი, ასე გავხდებით ღვთის ჭეშმარიტი მოწმენი. თავის მოწაფეთ იგი მუდმივ აღუთქვამდა მშვიდობას – სიკვდილის წინ და აგრეთვე თავისი აღდგომის შემდეგ. და მაინც არასოდეს არ მიუღიათ მათ გარეგანი მშვიდობა, არამედ მშვიდობას იპოვებდნენ განხეთქილებაში, სიხარულს – ტანჯვაში. სიკვდილში მოიპოვებნენ ისინი სიცოცხლესა და მხიარულებით აღსავსე გამარჯვებას, როდესაც მათ ძალით მიჰყვებოდნენ მსაჯულს, მსჯავრს დასდებდნენ და შეაჩვენებდნენ. ესენი იყვნენ ჭეშმარიტი მოწმენი ღვთისა.

მრავალი ადამიანი არსებობს, რომლებიც ინდაგვარად არიან სიტკბოებით გამსჭვალულნი სხეულსა და სულში – მე ვიცნობდი ამნაირებს – ,

რომ იგი მთელ მათ არსებას მოიცავს. მაგრამ როდესაც მწუხარება და წყვდიადი მათ თავს დაატყდათ და გარედან და შიგნიდან მიტოვებულნი აღმოჩნდნენ, ისინი სრულიად აირივნენ, სულ უკან ჩამორჩნენ და არღარა გამოვიდა მათგან არაფერი. როდესაც იწყება საშინელი ქარიშხალი, რომელიც შინაგან სიმშვიდეს ანგრევს, როდესაც გვეძალებიან ამქვეყნიური ცდუნებანი გარედან, ხორციდან და ბოროტი მტრიდან – ვინც კი მათ თავს დააღწევდა, იგი ჰპოვებდა ნამდვილ მშვიდობას, რომლის წაღებასაც მისგან ვერავინ შეიძლებდა. ვინც ამ გზას არ გაივლის, უკან დარჩება და ვერასდროს ვერ ჰპოვებს ნამდვილ მშვიდობას. მაგრამ რომელთაც იგი გაიარეს – ქრისტეს ჭეშმარიტი მოწმენი არიან.

## იოანე ტაულერი: 2I-ე ქადაგება

მრავალი ამბობს, რომ მათ არ გააჩნიათ მშვიდობა და სიწყნარე, რომ ისინი იმყოფებიან ისეთ უკეთმართობებში და ჭირილში, ისეთ უბედურებაში და ტანჯვაში, რომ მათ არ უწყიან, თუ როგორ უნდა დააღწიონ თავი მათ. ვისაც ამის ნამდვილი განჭვრეტა და გააზრება სურს, ის კარგად შეიმეცნებს, რომ ჭეშმარიტი მშვიდობა და ჭეშმარიტი სიწყნარე არ ძევს გარეგან საგნებში. ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ აგრეთვე ბოროტ სულსაც ექნებოდა მშვიდობა, როდესაც იგი თავის ნება-სურვილს იკმაყოფილებს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში ასე არაა. ამიტომ ჩვენ უნდა გავიაზროთ და აღვიქვათ მშვიდობა, რომელიც ქრისტემ თავის მოწაფეთ დაუტოვა, როდესაც მან სთქვა: „მშვიდობასა დაგიტევებ თქუენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ“ (იოანე, I4,27). ამ სიტყვებიდან კარგად შეიძლება იმის გაგება, რომ ქრისტე არ გულისხმობდა სხეულებრივსა და

გარეგნულ მშვიდობას, რადგან ქრისტეს საყვარელი მოწაფენი და ყველა მისი მომხრე და მიმდევარი დასაწყისიდანვე დიდ მწუხარებას, დევნასა და წამებას განიცდიდნენ, როგორც ეს თვითონ ქრისტემ სთქვა: „სოფელსა ამას ჭირი გაქუს" (იოანე, I6,33). ქრისტე გულისხმობს გულის ჭეშმარიტ შინაგან მშვიდობას, რომელიც აქ იწყება და იქ მარადიულად გრძელდება. ამიტომ სთქვა მან: „არა ვითარ სოფელმა მისცის" (იოანე I4,27), რადგან ეს ქვეყანა არის ყალბი და შეცდომაში შეჰყავს კაცი თავისი საბოძვრებით. მრავალს აღგვითქვამს იგი, მაგრამ მცირეს ასრულებს. არც არავინაა ამქვეყნად, რომელსაც მუდამ სიწყნარე და მშვიდობა ექნებოდა მწუხარებისა და უკუღმართობის გარეშე და რომელსაც ყველაფერი უსრულდებოდეს თავისი ნების შესაბამისად. ამქვეყნად, როგორც არ უნდა აბრუნო ეს, მუდამ იქნება ტანჯვა. და თუ ერთ ტანჯვას თავს დააღწევენ, შესაძლებელია ორი მოვიდეს მათ სანაცვლოდ. ამიტომ ხალისით დამორჩილდი ამ ტანჯვას და ეძიე მხოლოდ გულის ჭეშმარიტი მშვიდობა, რომელსაც შენ ვერვინ წარგტაცებს და რომლითაც ყველა სიძნელეს გადალახავ; ეძიე მშვიდობა, რომელიც გაარღვევს და განსჭვალავს ყოველ მოძალებასა და უკუღმართობას, უბედურებასა და ტანჯვას, სიდუხჭირესა და უნამუსობას ანუ რაც მათდაგვარია, რათა მასში მხიარულებითა და მოთმინებით იყო, როგორც არიან ღვთის რჩეული მეგობრები და ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარნი. იხილე და აღიქვი: ვინც სიყვარულით მთელ თავის მონდომებასა და გულმოდგინებას აქეთ წარმართავს, იგი მალე შეიმეცნებს ჭეშმარიტ, მარადიულ მშვიდობას, რომელიც თავად ღმერთია, რამდენადაც კი ეს ქმნილებისათვის შესაძლებელია. რაც მისთვის უწინ მწარე იყო, მას დაუტკბება, გული მისი მუდამ აუშფოთველი იქნება საგანთა მიმართ და ამ ცხოვრების შემდეგ იგი ჰპოვებს მარადიულ მშვიდობას.

გერმანული თეოლოგია, თავი მე-I2

ჩვენ შეგვეძლო სიწყნარე და მშვიდობა გვქონოდა, თავს რომ არ ვიმტვრევდეთ იმაზე, თუ რას ლაპარაკობენ და აკეთებენ სხვები და რაც ჩვენს გულს სრულიად არ ეკარება. არავის ძალუძს დიდხანს მშვიდობაში ცხოვრება, ვინც ასე ხალისით სხვის საქმეებში ერევა, ვინც ასე მრავალ ამაღელვებელ გარეგან შემთხვევას დაეძებს და თავის სიღრმეში მხოლოდ იშვიათად და წამიერად აკეთებს კონცენტრირებას. ნეტარ არიან ისინი, რომელნიც გულით ნამდვილად უბრალონი არიან, რამეთუ მრავალ მშვიდობას დაიმკვიდრებენ. რამდენიმე წმინდანმა რატომ მიაღწია ასე წმინდა სრულყოფილებასა და ჭეშმარიტების ესოდენ ღრმა ჭვრეტას? რადგან ისინი ყოველგვარ ამქვეყნიურ ნდომათა ჩამოშორებისათვის იღვწოდნენ. ამიტომ შეეძლოთ მათ მთელი თავიანთი გულის სიღრმით მარტოდენ ღმერთს მიჰკედლებოდნენ და თავისუფლებითა და შინაგანი თანხმობით თავისივე თავში დარჩენილიყვნენ. ჩვენა გვყავს ორი მტერი, რომელნიც გაერთიანებულად მოქმედებენ და იმაში არიან შეთანხმებულნი, რომ ჩვენ მშვიდობა დაგვაკარგვინონ: ვნებანი, რომელნიც ჩვენს საწყალ გულს აშფოთებენ და წარმავალი საგნები ჩვენს ირგვლივ, რომელნიც იმავე გულს მუდმივ მღელვარებაში ამყოფებენ და ერთი განცდიდან მეორისაკენ ერეკებიან. იშვიათად ვაღწევთ ჩვენ სრულყოფილ გამარჯვებას ერთადერთ ნაკლზედაც კი და ჩვენ სავსებით გვაკლია წმინდა გულმოდგინება, რათა ყოველდღიურად უკეთესნი გავხდეთ. ამიტომ ვრჩებით ჩვენ მუდმივ ასე ნელთბილნი ან სულაც გულგრილნი.

ჩვენი ნდომანი რომ ჩავკლათ და ჩვენი სულის სიღრმენი და მიდრეკილებანი სავსებით რომ ჩამოვაცილოთ ამქვეყნიურს, მაშინ ჩვენც შეგვეძლებოდა ღვთაებრივ საგანთა აღქმა და უკვე ამქვეყნად ზეციური ჭვრეტის ჭაშნიკის აღება. უდიდესი, ან უფრო უკეთ, ერთადერთი დაბრკოლება ამ გზაზე თვით ჩვენა ვართ. ჩვენ თავისუფალნი არა ვართ ვნებათა და

სურვილისაგან და არ გაგვაჩნია საკმაო გამბედაობა, რომ წმინდანთა უმშვენიერეს ბილიკს გავყვეთ. საკმარისია მხოლოდ მცირეოდენმა ტანჯვამ მოგვიკაკუნოს კარებზე, რომ ჩვენ უკვე ვკარგავთ მთელ ჩვენს გაბედულებას და კვლავ ვეძიებთ ადამიანურ ნუგეშისცემას. ჩვენ რომ გაგვაჩნდეს შეუპოვარი სიმამაცე, როგორიცა აქვს გულად მეომარს ბრძოლის ველზე, მყის ვიხილავდით უფლის დახმარებას ზეციდან გარდმოსულს. რადგან ისევე დანამდვილებით, როგორც იგი დაეხმარება მათ, რომელნიც იბრძვიან და მის წყალობაზე არიან დანდობილნი, ასევე დანამდვილებით იგი მოგვანიჭებს ბრძოლის შემთხვევას, რათა ვისწავლოთ ჩვენ გამარჯვება. სიკეთეში წინსვლას თუ მხოლოდ გარეგნული წესების აღსრულებაზე დავამყარებთ, მაშინ ჩვენი ღვთისმოსაობა მალე ჰპოვებს თავის აღსასრულს. თვით ფესვებთან უნდა დავჰკრათ ცული, რათა უცებ განვთავისუფლდეთ მოუწესრიგებელ მიდრეკილებათაგან და შევძლოთ მოპოვება წყნარი გონებისა, აუმღვრეველი სულიერი მშვიდობისა.

ყოველ წელს მხოლოდ ე რ თ ი ნაკლიც რომ ამოგვეძირკვა, ჩვენ სწრაფად გავხდებოდით სავსებით სრულყოფილნი. მაგრამ ამჟამად, არაიშვიათად, საპირისპიროს აქვს სწორედ ადგილი. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიაროთ, რომ პირველ დღეებში ჩვენი მოქცევიდან[X] უკეთესი და უფრო წმინდა ვიყავით, ვიდრე ახლა ვართ მრავალი წლის შემდეგ. გულმოდგინება სიკეთეში და თავად სიკეთეს ყოველდღიურად უნდა ემატა ჩვენში, მაშინ, როდესაც უკვე ამჟამად, უდიდეს იშვიათობად ითვლება, თუკი ვინმემ ერთი ნაპერწკალიც კი შეინარჩუნა თავდაპირველი გულმოდგინებისა. დასაწყისში, ჩვენი მიდრეკილებათა დასაძლევად, მხოლოდ ცოტათი რომ დაგვეტანებინა ჩვენს თავზე ძალა, მაშინ მოგვიანებით ყველაფრის გაკეთებას

---

X. ბერული აღთქმის მიღებიდან. მთარგმნ. შენიშვნა.

მსუბუქად და სიხარულით შევძლებდით. ძნელია საკუთარ ჩვეულებათა დათმობა; მაგრამ უფრო ძნელია ნება-სურვილის წინააღმდეგ სვლა. თუკი შენ მცირე და ადვილ დაბრკოლებებს ვერ გადალახავ, როგორ გაუსწორდები დიდსა და უმძიმეს დაბრკოლებათ? წინ აღუდექი შენს მიდრეკილებებს მათი აღმოცენებისთანავე და დროული მეცადინეობით ჩამოიშორე ყველა ბოროტი ჩვევა, რათა მცირე დათმობითაც არ გაიზარდონ ისინი და არ წაგლეკონ. ო, რომ შეგეძლოს იმის გაგება, თუ რა დიდ შინაგან მშვიდობას მოიპოვებდი და რა სიხარულს მიანიჭებდი სხვათაც, თუ მთელი გულით ისურვებდი კეთილად ყოფნას და მართლის ქმნას. მაშინ დანამდვილებით მეტ გულმოდგინებას მოანდომებდი ახალ წინსვლებს სულიერ ცხოვრებაში!

. ქრისტეს მიბაძვა I/II

## ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს  წ ე ს ე ბ ი

იყავი თავშეკავებული, სიტყვებითა და ქცევით ფიცხი ნუ იქნები.

ეცადე, რომ შენს საქმეებში ყველაფერს წინ უსწრებდეს გონება; რადგან სადაც გრძნობანი ჩემულობენ პირველობას, იქ აღმოცენდება ყოველგვარი ბოროტება.

სიამოვნება უნდა ვეძიოთ არა გრძნობათაგან, არამედ - ჭეშმარიტებისაგან.

ღმერთს ჩვენგან სიამოვნების წართმევა კი არა სურს, არამედ მას სურს მისი მოცემა ჩვენთვის უსასრულობაში.

უდიდეს დამდაბლებაში არის უმაღლესი აღდგომა.

ვისაც სურს ღრმა სულიერ ცხოვრებას ეწეოდეს, მან უნდა ჩამოიშოროს ყოველგვარი სხვადასხვაობა; მან უნდა უარყოს ყველაფერი, რაც ერთი არ არის.

თუ გსურს გამოადგე ყველა ქმნილებას, მათ ყველას ზურგი აქციე.

ეცადე, არ მოხდეს არავითარი ამოხეთქვა,X რომელიც უთანასწორო იქნებოდა პირველსახისა.

შეძლება ყველა საგანზე მაღლა დგომისა, ადამიანს ანიჭებს უფრო მეტ შეძლებას, ვიდრე ყველა ამ საგანთა ქონებაა.

ერთ უწესრიგობას მოჰყვება დანარჩენი.

ყურადღება მიაქციე იმას, რომ ბუნებისეულმა არ იმძლავროს და გარეგანი ადამიანი შეესაბამებოდეს შინაგანს.

ვინც მიაღწია თავის შინაგან საუნჯეს, მით უფრო უკეთ ქმნის ყველა საგანს.

ზოგიერთი ადამიანი ასე ხშირად იმიტომ ვარდება ცოდვილ სამწუხარო მდგომარეობაში, რომ იგი თავის თავს ყოველთვის არ აღიქვამს სწორი გზით, რათა შესაბამის ჟამს აკრძალულ საგანთა წინაშე გაურთხილდეს.

ვისი შინაგანი ცხოვრებაც აგრეთვე გარეგნულსაც დაიმორჩილებს და შინაგანი-გარეგანად იქცევა, მისი შინაგანი ცხოვრება უფრო ღრმა გახდება, ვიდრე იმისი, ვისაც ცხოვრება მხოლოდ შინაგანად მიუდის.

მშვიდი ადამიანი თავის თავში არავითარ უბედურებას არ ამწივებს.

ადამიანი რომ ჯერ კიდევ მოსთქვამს და დამწუხრებულია, ყოველივე ეს მოდის ცოდვათაგან; ეს უნდა განვდევნოთ.

---

X. ე.ი. არავითარი გრიგალისებრი გაცეცხლება. გუნდოლფ გიერათის შენიშვნა.

მშვიდი ადამიანი უნდა ჩამოშორდეს ქმნილებისეულს, წარმოიქმნას ქრისტესთან ერთად და გარდაიქმნას ღვთაებაში.

მშვიდი ადამიანი მუდამ იმას არ უნდა აქცევდეს ყურადღებას, თუ რა სჭირდება მას, არამედ მისი ყურადღება იქით უნდა იყოს მიქცეული, თუ რისი მოკლება ძალუძს მას.

თუ სურს მშვიდ ადამიანს, რომ ჭეშმარიტებას დანებდეს, იგი უნდა ეცადოს, რომ თავისი გრძნობანი აღკვეთოს; რადგან ღმერთი არის სული. შემდეგ მან უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ როგორღაც ხომ არ მოუმზადა თავის თავს დაბრკოლება; შემდეგ კიდევ იმას, რომ იგი თავისი თავით როგორღაც წინ ხომ არ უსწრებს საკუთარ მეს. საბოლოოდ, საყოველთაო ღვთაებრივი არსების თანდასწრების ნათელში მან თავის თავში უნდა დაინახოს, რომ იგი ღვთაებრივი არსების მხოლოდ იარაღია.

რამდენადაც ადამიანი თავის თავსა და ყველა შექმნილ საგნებს ზურგს აქცევს, იმდენადვე ჰპოვებს იგი ჰარმონიასა და ნეტარებას.

არაფერთან არ დარჩე, რაც ღმერთი არაა.

ვინც მუდამ თავის თავთან ცხოვრობს, იგი მოიპოვებს უმდიდრეს ქონებას.

გრძნობათა დიდი აღვირახსნილობა შიშის ძრწოლას გვრის ადამიანთა შიდა არსს. ფრთხილად იყავი, რომ შინაგანი ცხოვრებისაგან მოწყვეტი საგნებით არ იყო შენ დაკავებული. თუ საგნები გეძიებენ შენ - დაემალე მათ, მყის ჩაღრმავდი შენსავე თავში.

მშვიდი ადამიანი თავისი თავისაგან თავისუფალია, თითქოს მან საკუთარი თავის შესახებ არაფერი უწყოდეს; რადგან იმით, რომ ღმერთი არის, მისთვის ყველა საგანი დიდებულადაა მოწყობილი.

რამდენადაც ეს ადამიანური სიძაბუნისათვის შესაძლებელია, იყავ უდრეკი და არასოდეს დაკმაყოფილდე, სანამ დროში მარადისობის ამჟამინ-

დღე „ახლას" ბრძოლით არ მოიპოვებ.

ჰაინრიხ სუზო: სიცოცხლე, თავი 49-ე.

## 2. კ ე თ ი ლ ი ს მ ყ ო ფ ე ლ ო ბ ა

### რ წ მ ე ნ ა

რა არის ეს, რწმენა? განა ყველა ქრისტიანი მორწმუნე არაა? უწყოდეთ, როგორც სასაფლაოზე ბევრი მკვდარი განისვენებს, ასევე წმინდა ეკლესიაში არის ადამიანთა რაოდენობა, რომელნიც ცოცხლად ჩანან, სინამდვილეში კი მკვდარნი არიან. რას წარმოადგენს ცოცხალი რწმენა? იგი სხვა არაფერია, თუ არა ცოცხალი მიდრეკილება ღვთისაკენ და ყოველივე იმისაკენ, რაც ღვთაებრივია. ადამიანი შეიძლება ისმენდეს საგნების შესახებ ან ხედავდეს მათ, რომელნიც რწმენას ეხებიან, იქნება ეს ღვთაებაზე, იესოს ადამიანურ ბუნებაზე, სამებაზე თუ სხვებზე, მაგრამ როდესაც იგი ცოცხალ რწმენას გრძნობს თავის თავში, მას იგი უკეთ მოძღვრავს, თუ რა არის ღმერთი, რომელიც მასში უფრო ნათლადაა დასადგურებული, ვიდრე ყველა მოძღვარს მისი ამ მხრივ დამოძღვრა ძალუძს. ეს რწმენა ცოცხლობს და სუფევს უშინაგანეს სამეუფოში, სადაც ეს სიცოცხლე საკუთარი წყაროდან გადმოსჩქეფს. სხვანი – სამწუხაროდ, ისინი ძალზე ბევრი არიან – თუმცა ასევე რწმენით ცხოვრობენ, მაგრამ ძალზე ადვილად წარმოიქმნება ღრუბლები. თითქოს მზის ბრწყინვალება ცოცხალი საგანი იყოს, რომელიც მოძრაობდა; როდესაც მას ღრუბელი დაფარავდა, სიცოცხლე ქრებოდა. ასე ადვილად ამოდის ცოდვის ღრუბლები და ასეთ ადამიანში

სავსებით ფარავენ სიცოცხლეს და წარიღებენ მას მისგან, რადგან სუსტია ეს სიცოცხლე. ცოცხალი რწმენის ადამიანზე ცოდვის ღრუბელი თუკი ამოდის, რადგან მაინც უძლურია ყველა ადამიანი, მას გაარღვევს და ისევ სწრაფად ამოვა მზე-სიცოცხლე რწმენისა; რადგან იქ რწმენის სიცოცხლემ ფესვები გაიდგა. ამიტომაც გამოჩნდება იგი კვლავ და განმსჭვალავს ღრუბლებს, რომელნიც ილტვიან მისგან. სხვები თუკი ეცემიან, ცოცხალი რწმენის ადამიანები ურყევად დგანან. იმ სხვებს არ შეუღწევიათ თავიანთ სიღრმეში; მაგრამ მაინც თუ შეაღწევენ – ისინი იქ ჰპოვებენ მკვდარ ძაღლს: იგი საზიზღრად ყარს, გაათრიეთ შორს, იგი მკვდარია! გულგრილი, გამომხმარი, ცივი და მკვდარი ადამიანი, მოუქნელია ყველაფრისადმი, რაც ღვთისაა და რაც ღმერთს განეკუთვნება. იგი ბედნიერი იქნებოდა, ოდნავადაც რომ რჩებოდეს რწმენის ცხოვრებაში: თუნდაც ყოფილიყო მისი კავშირი ამ ცხოვრებასთან ძალზე სუსტი – იგი გადარჩებოდა. ასეთ სულიერ განწყობილებაში რომ ეპოვათ იგი, საბოლოოდ მაინც დაიმკვიდრებდა ის სასუფეველს, თუმცა დიდხანს უნდა ელოდა მას საამისოდ. მაგრამ ეს ადამიანები ძალზე ადვილად ჩამოშორდებიან ასეთ ცხოვრებას, რადგან მათ გზას და საშუალებას ისინი არ მიჰყავს თავიანთ სიღრმეში, ისინი გატაცებულნი არიან მხოლოდ გარეგანი საგნებით და თვით წარმოადგენენ ისეთ არარაობას, ისე არიან ამოწურალნი, რომ საკუთარი თავისთვისაც უცხო და შორეულნი რჩებიან. კეთილშობილი ადამიანები ცოცხალი რწმენისა კი ამნაირი ცხოვრებით ცხოვრობენ, ასეთ რწმენას თავიანთ შიდა არსში პოულობენ და უწყიან შინაგანი ცხოვრებისა და ჭეშმარიტების შესახებ. და თუკი შეხვდებიან ისინი თავიანთ გარეგან ცხოვრებაში რაიმე ღვთაებრივს, ეს გააღვიძებს მათში შინაგან ცხოვრებას მიდრეკილებით, სიყვარულითა და ისეთი სიხარულით, რომელიც მხოლოდ მათშია და სხვაგან – არსად. ისინი ცხოვრობენ შიდა სამეუფოში და მით

ტკბებიან. მათთვის კი ვინც იქ ვერ აღწევს, რჩება ეს დაფარულად.

### იოანე ტაულერი: 69-ე ქადაგება

ისინი არიან ჭეშმარიტად გლახაკნი სულითა, რომელთაც უარყვეს თავი თვისი და ყველაფერი და ღმერთს მიჰყვებიან, სადაც მას სურს, იქნება ეს დასვენება თუ გარჯა. ჭეშმარიტად, ახალგაზრდებმა დასაწყისიდანვე დიდი დრო უნდა დაუთმონ ღმერთს და თავიანთ შინაგან ცხოვრებას, სანამ ეს ცხოვრება მათ არსს არ განმსჭვალავს. რადგან ძალზე ადვილად შეეძლოთ მათ ისე შორს დაკარგულიყვნენ გარეთ, რომ გარეშე ცხოვრებას შერჩენოდნენ. თუკი არც ერთი ამ ადამიანთაგან ღმერთს არა გრძნობს, მას არაფერს პირდება და წინ ვერ მიიწევს, მაშინ იგი ამ ნაკლისაგან მხოლოდ უნდა დაიტანჯოს; რადგან მას ძალუძს უფრო ამაღლდეს და დიდი გახდეს წამება-ტანჯვითა და იმის მეშვეობით, რომ თავი თვისი მთლიანად ღმერთს მიანდოს; ხოლო ქმედობითა და ქონებით იგი დიდი ვერ გახდება. ასეთი ადამიანი ძალზე მოკრძალებულად უნდა მისდევდეს თავის რწმენას.

### იოანე ტაულერი: 70-ე ქადაგება

ქრისტე, ერთადერთო მოძღვარო, შენ გვითხარი, რომ რწმენა ყოველთვის აუცილებელია, ვისაც სურს მიაღწიოს სიცოცხლის წყაროს, და რწმენის სიდიდის შესაბამისად მასში მატულობს ძალა ღვთაებრივი მადლისა. მხოლოდ ორ რამეს გვასწავლიდი, მაცხოვარო: რწმენას და სიყვარულს. რწმენის მეშვეობით ქრისტიანი მარადიულ სიტყვას აღწევს, სიყვარულის

მეშვეობით კი მასთან ერთიანდება. რამდენადაც იგი უახლოვდება, მით უფრო მატულობს მისი ძალა, და რაც უფრო მეტად უყვარს, მით უფრო მკვიდრდება იგი ღვთაებრივ ნათელში. – ღვთის სიტყვა თავად მასშია დამარხული. თავის მიღმა არ უნდა ვეძიოთ იგი. შენს სიღრმეში ჰპოვებ და რწმენის მეშვეობით მიუახლოვდები მას. და რომ მიუახლოვდე მას, ამას შესძლებ ლოცვის წყალობით.

მადლობას აღვავლენ შენდამი, იესო, რომ შენი ნათელის წყალობით აქამომდე მივაღწიე. განა არსებობს ამაზე უფრო მოკლე და მოქმედი მოძღვრება, ვიდრე ესაა, მწყემსო კეთილო? შენ გსურს მხოლოდ რწმენა და ითხოვ მხოლოდ სიყვარულს. განა რა არის ღვთის რწმენაზე უფრო ადვილი? განა რა არის მის სიყვარულზე უფრო ტკბილი?

ნიკოლოზ კუზანელი; ღვთის ხედვა, თავი 24-ე

## ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

მთელი მონანიებითი ცხოვრება – მარხვა, სიფხიზლე, ლოცვა, მუხლთ მოყრა, თვითგვემა, უხეშ პერანგთა ტარება, მაგარი საწოლი და რაც ამდაგვარი არსებობს კიდევ-ყოველივე ეს იმის გამო მოგონილი, რომ სხეული და ხორცი გამუდმებით სულის წინააღმდეგ ჯანყდებიან. სხეული სულისთვის ხშირად ძალზე მძიმეა; მათ შორის გამუდმებით პირდაპირ ბრძოლა წარმოებს, მარადიული დავა. აქ, ამქვეყნად, სხეული გამბედავია და ძლიერი, რადგან იგი აქ თავის სამშობლოშია; ქვეყანა მას მხარს უჭერს, ეს დედამიწა მისი სამშობლოა, აქ ეხმარება მას ყველა თავისი ნათესავი:

საჭმელი, სასმელი, უზრუნველი ცხოვრება – ყოველივე ეს სულის წინააღმდეგია. სული აქ ცხოვრობს, როგორც უცხოეთში – მისი ნათესავები და მთელი მისი მოდგმა ზეცაშია; როდესაც იგი იქით მიემართება, იქ უცებ ჰპოვებს მეგობრებს და გაშინაურდება. სულს მისთვის ამ უცხოობაში რომ დავეხმაროთ და ხორცი ამ ბრძოლაში რამდენადმე დავასუსტოთ – ამოსდებენ მას მონანიებითი ქმედობების აღვირს და დათრგუნავენ, რათა მან სულზე ვერ გაიმარჯვოს და სულმა შესძლოს მისი მოგერიება. ამდაგვარად ეპყრობიან მას, მორჩილებაში რომ ჰყავდეთ, მაგრამ თუ გსურს მისი ათასჯერ უფრო მეტად შეზღუდვა და ალაგმვა – მაშინ ამოსდე მას აღვირი სიყვარულისა. სიყვარულით დასძლევ მას სწრაფზე უსწრაფესად, სიყვარულითვე დაამძიმებ მას აგრეთვე ძლიერზე უძლიერესად. და ამიტომ ისე ძალუმად არ სურს ღმერთს ჩვენგან არაფერი, როგორც სიყვარული. რადგან სიყვარული მსგავსია მეთევზის ანკესისა: მეთევზეს არ ძალუძს თევზის დაჭერა, თუ იგი არ ჩამოეკიდება ანკესს. თუკი ჩაყლაპა თევზმა ნემსკავი, იგი უკვე მეთევზისაა; როგორც არ უნდა დატრიალდეს და ამოტრიალდეს თევზი, მეთევზე დარწმუნებულია, რომ იგი მას ვერ გაექცევა. ასევე ვიტყვი მე სიყვარულზე. ვისაც სიყვარული იპყრობს, იგი ატარებს უმძიმეს ბორკილებს და მაინც უტკბილეს ტვირთს. ვინაც იტვირთა ეს უტკბილესი ტვირთი, იგი ამით გაცილებით მეტს აღწევს და უფრო შორს მიდის, ვიდრე იმით – მთელი კაცობრიობის მონანიებითი ქმედობებისა და თვითგვემათა თავის თავზე აღება რომ შესძლებოდა. მას მხიარული გულითაც კი შეუძლია ყველაფერი იმის მოთმენა და ატანა, რაც მის თავს დატრიალდება და რასაც ღმერთი მიუვლენს, და მას ძალუძს სიკეთით ყველაფერი იმის პატიება, რასაც მას ბოროტს შეამთხვევენ. არაფერი არ დაგაახლოვებს ისე ღმერთს და ისე არ განაწყობს მას შენდამი, როგორც ეს კავშირი სიყვარულისა. თუ ვინმემ ჰპოვა ეს გზა, იგი სხვას ნუ ეძებს.

ვინც ამ ანკესზე ჰკიდია, იგი ისეა დაჭერილი, რომ ხელი თუ ფეხი, ბაგე თუ თვალნი, გული და ყოველივე, რაც ადამიანისაა, ყველაფერი ღვთის საკუთრება უნდა გახდეს. და ამიტომ ამ მტრის, რათა შენ არ გავნოს, უკეთ დაძლევას ვერაფრით შეიძლებ , თუ არ სიყვარულით. ამიტომაცაა ნათქვამი: „ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი სიყვარული, ფიცხელ ვითარცა ჯოჯოხეთი" (ქება ქებათა, 8,6). სიკვდილი სულს სხეულს აშორებს, სიყვარული კი სულს ყველა საგნებს ჩამოაცილებს; რაც ღმერთი ან ღვთაებრივი არაა, იგი არ ითმენს არც ერთ წამს. ვინც ამ მახეში გაბმულია და ამ გზით მიდის, რაც არ უნდა გააკეთოს მან ან ვერ გააკეთოს, ეს სავსებით ერთი და იგივეა; ქმნის იგი რაიმეს თუ არა, ამას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა. და მაინც უმცირესი ქმნილება და უმცირესი ქმედობა ამდაგვარი ადამიანისა საკუთარი თავისთვის და ყველა ადამიანისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო, ნაყოფის მომტანი და ღვთისათვის სასიამოვნოა, ვიდრე ქმედობანი ყველა იმ ადამიანებისა, რომელნიც თუმცა მომაკვდინებელ ცოდვაში არ ცხოვრობენ, მაგრამ ამასთანავე ნაკლები სიყვარული გააჩნიათ. მისი უსაქმოდ ყოფნა უფრო მეტი სარგებლობის მომტანია, ვიდრე სხვისი ქმედობა. ამიტომ თვალი გეჭიროს მხოლოდ ამ ანკესზე, მაშინ შენ ბედნიერად დაგიჭერენ, და რაც უფრო მეტად დაგიჭერენ, მით უფრო მეტად განთავისუფლდები.

## მაისტერ ეკჰარტი: 59-ე ქადაგება

სიყვარულის სიდიადე სამ რამეს ეფუძნება: პირველი, რის გამოც დიადია სიყვარული, ესაა თავისუფლება. სიყვარული არის სრულიად თავისუფალი ძალა, რომელიც თავს არავის დაატყვევებინებს, თუ არ იმ უმ-

ტყვევაში, როდესაც თვით მისცემს თავის თავს დასატყვევებლად. ნამდვილი რაინდი თავს არ დაატყვევებინებს და აგრეთვე ძნელად ხდება მისი დატყვევება, თუ არა იმ დროს, როდესაც თვით ბარდება ტყვედ. მაგრამ შემეცნებას არასოდეს ძალუძს თავის დაცვა, მას ატყვევებს ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ტყვედ იგდებს შემეცნებას, როგორც ხალხი იტყვის: უნდა ვაღიარო ჭეშმარიტება, მან დამატყვევა. თავისუფლება ძალზე სასარგებლოა სიყვარულისთვის, თუკი იგი სიბრძნის მიერ წარიმართება. მაგრამ მას სიბრძნე თუ არა მართავს, იგი სულაც საზიანოა. ღვთის რაინდი არ უნდა მიიქცეს გარეგანი საგნებისაკენ, რომ მან უფრო უკეთ აღასრულოს ღვთის რაინდობა. რაინდმა რომ მოინდომოს ვაჭრულ საქმეთა კეთება, ეს იქნებოდა მისთვის დიდი სირცხვილი. მან რაინდული საქმენი უნდა აღასრულოს.

მეორე, რაზედაც სიყვარულის სიდიადე ძევს, ესაა, რომ იგი ითხოვს მოპოვებას. სიყვარული მოიპოვებს ყოველივეს, რისი მოპოვებაც მას სურს. მისთვის არაფერი არაა ძვირი, არც ღირსება, არც ავლადიდება, არც არაფერი, რაც ზეცაშია, და არც ღმერთი თვით. სიყვარული გამოცდილი ვაჭარია. იგი მტრისაგან უფრო მეტს მოიპოვებს, ვიდრე მეგობრისაგან. რადგან მეგობარი ჩემი ჩემთან ახლოა. თუნდაც მიყვარდეს იგი სწორი გზით, მაინც ამცირებს მისი სიახლოვე და საპასუხო სიყვარული ჩემს დამსახურებას. მაგრამ მტერი ჩემი ჩემგან შორსაა და სიყვარული ჩემი მას იქ უნდა მისწვდეს, გაიწიოს და დაიძაბოს.

მესამე, რაზედაც სიყვარულის სიდიადე ძევს, ეს არის ის, რომ მან ყველაზე უკეთ უწყის ყოველივე კარგის ამორჩევა. სიყვარულს გააჩნია ძალმოსილება, რომ მიიქცეს ყოველივე კეთილისაკენ, ზურგი აქციოს ყოველგვარ ბოროტს და ღვთისაკენ აღაღლდეს. აქ იგი საქმით აღასრულებს საუკეთესო არჩევანს. წმინდა მოწამეთა სიყვარული ამგვარად მიიქცა შორს

თავიანთი მტრებისაკენ, რადგან მათ არჩიეს სიკვდილი ღვთის გულისათვის. სიკვდილს არ ირჩევენ, რადგან იგი ტკივილით აღსავსეა. მაგრამ მათ რომ მოიპოვონ ის, რაც თავს ურჩევნიათ, ამიტომ აირჩიეს მათ სიკვდილი.

გიზელჰერ ზლატჰაიმელი: სამოთხე, გვ.88.

ჩემო საყვარელო, ჩემი სიყვარულო, უსაყვარლესო და სიყვარულით აღსავსევ უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, ჩემო მაცხოვარო, რომელმაც ჩვენი, ადამიანთა სიყვარულით შენს განკაცებაში ადამიანად იქეც და ჩვენი სიყვარულის გამო შენი წყალობით მოგვევლინე; შენ, რომელმაც ადამიანთა მიმართ უსაზომო სიყვარულისაგან ჯვარზე სიკვდილი დაითმინე, შენ, რომელსაც თავად შენს თავზე გსურდა გამარჯვება სიყვარულის ბორკილებით, თუმცა კი საერთოდ დაუმარცხებელი ხარ: რა ღირსეული, რა სწორი და რა სამართლიანია შენი მოთხოვნა ჩემი სიყვარულისა! ო, რომ შემეძლოს შენთვის არა მხოლოდ მხურვალე, არამედ უმხურვალესი, უზენაესი და უსრულყოფილესად მხურვალე სიყვარულის მოცემა! შენ ისე ძალზე გიყვარდი და ახლაც გიყვარვარ, მაგრამ რატომ არ მიყვარხარ მე? ო, მე გლახაკს, საბრალო ადამიანს, რატომ არ მიყვარს ჩემი გულის ყოველი ძგერით ასე დიადი მოსიყვარულე? უფალო, რადგან ჯერ არ მიყვარდი, შენ პირველმა შემიყვარე მე, რათა არ - მოსიყვარულე მოსიყვარულედ გარდაგექმნა. მადლობა შენ, უტკბილესო უფალო. მაგრამ გევედრები, მომიტევე, რომ შენს ყურადღებას ასევე ვერ ვპასუხობ და შენს მონდომებას თითქმის ვერ ავყევი. რათა მიყვარდე, საჩუქრებით მიზიდავ და სასჯელებით მაკრთობ.

მე რომ გამაჩნდეს ჭეშმარიტი სიყვარული, სამუდამოდ ბედნიერი ვიქნებოდი; მაგრამ შენდამი სიყვარული რომ უგულებელვყო, სამუდამოდ დავიღუპები. ეს ვიცი შენი წყალობით. და მაინც, ო, მე, უბედური! სმენადახშული მივემართები ისე, რომ არ მადარდებს შენი სიყვარულისათვის აღთქმული ჯილდო; ასევე, თუ არავითარი სიყვარული არ გამაჩნია, ჯეროვნად ვერ ვაფასებ მოახლოებული საფრთხის საშიშროებას.

მიუხედავად ამისა, უფალო, შენ უწყი ჩემი წადილი და ჩემი არასრულყოფილება შენთვის უცნობი არაა. ამიტომ, ო, ღმერთო ჩემო, რომელიც თავად სიყვარული ხარ, სიყვარულს აფრქვევ და სიყვარულით აბედნიერებ, შემიწყალე მე. შენ ხომ არა გძულს არაფერი და არავინ, რაც შენ შექმენი; შენ მზე ამოგყავს როგორც კეთილზე, ასევე ბოროტზე, და წვიმას უგზავნი როგორც მართალს, ასევე უსამართლოს; შენ თავს არიდებ მხოლოდ მას, რომელსაც შენსკენ არავითარი ლტოლვა არ გააჩნია. შენი სიტყვითა და მაგალითით შენ გვასწავლე კანონი სიყვარულისა: გევედრები, შენს ორგულ მონას, გულზე დამაწერე სიყვარულის ეს კანონი, გულზე, უმდაბლეს ცოდვილს, მაგრამ მაინც შენს სიკეთეს რომ უზომოდ ენდობა. გევედრები, სიყვარულის ეს კანონი გულზე დამაწერე წმინდა შუბის ტარით, რომელმაც შენ გვერდი განგიგმირა, და შენი ძვირფასი სისხლით, რომელიც შენ ჩვენი სიცოცხლისათვის დაღვარე, რათა ამ კანონს მე არა მხოლოდ ვიცნობდე, არამედ აგრეთვე მივჰყვე მას და მისი აღსრულება შემეძლოს. და თუ ეს მოგეწონებოდა, უფალო, ამ წერილის მეხსიერებაში უკეთ ჩაბეჭდვის მიზნით ამას დაუმატე წმინდა სამსჭვალნი, რომელთაც განმსჭვალეს შენი ხელნი და ფერხნი, და რძე, რომელსაც გაწვდიდა ნეტარი მკერდი ქალწულებრივი დედისა. თუ ამას არ გააკეთებ, უფალო, მაშინ ამაოდ მიბრძანებ შიშისა და წყალობის კანონით, რომ მე უნდა მიყვარდე. თუკი ჩვენს გარჯას მხარს არ დაუჭერ, უფალო, იგი დარჩება ცარიელი და არაფრის მქნელი.

უშენოდ არ არსებობს არაფერი მნიშვნელოვანი, არაფერი წმინდა, და არავინ გახდება საკუთარი შეძლებით წმინდანი. მაგრამ მე ვუწყი, უფალო, რომ შენ უფრო მეტად ხარ მზად შენი მადლის გასაჩუქებლად, ვიდრე ჩვენ – ვაი ჩვენ! – მისი სურვებისა და მიღებისათვის.

დიონისე კარტოიზერი
სიყვარულის სრულყოფილების შესახებ, თავი I.

## მორჩილება

ჭეშმარიტი და სრულყოფილი მორჩილება არის სათნოებათა შორის უპირველესი სათნოება, და არავითარი დიდი საქმე ან ქმნილება არ აღსრულდება ან არ შეიქმნება ამ სათნოების გარეშე; და რა მცირე და პატარაც არ უნდა იყოს საქმე, თუ იგი ჭეშმარიტ მორჩილებაშია შესრულებული – გაცილებით სასარგებლოა. იქნება ეს წირვა-ლოცვის კითხვა თუ სმენა, ლოცვა, ჭვრეტა და სხვა, რისი გააზრებაც შეგიძლია, და წარმოიდგინე კვლავ რაიმეს კეთება, თვით უმცირესი რამისა: ჭეშმარიტი მორჩილება მას უფრო კეთილშობილსა და უკეთესს გახდის. მორჩილება ყოველთვის იწვევს ყველა საგანში ყოველივე საუკეთესოს. ჭეშმარიტად, მორჩილება არავის და არასოდეს ხელს არ უძლის და არ აბრკოლებს რაიმეს კეთებაში, თუ ის ჭეშმარიტი მორჩილებაა; რადგან მას კარგი არაუერი გამორჩება. მორჩილებას არ სჭირდება არასოდეს რაიმეზე ზრუნვა, რადგან მას არ აკლია არავითარი სიკეთე.

როდესაც ადამიანი მორჩილებაში თავისი თავიდან გამოდის, იქ აუცილებლად ღმერთი უნდა შევიდეს კვლავ; სახელდობრ, თუ ვინმეს თავისი თავისთვის არაფერი სურს, მაშინ მისთვის ღმერთმა უნდა ისურვოს იმდაგვარივე გზით, როგორც საკუთარი თავისთვის. თუკი მე საკუთარ ნება-სურვილზე უარი განვაცხადე, მთლიანად დავუმორჩილე იგი პრელატს[X] და ჩემთვის არაფერი მსურს, მაშინ ღმერთმა უნდა ისურვოს ჩემთვის, და თუ მე უგულებელმყოფს, იგი თავის თავს უგულებელჰყოფს. ასეა ყველა საგნების მიმართ: სადაც მე ჩემთვის არაფერი მსურს, იქ ღმერთს სურს ჩემთვის. ახლა ყურადღება მიაქციე ამას: რაღა სურს მას ჩემთვის, თუკი მე ჩემთვის არაფერი მსურს? როდესაც მას მივენდობი, მაშინ აუცილებლად უნდა ისურვოს მან ჩენთვის ყველაფერი ის, რაც მას თავისივე თავისთვის სურს, არც მეტი და არც ნაკლები, და იმდაგვარივე გზით, რა გზითაც ეს თავის თავისთვის უნდა. რომ არ აღასრულოს ეს ღმერთმა – ჭეშმარიტების სახელით, რომელიც თავად ღმერთია –, მაშინ აღარ იქნებოდა ღმერთი სამართლიანი და იგი ღმერთი არ იქნებოდა, და რაც მაინც მისი ბუნებრივი ყოფიერებაა.

ჭეშმარიტ მორჩილებაში არ შეიძლება იყოს „მე ასე მსურს ან ისე“ და „ის ან ეს მსურს“, არამედ უნდა იყოს მხოლოდ სრულყოფილი დათმობა შენი თავისა. ამიტომ ყველაზე საუკეთესო ლოცვაში, რომლის აღვლენაც კი ადამიანს ძალუძს, არ უნდა იყოს „მომეც მე ეს სიკეთე ან ეს გზა“, და არც „ჰე, უფალო, მომეც თავი შენი ან სამარადისო სიცოცხლე“, არამედ, მხოლოდ ეს: უფალო, მომეც ის რასაც შენ ისურვებ, და-ჰქმენ, რაც

---

X. ბერად აღკვეცის დროს, ბერული აღთქმის მიცემისას. გუნდოლვ გიერათის შენიშვნა.

და როგორც გსურს შენ ყოველნაირი გზით! ეს ლოცვა ზემოთქმულს ზღემატე-ბა, როგორც ცა-დედამიწას, და როდესაც ლოცვას ამდაგვარად ასრულებენ, მაშინ სწორედ ილოცეს: თუკი ჭეშმარიტ მორჩილებაში თავი თვისი მთლია-ნად ღმერთს დაუთმეს. და როგორც ჭეშმარიტ მორჩილებაში არ შეიძლება იყოს „მე ასე მსურს", ასევე არასოდეს არ უნდა ითქვას: „მე არა მსუ-რს"; რადგან „მე არა მსურს" ჭეშმარიტი შხამია ყოველი მორჩილებისა-თვის.

მაისტერ ეკჰარტი: სიტყვანი დარიგებისა I.

## თ ა ვ მ დ ა ბ ლ ო ბ ა

განწმინდე გული შენი მის სიღრმეში, გარეთ კი იყავ თავმდაბალი და მაშინ იქნები ღმერთთან შეერთებული.

მეხტილ მაგდებურგელი:
ნარნარი შუქი ღვთაებისა V/I2

დამდაბლებული გული სხვა არა არის რა, თუ არ ეს: შეიწყნარე შენი ნაკლი და სატკივარნი და ღმერთს ევედრე, რომ მან შეგიწყალოს, და სთქ-ვი ამგვარად: უფალო, მე შევიწყნარე ჩემი ნაკლი, შემიწყალე მე. და

ვისაც ეს თავის თავში გააჩნია, მას ღმერთი არასოდეს დატოვებს.

იოანე ფონ შტერნგასსენი

(ციტირებულია *Germania*-ში III, 1858, გვ.239)

აგრეთვე გაღმერთებულ ადამიანს ჰმართებს ჭეშმარიტი, ღრმა და ნამდვილი თავმდაბლობა, და სადაც ეს არაა, იქ არც გაღმერთებული ადამიანია. ამას ასწავლიდა ქრისტე სიტყვებით, საქმით და თავისი ცხოვრებით, და ეს მომდინარეობს იქიდან, რომ ნამდვილ შუქში შეიცნობა, რაც ჭეშმარიტადაა: ყოფიერება, სიცოცხლე, ცოდნა და შემეცნება, შეძლება და რაც არ უნდა იყოს – ეს ყველაფერი ჭეშმარიტ ღმერთს ეკუთვნის და არა ქმნილებას. რადგან ცალკეულ ქმნილებას, როგორც ქმნილებას, არც ყოფიერება გააჩნია და არც სხვა რამ – საკუთარი თავიდან. და როდესაც იგი თავისი ნებით და საქმით ჭეშმარიტ საუნჯეს ზურგს აქცევს, მაშინ მასში აღარაფერი მოიპოვება, გარდა მარტოოდენი ბოროტებისა. ამიტომაა ნამდვილად მართალი ის, რომ ქმნილებას, როგორც ქმნილებას, თავის თავში არავითარი ღირებულება არ გააჩნია და არაფერზე უფლება არა აქვს და მის მიმართ არავის არაფერი მართებს – არც ღმერთს და არც ქმნილებას, და რომ იგი სამართლიანად უნდა იყოს მთლიანად ღმერთზე მინდობილი ან მისი ქვეშევრდომი. ესაა უდიდესი და უმნიშვნელოვანესი. ვისაც ღმერთზე მინდობა და მისი ქვეშევრდომობა სურს, იგი აგრეთვე ყველა ქმნილების ქვეშევრდომი უნდა გახდეს, და ეს, სახელდობრ, ტანჯვის ატანის გზით, თორემ ის იქნება ყალბი. აქედან მომდინარეობს ჭეშმარიტი თავმდაბლობა. და ეს რომ ნამდვილად ასე არ ყოფილიყო და რომ არ ყოფილიყო ეს ჭეშმარიტი ღვთაებრივი სამართლიანობის მიხედვით საუკეთესო, მაშინ ქრისტე ამას სიტ-

ყვებით არ ასწავლიდა და თავისი ცხოვრებით არ აღასრულებდა. ჭეშმარიტებაა გამოთქმული და ეს ნამდვილად ასეა: ღვთაებრივი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მიხედვით ეს ქმნილება ღვთისა და ყველა ქმნილების ქვეშევრდომი უნდა იყოს, მაგრამ მას არ უნდა ჰყავდეს ქვეშევრდომი და მორჩილი. ღმერთსა და ყოველ ქმნილებას მასზე და მის მიმართ უფლება გააჩნიათ, მაგრამ მას არაფრის მიმართ და არავისზე არა აქვს ეს უფლება; იგი ყველა საგნის მოვალეა და მისი - არავინ, და ეს ყოველივე ხდება ტანჯვის ატანისა და ზოგჯერ აგრეთვე ქმედითი გზით. შემდეგ აქედან აღმოცენდება აგრეთვე სულიერი სიგლახაკე, რომელზედაც ქრისტემ სთქვა: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ (მათე 5,3). ყოველივე ეს ქრისტემ სიტყვებით ასწავლა და სიცოცხლეში აღასრულა.

გერმანული თეოლოგია, თავი 33-ე.

## 3. ღ მ ე რ თ ი   ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ო ბ ა შ ი
## შ რ ო მ ა   დ ა   პ რ ო ფ ე ს ი ა

ადამიანი რომ განუწყვეტლივ ღმერთთან ერთიანობაში იყოს, ეს იქნება ზეციური აღმაფრენა, ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე მაღლა მდგომი. როგორ უნდა მივიღოთ იგი? ისმინე! ჩვენმა ნდომამ არასოდეს არ უნდა დატოვოს ჩვენი საქმე და ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ვცდილობთ ჩვენს საქმეს რწმენითა და ღვთაებრივის შემეცნებით. მაშინ ყველა ჩვენი საქმით ვადიდებთ ღმერთს, ჩვენს უფალს, ყველა მის საქმეთა გამო, რომელიც მან

ჩაიდინა ამქვეყნად ჩვენი სიყვარულით. ამქვეყნად, ამდაგვარად, ზეციური სიყვარულით ვართ მასთან და მის საქმეებთან გაერთიანებული. ამის შემდგომ სულიერად აღვფრთოვანდებით და ვაქებთ და ვადიდებთ ჩვენს უფალსა და ღმერთს ყველა მისი საბოძვარისთვის, რომელიც მას ოდესმე ჩვენთვის მოუცია – ჩვენი სხეულისა და ქონებისათვის, ჩვენი მეგობრებისა და ნათესავებისათვის, და ყველა ამქვეყნიური სიამოვნებისათვის, რისი ნდომაც კი შეგვიძლია. ამგვარად ვწირავთ მადლობას ღმერთს მისი კეთილმოსურნე ყველა საბოძვარის გამო, რომელიც მას ამქვეყნად ოდესმე ჩვენთვის უბოძებია, ჩვენი სხეულისა და სულისათვის, და ჩვენ კვლავ ვერთიანდებით მასთან, სიყვარულითა და თავდადრეკილი მადლიერებით, რადგან გულს ვუხსნით მის საბოძვართ. და მაშინ მოედინება სიყვარული ჩვენს გულში, გრძნობანი აღარ არიან დახშულნი და სული ჩვენი ხდება ისეთი ნათელი, რომ ჩვენ ღვთაებრივ შემეცნებაში ვიმზირებით, მსგავსად იმისა, როგორც კაცი უმზერს თავის პირისახეს კრიალა სარკეში. და ღვთის ნება შეგვიძლია ჩვენს საქმეებში შევიცნოთ, თუკი ვადიდებთ და გვეყვარება იგი როგორც ტანჯვათა მოვლენისას, ასევე ნუგეშისცემის დროს და გავიხარებთ იმის გამო, რასაც მივიღებთ ცოდვის გარეშე. ცოდვებზე კი უნდა ვიტიროთ, ცოდვანი უნდა გვძულდეს, რადგან დაწყევლილნი არიან ისინი. ამდაგვარად გავერთიანდებით ჩვენ უკვე აქ, ამქვეყნად, წმინდანებთან – სამოთხეში, რადგან სამოთხეში ნება ღვთისა არის მათი აღფრთოვანების გამომწვევი მიზეზი.

მეხტილდ მაგდებურგელი:

ნარნარი შუქი ღვთაებისა I/39

მე ვიცნობ ერთ კაცს, ღვთის უდიდეს მეგობარს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ღვთის კაცი იყო ორმოც წელზე ნეტ ხანს, და არის ახლაც. ერთხელ ჰკითხა მან ჩვენს უფალს: უნდა დატოვოს მან თავისი სამუშაო და ეკლესიისაკენ წარემართოს? მან ასეთი პასუხი მიიღო: არა, მან ეს არ უნდა ჰქმნას; მან თავისი ოფლით უნდა მოიპოვოს პური თვისი – უფლის ძვირფასი სისხლის პატივსაცემად. ადამიანმა, თითოეულმა თავისი გზით დღისით ან ღამით ყოველთვის რამდენიმე დრო უნდა გამონახოს, რომლის განმავლობაში მას თავის ფსკერზე შეეძლება ჩაძირვა. კეთილშობილ ადამიანებს, რომელთაც სიწმინდეში, სურათებისა და ფორმების გარეშე ძალუძთ ღმერთში ჩაძირვა, ეს თავიანთი გზით შეუძლიათ. სხვები კი მოხერხებულ დროს, თავიანთი გზით უნდა იწავებოდნენ ამაში, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ყველა ჭვრეტას ვეძლეოდეთ. ამის შემდეგ მათ უნდა აღასრულონ თავიანთი კეთილი სამუშაო, როგორც ეს ღმერთმა დაუწესა მათ, სახელდობრ დიდ სიყვარულში, მშვიდობაში და კეთილად ყოფნაში – ღვთის ნებისამებრ. ვინც ღმერთს ემსახურება ღვთის ნებისამებრ, მას ღმერთი პასუხს მიაგებს ადამიანის ნებისამებრ. მაგრამ ვინც ღმერთს თავის საკუთარ ადამიანურ ნებისამებრ ემსახურება, მას ღმერთი არ უპასუხებს ადამიანური ნებისამებრ, არამედ ღვთის ნებისამებრ.

საკუთარი ნების ამ დათმობისაგან იშვება და აღმოცენდება ძირითადი მშვიდობა, რომელიც კეთილისმყოფელობისაგან მოიპოვება. და დარწმუნებული იყავით: ყოველი მშვიდობა, რომელიც კეთილისმყოფელობიდან არ მომდინარეობს – ყალბია. შინაგანად და გარეგანად უნდა განხორციელდეს კეთილისმყოფელობა. და შიგნიდან მომავალი მშვიდობის წარღება თქვენგან არავის ძალუძს.

იოანე ტაულერი: 47-ე ქადაგება

უწყოდეთ: ამქვეყნად ცხოვრობს ზოგიერთი დედაკაცი და ჰყავს ქმარი და ბავშვი; და ზოგიერთი კაცი ზის და კერავს წაღებს, და ისინი თავიანთ შრომაში ღვთისაკენ ილტვიან და ცდილობენ თავისა და ბავშვების რჩენას. და ზოგიერთი ღარიბი სოფლად ნაკელს დაატარებს და თავის მცირედენ ლუკმას მკაცრი, ძნელი შრომით იპოვებს... ამ ადამიანებს გააჩნიათ შიში ღვთისა და გულალალნართლად მიჰყვებიან ღვთის მოწოდებას. საბრალო, ბრმა, სულიერო ადამიანო, გაფრთხილდი, შენი სიღრმიდან აღიქვი შენი მოწოდება მთელი გულმოდგინებით. დააკვირდი, თუ რა სურს შენგან ზეციურ მამას, მიჰყევ მას და არ დაიბნე მის გზაზე. ამ მოწოდების უზენაესი და უმაღლესი გზაა: ყოვლად სასიყვარულო ძის სასიყვარულო მაგალითის აღება, გარეგანად და შინაგანად, ქმედითი, ტანჯვითი და გამოსახულებითი გზით ან ყველა გამოსახულებაზე ამაღლებ ჯი მჭვრეტელობითი გზით. და ვინც ყველაფერს დასთმობს და ყოვლად განწმენდილი მას მიჰყვება, იგი მიაღწევს უმაღლეს და უზენაეს მიზანს.

იოანე ტაულერი: 65-ე ქადაგება

## ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ა

როდესაც თქვენ თვითონ ხართ ავად, მაშინ თავი წარმოიდგინეთ ღარიბ უცხოელად, რომელიც ერთ უცხო სახლში მოათავსეს და ხალისით ისურვებდა თავის სამუდამო სამშობლოში დაბრუნებას. იყავით მომთმენნი, ნაიარული ბუნებაგანწყობის, აიტანეთ ყველაფერი და ნაკლობა შესწირეთ

ღმერთს მის ნაბოძვართათვის. არაფერი არ აირჩიოთ და არ მოითხოვოთ, რაც ღმერთს არ სურს. ნუ იქნებით საკუთარ თავზე შეშფოთებული; კმაყოფილი იყავით ყველაფრით, რასაც თქვენ გიკეთებენ. დაენდეთ ღმერთს, ნუ მოსთქვამთ თქვენს ავადმყოფობაზე, ნუ უჩივიხართ ნუგეშისცემისა და ერთგულების ნაკლებობას ადამიანებში. თუ თქვენ არავინ განახულობთ, შუბლს ნუ შეიჭმუხნით, არამედ მიიღეთ ყველაფერი ღვთის ხელიდან, რისი გამოგზავნაც მას თქვენთვის სურს. ჭამეთ და სვით, რასაც თქვენ მოგაწვდიან, რამდენადაც ეს თქვენ ძალგიძთ, როგორც ღარიბს. თუ საჭმელი მლაშეა, ჩამწვარი ან უგემური, გაიხსენეთ, რომ ჩვენს უფალს, მისი უდიდესი წამების დროს, ასვეს და აჭამეს ძმარი და ნაღველი. და იგი მდუმარედ იყო და არ მოსთქვამდა. იყავით აგრეთვე თქვენც ასევე ყველაფრით კმაყოფილი მისი გულისათვის.

თუ თქვენ გსურთ რაიმე, რაც თქვენ არა გაქვთ, მაგრამ გჭირდებათ, უთხარით ეს მათ, ვინც თქვენთან არიან. მოგცემენ თქვენ მას – მადლობა შესწირეთ ღმერთს. არ მიიღებთ – მაშინ აღიჭურვეთ მოთმინებით და ხელი აიღეთ მასზე ღვთის გულისათვის. თვით ღმერთი იქნება თქვენი საზღაური. დათრგუნეთ თქვენი სიხარბე და ნუ მოითხოვთ ყველაფერს მას, რაზედაც თქვენ ფიქრობთ, რაც თქვენ გინდათ. ამდაგვარი ჩვევა აქვთ განებივრებულ მდიდრებს. ეს აჯავრებს მათ, რომელნიც ამ მოთხოვნას წყენით აღვსილნი უსმენენ. თუ თქვენ დაგივიწყეს და არ მოდიან თქვენთან, როდესაც ამას თქვენ აუცილებლად მიიჩნევთ, მაშინ იყავით მომთმენნი და მშვიდობიანი. რადგან ქრისტეა მაშინ თქვენთან თავისი ანგელოზებითა და წმინდანებით. იყავით მუდამ მხიარული გუნებაგანწყობის, ნუ დრტვინავთ და ნუ ბუზღუნებთ. გულში ღმერთი გყავდეთ და ბაგეზე – კეთილი სიტყვა. მაშინ ყოველთვის იმატებს თქვენი სათნოება და ყო-

ყოველი, ვინც თქვენთან მოვა, თქვენი მეშვეობით უკეთესი გახდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე რუისბრუკი:

წიგნი შვიდი იდუმალების შესახებ, თავი 6-ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი


I. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ურბნელი მიტროპოლიტი. არსებობს თუ არა ბედისწერა? . . . . . . . . . . . . . 3

2. ვ ა ხ ტ ა ნ გ  გ უ რ გ ე ნ ი ძ ე. „საქართველოს სამოთხე". . 33

3. ა. ც ო ლ ო გ ი ნ ი. ევქარისტიის საიდუმლო (თარგმანი ზ.ჭირა-ლიშვილისა) . . . . . . . . . . . . . . 40

4. გ უ ნ დ ო ლ ფ  გ ი ე რ ა თ ი. გერმანელი მისტიკოსები (თარგმანი გერმანულიდან წინასიტყვაობა და შენიშვნები ვიქტორ რცხილაძისა) . . . . . . . . . . . . . 7I

n6/59

F 834
1983